

«ს ა მ ა რ თ ა ლ ი»

“SAMARTALI”

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი  
Scientific-practical juridical journal

№3, 2001 წელი

ISSN 0868-4537

© შპს „სურნალი“, „სამართალი“, 2001 წ.

მთავარი რედაქტორი  
პაათა ცნობილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე  
გელა ბერძენიშვილი

EDITOR IN-CHIEF  
PAATA TSNOBILADZE

VICE-EDITOR IN-CHIEF  
GELA BERDZENISHVILI

სარედაქციო საბჭო:  
EDITORIAL COUNCIL:

რომან შენგელია – (თავმჯდომარე)  
ლევან ალექსიძე  
ჯამლეთ ბაბილაშვილი  
ავთანდილ დემეტრაშვილი  
ბესარიონ ზოიძე  
კახა თარგამაძე  
გივი ინწკირველი  
გია მეფარიშვილი  
თევდორე ნინიძე  
ნუგზარ საჯაია  
მინდია უგრეხელიძე  
ლადო ჭანტურია  
ჯონი ხეცურიანი

ROMAN SHENGELIA - (chairman)  
LEVAN ALEKSIDZE  
JAMLET BABILASHVILI  
AVTANDIL DEMETRASHVILI  
BESARION ZOIDZE  
KAKHA TARGAMADZE  
GIVI INTSKIRVELI  
GIA MEPARISHVILI  
TEVDORE NINIDZE  
NUGZAR SADJAIA  
MINDIA UGREKHELIDZE  
LADO CHANTURIA  
JOHN KHETSURIANI

სარედაქციო კოლეგია:  
EDITORIAL BOARD:

გელა ბერძენიშვილი  
ნინო გვენეტაძე  
მზია ლექვეიშვილი  
ვალერიან მეტრეველი  
გიორგი ტყეშელიაძე  
შალვა ჩიკვაშვილი  
პაატა ცნობილაძე  
გია ხუბუა

GELA BERDZENISHVILI  
NINO GVENETADZE  
MZIA LEKVEISHVILI  
VALERIAN METREVELI  
GEORGE TKESHELIADZE  
SHALVA CHIKVASHVILI  
PAATA TSNOBILADZE  
GIA KHUBUA

რედაქციის მისამართი: 380046 თბილისი, რუსთაველის გამზ. №30.

ტელ: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

ფაქსი: (995 32) 99 02 45

## შურნალ «სამარტალი» სავიზიტო ბარათი

### “SAMARTALI”\* journal visit-card

გამოსვლის თარიღი – 1926 წელი.

სტატუსი – იურიდიული პროფილის ერთადერთი რეცენზირებადი გამოცემა საქართველოში.

პერიოდულობა – წელიწადში გამოდის 12 ნომერი

ჭირაული – 1000 ეგზემპლარი

დამფუძნებელი – საქართველოს იურისტთა კავშირი (1999)

იურიდიული მისამართი – 380046, საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 30.

#### შურნალის მიზნებია:

- ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის განხორციელებას და მის წარმოჩენას;
- დაეხმაროს პრაქტიკოს-იურისტებს (მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, ნოტარიუსებს და სხვა) ახალი კანონმდებლობის უკეთ შემეცნებაში;
- ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მეშვეობით გააცნოს საქართველოს იურიდიულ საზოგადოებას საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი პროცესები;
- ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დონის ამაღლებას;
- იურიდიული მეცნიერების, იურიდიული განათლების რეფორმირებისა და სტუდენტთა სასწავლო პროცესისათვის ხელშეწყობა.

#### განხორციელების ფორმები:

- ქართველ და უცხოელ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოს-იურისტთა შემოქმედებითი პროდუქციისა და მათი საქმიანობის ამსახველი მასალების გამოქვეყნება;
- ნორმატიული მასალის გამოქვეყნება და ახალი კანონმდებლობის პროპაგანდა;
- ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;
- სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გათვალისწინებული იურიდიული კონსულტაციების გამოქვეყნება;
- სასწავლო და აკადემიური მასალის გამოქვეყნება.

*Date of issuance – year 1926*

*Status – the only reviewed legal-profile edition in Georgia*

*Periodicity – 12 editions annually*

*Circulation – 1000 units*

*Founder – Georgian Lawyers Union (1999)*

*Legal address – 380046, Rustaveli 30, Tbilisi, Georgia*

#### *Objectives of the journal are:*

- To promote effectuation of the judicial reform which is under way in Georgia;
- To assist practician lawyers (judges, prosecutors, advocates, notaries and others) in better cognition of new legislation;
- To get Georgian legal society acquainted with the judicial process in foreign countries by means of Georgian and foreign specialists.
- To promote raising legal culture and legal consciousness of the population;
- To promote reforms of legal science and legal education and to foster students' study process.

#### *Forms of effectuation*

- Publication of materials resembling activity and creative production of Georgian and foreign scientist and practician lawyers;
- Publication of normative materials and propaganda of new legislation;
- Publication of decisions rendered by the European Court of Human Rights and by Georgian courts;
- Judicial practice review;
- Publication of legal consultations foreseen for juridical and natural persons;
- Publication of studying and academic materials.

\* Term “SAMARTALI” in English means “Law”

სადღეისო თემა

გივი მთვარელიძე – კორუფციის,  
როგორც ანტისახელმწიფოებრივი  
და, ანტისაზოგადოებრივი მოვლენის  
წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები .....5

საქონსტიტუციო სამართალი

პაატა ცნობილაძე – კანონის ადგილი  
საქართველოს სამართლებრივ სისტემაში .....13

პაატა დავითაძა – გერმანის ადგილობრივი  
თვითმმართველობის წარმომადგენლობითი  
ორგანოების მუშაობა .....19

ამორან გიგუაშვილი – სახელმწიფო  
საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში .....26

სამოქალაქო სამართალი, პროცესი

ეკა შენგელია – სააქციო საზოგადოების  
დირექტორთა წარმომადგენლობითი  
უფლებამოსილება .....30

ქეთევან ქოქრაშვილი – საერთაშორისო  
ფინანსური ღიზინგი და მისი დამკვიდრების  
რეალური ასპექტები საქართველოში .....35

ასმათ გუგავა – მეურვეობისა და  
მზრუნველობის ინსტიტუტის განვითარება .....40

ლევან ნანობაშვილი – კომპიუტერული  
პროგრამა, როგორც სავტორო სამართლის  
ნორმებით დაცული ნაწარმოები .....44

ნინო კუნცევა-გაბაშვილი – დომეინი -  
ინტელექტუალური საკუთრების  
სამსართლის ახალი ობიექტი .....50

არჩილ თაბაგარი – გამარტივებული წესით  
ფულადი დავალიანების გადახდევინების  
შესახებ საქმეზე წარმოების აღმვრა .....59

სისხლის სამართალი, პროცესი

ფრთხონ ბასილაძე – სამოხელეო და  
სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ  
მიმართული დანაშაული .....65

Today's theme

**Givi Mtvarelidze** – Aspects of Battle against  
the Corruption, as an Anti-Governmental and  
Anti-Social Event ..... 5

Constitutional Law

**Paata Tsnobiladze** – Role of the Law in the  
Legislation System of Georgia ..... 13

**Paata Davitaia** – Work of the Representative  
Departments of the Local Self-Governments  
in Germany ..... 19

**Amiran Giguashvili** – State in the Public  
Political System ..... 26

Civil Law, Procedure

**Eka Shengelia** – The Administrative Rights  
and Duties of the Representatives of Joint  
Stock Companies' Directors ..... 30

**Ketevan Qoqrashvili** – The International  
Financial Leasing and the Real Aspects  
of their Establishment in Georgia ..... 35

**Asmat Gugava** – Development of the  
Trusteeship and Care Institution ..... 40

**Levan Nanobashvili** – The Computer  
Program, as a work protected by the  
Legislation Norms of the Copyright ..... 44

**Nino Kunzeva-Gabashvili** – Domain - the  
New Object of the Intellectual  
Property Law ..... 50

**Archil Tabagari** – ..... 59

Criminal Law, Procedure

**Pridon Basilaia** – Offence against the  
Jurisdiction and the Court ..... 65

კობა კობახიძე – „გამოძალვის დელიქტის  
დეფინიციის სრულყოფილების  
მცდელობის გზაზე“ ..... 69

ბესიქ ქუთათელაძე – ზიანის ანაზღაურების  
ზოგიერთი პრობლემის შესახებ  
(სისხლისსამართლებრივი ასპექტი) ..... 74

ავთანდილ კახნიაშვილი – მოსამართლეობის  
საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების  
წესის სრულყოფისათვის ..... 79

## საერთაშორისო სამართლი

გივი მთვარელიძე – საერთაშორისო  
სასამართლოს კონსულტაციური დასკვნების  
იურიდიული შედეგების ბუნება და მათი  
საერთაშორისო სამართლებრივი  
მნიშვნელობა (ნამიბიის მაგალითზე) ..... 85

## სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თეორია

მარინა გარიშვილი, ვალერიან მეტრეველი –  
დავით, იოანე და თეიმურაზ  
ბაგრატიონების სამართალშემოქმედება ..... 90

## ხსოვნა

რეჯინალდ დეკანოზოვი ..... 99  
რეზიუმე ..... 101

**Koba Kobakhidze** – In the Way of the  
Trying to Perfect the Definition for  
the Extortion Delict ..... 69

**Besik Kutateladze** – On Some Problems  
Concerning the Recovering the Damage  
(the Criminal Aspects) ..... 74

**Avtandil Kakhniashvili** – On the Perfection  
of the Conducting the Professional Skill  
Exams for Judges ..... 79

## International Law

**Givi Mtvarelidze** – Nature of the Juridical  
Results of the International Court's  
Consultation Conclusions and their  
International Juridical Significance  
(by the example of one story ..... 85

## History of State and Law, Theory

**Marina Garishvili, Valerian Metreveli** –  
Science of Jurisdiction by Davit, Ioane and  
Teimuraz Bagration ..... 90

## Memorial

**Reginald Decanozov** ..... 99

**RESUME** ..... 101



# საქართველოს თემა

გივი მთვარელიძე

## კორუფციის, რობორც ანტისახელმიზონებრივი და ანტისაზობაზონებრივი მოვლენის შინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები

საქართველოში ხმამაღალი ლაპარაკი კორუფ-  
ციასთან ბრძოლის თაობაზე ისეთივე ტრადიცი-  
ად და მოდად იქცა, როგორც თავად კორუფცია.

კორუფციის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძო-  
ლის პირობებში, სახელმწიფოს ეს დამაქცევე-  
ლი სენი ისე აყვავდა გაიფურჩქნა, რომ მან ე.წ.  
კორუფციული ფეოდალიზმის სახე მიიღო. რად  
ლირს მარტო ამ ბოლო ხანებში საგადასახადო  
შემოსავლების სამინისტროს მიერ პრესაში გამო-  
ქვეყნებული განცხადებანი იმის შესახებ, რომ –  
„საბაჟო-საგადასახადო სისტემაში არსებული კო-  
რუფცია, უსამართლობა, ჩინოვნიკების მიერ  
კანონმდებლობის საკუთარი ინტერესების სასარგე-  
ბლოდ მორგება, გამომძალველობა, შემაშფოთებელ  
მას შტაბებს იძენს, ბიუჯეტი კარგავს შემოსავ-  
ლებს, მოსახლეობა კი კუთვნილ ხელფასსა და  
პენსიას“. კორუფციის მასშტაბების არნახულმა  
გაფართოებამ შესაძლოა სერიოზულად შელახ-  
ოს ქვეყნის იმიჯი მსოფლიოს თვალში.

ასეთ ვითარებაში საქართველოში კორუფციი-  
ს მასშტაბებისა და მასთან ბრძოლის სირთუ-  
ლეების ფონზე ცალკეულ ანტიკორუფციულ  
ღონისძიებათა ეფექტურიანობის ასამაღლებლად, –  
ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შე-  
მუშავება განსაკუთრებული, სახელმწიფოებრივი  
მნიშვნელობის საქმეა.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ კორუფცია  
მიჩნეულია ჩვენი ეროვნული უშიშროებისათვის  
ნომერ პირველ საფრთხედ, ხოლო მის წინააღმ-  
დეგ ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთი პრი-  
ორიტეტია.

კორუფცია ესაა დანაშაულებრივ მოქმედებათა  
სისტემა, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების  
შესაბამისი სტრუქტურების მიერ უფლებამოსილე-  
ბათა ბოროტად, არამართლზომიერად გამოყენებას,  
უფრო მარტივად, კორუფცია – ესაა თანამდე-  
ბობის პირების მიერ ანგარებითი მიზნით ჩადე-  
ნილი ნებისმიერი ქმედება, რომელიც კანონით  
არაა გათვალისწინებული, ქრთამის აღება, თან-  
ამდებობის გამოყენება პირადი მიზნებისათვის,  
ზეგავლენის მოპოვებისათვის ეკონომიკურ სფ-  
ეროში და სხვა.

თანამედროვე ეტაპზე ქრთამის აღება კორუფციის  
ყველაზე მარტივი ფორმაა. ამჟამად უფრო გავრ-  
ცელებულია ეკონომიკური მონოპოლიის მოპოვე-  
ბისათვის საკუთარი ზეგავლენის გამოყენება რომე-  
ლიმე ცალკეულ სფეროში, არაკანონიერი გარი-  
გების გზით. არსებობს გარკვეული ეკონომიკური  
სფეროები, რომლებსაც მაღალ ეშელონებში ყავთ  
მფარველები და სხვა ე.წ. „გარედან მოსულ“  
ადამიანებს არ აძლევენ ამ ბიზნესში მოქმედების  
საშუალებას. სახელმწიფოში მიღებულია კანონი  
„ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ“, მა-  
გრამ მისი მოქმედება ღიად არ ხდება. ჩვენში  
ჩატარებული ტენდერები სხვადასხვა მიზეზების  
გამო ფიქტიურია. ახსნა მარტივია, – ტენდერის  
მოწყობამდე ცნობილია, რომელმა ფირმამ უნდა  
გაიმარჯვოს. გავლენიანი პირები გარიგებულნი  
არიან ფირმებთან ან საწარმოებთან, სხვა სტრუ-  
ქტურებთან. მრავალია შემთხვევა. როცა საწარ-  
მოები მათივე შექმნილია, თვითონვე განაგებენ  
მათ, სადაც გაფორმებულია მათთვის სანდო პირები.

ამიტომაც ტენდერში გამარჯვება წინასწარვეა ცნობილი. ესაა ფარული კორუფციის ერთ-ერთი საშიში ფორმა.

გავლენიანი პირები, რომლებსაც მფარველები ყავთ ხელისუფლებასა და მმართველობის უმაღლეს ეშელონებში ერთი პერიოდი კრედიტობანას თამაშით იყვნენ გატაცებულნი, შემდეგ ჰუმანიტარული ტვირთებით, სპილენძის, ჯართის, ხე-ტყის გატანით. ამჟამად „მოდაშია“ ნარკობიზნესი, თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდა, ბაზრობების შექმნა და ა.შ.

ჩვენი ქვეყანა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში იმყოფება, იზრდება სარფიანი საქმიანობა, რაც ბუნებრივია, ზრდის მეჩრდილეთა საქმიანობის მასშტაბებს. უნდა ვაღიაროთ და სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ, რომ კორუფციის მოვლენით დაავადებულთა რიცხვი სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებში, სამწუხაროდ, დიდია და მას ერთი ხელის მოსმით ვერ მოვიცილებთ.

ამის დასტურია პრესაში გამოქვეყნებული სოციოლოგების მიერ ჩატარებული გამოკვლევის სურათი, არარეგისტრირებულ მეტარმეთა შორის რეგისტრაციაზე შევნებულად თავის არიდება და ბუნებრივია, საბიუჯეტო გადასახადზე უარის თქმა, გამოწვეულია იმით, რომ მათ მფარველობას უწევენ სამართალდამცავი, მაკონტროლებელი ორგანოების და სხვა სტრუქტურების უპატიონსნო მუშაკები. გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ მათ უკანონო მუშაობის პერიოდში აკითხავდნენ პოლიცია (63%), საგადასახადო ინსპექცია (50%), გამგეობა (19%) ქალაქის მერია (10%), კრიმინალური ელემენტები (8%). ნათელია რომ კორუფციის მძლავრ დინებას ასაზრდოებს ერთ-ერთი პატარა შენაკადი, თვით დინებას კი მკვებავი უამრავი ჰყავს ნარკო და ნავთობ-პროდუქტების ბიზნესიდან, საბაჟოებს თავარიდებულ კონტრაბანდიდან, დამალული შემოსავლებიდან და სხვა მრავალი წყაროდან, რომლის სათავეები მაფიასა და კორუფციას საიმედოდ აქვთ გადაკეტილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველივე ეს ხელისუფლების და მმართველობის უმაღლეს, საშუალო და ქვედა ეშელონებში დაბუდებული კორუფციის დამსახურებაა. ეს ფაქტი არავისთვის

საიდუმლოს არ წარმოადგენს და საყოველლთა ბრძოლაცაა გამოცხადებული. სამწუხაროდ, კი იგი არაა ფართო და პრინციპულ ხასიათს ს არ ატარებს. ხშირ შემთხვევაში იფარველებიან პრესი, ტელევიზიის სხვადასხვა არხში თთვით ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ტრიბუნიდან გამოსვლებით დაცა არ ჩანს ის საქმე, რომლებიც გამომსვლელებმა უუნდა აკეთონ, ისინი ზოგადი ფრაზებით კმაყოფილლდებიან, არ ასახელებენ კონკრეტულ თანამდევებობის პირებს და ყველაფერს დღეს მოდაში შექმოსულ ე.წ. „მავანსა და მავანს“ აბრალებენ.

საქმე, რომელიც პოლიციამ, პროკურატურამ, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებმა, ს სხვა მაკონტროლებელმა ორგანოებმა უნდა აკეთონ, უმძიმესი და უდიდესია. უმძიმესს როცა ; ვაბ-ბობთ, ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ პ მი-თითებულ ორგანოებს და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც კორუფციას უნდა ებრძოლონ, , არ აქვთ საამისოდ შექმნილი სათანადო პირობები. ამ მიმართებით მრავალი ფაქტორია ანგარიშ-გასაწევი: მოსახლეობის მკვეთრი ქონებრივი და საშემოსავლო დიფერენციაცია, რაც კორუფციის წარმოქმნის უშროეს წყაროზე მიგვითითებს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართალ-დამცავთა დაცვის მექანიზმის არარსებობა, სა-თანადო ხელფასის უქონლობა, მუდმივი შეემო-სავლის არქონის გარანტია, ის რომ მისი პრინ-ციპული მოქმედება არ გამოიწვევს სამუშაოს დაკარგვის პერსპექტივას და სხვა. ასეთ ვი-თარებაში იზრდება ალბათობა იმისა, რომ თან-ამდებობის პირი ყველა შემთხვევაში გამოიყ-ენებს სკამს ფულის საკეთებლად.

სამართალდამცავის ყოველდღიური მუშაობა და ბრძოლა კორუფციასთან, მუდმივ რისკთანაა დაკავშირებული. ხშირად მისი სიცოცხლე სა-ფრონებია. საბაზრო ეკონომიკის დროს ძნელია ისაუბრო ენთუზიაზმზე.

სახელმწიფომ პრიორიტეტი უნდა მისცეს მათ, ასეთ ფონზე უნდა მოხდეს მათი რაოდენობის მკვეთრი შემცირება, გადამზადების დაფინანსება პროფესიონალიზმის ასამაღლებლად ახალი მოთხოვნების სისტემის გათვალისწინებით, შექმნილი უნდა იყოს საქმიანობისა და არსებობის ნორ-მაღლური საშუალებები. ენთუზიაზმის დრო დიდი ხანია დამთავრდა. უნდა გაგრძელდეს ბრძოლა

ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ, როგორც უშრეტ წყაროზე. ვიდრე არ გახდება შესაძლებელი ჩრდილში მოქცეული ქონების ლეგალიზაცია და მეჩრდილეთა სინათლეზე გამოყვანა, სახელმწიფოს ბიუჯეტი მუდამ პრობლემების წინაშე იდგება.

„ჩრდილოვანი ეკონომიკის“ პოზიციათა შესუსტებისათვის საჭირო გზების დადგენა რთული ამოცანაა, მისი თვით არსებობის ფაქტის აღიარებასაც კი საკმაოდ მოკლე ისტორია აქვს, ბრძოლა მის წინააღმდეგ მიზანდასახული უნდა იყოს და რაც მთავარია, ეფექტური, რამეთუ სხვა შემთხვევებში იგი „ბნელ ოთახში კატის ძებნას“ დაემსგავსება.

კორუფციასთან ეფექტური, ბრძოლა ძალზე ძნელია, მაგრამ არა განუხორციელებელი. აქედან გამომდინარე, რეალისტები თუ ვიქენებით, უნდა ვილაპარაკოთ არა კორუფციის განადგურებაზე და მის აღკვეთაზე, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია და საკუთარი თავის მოტყუების ჭოლვასთა, არამედ მის მკვეთრ შემცირებაზე, რაც საშუალებას მოუსპობს კორუფციის გახდეს განმსაზღვრელი და წარმმართველი საზოგადოებაში და საერთოდ ქვეყნის პოლიტიკას განკურნავს საკუთრების მოსაპოვებლად ხელისუფლებისაკენ ლტოლვის არაჯანსაღი ტენდენციებისაგან.

საერთოდ კორუფცია ეს ის სენია, რომელიც დამახასიათებელია უფრო მეტად ღარიბი ქვეყნების ბიუროკრატებისათვის, რასაც ხელს უწყობს წარმოების უუნარობა დაკმაყოფილოს ყველა მოთხოვნა, რითაც იზრდება კონკურენცია შექმნილი დოკუმენტის დასაკუთრებისათვის ბრძოლაში. ბიუროკრატის ეძლევა მეტი საშუალება სხვადასხვა წინააღმდეგობების შექმნით ისე გაანაწილოს საკუთრება, როგორც მას აძლევს ხელს. რაც მეტია ბარიერი, ბიუროკრატის აწყობს, რამეთუ მათი დაძლევა კორუფციის სავანი ხდება.

კორუფციასთან ბრძოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ასპექტებს, რომლებიც ნაკლებადაა შესწავლილი, ან საერთოდ შეუსწავლელია. ასეთს წარმოადგენს არამართლზომიერი საშუალებებით მოპოვებული თანხების ე.წ. „გათეთრების“ საკითხი.

ამ მიმართებით შესაბამისი თანამდებობის პირები გამოგონებლობის იშვიათ ნიჭის იჩენენ. კერძოდ, ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა ფულის „გათე-

თოების“ მოქნილი საშუალება, საეჭვო წარმოშობის კაპიტალის, კომერციული ბანკების საწესდებო ფონდებში შეტანის სახით, რადგან ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, 2001 წლამდე, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მინიმალური განაღდებული საწესდებო კაპიტალის ოდენობამ უნდა შეადგინოს 5 მილიონი ფულადი სახსრების წარმოშობის წყაროს მიმართ.

ჩვენს ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ, სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობამ, შედეგი მოგვცა. ფინანსური დანაშაულის და კრიმინალური ბიზნესის შერწყმა, კერძო ბიზნესის წარმომადგენლობის მიერ სახელმწიფოსათვის საზიანო გარიგებების დადება, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი სახსრების შეუფერხებელი ლეგალიზაცია, დანაშაულთა ახალი სახეები საბანკო საქმიანობაში, ნარკოკორუფცია.

წინამდებარე ასპექტები არასრულია, რამეთუ კორუფცია, როგორც ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი მოვლენა, ახალ ყოველდღიურ საზრდოს ეძებს, რაც სამწუხაროდ საკმაოდ წარმატებით ხორციელდება. მაგალითად: რატომლაც გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ კორუფციის წყაროები უნდა ვეძებოთ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. ანუ ბრძოლა მის წინააღმდეგ უნდა მიმდინარეობდეს ზემოდან ქვემოთ. ასეთი მიდგომა სწორია, მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს, რომ კორუფცია, იჩენს რა იშვიათ ნიჭის და გამომგონებლობას, თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს უკვე არა მარტო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციების არაკანონიერად გამოყენებას, არამედ ისეთ, ერთი შეხედვით უწყინარ სფეროს, როგორიცაა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საკითხები. კერძოდ, საქართველოს დედაქალაქში არსებული ე.წ. გარე ვაჭრობის ობიექტები, რომლებიც ძირითადად განთავსებულია ყოფილ საკოლმეურნეო ბაზრებთან, გარე ვაჭრობას ეწევიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული მოქალაქენი, რომლებიც სათანადო რეგისტრაციის გარეშე ეწევიან ქორვაჭრობას. მათ შორის უმრავლესობას წარმოადგენს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით

გადადგილებული პირები. ამ ობიექტებზე გარდა იმისა, რომ ირლვევა საპასპორტო სარეგისტრაციო წესები, შექმნილია მოსახლეობისათვის არასასურველი სანიტარული მდგომარეობა, ირლვევა დედაქალაქის ტრადიციული იერსახე, ამას ემატება ისიც, რომ ამ უამრავი მოვაჭრე პირიდან არც ერთი თეთრი არ შედის სახელმწიფოს ბიუჯეტში, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ყოველდღიურად იკრიფება გარკვეული თანხები, რომლებიც ერთობლიობაში საკმაოდ სოლიდურ თანხას – ასეულ ათასობით ლარს შეადგენს. თუ მას გადავიყვანთ ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ განზომილებაში, ნათლად დავინახავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს აკლდება მრავალი მილიონი ლარი, რომელიც მეტად საინტერესო პირების ჯიბებში ილექტბა. ასეთი მოვლენის წინააღმდეგ თითქოსდა მიმდინარეობს ბრძოლა უპირველესად სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, მაგრამ აშკარად არასაკმარისი და არაეფექტურია. უფრო მეტიც, დღემდე ვერ მოხერხდა, გარე ვაჭრობის აკრძალვა და მოვაჭრების ბაზრის ტერიტორიაზე შეყვანა. საკმარისია პოლიციამ ამ მიზნის მისაღწევად გააძლიეროს თავისი მოქმედება, რომ დღის წესრიგში დგება სხვადასხვა ხასიათის და დონის აქციების მოწყობის პერსპექტივა, რასაც ფარულად უწევენ დირიჟორობას სწორედ ის პირნი, რომელთა ჯიბებშიც ილექტბა ყოველდღიურად ამოღებული თანხები. იბადება კითხვა, ვინ არიან ეს პირები? პასუხი მარტივია, ესენი არიან ის თანამდებობის პირები, რომელთა სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს გარე ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური წინაპირობაა ყოვლისმომცველი აღრიცხვიანობა და არალეგალური ბიზნესის ლეგალიზაცია. რისი ნათელი მაგალითია დედაქალაქის ბაზრობებსა, გარე ვაჭრობის ობიექტებზე, აგრეთვე სხვადასხვა სფეროებში შექმნილი სიტუაციების ანალიზი.

მიუხედავად სხვადასხვა ორგანოების მიერ გატარებული სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებისა, დედაქალაქის ზემოთ მითითებულ ობიექტებსა და სფეროებში შექმნილი სიტუაცია ამ მიმართებით ცალსახად შეიძლება ითქვას, კვ-

ლავ უცვლელია. უფრო მეტიც, გარე მოვაჭრებულია ე.წ. დაბეგვრისა და ბაზრობებზე დაუფუფიქისირებელ მოვაჭრეთა ოდენობა იზრდება, რაც დედაქალაქის ამ ობიექტებზე შექმნილ მიდმდგომარეობას, მეტად სერიოზულ ელფერს მატებულს. მიუხედავად მიღებული ადმინისტრაციული ზოზომებისა, ჯერ კიდევ გახდა შესაძლებელი ოფიციალურ ბაზრებსა და ბაზრობების ტერიტორიაზე გარემოვაჭრეთა შეყვანა, რაც მათი აღრიცხულვის შესაძლებლობას მოგვცემდა, მით უფრო, რომ შაბათ-კვირა დღეების გარდა, კვირის სხვა დღისას შეიციალურ სავაჭრო დახლებთან აშკარარად გამოხატული ხალვათობაა ეს მაშინ, როცა ი ორგანიზებულ თუ არა ორგანიზებულ ბაზრობებებზე 15000-მდე მოვაჭრეა დასაქმებული, რომელელთა მიერ ერთი დღის მანძილზე ნავაჭრი საქონლნლის ღირებულება 350-400 ათას ლარს შეადგიგენს. მათგან დიდი ნაწილი საერთოდ არაა დაფაფიქ-სირებული სათანადო დოკუმენტებში. ამას ემატატება ოფიციალური ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეთა სიმრავლე, მათი ხელოვნური და შეგნებული აღურიცხაობა, რაც ბაზრობებების და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეთა 45% შეადგინს, მაშინ როცა მათ მიერ ე ერთ თვეში ნავაჭრი თანხა 19 მილიონ ლარს აღემატება, რაც ბუნებრივია, სახელმწიფოს ბიუჯეტის პრობლემებს უქმნის. ანალოგიური მდგომარეობაა კვების ობიექტებში, ბენზინგასამართ ს. სადგურებში, ტრანსპორტზე, თამბაქოს ნაწარმის ს იმპორტზე, წარმოებასა და რეალიზაციაზე. ამ უკანასკნელის მიმართ აქციზური მარკების შემოოღების მიუხედავად კონტრაბანდა არათუ შემცირდა, არამედ თემა კვლავ მნიშვნელოვანია, და კორუფციის დიდ რეზერვად რჩება. მითითებულ სფეროში, ყოველდღიური შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება მათ მიერ ოფიციალურად დეკლარირებულ შემოსავლებს. მაგალითად: არსებული მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ ოფიციალურად აღრიცხულთან შედარებით, რეალურად მოიხმარება 1,5-ჯერ მეტი სამამულო წარმოების სიგარეზი და საბაჟოზე აღრიცხულთან შედარებით 1,7-ჯერ მეტი იმპორტული წარმოების სიგარეზი. ამასთან არადეკლარირებული თამბაქოს ნაწარმის იმპორტისა და წარმოების ოდენობა 75-80 მილიონი ლარის ფარგლენებში მერყეობს.

ქ. თბილისში მოქმედ სამარშრუტო ტაქსებს ყოველდღიურად დაახლოებით 450 ათასი მგზავრი გადაყავთ, რაც დედაქალაქში საერთოდ გადაყვანლი მგზავრების 2/3 შეადგენს, რომელთავან არნაგები დაახლოებით 90 ლარს შეადგენს, რაც საკმაოდ აღემატება მათ მიერ დეკლარირებულ შემოსავლებს.

საქართველოს მრეწველობის, ეკონომიკისა და კაჭრობის სამინისტროს მონაცემებით, დედაქალაქში ერთი თვის განმავლობაში მოხმარებული ბენზინის ოდენობა (დაახლოებით 21,5 მლნ ტონა) 3-ჯერ აღემატება, ბენზინგასამართი სადგურების მიერ დეკლარირებულ მონაცემებს. აქ ბუნებრივია კიდევ ერთხელ უნდა დავსვათ კითხვა: ვინ ან რა უშლის ხელს სწორ აღრიცხვიანობასა და შემოსავლების ოფიციალურ და ზუსტ დეკლარირებას? პასუხი ცალსახაა, საკანონმდებლო ზარვეზები, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა და ის თანამდებობის პირები, რომელთა სამსახურებრივ მოვალეობას არაკანონიერ მოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს. ასეთი მოქმედებით ზარალდება სახელმწიფო, საზოგადოება, იგებს კორუფცია.

კორუფციას, როგორც „მოვლენას, საზღვრები არ აქვს. მაგალითიც სახეზეა ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ სახით, რომელთა არსებობის წყარო მათხოვრობა და წვრილმანი ქურდობაა. მათხოვართა კატეგორია დღითიდლე მრავალფეროვან სახეს იძენს. შარშან პრესამ მკითხველს საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა: – „10 წლის მაწანწალა მათხოვარმა ბიჭმა განაცხადა, რომ დღეში 20 ლარამდე შოულობს, საიდანაც ნახევარს პატრონს აძლევს. შეფი თავის მხრივ იცავს მას, ინარჩუნებს ამა თუ იმ რაიონის პოლიციასთან საკმაოდ კარგ ურთიერთობებს და მოგებიდან პროცენტებსაც იხდის“. – როგორც იტყვიან კომეტარები ზედმეტია.

ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ქვემოდან ზევითაც, ანუ ბრძოლა უნდა წარიმართოს ყველა მიმართულებით.

ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება აუცილებლად კორუფციასთან, სახელმწიფოს ამ დამაქცეველი სენის და მანკიერი მოვლენის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის გაძლიერებაზეა დამოკ-

იდებული, რამეთუ კორუფციასთან ბრძოლა სახელმწიფოში განხორციელებული პოლიტიკის პრიორიტეტია და ძირითად მიმართულებადაა აღიარებული.

კორუფციას, როგორც ანტისახელმწიფოებრივ და ანტისაზოგადოებრივ მოვლენას, მჭიდრო შინაარსობრივი კავშირი აქვს ჩრდილოვან ეკონომიკასთან. ამიტომ, კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა ბევრადაა დამოკიდებული ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებაზე, რისთვისაც უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს მის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი.

ჩრდილოვანი ეკონომიკისა და საერთოდ კორუფციის არნახული მასშტაბები და მისი გაფართოების რეალური პერსპექტივები იწვევს სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის შესუსტებასა და საბოლოოდ დაუძლურებას. აქედან გამომდინარე, კატასტროფულად ქვეითდება მოქალაქეთა კეთილდღეობა, რაც თავისთავად იწვევს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტისას სერიოზული პრობლემების წარმოქმნას, ხელისუფლებისადმი საზოგადოების უნდობლობის მკვეთრზრდა, ქვეყნის იმიჯის სერიოზულ შელახვას მსოფლიოს თვალში.

„ჩრდილოვანი ეკონომიკის“ პოზიციათა შესუსტებისათვის საჭირო გზების დადგენა ურთულესი ამოცანაა და მისი ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს პასუხი გაეცეს კითხვებს: რა პირობები და ფაქტორები იწვევენ ქვეყნის ეკონომიკის თანამედროვე სავალალო მდგომარეობას? სად უნდა ვეძებოთ და გადავკეტოთ ჩრდილოვანი ეკონომიკის, როგორც კორუფციის უშრეტი წყაროს მკვებავი დინებები?

ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქონების აუცილებელ სრულ და დაუმახინჯებელ დეკლარირებას. უამისოდ სახელმწიფო მუდამ ასეული მილიონობით თანხების კარგვის წინაშე იღვება, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? – მანამდე, ვიდრე ჩრდილში მოქცეული ეკონომიკის მდინარე შენაკადებითურთ ბიუჯეტისაკენ არ იწყებს დინებას. ვიდრე კორუფცია უსაფრთხოდ გრძნობს თავს და მართვის საშუალებები ხელიდან არ გაუშვია.

შექმნილი ვითარების განმუხტვისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სწორად გან-

ისაზღვროს ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობის ნოუიერი ნიადაგი და მიზეზები, დადგინდეს მისი ლოკალიზაციის მექანიზმი და საზოგადოების იმ ნაწილის დაინტერესება, რომლებიც ნებით თუ უნებლივდ ჩართული არიან ეკონომიკაში. იმის გათვალისწინებით, რომ კორუფცია ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობის მაცოცხლებელი ელექტრიკია. მისი ლეგალიზაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს და შეასუსტებს კორუფციის მქონებავი არტერიის გამტარუნარიანობას.

ჩრდილოვანი ეკონომიკა ყველა ქვეყნისათვის და ეკონომიკური ფორმაციისათვისაა დამახასიათებელი. იგი თავისი ბუნებით კრიმინალურ და არა კრიმინალურ ნაწილებად წარმოგვიდგება. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყანა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში იმყოფება, იზრდება სარფიანი საქმიანობა, რაც ბუნებრივად ზრდის მეჩრდილეთა საქმიანობის ფარგლებს. ამიტომ, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემადგენელ ნაწილებად ბრძოლის გაძლიერება ბევრადაა დამოკიდებული ბრძოლის მეთოდების დახვეწაზე და სამართალშემოქმედებითი პროცესების განვითარებაზე, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პირობების ზუსტ ანალიზზე და სხვა.

კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის არნახულ აყვავებას ჩვენს ქვეყანაში თავისი თანამდევი მიზეზები გააჩნია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ქვეყნის რიგ რეგიონებში ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო სახელმწიფოს იურისდიქციის უგულებელყოფა, რაც ხელს უწყობს ამ რეგიონებში კონტრაბანდის, როგორც ანტისახელმწიფოებრივი მოვლენის წყაროს მნიშვნელოვან აღორძინებას.

აღნიშნული ფაქტორი ხელს უწყობს კონტრაბანდის მნიშვნელოვან გავრცელებას კონფლიქტში ჩართული რეგიონებიდან, რის გამოც აღგილობრივი მეწარმე რიგ შემთხვევებში იმ მიზნით, რომ კონტრაბანდულ საქონელს გაუწიოს კონკურენცია – იძულებულია თავი აარიდოს გადასახადების გადახდას. ყოველივე კი შიდა ბაზარზე აღურიცხავ საქონელსა და ლეგალურ საქონელს შორის ძლიერ მაპროვოცირებულ სტიმულატორად იქცა. კომპლექსში კი ეს თავის მხრივ კორუფციის აღმავლობას იწვევს.

კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს 1 ხელს თანამედროვე მოთხოვნების ახალი აზროვნებისა და კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობასა სამწუხაროდ სახელმწიფო სტრუქტურებში, მრავლადაა ძველი მენტალიტეტით მოაზროვნვნები. ნიშანდობლოვათა, ა, რომ ძველი აზროვნების კადრები კურძო სექტორშიც მრავლადა თავმოყრილი. ამიტომ, სწორ საკაკადრო პოლიტიკას, საერთო საქმისაღმი ერთგულდების. პატიოსნების, პასუხისმგებლობის, პროფესიონალიზმის, სულისკვეთების ამაღლება-განმტკიცებისათვის ყოველდღიური მიზანდასახული რ მეთოდური მიღვომა, სახელმწიფოს მხრიდან რ მაქსიმალური მხარდაჭერა და ზრუნვა ესაჭიროება უარყოფით შემთხვევაში, ძველი მენტალიტეტით მოაზროვნე კადრები შეგნებულად თუ შექეუგნებლად ხელს უწყობენ კორუფციის – ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას, რაც ქვეყანაში და საზოგადოების გარკვეულ და შეიძლება ითქვას უმეტეს ნაწილში იწვევს არა მარტივ ხელისუფლებისადმი უნდობლობასა და სააზოგადოების წევრებს შორის მკეთრ ქონებრივ დღიურენციაციას, არამედ კორუფციასთან შემგუებლობის წინამდლვრებს, რაც თავისთავად ხელზე უწყობს დაუსჯელობის სინდრომის განვითაცრებას. კანონის უზენაესობის სახელმწიფოს რანგში აყვანა-აღიარების დეფიციტს, კანონის მოთხოვნების პატივისცემის დაბალ კულტურას, ადაბმიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა უხერდარღვევებს. მითითებული სიმპტომები სახითვათა და მათი განვითარება-დამკვიდრება გაუყოფალისწინებულ შედეგებამდე მიგვიყვანს. ეს მაშინ, როდესაც კორუფციას, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლას რამოდენიმე წლის ისტორია აქტებს და იგი ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღების ქვეშა. მიღებული და გამოცემულია ქვეყნის პრეზიდენტის და ხელისუფლების,, მმართველობის ორგანოების მთელი რიგი კანონები, ბრძანებულებები, დადგენილებები და ინსტრუქციები. შექმნილია სხვადასხვა დასახელებისა და ფუნქციის მქონე უწყებრივი კომისიები – ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში ცალსახადა მითითებული, რომ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის ხედრითი წილი ეკონომიკაში ერთ მესამედს აჭარბებს, ანუ იმყოფება იმ კრი-

ტიკულ ზღვარზე, როდესაც საშიშროება ექმნება სახელმწიფოებრიობას.

ამასთან ერთად, ქვეყანაში ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლის პოლიტიკური ნების ნიშნების გამოვლინებისთანავე მსოფლიო ბანკმა საქართველოს დახმარების ხელი გაუწოდა კორუფციასთან ბრძოლაში, შესრულდა მთელი რიგი გამოკვლევები, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, პროგრამების განხორციელებაში ჩატოვი აშშ ხელისუფლება. ყოველივე ამან ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების პროგრამას არა მარტო პრაქტიკული, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ელფერი შესძინა. ჩამოყალიბდა გარკვეული საზოგადოებრივი აზრი, დაინგრა ფიზიკურ პირთა შემოსავლების დეკლარირების სისტემა, დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმა, აიკრძალა ე.წ. ჩათვლების პრაქტიკა საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირების პროცესში, დაწესდა და გაძლიერდა ზედამხედველობა ვალუტის გადამცვლელ პუნქტების საქმიანობაზე, შემოღებულ იქნა აქციზური მარკები და მრავალი სხვა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთაღნიშნულისა, მიღწეული არასაკმარისია და არაეფექტური და ბრძოლა კორუფციასთან და ჩრდილოვან ეკონომიკასთან საქმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად მიღებული მთელი რიგი ღონისძიებებისა, ვერ მოხერხდა ისეთი საკითხების მოგვარება, როგორიცაა კონტრაბანდის მნიშვნელოვანი შემცირება და ფაქტიური ტრანზიტის აღმოფხვრა, მაკონტროლებელი და ლიცენზიის გამცემი ორგანოების კოორდინაცია. მიუხედავად არაერთხელ მიღებული გადაწყვეტილებებისა, ბოლომდე ვერ მოხერხდა მოსახლეობის ფულადი ანგარიშსწორებისას სალარო აპარატების დანერგვა და მრავალი სხვა. შედეგიც სახეზეა: ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა, მოსახლეობის უმძიმესი სოციალური ფონი, ერთი სიტყვით სიტუაცია ურთულესია, მოთმენა და უმოქმედობა დანაშაულის ტოლფასია, სამშობლო განსაკუდელშია, დროა განგაშის ზარი დავკრათ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვითითებს პრობლემის უდიდეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, ამიტომ გადაუდებელი ხდება კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის

წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა კონკრეტული და გაბედული ნაბიჯების გადადგმა, სხვა შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მიღვომები და პოლიტიკა მუდმივი პრობლემის ქვეშ იქნება, რაც თანდათანობით გამოიწვევს არა მარტო კორუფციასთან ბრძოლის შესუსტებასა და საბოლოოდ დამარცხებას, არამედ კითხვის ქვეშ დააყენებს საერთოდ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, პრობლემები ძალზე დიდია, წინ მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაო გველის, კორუფციასთან ბრძოლას უნდა დავუკავშიროთ ჩვენი კოორდინირებული, გეგმაზომიერი, დაუღალავი, მეთოდური საქმიანობა, რომელშიც ლომის წილი სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებს უნდა ქონდეთ მიჩნილი.

კორუფციასთან ბრძოლაში განსაკუთრებული როლი და ადგილი ენიჭება ქვეყანაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინსტიტუციურ, საკანონმდებლო და საკადრო საკითხების უზრუნველყოფას, მოსახლეობის აქტიურ მხარდაჭერას, სათანადო სააგიტაციო საქმიანობას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას, ჯანსაღი, მორალურზნეობრივი და ფსიქოლოგიური მიმართულებების მიზანდასახულად დამკვიდრებას მოსახლეობაში ე.წ. დარწმუნების მეთოდის ეფექტურად გამოყენებას, ამასთან ერთად აუცილებელია გამოიკვეთოს კორუფციასთან ბრძოლის ცალკეული რგოლები.

შექმნილი მდგომარეობის გაჯანსაღება-გამოსასწორებლად და მითითებული ფაქტორების უზრუნველსაყოფად ვფიქრობთ აუცილებელია მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებების გატარება: კანონის უზენაესობის დამკვიდრება, დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა, ქვეყნის ეკონომიკის, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ამოქმედება-აღორძინება, უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვა ურთიერთ-სარგებლიანი ხელშეკრულებების საფუძველზე. სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება, საერთო საქმისაღმი ერთგულების, პატიოსნების, პროფესიონალიზმის, სულისკვეთების ამაღლება-განმტკიცებისათვის ყოველდღიური მიზანდასახ-

ული ზრუნვა. საგადასახადო სისტემის გარდაქმნა, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ანტიკორუფციული საკანონმდებლო და ზოგადად ნორმატიული ბაზის შექმნა-დანერგვა, სახელმწიფო მაკონტროლებელი სისტემის ეფექტურობის ამაღლება და მაკონტროლებელ სტრუქტურათა რიცხვის შემცირება, მათი უფლებამოსილების რეგლამენტირება, ვაჭრობის სფეროს მოწესრიგება, შრომის ბაზრის ლეგალიზაცია და დასაქმებულთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის კოორდინაცია, სამომხმარებლო პროდუქციის ხარისხისა და შესაბამისი სტანდარტების დაცვა, ფალსიფიკაციასთან ბრძოლის, პროდუქციის ხარისხზე კონტროლისა და სტანდარტიზაციის სისტემის რეფორმა, მომხმარებელთა უფლებები დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის ეფექტურობა, ბრუნვაში არსებული ნაღდი ფულის ბანკებში მოზიდვა. მოსახლეობის მართლშევნების მაქსიმალურად ამაღლება, საჭიროობროტო სოციალური პრობლემების შესაძლებლობათა ფარგლებში მოგვარება და წლიდან წლამდე გაუმჯობესება, ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი წრთობა, ეროვნული, რელიგიური და სხვა მამულიშვილური მიმართულებებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკონომიკური რეფორმების საჯაროობა და გამჭვირვალობა,

საზოგადოების მომზადება და აქტიური მხარარდაჭერა, აღეკვატური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, მასობრივი ინფორმაციების საშუალებების მაქსიმალურად გამოყენება, ჩრდილოვანი ეკონომიკის გავრცელების კონკრეტული ფფაქტების გამოსავლენად და სხვა.

ამ არასრული პროგრამის შესრულება დაბაბულ შრომას მოითხოვს, რასაც მოსახლეობის ფართო მასების დასაქმება, მხარდაჭერა და სოციალური საკითხებისა და სხვა პრობლემათუზრუნველყოფა მოჰყვება. ასეთ ვითარებაში კორუფციასთან ბრძოლა მიზანდასახულად და მაქსიმალურად ეფექტური იქნება – სხვა შემთხვევაში იგი ქარის წისქვილთან ბრძოლას დაემს გავსება.

წინამდებარე ნაშრომში ასახული პრობლემები მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საამართლებრივ ჭრილში ყოველმხრივ და ერთოობლიკონისძიებათა გატარების შედეგად დაითმობევა ამასთანავე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დასახულ ამოცანათა გადაწყვეტის მკაცრადდ განსაზღვრული თანმიმდევრობა. ასეთ ვითარებაში კორუფციასთან – ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა ჩვენი აზრით მიზანდასახული და მაქსიმალურად ეფექტური იქნება.

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაში ძნელიდა ამის გაკეთება? – რა თქმა უნდა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია.

გვივი მთვარეელი  
თბილისის პროექტატურის განყოფილები  
უფროსი



# საქონესტიტუციო საქართალი

პარტა ცნობილაძე

პანონის ადგილი საქართველოს

სამართლებრივ სისტემაში

მე-XX საუკუნის განმავლობაში საქართველოში კანონის, როგორც სოციალური ფენომენის მნიშვნელობა, რომელიც ასრულებს რეგულარულ, დაცვით და აღმზრდელობით ფუნქციებს, არსებითად იცვლებოდა. რუსეთის მონარქის ნების გამომსატველი კანონები შეცვალა ჯერ დამოუკიდებელი საქართველოს (1918-21 წ.წ.), ხოლო შემდეგ კი საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მიღებულმა კანონებმა და კოდექსებმა. თუმცა რევოლუციური. სამართალშემეცნების კონტექსტში მათი დებულებების რეალიზაცია სულაც არ უწყობდა ხელს კანონიერების განმტკიცებას. შემდგომში გამეფებული ტოტალიტარიზმი კი კანონის გარეშეც იოლას გადიოდა. ქვეყნის ცხოვრება ხანგრძლივი წლების განმავლობაში იმართებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებითა და პარტიული დირექტივებით.

60-70-იან წლებში კანონის პრობლემამ კვლავ შეიძინა აქტუალობა კანონმდებლობის სხვადასხვა დარგების კოდიფიკაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. ამასთან, მეცნიერებაში კანონი უმრავლეს შემთხვევაში განიმარტებოდა როგორც სამართლის შინაარსის ფორმა და მისი გამოხატულება, როგორც ნორმებისა და პრინციპების სისტემა. 80-იანი წლები ხასიათდება იურიდიული მეცნიერების ეტაპობრივი ზოგადი გადასვლით სამართლებრივი მოვლენების პოზიტიური და ნორმატიული დახასიათებიდან მათ სოციოლოგიურ პრიზმაში განხილვაზე. ასეთი ტრანს-

ფორმაციის ყველაზე ცნობილი მაგალითია ისეთი კატეგორიის აღმოცენება, როგორიცაა პოზიტიური პასუხისმგებლობა და სამართლის ფართო გაგება, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ნორმებს, არამედ ასევე სუბიექტურ უფლებებსაც.

90-იან წლებში იურიდიული მეცნიერებისა და პოლიტიკური პრაქტიკის მიერ „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ცნების აღიარებამ, რომლის კომპონენტებსაც შეადგენს ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა და ხელისუფლების დანაწილება, კანონის ორგანიზაციულ-პროცესუალურ და ფუნქციურ მახასიათებლებს მიანიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ასევე, პრაქტიკული და თეორიული ინტერესი. გარდა ამისა, ეს უკავშირდება იმას, რომ მეცნიერებაში სოციალური სამართლიანობის პრინციპი უკვე განიხილებოდა არა მხოლოდ მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპთან მისი თანაფარდობის თვალსაზრისით, არამედ ასევე როგორც სამართლისა და კანონის განსხვავების საფუძველი. ყველაზე სრულად ეს მოსაზრება ჩამოყალიბებულია პროფ. ვ.ს. ნერსესიანცის შრომებში, რომელმაც შემოგვთავაზა სამართლის დახასიათება, როგორც ობიექტურად განპირობებული, რომელიც ატარებს სოციალურ-კლასობრივ ზასიათს და გამოხატავს თავისუფლებისა და თანასწორობის ზოგად მოთხოვნებს.<sup>1</sup> ამ მოსაზრების

<sup>1</sup> იხ. Нерсесянц В.С., «Право: Многообразие определений и единство понятия», М., 1983, с.10.

ბის განსავითარებლად, რომელიც წარმოადგენს თეორიულ განზოგადებას. ფილოსოფიურ დონეზე, იყო მცდელობა განემტკიცებინათ ის პრაქტიკული ხასიათის დასკვნებით და დაეკავშირებინათ სამართლებრივი სახელმწიფოს აგების ამოცანებთან. რ.ზ. ლიფშიცმა შემოგვთავაზა სამართლის განმარტება, როგორც ნორმატიულად განმტკიცებული სამართლიანობა. მის მიერ გამოითქვა აზრი, რომ სამართლებრივი სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს არა კანონით, არამედ სამართლით, საზოგადოების წარმოდგენით სამართლიანობის შესახებ.<sup>2</sup> აღმოცენდა გამოთქმები იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ უნდა სცნოს კანონის „სამართლებრივი ცენზურა“ საზოგადოების მხრიდან.<sup>3</sup>

თეორიული თვალსაზრისით, შემოთავაზებული ფორმულირებები იურიდიულ მეცნიერებაში ერთობლიობაში აღქმული იქნა დადებითად, რამდენადაც არ იწვევდა წინააღმდეგობას აზრი იმის შესახებ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასთან ერთად კავშირი სამართალსა და სამართლიანობას და საზოგადოების წარმოდგენებს შორის უნდა იყოს რაც შეიძლება სრული. ამასთან ერთად, გამოითქმებოდა ეჭვები სამართლის მოყვანილი განმარტებების სისწორესთან დაკავშირებით. ყველაზე მეტ შეშფოთებას იწვევდა სამართლიანობის ობიექტური განმარტების შეუძლებლობა და მისი ცალკე გამოყოფის მექანიზმის არარსებობა. თუმცა, მოცემულმა გარემოებამ ზელი ვერ შეუშალა დარგობრივი იურიდიული დისციპლინების სპეციალისტებს გამოეცხადებინათ არასამართლებრივად ნებისმიერი კანონი, რომლის შინაარსსაც ესა თუ ის ავტორი ჩათვლიდა მცდარად.

ლიფშიც უწევდება ექცეოდა იმას, რომ სამართლის განმარტებისას სამართლიანობის პრიზმაში მითითებული ავტორები ადგენენ რიგ შეზღუდვებს. სამართლიანობა სამართალზე ფართოა, რამდენადაც ის გამოიხატება ასევე მორალისა და ზნეობის კატეგორიებში. ამიტომ, ისინი გვთავაზობენ გავაიგივოთ სამართალი არა

უბრალოდ სამართლიანობასთან, არამედ ნორმატიულად განმტკიცებულ სამართლიანობასასთან. თუმცა, ნორმატიულობის თვისება ახასიათებს ასევე მორალსა და ზნეობას და ამიტომ იმ არ შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი სამამართლის გასამიჯნად სხვა ზედნაშენური მოვლელებისაგან. შედეგად, სამართლის განმარტებაში აქცენტი უნდა კეთდებოდეს არა უბრალოდ ნი ნორმატიულად განმტკიცებული სამართლიანობის ცნებაზე, არამედ ასეთი განმტკიცების ხასიათზე, რამდენადაც ასევე ხდება მორალისა და ზნეობის ნორმების განმტკიცება საზოგადოებაში, თუუმცა არასახელმწიფოებრივ ფორმებშიც.

ამასთან ერთად, სამართლის სპეციფიკა სწორობდი მდგომარეობს, რომ ნორმატიული განანმტკიცება დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანანოების საქმიანობასთან და ამიტომ იწვევს სამამართლებრივი დანაწესების ცხოვრებაში იძულებებით გატარების შესაძლებლობას. ეჭვს არ ბადედებდა მომენტიც, როცა სამართლიანობა შეიძლება გახდეს სამართალი, ე.ი. შეიძინოს ნორმატიული განმტკიცება, რომელიც მისი დარღვევის შემემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოებრივი იძულებით. ასეთი შეიძლება იყოს 1 მხოლოდ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ შესაბამისი კანონის გამოცემის მომენტი. ამიტომ, ლიფშიც უწევდება გაკეთდა დასკვნა პრაქტიკაში სამართლის კანონისაგან გამიჯვნის ას ამაო მცდელობის შესახებ.<sup>4</sup>

ამ გარემოებას ითვალისწინებდნენ სამართლლისა და კანონის გამიჯვნის თეორიის მომხრეებიც.<sup>5</sup>

სამართლისა და კანონის გამიჯვნის თეორიის რეალიზაციის სირთულეებმა პრაქტიკაში - - სამართალშემოქმედებაში, სამართალრეალიზაციაში, ბიძგი მისცეს მეცნიერებაში სამართლებრივი სისტემის დოქტრინის აღმოცენებას, რომელიც მისი ავტორთა აზრით, მოწოდებულია შეათასანხმოს ნორმატიული და ფართო სამართალგამმოყენების მომხრეთა პოზიციები. სამართლებრივი სისტემა განიმარტება, როგორც კატეგორია, რომელიც ახდენს ყველა სამართლებრივი მოვლე-

<sup>2</sup> იხ. ლიფშიც P.3., Современная теория права, М., 1992, ст.30-34.

<sup>3</sup> იხ. კურაშვილი ბ.პ., Модели социализма Сов. государство и право, 1989, №8, ст.196.

<sup>4</sup> იხ. Поленина С.В., Теория Права: Новые идеи., , М., 1993, ст. 19-20.

<sup>5</sup> იხ. ლიფშიც P.3., Современная теория права, , М., 1992, ст.34-35.

ნის ინტეგრირებას და რაც მთავარია, მოიცავს მათ ურთიერთკავშირში.<sup>6</sup>

სსრ კავშირის სამართლებრივი სისტემის რღვევამ მისი მცირებნიანი „გარდაქმნის“ მცდელობის შემდეგ შეაჩერა ხანგრძლივი დროით ამ მეცნიერული მიმართულების განვითარება.

90-იან წლებში სახელმწიფო პოლიტიკის ორიენტაციამ, ასე ვთქვათ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე ადამიანის უფლებათა სფეროში ახალი სტიმული მისცა სამართლისა და კანონის გამიჯვნის თეორიას, თუმცა, მას თან არ სდევდა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების სხვა განუყოფელი პრინციპების – კანონის უზენაესობისა და ხელისუფლების განაწილების განმტკიცება. შედეგად, სამართალგაგების კოლიზიამ დაიწყო ტრანსფორმირება საზოგადოებაში თვით სამართალშემცნების, მოქალაქეთა, თანამდებობის პირთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა სამართლებრივი განწყობის კოლიზიაში. მრავალწლიანი მკაცრი კანონდამჯერე პერიოდის შემდეგ ასევე მექანიკურად დადგა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ცნობისა და იმავდროულად კანონებისაგან მოქალაქეთა მოწყვეტის პერიოდი. ყველაფრის დაშვება გახდა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის დამახასიათებელი.<sup>7</sup> საბოლოო ჯამში ყველაფრის ამან მიგვიყვანა 1991-1992 წლების სამწუხარო მოვლენებამდე.

თანდათანობით მეცნიერებაში აღორძინება დაიწყო დროებით დაკარგულმა წარმოდგენამ იმის შესახებ, რომ კანონიერება და მართლწესრიგი მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის განუყოფელი პირობებია. ამიტომ, ყველა სამართლებრივი საწყისი ცივილიზებულ საზოგადოებაში უნდა გამოიხატოს კანონში, რომელიც არის საზოგადოებრივი ურთიერთობის ნებისმიერი მონაწილის საქმიანობის იურიდიული ორიენტირი და ექვემდებარება განუხრელ შესრულებას. ყველა მოსაზრებას, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს კანონს, „დაწერილ სამარ-

თალს“ და ბუნებით სამართალს, თავისუფლებას, სამართლიანობას, მივყავართ ვითარების დესტაბილიზაციამდე. ასეთი სახის წინააღმდეგობები უნდა გადაიღა საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს პარლამენტის სამართალშემოქმედების საქმიანობის პროცესში. „ორმაგი“ სტანდარტის დადგენა იურიდიული დანაწესების რეალიზაციის დონეზე – სამართლისა და კანონის – ნიშნავს შევქმნათ უკანონობის სივრცე, რამდენადც ბუნებითი სამართლის, თავისუფლებისა და სამართლიანობის ცნებებში შეიძლება ჩაიდოს სხვადასხვა აზრი, გამომდინარე თავისი ინტერესებიდან, კულტურისა და სამართლებრივი შემეცნების დონიდან. ასეთი მიღვომა ზიანს აყენებს სამართლისა და კანონის განსხვავების კონცეფციის ზნეობრივ ჰუმანურ არსეს, მივყავართ დოქტრინის ბოროტად გამოყენებამდე.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, მიუხედავად გარკვეული არასრულყოფილებისა, შეუძლია შეასრულოს დადებითი როლი ქვეყანაში კანონიერების განმტკიცების საქმეში. საქმე იმაშია, რომ კონსტიტუციამ ფაქტიურად გადაიყვანს სამართლისა და კანონის განსხვავების პრობლემა პრაქტიკული სიბრტყიდან სამართლის ფილოსოფიისა და ისტორიის სფეროში. ეს განპირობებულია ორი გარემოებით. ჯერ ერთი, იმით, რომ კონსტიტუციის მე-2 თავი თითქმის სიტყვა-სიტყვით ითვალისწინებს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დებულებებს, რომელიც არსებითად, მოიცავს ადამიანის ბუნებრივი უფლებებისა და თავისუფლებების მთელ კომპლექსს.

შედეგად, ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს კონსტიტუციის ბაზაზე მიღებული კანონების და ქვეკანონური აქტების „სამართლებრივი“ ან „არასამართლებრივი“ ხასიათის შემოწმების მცდელობა გარდაუვლად დაიყვანება არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ კრიტერიუმამდე – კონსტიტუციური ნორმატიული დანაწესები – ე.ი. საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონების უზენაესობის პრინციპის დაცვის შემოწმების ამოცანამდე, რომელიც თავის მხრივ, ასევე განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლში.

მეორე გარემოება, რომელიც ასევე ხსნის „არასამართლებრივის“ ძებნის სიმწვავეს სამარ-

<sup>6</sup> იხ. მატუზ ნ.ი., Правовая система и личность, Саратов, 1987; Тиунова Л.Б., Системные связи правовой действительности, СПБ, 1991;

<sup>7</sup> იხ. Тихомиров Ю.А., Юридическая коллизия, Власть и правопорядок, М., 1994, ст.3-4.

თალშემოქმედებისა და სამართალგამოყენების დროს, არის კონსტიტუციური წესი (მე-19 მუხლი), რომელიც ათავსებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში და განამტკიცებს მათ პრიორიტეტს ეროვნული კანონმდებლობის ნორმების მიმართ. ამით, ეროვნული კანონმდებლობის ორიენტაცია ნორმებისა და პრინციპების საერთაშორისო სამართლებრივი სისტემისაკენ უთითებს გამოცემული კანონების სამართლებრივ ხასიათზე.

ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები სამართალგაგებას და მისგან ნაწარმოები სამართლისა და კანონების თანაფარდობის სადისკუსიო საკითხებზე. როგორც ფართო, ისე ნორმატიულ მიღვომას სამართალგაგებისადმი, აქვს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები. პირველის ღირსება არის კანონმდებლის ორიენტაცია კანონების პუმანიზაციისაკენ, მეორის – ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შერყეული კანონიერების, მათ შორის, კონსტიტუციური კანონიერების დაცვა. სამართლის ფართო გავების სუსტი მხარეა ის უპირატესობა, რომელიც ეძლევა იდეებს სამართლის ნორმათა მიმართ, და როგორც შედეგი, სამართლის განსაზღვრული იდეალიზაცია, მისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი საზოგადოებრივი მოვლენისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობის იგნორირება. სამართალგაგების ნორმატიული კონცეფციის სუსტი მხარეა სამართლებრივი სისტემის მთლიანად და მისი შემადგენელი ნაწილების სოციოკულტურული ცხოვრების ელემენტებთან ურთიერთქმედების არასაკმარისი დამუშავება.

რაც შეეხება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, მან შექმნა განსაზღვრული წინაპირობები სამართალგაგების საკითხებში სხვადასხვა პოზიციების დაახლოებისა და ინტეგრაციისათვის. ასეთი დაახლოების საფუძვლად უნდა მოვცევლინოს ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების ურთიერთქმედების დადგენა. საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს იმ ორიენტაციასაც, რომელიც ხელს უწყობს ასეთ დაახლოებას. საუბარია კონსტიტუციურ ბრუნვაში მეცნიერებაში ადრე

გამოყენებული ცნების „სამართლებრივი სისტემა“ შემოღების შესახებ.

სამართლებრივი სისტემის კონტექსტში გა განხილული სამართლისა და კანონის თანაფარდობა გადადის იმ სიბრტყეში, რომელშიც ის ადადრეც განიხილებოდა, როგორც სამართლებრივი პრპრინციპების, იდეებისა და ნორმატიული დანაწესების შინაარსისა და ფორმების ერთობლიობა. ასეთი მიღვომა ქმნის აუცილებელ მეთოდოლოგიურ წინაპირობებს ნორმაშემოქმედებითი პრაქტიკიკაში საკმაოდ მნიშვნელოვან, თუმცა კი მეცნიერებაში სადისკუსიო საკითხზე სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის თანაფარდობის შესესახებ.

როგორც ცნობილია, სადაცოა ასეთი თანაბაფარდობის მრავალი ასპექტები, დაწყებული ყოველი დასახელებული სისტემის ელემენტებიდან და დასრულებული მათი სტრუქტურითა და სტრუქტურული ნაწილების ურთიერთქმედებით..

ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, სამართალმა, როგორცც სამართლებრივი სისტემის ბირთვმა, უნდა განსაზღვროს და განაპირობოს კანონმდებლობის სისტემა, რომელიც არის სამართლის ფორმამა და მისი შინაარსის განმამტკიცებული. თუმცა, , გამოითქვა სხვა მოსაზრებაც. ფართო სამართალგაგებიდან გამომდინარე, რ. ლიფშიცს სამართლის სტრუქტურა დაყავს სამ კომპონენტაჟამდე: იდეამდე, ნორმამდე და საზოგადოებრივ უურთიერთობებამდე. კანონმდებლობის სისტემას ის ათანაბრების მხოლოდ ყველა სამართლებრივი ნორმის ერთობლიობასთან.<sup>8</sup>

ჩემი აზრით, ამაში ვლინდება ფართო საამართალგაგების ზოგადი დეფექტი – ორიენტაცია . სუბიექტურ კრიტერიუმებზე სამართლებრივი მოვლენების გამოსაყოფად ობიექტური კრიტერიუმების საზიანოდ. და ასეთი პოზიცია, როგორცც ზემოთ აღვნიშნე, სულაც არ არის მისაღები, რამდენადაც აძლევს სამოქმედო სივრცეს სამართლებრივი კატეგორიების ნებისმიერ ვოლუნტარისტულ განმარტებას. მათ შორის, თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური ლიდერების მხრიდან.

სამართლის პორიზონტალური (დარგობრივი) სტრუქტურის გამოყოფის სიძნელეები, რომელის

<sup>8</sup> იხ. ლიფшиც Р.З., Современная теория праваа, М., 1992, ст.51-58.

შესახებაც საუბრობს რ. ლიფშიცი, ნამდვილად არსებობს. თუმცა, ავტორი ცვლის რა სამართლის სისტემას კანონმდებლობის სისტემით, უბრალოდ ხსნის და არა წყვეტს პრობლემებს. ყოველივე ეს, ართმევს კანონმდებელს მეცნიერულ ორიენტირებს, რომლებიც შეუძლიათ ხელი შეუწყონ კანონმდებლობის ოპტიმიზაციას. მისი სისტემურობის ამაღლებას, რაც ასე აუცილებელია საკანონმდებლო მუშაობის დაგეგმვის პროცესში, კოდიფიკაციის ჩასატარებლად და მიმდინარე კანონშემოქმედების პროცესში. სწორედ ასეთი ორიენტირი უნდა იყოს კანონმდებლისათვის სამართლის სისტემა, რომელთან მაქსიმალურად მიახლოვებამ შეიძლება აამაღლოს კანონშემოქმედების ეფექტურობა.

სამართლებრივ სისტემაში, რომელიც მოიცავს ყველა სამართლებრივ მოვლენებს, კანონი დაკავშირებულია არა მხოლოდ სამართალთან, რომლის გამოხატვის ფორმასა და შინაარსს წარმოადგენს თავად კანონი. კანონის კავშირი სამართალთან ძირითადად ჩანს სამართალშემოქმედების პროცესში და მოიცავს კანონის სასიცოცხლო ციკლის შემდეგ ეტაპებს: მოცემული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში მოთხოვნილების გამოვლენა; კანონის მიზნების და კონცეფციების ფორმირება; მისი შექმნა. თუმცა, კანონის სიცოცხლისუნარიანობის ციკლი ამ ეტაპზე არ მთავრდება. კანონის შექმნის შემდეგ საჭიროა მისი რეალიზაცია, ასევე კონტროლი მის რეალიზაციაზე. რა თქმა უნდა, კანონის მაღალი ხარისხი არის მისი წარმატებით გამოყენების აუცილებელი წინაპირობა. მაგრამ, აქ ბევრია დამოკიდებული სამართალრეალიზაციისა და სამართალგამოყენების სუბიექტთა სოციალურ-სამართლებრივ აქტივობაზე, მათ სამართალშემცნებასა და სამართლებრივ კულტურაზე.

კანონის მოქმედება მისი რეალიზაციისა და გამოყენების ფორმით არ არის ზოგადი წესის მექანიკური დანართი, რაც განმტკიცებულია კანონში. საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმის ორ უმნიშვნელოვანეს სტადიას შორის მჭიდრო კავშირს თავის საფუძველში აქვს პირველყოვლისა, მათი ფუნქციონალური ურთიერთკავშირი. ამასთან, მათ აკავშირებს საერთო გენეტიკური კავშირები და სხვა პროცესები.

სოციალური ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც ზემოქმედებენ კანონზე მისი შექმნისა და რეალიზაციის პროცესში, ქმნის ფაქტორების სისტემას, რომლებიც საერთოა ორივე სტადიისათვის. თავის მხრივ, ის იყოფა რამოდენიმე ქვესისტემად, რომლებსაც გააჩნიათ ცნობილი სპეციფიკა მოქმედების სტრუქტურასა და მექანიზმები. ამ სპეციფიკის უმნიშვნელოვანესი მომენტია შემდეგი:

ჯერ ერთი, განსხვავებულია კანონის შექმნისა და მისი რეალიზაციის პროცესის სოციალური მასშტაბები. პირველი პროცესი არ გულისხმობს მასში კანონით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილის ჩართვას. კანონის რეალიზაციის პროცესი, პირიქით, მოიცავს იმ სუბიექტებს, რომლებსაც ეხება კანონის ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია მრავალჯერადი გამეორებისათვის.

მეორე, უნდა აღინიშნოს არა მხოლოდ განსხვავება სახელმწიფო ორგანოთა წრეში, რომლებიც მონაწილეობენ როგორც ერთ, ისე მეორე პროცესში, არამედ ასევე ფუნქციონალური როლი, რომელსაც ასრულებს პირველ შემთხვევაში, კანონშემოქმედი ორგანოები, მეორე შემთხვევაში კი – მრავალრიცხოვანი სამართალგამომყენებელი და სამართალდამცავი ორგანოები.

მესამე, არსებობს პრინციპული განსხვავებები კანონების შექმნისა და რეალიზაციის მიზეზებზე შეგნებული ზემოქმედების პოტენციურ შესაძლებლობებში. სამართალრეალიზაციის საქმიანობა ბევრად განიცდის იმავე ფაქტორების ზემოქმედებას, რაც სამართალშემოქმედება. მაგრამ, კანონის რეალიზაციის პროცესის ორგანიზაციისათვის დასახული მიზნების შესაბამისად მოითხოვება მნიშვნელოვანი, ხშირად, მსხვილმასშტაბიანი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართალმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები.

მეოთხე, კანონების შექმნისა და რეალიზაციის სფეროში სოციალური ფაქტორების მოქმედების მექანიზმის სპეციფიკის ანალიზისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ განსხვავება ადამიანის სოციალური აქტივობის მრავალი ფორმების შინაარსში. მოქალაქეთა მონაწილეობა კანონის შექმნაში მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მათი პოლიტიკური აქტივობით, რომელიც ვლინ-

დება ყველაზე უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატთა არჩევნების პროცესში. კანონის რეალიზაციის პროცესი კი, თუმცა ინარჩუნებს ინტენსიურ კავშირებს პოლიტიკური აქტივობის განხორციელებასთან, უმეტესად განისაზღვრება უშუალოდ მოქალაქის სოციალურად აქტიური ქცევის სამართლებრივი ფორმებით და მისი ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა კონკრეტული სამართლებრივი ნორმების დაცვის ცნებები, სამოქალაქო მოვალეობების შესრულება და სხვა.

რაც შეეხება კანონის შექმნისა და რეალიზაციის პროცესის შინაგანად ერთიან სოციალურ ბუნებას, უნდა ითქვას, რომ კანონების რეალიზაციის ეტაპზე ფაქტორების მოქმედების პოზიტიური და ნეგატიური მიმართულება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად არის გამოხატული კანონშემოქმედების პროცესში საზოგადოების განვითარების ძირითადი ასპექტები. სამართლის შესაბამისობა საზოგადოების მდგომარეობასა და მისი განვითარების ტენდენციებთან დიდად განაპირობებს მის შესაძლებლობას უზრუნველყოს მიზანმიმართული სოციალური ცვლილებები.<sup>9</sup>

დამოუკიდებელ და საკმაოდ რთულ პროცესის წარმოადგენს საკითხი ურთიერთკავშირის ხასიათის შესახებ, რომელიც ყალიბდება სამართლებრივი სისტემის ფარგლებში ერთი მხრივ, კანონისა და მეორე მხრივ – მოქალაქის, მათ

შორის თანამდებობის პირის სამართლებრივიც ცნობიერებას შორის. ყველაზე ზოგადი საზოგადო იშეიძლება დავახასიათოთ სიტყვებით – „საბამართლებრივი ნიჰილიზმი“ – მოქალაქეთა კ კანონ დამჯერების მიმართ და „დაბალი პროფესიების ალიზმი“ – კანონის შექმნასა და გამოყენებაში მონაწილე დეპუტატებისა და თანამდებობის ს პირების მიმართ. განსაკუთრებით სახიფათოა, ისეთ სიტუაცია, როცა კანონის იგნორირება. 1 წლები მოსახლეობაში პოპულარული ადამიანის, , ასევე თანამდებობის პირების მიერ.

მეცნიერებას, მათ შორის, იურიდიულს, კულტურულს გამოარკვიოს მიზეზთა მმთელი კომპლექსი, რომლებიც იწვევენ მოსახლეობის და თანამდებობის პირთა მხრიდან კანონინების, და სხვა ნორმატიული-სამართლებრივი აქტები უგულვებელყოფას და დაერთოს რეკომენდდაციები მთელი სამართლებრივი სისტემის ფუნქციების ირებაზე მათი ნეგატიური ზეგავლენის შექმცირებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სამართლებრივ სისტემას მმთლი ანად და მის შემადგენელ ნაწილებს, მათი რეალური ყოფა შეიძლება შეცნობილ იქნებს მხოლოდ სხვა ნორმატიულ სისტემებთან, პირველ რიგში, მორალთან, ზნეობასთან, ეთიკურასთან და საზოგადოების სოციოკულტურული ცხროვრების სხვა ელემენტებთან ურთიერთქმედების კონტექსტში.

პაპტა ცნობილაძე,  
მსოფლიო იურისტთა ასოციაციის ეროვნული  
პრეზიდენტი, საქართველოს იურისტთა კავეშირის  
თავმჯდომარე, თსუ დოკუმენტი

<sup>9</sup> იხ. კულხარ კ., Основы социологии права, М., 1991, ст.174-175.

## პატი დავითაია

## გერმანიის ადგილობრივი თვითმმართველობის რაომომადგენლობითი ორგანოების მუშაობა

გფრ-ის მიწათა მუნიციპალური საბჭო წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად თრგანოს და იგი გაღდებულია გადაჭრას თემის უმნიშვნელოვანების პრობლემატური საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ დებულებების თანახმად მუნიციპალური საბჭო წარმოადგენს მოქალაქეთა წარმომადგენლობით და თემის მთავარ, ძირითად თრგანოს. ადგილობრივი თვითმმართველობის განსხვავებული ტიპების მიხედვით სხვადასხვა მიწებში არსებობს განსხვავებული ურთიერთდამოკიდებულება ადგილობრივ წარმომადგენლობით და მმართველობით თრგანოების შორის.<sup>1</sup> მაგისტრატული მოწყობის ტიპის მიწებში შლეზიგ-გოლშტეინის, ჰესენის, ქალაქ-მიწებში ბრემენში და ჰამბურგში, თემის წარმომადგენლობითი თრგანოები (თემის წარმომადგენლობა, დეპუტატთა საქალაქო კრება) აირჩევა თემის მოსახლეობის მიერ, აღმასრულებელი თრგანო - მაგისტრატი, კი - აირჩევა წარმომადგენლობით თრგანოს მიერ. ადგილობრივი თვითმმართველობის ამ მოდელში, შესაძლებელია თემის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი თრგანოების შორის დაპირისპირების წარმოშობა.

ადგილობრივი მმართველობის ტიპის შემდეგი სახესხვაობა ე.წ.ბურგომისტრის მოწყობით,

<sup>1</sup> Р. Кунце коментарии к положению об общинах земли Баден-Вюртемберг.М., ст39.

გავრცელებულია პფალცის თემებში, საარის ქალაქებისა და სოფლის თემებში, შლეზიგ-გოლშტეინის მიწის სოფლის თემებში. აქ ყველგან წარმომადგენლობითი თრგანო ყალიბდება პირდაპირი არჩევნების გზით. აღმასრულებელი თრგანო ბურგომისტრი აირჩევა წარმომადგენლობითი თრგანოების მიერ, მაგრამ ფლობს მნიშვნელოვან უფლებამოსილებას, რადგან ბურგომისტრი წარმომადგენლობითი თრგანოს თავმჯდომარეც არის. კომუნალური მოწყობის ჩრდილოვერმანული მოდელის თანახმად წარმომადგენლობით თრგანოს (საბჭო, თემის საბჭო, საქალაქო საბჭო) არჩევა ხდება მოსახლეობის მიერ. აღმასრულებელი თრგანო-აღმასრულებელი კომიტეტი არ წარმოადგენს საბჭოს დამხმარეობანობის. მის საქმიანობას ხელმძღვანელობს „თემის დირექტორი“ (ქალაქის დირექტორი, ქალაქის თბერდირექტორი), რომელიც აირჩევა წარმომადგენლობითი თრგანოს მიერ.

სამხრეთ გერმანული მოდელის მქონე ბადენ-ვიურტემბერგის და ბავარის მიწების თემებში წარმომადგენლობითი თრგანო აირჩევა მოსახლეობის მიერ პირდაპირ არჩევნებში. ბურგომისტრი-საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა ასევე მოსახლეობის მიერ. ბადენ-ვიურტემბერგში მუნიციპალური საბჭოს პოზიციები ძალიან ძლიერდა. ის არის თემის ძირითადი თრგანო. მისი კომპენტენცია ყოვლის მომცველია, თუ კანონი არ

გადასცემს უფლებამოსილებების ნაწილს ბურგომისტრს, რაც მაგალითად, გათვალისწინებულია ბადენ-ვიურტემბერგის თემების შესახებ დებულებებით. თუმცა, ეს დებულება წარმოადგენს მანეფრინებისათვის ფართო გელს და იძლევა საშუალებას, თემის მოცულობისა და მნიშვნელობების შესაბამისად, განისაზღვროს თემის ორგანოების ადმინისტრაციული კომპენტენციები ადგლობრივი თავისებურებებისა და წარმოდგენების გათვალისწინებით.

ადგლობრივი პოლიტიკა ძირითადად ყალიბდება მუნიციპალური საბჭოს კრებებზე. აქ მხედველობაში მიიღება ის მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და ამავე დროის განვითარების გრძელვადიან პროგრამებს.

ადგლობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს მიიღოს ადგლობრივი კანონები, ოფიციალური აქტები, ბიუჯეტის შესახებ დებულება და სხვა.

ცალკეული საკითხების მრავალფეროვნებამ, შეცდომაში რომ არ შეიყვანოს წარმომადგენლობითი ორგანო, უნდა მოხდეს ძირითადი მიმართულებების შემუშავება. წარმომადგენლობითი ორგანო აუცილებლობის შემთხვევაში ავალებს გამგეობას გააკეთოს ანალიზი, შეადგინოს გეგმა ან შეასრულოს ცალკეული ღონისძიებები კონკრეტული საკითხის გადაჭრის წინ. ადგლობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს ადგლობრივი კანონების ანუ სტატუტების მიღება. მუნიციპალიტეტის სტატუტები შეიძლება დაიყოს:

1. კონსტიტუციური, ორგანიზაციული ხასიათის სტატუტებად. ასეთი სტატუტებია ძირითადი სტატუტი, კერძო საწარმოების შესახებ სტატუტი, შემნახველ სალაროთა შესახებ სტატუტი და სხვა;

2. ადგლობრივი თვითმმართველობის ერთეულის სამეურნეო სტატუტი. ესაა სამართლებრივი ხასიათის განსაკუთრებული სტატუტი,

რომელიც ადგენს კომუნის ფინანსურ რესურსებს. სამეურნეო წესდების მნიშვნელოვან ნასწილი წარმოადგენს ბიუჯეტის მმართველობითი დანახარჯების სამართლებრივ საფუძველის დადგენა, მაგრამ არა შემოსავლებისა. შემოსაფლები არ ექვემდებარებიან ზუსტ დაგეგმარებასს.

3. კომუნალური მომსახურეობით სარგებლობისათვის გადასახადების და დარიცხვების სტატუტი;

4. მშენებლობის შესახებ სტატუტი.

კომუნალური სტატუტების მოქმედება დროში შემოსაზღვრული არაა, ანუ ისინი მოქმედებენ მანამდე, სანამ არ შეცვლიან. მათი მოქმედება შეზღუდული არაა პრეგითი ვადით.

ადგლობრივი თვითმმართველობის ერთეული გალდებულია გამოსცეს მთავარი სტატუტი, რომელიც მიიღება თემის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა უმრავლესობით. მთავარი, სტატუტი წარმომადგენლობის მიწის ადგლობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის ერთოვარ დამატებას.

მთავარი სტატუტით განისაზღვრება:

- თემის დაყოფა საკუთარი წარმომადგენლობის შემთხვევაში;

- თემების შორის, აგრეთვე წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს შორის დადებული ხელშეკრულებების დამტკიცება;

- წარმომადგენლობითი ორგანოს კომისიების შექმნა და სხვა.

წარმომადგენლობითი ორგანოს კრებების წარმართვა განისაზღვრება

შემდეგი აქტებით:

ა) ადგლობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონით;

ბ) თემის მთავარი სტატუტით;

გ) წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტით;

დ) წარმომადგენლობითი ორგანოს ცალკეული გადაწყვეტილებებით.

დაუშვათ, ფრაქციის შემთაქვს წინადადება ველოსიპედებისათვის გზების მშენებლობაზე, მაშინ კანონი მოითხოვს წინასწარ იქნას შეიოწ-

მებული, არიან თუ არა ამ წინადადებით დაინტერესებულ პირები, რადგან გზების შშენებლობისათვის საჭირო მიწა იმყოფება კერძო საოჯახო მფლობელობაში. შემდეგ მოქმედებს მთავარი სტატუტის დებულება, რომელიც მიუთითებს, რომ მსგავსი წინადადებები თავიდან უნდა განიხდონ შესაბამის კომისიებში. რეგლამენტით, მოცემული მოთხოვნა შეიძლება გადაეცეს აღმასრულებელ ორგანოს, რათა შემოწმდების იყო თუ არა მსგავსი წინადადებები წინა პერიოდში და ა.შ.

სხდომა აუცილებლად მოიწვევა:

- ახალი არჩევნების შემდეგ;
- თუ ამას ითხოვს ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ კანონით

გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობა, ან როგორც ჩრდილოეთ რეინ-გესტფალის ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ კანონი ითვალისწინების, სხდომა შეიძლება ჩატარდეს ფრაქციის მოთხოვნით, განსახლველი საკითხების მითითებით:

— თუ მოქალაქეთა კრებამ მიიღო რეკომენდაცია, რომელზეც მუნიკიპალურმა საბჭომ უნდა მისცეს თავისი დასკვნა (ამას თვალისწინებს ბაგარისა და ბადენ-გიურტემბერგის ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ კანონი).

თუ სხდომაზე არ მიიღო კრებამ მაშინ, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

წარმომადგენლობითი ორგანოს კრებები ტარდება ღიად და საზოგადოება ინფორმირებულია მისი მუშაობის შესახებ. ამგვარად, მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა დაესწროს სხდომების ან ყოველ შემთხვევაში, მათთვის საინტერესო საკითხების განხდლვას. წარმომადგენლობითი ორგანოს კრების ჩატარების წესი დადგენლიდა თემის მთავარი სტატუტით. თუ წარმომადგენლობითი ორგანოს კრების დანიშვნის შესახებ განცხადება არ გაკეთდა საჯაროდ, მაშინ მისი გადაწყვეტილება არ მიიჩნევა მოქმედად. სხდომის ჩატარების საჯაროობა შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამას მოითხოვს ცალკეულ პიროვნებათა კანო-

ნიერი ინტერესების ან საზოგადოების კეთილდღეობა. მუნიკიპალური საბჭოს სხდომის ძირითად პირის წარმომადგენს საჯაროობა. დახურულ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებები გამოქვეყნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება იმავე ფაქტორების, რა მიზეზითაც საკითხი სხდომაზე განხდლულ იქნადახურულად.

ყველა ადგილობრივი საქმეთა განხდლვის გამო, კომუნალური პარლამენტი გადატვირთულია. ამიტომ მნიშვნელოვანი საკითხები წინასწარ დამუშავდება შესაბამის კომისიებში. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის მნიშვნელოვანი საკითხის განხდლვა ხდება წინასწარ სამუშაო ჯგუფებში, კომისიებში, არაოფიციალურ თათბირებზე და ფრაქციათა კრებებზე.

რადგან აღმასრულებელი ორგანო ამზადებს გადაწყვეტილებათა პროექტებს, ხოლო სამუშაოთი გადატვირთული დეპუტატები მეტნაკლებად არიან დამოკიდებულნი გამგეობაზე, ამიტომ წარმომადგენლობითი ორგანო ხშირად გადაიქცევა იმ ორგანოდ, რომელიც ახდენს მმართველობის გადაწყვეტილებათა რატიონიკაციას. ამას ემატება ის ფაქტორი, რომ ფრაქციის ხელმძღვანელები წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელობასთან იმყოფებიან მჭიდრო კაგშირში, ამიტომ ისინი, როგორც წესი, ხშირად იკავებენ მათ პოზიციას. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად ისინი ფლობენ კონკრეტულ ინფორმაციას. პიობლების განხდლვის ხარისხი უფრო მაღლდება იმით, თუ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით თემის წარმომადგენლობითი ორგანო მიიღებს პიობლების გადასაჭრელად ახალ არგუმენტაციას და გარედან პიონერების მხარდაჭერას (პარტიები, გაერთიანებები, სამოქალაქო ინიციატივები). ამდენად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, დებულობენ თუ არა პიონერების პოლიტიკოსები ადგილობრივი საზოგადოებისაგან მხარდაჭერას, როცა გადაწყვეტილებების მიღება ხდება ფრაქციებში და წარმომადგენლობით ორგანოში. გადაწყვეტილებების მიღებისას და არჩევ-

ნებისას დგება ოქმი. ის უნდა შეიცავდეს გადა-  
წყვეტილების შინაარს და არა კრების მსფლე-  
ლობას. ხოლო მნიშვნელოვანი გამოსფლები  
ცალკე ფიქსირდება და ისინი თან დაერთვება  
ოქმს. საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება ოქმში  
ჩაიწეროს განხლების მსფლელობაც. ოქმის ხელის  
აწერს თავმჯდომარე და საბჭოს მიერ არჩ-  
ეული პირი, რომელიც წერის ოქმი. საბჭომ უნდა  
დაამტკიცოს ოქმი.

ადგილობრივი პოლიტიკის შესახებ ყველა  
საკითხი შეუძლებელია განხლოლოს წარმომად-  
გენლობითი ორგანოს კრებამ. ამიტომ ხდება სა-  
პარლამენტო მუშაობის განაწყლება, ამ მიზნით  
იქმნება კომისიები. ამ დროს განასხვავებენ ორი  
ტიპის ამოცანებს. ჯერ ერთი, კომისიებმა წინა-  
სწარ უნდა განხლოლონ გადასაჭრელი საკითხი  
და მისცენ რეკომენდაცია წარმომადგენლობითი  
ორგანოს გადაწყვეტილებების მისაღებად. მეორე,  
კომისიებს შეუძლიათ თვითონ მიიღონ გადა-  
წყვეტილება იმ საკითხებზე, რომელთა გადაჭრ-  
ის უფლებაც მიანიჭა მათ წარმომადგენლობითმა  
ორგანომ. და აურეთვე იმ საკითხებზეც, რომელთა  
გადაჭრა კანონის მიხედვით შედის მათ კომი-  
სისტემისაში. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში  
აღმასრულებელი ორგანოს შესაბამის განყო-  
ფლებასთან, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან  
და დეპუტატთა კომისიებთან წარმომადგენ-  
ლობითი ორგანო ამყარებს აქტიურ ურთი-  
ერთობებს. ცალკეული კომისიების ჩართვა საერ-  
თო პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოადგენს  
ფრაქციის ამოცანას. არსებობს სავალდებულო  
კომისიები, რომლებიც გათვალისწინებულია  
ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ  
კანონით. წარმომადგენლობითი ორგანო უფლე-  
ბამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განია-  
ზღუდოს ნებაყოფლობით კომისიათა რაოდენობა.

კომისიების შექმნა დამოკიდებულია ცალკეული  
მიწების კანონმდებლობაზე და ადგილობრივ  
ტრადიციებზე (მაგალითად წინა საარჩევნო პერ-  
იოდის კომისიების სტრუქტურა).

კომისიების შექმნა მიმდინარეობს რამდენიმე  
ეტაპად. თავიდან წარმომადგენლობითმა კრებამ

უნდა განისაზღვროს, თუ რომელი კომისიები უნდა  
შეიქმნას სავალდებულო კომისიებთან ერთად.  
ამისათვის საკმარისია ხმათა უმრავლესობა.

მეორე ნაბიჯის წარმოადგენს კომისიის წევრთა  
რიცხვის განისაზღვრა. არჩევა დეპუტატთა კენტი  
რაოდენობა. სხვადასხვა კომისიებში წევრთა  
რაოდენობა შეიძლება სხვადასხვა იყოს. თუ  
რომელიმე კომისიებში ფრაქციას არ ჰყავს თავისი  
წევრები, რომელთაც გააჩნიათ გადამწყვეტი ხმის  
უფლება, მაშინ ზოგიერთი მიწების ადგილობრივი  
თვითმმართველობის შესახებ კანონები აძლევს  
უფლებას ფრაქციებს, შეიყვანონ კომისიებში  
თავიანთი წევრები სათათბირო ხმის უფლებით.

კომისიის თავმჯდომარის დანიშვნა განისა-  
ზღვრება კანონით ადგილობრივი თვითმმარ-  
თველობის შესახებ და განსხვავებულია სხვა-  
დასხვა მიწების ადგილობრივ წარმომადგენ-  
ლობით ორგანოებში. ასე მაგალითად, ბადენ-  
გიურტემბერგში ბურგომისტრი შეიძლება იყოს  
ყველა კომისიის თავმჯდომარე, ხოლო ჩრდ-  
ილო რეინ-ვესტფალიაში საპატიო ბურგომი-  
სტრი შეიძლება იყოს მხოლოდ მთავარი კომი-  
სიის თავმჯდომარე. კომისიების თავმჯდომარეების  
განაწყლება შეიძლება მოხდეს შეთანხმებით  
ფრაქციებს შორის პოპორციული არჩევნების  
შედეგების გათვალისწინებით ან წარმომად-  
გენლობითი ორგანო თავად გადაწყვეტს ერთ-  
ხმად არჩევის წესის.

წარმომადგენლობითი ორგანო გარდა თავისი  
გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისა,  
დაკავებულია მთელი რიგი ცალკეული საკი-  
თხების და კონკრეტული პიობლებების გადა-  
წყვეტით.

წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია  
დაავალოს რიგი პიობლებების გადაჭრა გამ-  
გეობას. თავად კი, მუშაობს ძირითადი საკითხების  
გადაჭრაზე.

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს  
წევრები, ისევე როგორც ბუნდესტაგის დეპუტა-  
ტები ფლობენ თავისუფალ მანდატს. ისინი არ  
არიან შებოჭილების არანაირი ინსტრუქციებით.  
მაგრამ ბუნდესტაგის დეპუტატებისაგან გან-

სხვავდებინ იმით, რომ სადეპუტატო იმუნიტეტი არ გრცელდება მათზე.

არჩეული დეპუტატები წარმოადგენენ თავისი საარჩევნო ოლქების მოქალაქეთა ინტერესებს. ამიტომ, ისინი ცდილობენ წარმომადგენლობით კრებაზე და კომისიებში განიხილონ ის წინადადებები, რომლებითაც დაინტერესებული არიან მათი ამომრჩევლები. დეპუტატები მუდმივად კავშირში არიან თავისი ოლქის აქტივისტებთან და ეხმარებიან მათ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში. ასევე დეპუტატები აქტიურად მონაწილეობენ ფრაქციების საორგანიზაციო და პოლიტიკურ მუშაობაში.

წარმომადგენლობითი ორგანოს ყოველ წევრის გააჩნია ინდივიდუალური უფლებები. ამ უფლებების მიეკუთვნება წარმომადგენლობითი ორგანოს კრებაზე და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება. წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლება დაწერილებით განსაზღვრულია წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტით. არჩევნებისას, წარმომადგენლობითი ორგანოს ყოველ წევრის შეუძლია მოითხოვოს ფარული კენჭისყრა.

წრდილო-რეინ-გესტფალის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის თანახმად, თუ კომისიაში იხდება იმ დეპუტატის, წინადადება, რომელიც ამ კომისიის წევრი არ არის, მაშინ, ასეთი დეპუტატი მიღების მონაწილეობას კომისიის მუშაობაში, მხოლოდ განხილვის სტადიაზე, ხოლო გადაწყვეტილებების მიღებისას კი არა.

წარმომადგენლობითი ორგანოს კრების მოწვევის უფლება, აგრეთვე დღის წესრიგის ცალკეული პუნქტების განსაზღვრის უფლება, როგორც წესი, აქვთ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთა განსაზღვრულ რიცხვის. კოლექტიურ უფლებას წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტების გაცნობის უფლება, რომელიც ემსახურება მუნიციპალური გამგეობის საქმიანობაზე კონტროლის დაწესებას. დეპუტატების უფლება აქვთ განსახილველ საკითხებზე მიღონ დამატებითი ინფორმაციები, რაც იძლევა იმის საშუალებას,

დღის წესრიგის რომელიმე პუნქტის განხილვისას, მოითხოვონ ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისაგან გამოთქვას თავისი პოზიცია განსახილველ ჰითბლებაზე. თუ წარმომადგენლობითი კრების წევრი ჩათვლის, რომ მისი უფლებები შეიზღუდა, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რათა მან შეამოწმოს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის გამოყენების სისტორე. წარმომადგენლობითი კრების წევრები გალდებულნი არიან თავიანთი მოღვაწეობისას იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ კანონით. ერთდროულად ისინი გალდებულნი არიან საზოგადოებრივი ინტერესები დააყენონ პირადულზე მაღლა. თავიანთი მუშაობის პირუტიაში დეპუტატების აქვთ მოქალაქეთა კერძო ცხოვრების დეტალების გაცნობის უფლება და კომერციული საიდუმლოებების გაცნობის უფლება, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება ეს ინფორმაცია გაახმაურონ. ეს პინციპი მოქმედებს, როგორც მათი მუშაობის პერიოდის დროს, ასევე სადეპუტატო საქმიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

საზოგადოებრივი საწყისებზე მომუშავე ექსპერტები გალდებულნი არიან შეინახონ საიდუმლოება, რომლებზეც ინფორმაცია მიღება იმ კომისიიდან, რომელშიც თავიად არ შედიან. საიდუმლოს დაცვის გალდებულება მთავრდება მაშინ, როცა გაზეთი გაახმაურებს ამ ფაქტს, რაც დაეყრდნობა საიმედო წყაროების და არა გაფრცელებულ ხმებს. არცერთ დეპუტატს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიღონ იმ პიობლების გადაჭრაში, სადაც საზოგადოებრივი ინტერესების შეიძლება დაუპირისპირდეს პირადი ინტერესი.

მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა იყვნენ დაკავშირებული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთა პირად ინტერესებთან.

გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა ეკრძალება დაინტერესებულ პირს, მის ახლობლებს ან ფიზიკურ, იურდიულ პირს, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებული პირის ინტერესებს. ახლობლებს მიეკუთვნება მეუღლევ, ნათესავები, აღმაგალი ხაზით, მშები, დები. დების,

ძმების – მეუღლეები, ძმების და დების შველები, მეუღლის მშობლები, რძლები და შველიშველები.

პირადი დაინტერესების საკითხებისას მოქმედებს ინფორმირების აუცილებლობა. დეპუტატმა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ნებაყოფლობით უნდა აცნობოს თავისი ან თავისი კოლეგების დაინტერესებაზე, თუ დეპუტატს აეკრძალა გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება, მაშინ იგი უნდა გადავიდეს მსმენელთა დარბაზში, ხოლო დახურული სხდომისას – უნდა დატოვოს სხდომის დარბაზი. სადათ შემთხვევაში აცილების საკითხს წყვეტს წარმომადგენლობითი ორგანო.

თუ წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილების შედეგად თემს მიადგა ზიანი, მაშინ პასუხისმგებელნი იქნებიან ის პირები, ვინც დაარღვია თავისი მოვალეობა, განსაკუთრებით თუ ისინი მონაწილეობდნენ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, როცა პირადად იყვნენ დაინტერესებულნი საკითხის გადაჭრაში, ან თუ წარმომადგენლობითი კრების წევრებმა მიღეს გადაწყვეტილება დანახარჯებზე, რომელთა დაფარვის საშუალება არ აღმოაჩნდა ბიუჯეტს.

აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი წინადაღებები და პიოექტები თავიდან მეტწლად განიხლება ფრაქციებში და შემდეგ გადაეცემა კომისიების ან წარმომადგენლობითი ორგანოს კრებას. ფრაქციების შექმნისას, კანონმდებელი მოქმედებდა იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ საბჭოს ცალკეულ წევრს არ შეუძლია ინდიგიდუალურად გადამუშაოს მრავალფეროვანი ინფორმაცია და მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გადაწყვეტილების მიღებაზე.

განვთარების პოლიტიკური ხაზის შემუშავება უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ ფრაქციისაგან და არა მუნიციპალური მმართველობისაგან.

ფრაქციის ინტერესების კოორდინაციისათვის და სუბორდინაციისათვის აუცილებელია თემის განვთარების პიოგრამის შემუშავება. ასეთი პიოგრამების შედგენისას აღვლობრივი თვითმმართველობის თვალისწინები ითვალისწინებენ:

1. აღვლობრივი თვითმმართველობის ერთეულის ძლიერ და სუსტ მხარეებს;
2. სპეციალისტების რჩევებს ქალაქის განვითარების შესახებ;
3. პიორიტეტებს კონცეფციის, პერსონალის და ინვესტიციების შესახებ.

რამდენადაც აღვლობრივი თვითმმართველობის ზოგიერთი ამოცანების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს გარკვეულ წლებს, შესაბამისად ძირითადი მიმართულებებიც უნდა დაიგეგმოს ხანგრძლივი დროით.

ფრაქციის თავმჯდომარე კოორდინირებას უწევს სხდომებზე ფრაქციების მუშაობას. ის აკონტროლებს ფრაქციის წევრთა დასწრებას მუნიციპალური საბჭოს სხდომებზე, კომისიებში და თემის საზოგადოებრივ ღონისძიებებზე. მას აქვს კონტაქტები ბურგომასტრთან, სხვა ფრაქციებთან და აღვლობრივ პრესტანისას. ის ზორუნავს ფრაქციისა და პარტიის შორის იდეური კაფშირის დამყარებაზე. თავის მუშაობაში ფრაქციის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ეყრდნობა ფრაქციის პრეზიდენტს, რომელიც თავის თავზე იღებს ამოცანათა ნაწილის გადაწყვეტას (საინფორმაციო სამსახური, ოქმები, ფრაქციის წინადაღებების შესრულებაზე კონტროლი და სხვა).

ფრაქციია თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვების: რა გზებით ღებულობს ინფორმაციას მოსახლეობა პარტიის პოზიციაზე? რამდენად სარწმუნოა ფრაქციის მუშაობის დემოკრატიულობა ანუ როგორ შეუძლია აღვლობრივ მოსახლეობას მონაწილეობა მიღლოს პოლიტიკური ნების ფორმირებაში? მოსახლეობას განემარტება თუ არა, რომ თვითმმართველობის პოლიტიკაში არსებობს სხვადასხვა პოზიციები, რა პინციპებზეა ისინი აგებული და როგორია ცალკეული პარტიების დამოკიდებულება? ანუ აძლევს თუ არა ფრაქციია მოქალაქეების შესაძლებლობებს, გააკეთონ არჩევანი აღტერნატიულ მოქმედებებს შორის? ყოველი ქმედების სათავეში არსებობს ინიციატივა იმისა, რომ განსაზღვრული პობლებმა გაძევს პოლიტიკური გადაწყვეტილებების საგანი, აღს-

ანიშნავია, რომ ყველა წინადაღება არ გადის გადაწყვეტილებების მიღებამდე ერთხაირ გზას. რაც უფრო ღრმაა საზოგადოებრივი პრობლემა, მით უფრო მძაფრია კონფლიქტი განსხვავებული ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ინიციატივა შეიძლება გამომდინარეობდეს მუნიციპალური გამგეობის სპეციალისტიდან ან დაინტერესებულ ინგესტორიავან, გაერთიანებებიდან და მოქალაქეთა ორგანიზაციებიდან, ადგილობრივი პარტიებიდან. როცა წინადაღება ჩამოყალიბებულია, გამგეობა ამოწმებს თავიდანვე მისი რეალიზაციის შესაძლებლობების: აქეს თუ არა საამისო შესაძლებლობა თემის? არსებობს თუ არა სხვა გადაწყვეტილებები ან წინასწარი დაგეგმარება სახელმწიფო პროგრამების პროექტის მხარდასაჭერად? სანამ მშართველობა შეიმუშავებს გადაწყვეტილებების საბოლოო პროექტს, წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელობა ერთად გადაწყვეტინ, თუ რომელი მიმართულებით. და როგორი ინტენსივობით შეიძლება ვადაწყდეს ეს პრობლემა. ფრაქციები ვალდებული არიან შეამოწმონ. შეესაბამება თუ არა განსახლებული წინადაღება და გამგეობის პოზიცია თემის განვითარების ძირითად მიმართულებების. ფრაქციებმა უნდა განიხდონ აღნიშნული წინადაღება შეესაბამება თუ არა, ფრაქციის პოლიტიკურ პროგრამას. გარდა ამისა, მოცემული გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოგა თუ არა განვითარების კონკურისტიასთან და დაარღვევს თუ არა პრიორი-

ტეტების ჩამონათვალის. მაგალითად, ბაზრის მშენებლობის საკითხის განხდლებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: როგორი იმუქმედებს ბაზრის მშენებლობა ქალაქის ცენტრის განვითარებაზე; გარემომცველ ბუნებაზე; შეაფერხებს თუ არა იგი ტრანსპორტის მოძრაობას. სპეციალურ კომისიებში პრობლემის განხდლებასთან ერთად, გამგეობამ უნდა გაითვალისწინოს, საჭიროა თუ არა ზემდგომ ორგანოებთან და აგრეთვე ზედამხედველობის ორგანოებთან დაკავშირება, რათა წინასწარი იქნეს მიღწეული აუცილებელი შეთანხმებები. მთავარი კომისია, მისი არარსებობის შემთხვევაში კი, ფინანსური კომისია აგროვების ცალკეული კომისიების რეკომენდაციების და ამზადების მათ წარმომადგენლობითი ორგანოს კრებისათვის.

განსაკუთრებით ექსტრემალურ შემთხვევებში ხმათა უმრავლესობით შეიძლება დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა. ამავე დროს პრობლემის სასწრაფოდ გადაწყვეტის აუცილებლობა დასაბუთებული უნდა იქნას, დადგენილი წესით დღის წესრიგის მასალები სხდომამდე ერთი კვირით ადრე წერილობით ეგზავნებათ დეპუტატების. თავისი შინაარსით გადაწყვეტილებები უნდა იყოს კონკრეტული, რათა მუნიციპალურმა გამგეობამ მიღონ რეალურად შესრულებადი მითითებები. თუ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ წარმომადგენლობით კრებას შეუძლია ამ წინადაღებების უარყოფა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წინადაღება არაა შესული კანონიერ ძალაში.

კაატა ღავითაია,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



## სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ერთ-ერთი ურთულესი და მრავალფეროვანი სოციალური ინსტიტუტია. მაგრამ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში ყალიბდება და მოქმედებს სხვა სოციალური ინსტიტუტებიც – პოლიტიკური პარტიები, პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობები და ა.შ.

ამიტომ, აღმოცენდება კითხვა – რით განსხვავდებიან ეს სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ასევე ზემოქმედებენ საზოგადოების სიკოცხლისუნარიანობაზე, სახელმწიფოსაგან, რა აქვთ მათ საერთო და როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთში.

სახელმწიფო თუ პარტიები, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები? ეს კითხვა მუდმივად აღმოცენდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად, უნდა იყოს თუ არა სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუ ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა მოძრაობების ფუნქცია, თუ ეს არის ორივეს ფუნქცია? უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკაში, თუ ეს არის საბაზო სტრუქტურების, მათ შორის, სამეწარმეო, ფინანსური კავშირებისა და ჯგუფების „სამუშაო“?

ამ საკითხებზე პასუხის გაცემა საშუალებას გვაძლევს უკეთ შევიცნოთ სახელმწიფო, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია, მკაფიოდ გამოვავლინოთ სახელმწიფოსა და სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკური არსო.

მაგრამ, ვიდრე უშუალოდ თემის შესახებ ვისაუბრებდე, მინდა მკითხველს შევახსენო,, რომ თავად პოლიტიკური სისტემა გულისხმობსა სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივ სოციალურ ინსტიტუტებს, რომლებიც ახორციელებენ განსაზღვრულ პოლიტიკურ ფუნქციებს. ეს სოციალური ინსტიტუტებია – სახელმწიფო, პარტიები, პროფესიონალები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში, სადაც ძირითად ძირთვს წარმოადგენს ხელისუფლების მოპოვება, შენარჩუნება და გამოყენება. სწორედ ხელისუფლება არის სისტემააღმომცენებელი ფაქტორი, რომელიც ქმნის კიდეც პოლიტიკურ სისტემას.

საზოგადოების ცხოვრების სფერო – ხელისუფლება, სუვერენიტეტი, პიროვნების თავისუფლება – ეხება მრავალი ადამიანის ინტერესს და გადადის პოლიტიკურ სფეროში. პოლიტიკა იწყება იქ და მაშინ, როცა სახელმწიფოს, პარტიის, სხვა ორგანიზაციების ესა თუ ის საქმიანობა ეხება მრავალი ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს.

პოლიტიკა, პოლიტიკური ორგანიზაციები, პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ფუნქციები – ყველა ის ცნება, რომლებიც ამა თუ იმ რაკურსით ახასიათებს სახელმწიფოს, პარტიების, სხვა სოციალური ინსტიტუტების ურთიერთობებს ხელისუფლების მოპოვებასთან, შენარჩუნებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.<sup>1</sup>

სამამულო მეცნიერების მარქსისტულ-ლენინურ ეტაპზე სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში ეკისრებოდა სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების ძირთადი იარაღის როლი. ხოლო კომუნისტურ პარტიას – ხელმძღვანელის, წარმართველი ძალისა. პოლიტიკური სისტემის ყველა დანარჩენი ელემენტი ცხადდებოდა სახელმწიფო მექანიზმის „აღმძრავ ღვედად“<sup>2</sup>

ასეთ კონტექსტში პოლიტიკურ სისტემასთან ერთად გამოიყოფოდა სოციალური სისტემა – საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა (მუშავი, გლეხები, ინტელიგენცია), ეკონომიკური სისტემა (სოციალისტური საკუთრება, გეგმური სახალხო მეურნეობა), რამაც მიიღო კონსტიტუციური განმტკიცება.

სახელმწიფოს თანამედროვე თეორია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას, თუმცა კი არ უკავშირებს მას ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, საზოგადოების კლასობრივ არსეს, არამედ განიხილავს მას სოციოლოგიურად, როგორც სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების ობიექტურად ჩამოყალიბებულ ერთობას.

ფაქტორები, რომლებიც ანიჭებენ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას ამა თუ იმ ხასიათს და რომლებიც აყალიბებენ მის ამა თუ იმ სახეს, ასევე აღმოჩნდნენ არა იმდენად კლასობრივი, რამდენადაც სოციოლოგიურად მრავალფეროვანი. მათ შორის არის არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, არა მხოლოდ საკუთრივ პოლიტიკური წარმონაქმნები – პარ-

ტიები, პროფესიონები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი ბრძოლა ხელისუფლებისათვის, არამედ ასევე, ამ ფაქტორების სხვა უფრო ღრმა შრეები.

მათ მიეკუთვნება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების უფრო ეფექტურად ორგანიზაციის, მისი სტაბილურობის მოთხოვნილება, საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის უზრუნველყოფა, ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესების გონივრული შერწყმა და ა.შ.

ხოლო მრავალი საზოგადოების პოლიტიკური სისტემებისათვის, როგორც გვიჩვენებს ისტორიული გამოცდილება, აქტუალურ სისტემაწარმომქნელ ფაქტორად გვევლინება გადარჩენის სტრატეგია გლობალური ეკოლოგიური, დემოგრაფიული, და სხვა კრიზისების პირობებში. ამ ფაქტორების განხილვა საშუალებას გვაძლევს ახლებურად ჩამოვაყალიბოთ პოლიტიკური სისტემის მახასიათებლები.<sup>3</sup>

პოლიტიკური სისტემების სოციოლოგიური განხილვა ნამდვილად გვაძლევს საშუალებას უარი ვთქვათ მათი დოგმატური და შეზღუდულ-უორმაციული აღწერილობისაგან.

თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები ამ მიმართებით აყალიბებენ სხვა კონცეფციებს, იხილავენ სხვა პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ პოლიტიკური სისტემის ხასიათს და პირველყოვლისა, გამოყოფენ სისტემააღმოცენებელი სოციალური გარემოს არსებობას, რომელშიც ვლინდება საზოგადოების ცხოვრების ინდივიდუალური (პირადი) და კოლექტიური საწყისები. ამ კონცეფციების მომხრეები გამოდიან იქიდან, რომ კაცობრიობამ თავისი ისტორიის მანძილზე შექმნა სულ რამოდენიმე ტიპის სოციალური გარემო, რომლებიც საფუძვლად უდევს საკუთრივ პოლიტიკურ სისტემებს.

მაგალითად, შეიძლება გამოვყოთ საზოგადოების ის მდგომარეობა, ის სოციალური გარემო, რომელთა დროსაც შრომის შედეგები შევნებუ-

<sup>1</sup> Д.М. Бурлацкий, Современныи Левиафан, М., 1994, ст.40-41.

<sup>2</sup> З. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 1998, გვ. 59.

<sup>3</sup> Ф. Хайк, Дорога к рабству/ вопросы философии, 1990, №10-12.

ლად ნაწილდება სახელმწიფო ებრივად ორგანიზებული ადამიანების განსაკუთრებული ფენის – გამნაწილებლების მიერ (სიტყვის ფართო გაგებით). ეს არის ჩინოვნიკები, რომლებიც გამოდიან სახელმწიფოს სახელით. საკუთრება ასეთ გარემოში, როგორც წესი, არსებობს სახელმწიფო, საზოგადოებრივი ფორმით. დაიშვება პირადი საკუთრება, ხოლო კერძო საკუთრება აკრძალულია. ამ განმანაწილებელ-ჩინოვნიკთა კეთილდღეობა დამოკიდებულია განაწილების სისტემაზე და მმართველ ელიტაზე, ნომენკლატურაში მათ ადგილზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც წესი, კონკრეტული ადამიანის კონკრეტული ადგილი მართვის სისტემაში დამოკიდებულია დინასტიურ კლანურ, ნათესაურ და პოლიტიკურ კავშირებზე.<sup>4</sup>

სოციალური გარემოს ასეთ მდგომარეობას მივყავართ არასტაბილურობამდე, იწვევს უკმაყოფილებას, ხშირად კი პროტესტებსაც. ეს სისტემა მაღავს თავისში სოციალურ კონფლიქტებს, რომლებიც ახდენენ საზოგადოების დეფორმირებას, რადგან მათში ჩადებულია კიდევ ერთი სოციალური ნაკლი – გამათანაბრებლობა. ის ხდება მათში გაბატონებული იდეოლოგია და კლავს შრომისადმი ყოველგვარ მოტივაციას, ის არასამართლიანია, რაც საბოლოო ჯამში იწვევს თვითნებობას, კორუფციას, ზნეობრივ გადახრებს.

ასეთ სოციალურ გარემოში აღმოცენებული პოლიტიკური სისტემები ხასიათდება სახელმწიფოს, მისი აპარატის ძალის ჰიპერბოლიზაციით. სახელმწიფო ხელისუფლება ტოტალიტარულად ერევა საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში, მისი წევრების პირად ცხოვრებაშიც კი. როგორც წესი, ასეთი პოლიტიკური სისტემები დახურულია. ისტორიაში ასეთი პოლიტიკური სისტემები აღმოცენდებოდა წარმოების აზიური საშუალებების საზოგადოებებში, ასევე სოციალისტური ტიპის საზოგადოებაში. ასეთი სისტემებისათვის დამახასიათებელია ქარიზმატული ლიდერის

კულტი. ასეთი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა უზრუნველყოფილია ძალადობით, ტერორით, აგრესით და სხვა.

მეორე ტიპის სოციალური გარემო, რომელიც აყალიბებს სხვაგვარ პოლიტიკურ სისტემებს, ეფუძნება არა განაწილებით, არამედ საბაზრო ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს. რათქმა უნდა, ეს გარემოც არ არის სრულად სამართლიანი, უკონფლიქტო, თუმცა, ის უფრო ეფექტური და გამძლეა, ვიდრე განაწილებითი გარემო.

პოლიტიკური სისტემის ასეთ გარემოში სახელმწიფო გამოდის როგორც ორგანიზაციონი საბაზრო, მათ შორის, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკისათვის პირობების შესაქმნელად. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ უსაფრთხოებას, მათ საკუთრებას მიზნად ისახავს უქონელთა სოციალურ დაცვას. ასეთ სისტემაში პარტიები მიიღონ ხელისუფლების მოსაპოვებლად საარჩევნო კომპანიებში მონაწილეობის გზით, რომელიც ტარდება დემოკრატიულ საწყისებზე. სამართლებრივი ფორმები ხდება პოლიტიკური მიზნების მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტი.

ინდივიდს, მის უფლებებსა და თავისუფლებებს, მის კანონიერ ინტერესებს ასეთ სისტემაში აქვს პრიორიტეტი კოლექტივის – იქნება ეს ხალხი, ერი, ორგანიზაცია თუ სხვა უფლებებთან შედარებით. საკუთრება და პირველყოვლისა, კერძო, დაცულია სახელმწიფოს მიერ.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური სისტემა, რომელიც ეფუძნება საბაზრო სასაქონლო-ფულად გარემოს, ეს არის არსებითად საზოგადოებრივი განვითარების ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელი, რომელიც განსაკუთრებით განვითარდა მე-XX საუკუნის ბოლო მესამედში.

ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, როგორც წესი ღიაა. სახელმწიფო ხელისუფლება მოქმედებს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებში. სახელმწიფოს, პარტიების, პროფესიონალურის და სხვა ორგანიზაციების

<sup>4</sup> Л.С. Санистебан, Основы политической науки, М., 1992, ст.174.

ურთიერთქმედება ასეთ პოლიტიკურ სისტემებში უზრუნველიყოფა, როგორც წესი, კონსტიტუციური რეგულირებით. პოლიტიკური სისტემები ახდენენ არა მხოლოდ და არა იმდენად კლასობრივი ინტერესების რეალიზაციას.

დაბოლოს, არსებობს, კიდევ ერთი სოციალური გარემოს ორგანიზაცია— შერეული, ის რაც მე-XX საუკუნეში განვითარდა კონვერგენციის სახელწოდებით. ეს გარემო ასევე წარმოშობს თავისებურ პოლიტიკურ სისტემებს, რომლებშიც პლურალიზმი მეზობლობს პოლიტიკური შეუწყნარებლობის რელიეჭებთან, რეფორმებისადმი მოწოდებებს თან ახლავს ძველი წესრიგის რესტავრაციის მცდელობა.

კონვერგენციულ პოლიტიკურ სისტემებს გააჩნია არსებითი ნაკლოვანება — ისინი არასტაბილურია, ურთიერთწინააღმდეგობრივი. კონვერგენციული პოლიტიკური სისტემები აღმოცენ-

დება, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, მაშინ, როცა ხდება ერთი სოციალური გარემოდან მეორეზე გადასვლა.

კონვერგენციული პოლიტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა დანიშნულების პოლიტიკური ინსტიტუტების აღრევა: ერთი მხრივ, აღიარებულია შრომის, გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლება და მეორე მხრივ, შენარჩუნებულია მოქალაქეთა პოლიციური „ჩაწერის“ სისტემა, იდეოლოგიური პლურალიზმი და ტელერადიომაუწყებლობაზე სახელმწიფო მონოპოლია და ა.შ. ერთი სიტყვით, კონვერგენციული პოლიტიკური სისტემები არც ისეთი იშვიათობაა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ისტორიაში და სახელმწიფოს, მისი ფუნქციების როლი ასეთ სისტემებში ასევე საკმაოდ არსებითი და მრავალფეროვანია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ამირან გიგაშვილი,  
იურისფი.



# სამთქალაქო სამართლი, პროცესი

ეკა შენგალია

## სააქციო საზოგადოების დირექტორია შარმომადგენლობითი უფლებამოსილება

სააქციო საზოგადოება საკმაოდ რთული შიდა-საზოგადოებრივი ურთიერთობებით ხასიათდება. აქციონერი, აქციონერთა საერთო კრება, სამეთვა-ლყურეო საბჭო და დირექტორები ერთმანეთთან ძირითადად მმართველობითი ფუნქციების განხ-ორციელების პროცესში არიან დაკავშირებული. მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა და კომპეტენციის დადგენა პარტნიორთა საშინაო საქმეა. შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება ხდება კანონის მოთხოვნათა საფუძ-ველზე. ამასთან, სააქციო საზოგადოებას მონაწ-ილეობის მიღება უხდება მრავალგვარ საგარეო ხასიათის ურთიერთობებში. ეს უპირველეს ყოვ-ლისა სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საგადა-სახადო და შრომითი ხასიათის ურთიერთობე-ბია, რაზედაც ნათლად მეტყველებს სასამართ-ლო პრაქტიკა. მათი დეტალური ანალიზი ერთ სტატიაში შეუძლებელია. ამიტომ მიზანშეწონილია ძირითადი ყურადღება გამაზვილდეს მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სააქციო საზოგადოებათა მონაწილეობაზე და იმ სპეციფიკურ თავისებურებებზე, რომლებიც ამ დროს მათ ახასიათებთ. თორემ ის, რომ სააქ-ციო საზოგადოება სისტემატურად უამრავ ხე-ლშეკრულებას დებს, რომ ეს ხელშეკრულებები კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს უნდა აკ-მაყოფილებდეს, რომ კონტრაპენტთან ურთიერ-თობებში ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება დღის წესრიგში, თითქმის ყველა იურიდ-

იული პირისა და სამეწარმეო საქმიანობის სუბ-იუქტის სამოქალაქო კანონმდებლობის ჩარჩოებ-ში მოქცევის აუცილებლობითაა განპირობებუ-ლი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი სააქციო საზოგადოების სხვა სუბიექტებთან ურთიერთობის რეგულირების პროცესში უფრო იმპერატიულია, ვიდრე შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისას. ეს ალბათ იმითაა განპირობებული, რომ კანონმდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ პირთა უფლებე-ბისა და ინტერესების დაცვას, რომელთაც სააქ-ციო საზოგადოებებთან უხდებათ სამართლებრივ ურთიერთობებში ჩაბმა. იმპერატიული ნორმები-თაა აგრეთვე გათვალისწინებული სააქციო საზოგადოებათა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის სპეციფიკური თავისე-ბურებანიც. ისინი უმეტესად წარმომადგენლო-ბასა და ქონებრივ პასუხისმგებლობას ეხება.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება სააქციო საზოგადოებას ეძლევა სამეწარმეო რეესტრში. რეგისტრაციის მომენტიდან და გრძელდება მანამ, ვიდრე მისი ლიკვიდაციის რეგისტრაცია არ მოხდება. არარ-ეგისტრირებული საზოგადოება არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბ-იუქტს. დამფუძნებელთა საერთო კრების ან ამ კრების მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს რაიმე გადაწყვეტილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ წარმოშობს სამოქალაქო უფლე-

ბებსა და მოვალეობებს. მხოლოდ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია წარმოადგენს სამოქალაქო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის წარმოშობის საფუძველს. რეგისტრირებული საქციო საზოგადოება შეუზღუდავად მონაწილეობს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის გარიგებაში. ეს უნდა მოხდეს საქციო საზოგადოების წარმომადგენელი კონკრეტული პირის მეშვეობით.

საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც შეიძლება საქციო საზოგადოების წარმომადგენლად გამოვიდნენ. 56-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ „საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს“. იმავე მუხლში, სხვა ადგილას ნათქვამია: „საქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენდნენ დირექტორები.<sup>1</sup> მართალია ამ მუხლში დირექტორებისათვის საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ერთიან სამართლებრივ საფუძველზეა ლაპარაკი,<sup>2</sup> მაგრამ სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება თითქოს უშუალოდ გამომდინარეობს საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის შინაარსიდან. ჯერ ერთი, წარმომადგენლობითი ურთიერთობა საზოგადოების მესამე პირებთან დამოკიდებულების მახასიათებელია, მაშინ, როცა ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შიდასაზოგადოებრივ მხარეს ეხება. მეორეც, საზოგადოების რომელიმე დირექტორისათვის მმართველობითი ფუნქციის მინიჭება ყოველთვის შეიძლება არც გულისხმობდეს იმავე პირისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების აპრიორულ მიკუთვნებას. შესაძლებელია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სხვა დირექტორის მიენიჭოს. ამიტომაა სწორედ იმის აუცილებლობა დადგენილი, რომ წესდებაში განისაზღვროს საზოგადოების წარმომადგენლის ვინაობა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისას მან სასამართლოში უნდა დატოვოს ხელმოწერის ის

<sup>1</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 1999, გვ.73.

<sup>2</sup> ლადო ჭანტურია, თელო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მეორე გამოცემა, თბ., 1998, გვ.115.

ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებს. ხელმოწერის ნიმუშის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამჟამად კომერციული იურიდიული პირებისათვის სავალდებულო არაა ბეჭდის ნიმუშის წარდგენა რეგისტრაციის დროს. ბეჭდის ნაცვლად უფლებამოსილ პირთა ხელმოწერა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. პრაქტიკაში ხშირად ხელმოწერის ნიმუშს ითხოვენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგანაც. ეს ამ სიახლის იგნორირებას წარმოადგენს. ხელმოწერის ნიმუშის წარდგენა ეპალება არა ყველა თანამდებობის პირს, არამედ მხოლოდ იმათ, რომელთაც კანონის საფუძველზე გააჩნიათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ მეწარმეთა კანონის მე-5 მუხლში სპეციალურადაა ყურადღება გამახვილებული იმაზე, რომ საზოგადოების რეგისტრაციის თაობაზე შეტანილ განცხადებაში აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული წარმომადგენლობის შესახებ. აქედან გამომდინარე, რადგან ყველა დირექტორი შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი, მაგრამ კონკრეტულ ურთიერთობებში მონაწილეობას ღებულობს ის დირექტორი, რომლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დადასტურებულია სამეწარმეო რეესტრში და რომლის ხელმოწერის ნიმუშიც არსებობს სასამართლოში, შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: ყოველი დირექტორი შეიძლება იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ანუ დირექტორი-წარმომადგენლის პრეზუმუცია არსებობს მანამდე, ვიდრე საზოგადოების რეგისტრაციისას სხვა რამ არ დაფიქსირებულა. ამასთან, იმ დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რომელიც მიჩნეულია საზოგადოების წარმომადგენლად, შეუზღუდავია, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლში კატეგორიულად არის ნათქვამი: „წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობებში არ შეიძლება შეიზღუდოს“. ეს ნიშნავს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე დირექტორს შეუძლია საზოგადოების სახელით ნებისმიერ გარიგებაში მიიღოს მონაწილეობა, გარიგება დადონ ნებისმიერ კონტრაპენტთან და არავის არა აქვს უფლება იგი შეზღუდოს თავის უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში. თუ

ისეთმა დირექტორებმა დადო მესამე პირთან გარიგება, რომელსაც არ გააჩნია რეგისტრირებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მაშინ გარიგება მართალია კანონიერად ჩაითვლება და საზოგადოებასა და მესამე პირს შორის ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა, მაგრამ შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობაში ასეთი გარიგება განიხილება არა როგორც საზოგადოების სახელით, არამედ თვით დირექტორის მიერ დადებული გარიგება და მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც ასეთმა გარიგებამ საზოგადოებას მიაყენა.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი შინაარსობრივად აღექვატურნი არ არიან და მათი მოცულობაც სხვადასხვაა, მათ მაინც მჭიდრო კავშირი ახასიათებთ და ზოგჯერ მმართველობითი ფუნქციის განხორციელება შეიძლება დადოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შინაარსს. ხელმძღვანელობით საქმიანობად, კანონის მიხედვით მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას. შესაძლებელია აგრეთვე ორი დირექტორი ერთობლივად უძლვებოდეს საზოგადოებას ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს ერთად გასწიონ ხელმძღვანელობა. მსხვილ საზოგადოებებში, როგორც წესი, გამოიყენება ერთობლივი ხელმძღვანელობის ფორმა ანუ კოლეგიური მმართველობა. ამ მიზნით იქმნება დირექტორატი, რომელიც რამოდენიმე დირექტორისა-გან შესდგება. მათი საქმიანობის კოორდინატორს შეიძლება გენერალური დირექტორი ან პრეზიდენტი ერქვას, თუმცა კანონში ასეთი თანამდებობები ნახსენები არაა, მაგრამ არც აკრძალულია. მაგ. სააქციო საზოგადოებას „ყაზბეგი“ რამდენიმე დირექტორი ჰყავს, რომელთა საქმიანობას კოორდინაციას უწევს გენერალური დირექტორი. ასე იყო სააქციო საზოგადოებაში „ქართული ფილმი“ და 2000 წლის აგვისტოში სამეთვალყურეო საბჭომ გააუქმა გენერალური დირექ-

ტორის თანამდებობა. ამჟამად ყველა დირექტორს ერთნაირი უფლებები გააჩნიათ. მთავარი ისაა, რომ მათი კომპეტენცია და უფლებამოსილება კანონის მიერაა განსაზღვრული. იგივე მდგომარეობაა თითქმის, როცა საკითხი ეხება წარმომადგენლობით უფლებამოსილებების ერთი, ორი ან ყველა დირექტორისათვის მინიჭების დროს. ყველა შემთხვევაში საზოგადოების წესდებით უნდა განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად. წესდებაში შეიძლება ასევე განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები დამოუკიდებლად იმოქმედებენ თუ სხვა, სპეციალურ წარმომადგენლებთან ანუ პროკურისტებთან ერთად. წარმომადგენლობის კონკრეტული სახე და წესი აუცილებლად უნდა აღინიშნოს სამეწარმეო რეესტრში. იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა რამდენიმე დირექტორი და ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, დირექტორები მხოლოდ ერთობლივად დებენ გარიგებებს და ასრულებენ ხელმოწერებს. ცალკეულ დირექტორებს შეიძლება მიენიჭოთ ზოგიერთი გარიგების დადების ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძლილის უფლებამოსილება. ჩვეულებრივ სააქციო საზოგადოებებს მრავალმხრივი საქმიანობა უწევთ. ასეთ შემთხვევაში დირექტორებს შორის ხდება ფუნქციების განაწილება. ყოველ დირექტორს მიენიჭება საქმიანობის განსაზღვრული სფეროს ხელმძღვანელობა. შეიძლება დირექტორებს ჰქონდეთ კომერციის დარგში, კადრების ან მარკეტინგის სფეროებში დამოუკიდებელი უფლებამოსილება. ფუნქციათა ასეთი დანაწილება საზოგადოების საქმიანობის უფრო სრულყოფილად და კომპეტენტურად წარმართვის გარანტია. აქედან გამომდინარე, დირექტორებს თავიანთ სფეროებში საზოგადოების დამოუკიდებლად წარმოდგენის უფლებამოსილება გააჩნიათ.<sup>4</sup> შესაძლებელია საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული იყოს მრავალიდან არა მარტო ერთერთი დირექტორისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება დამოუკიდებლად, არამედ ამ დირექტორისა და ერთ-ერთი სავაჭრო

<sup>3</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. მეორე გამოცემა, თბ., 1998, გვ. 355.

წარმომადგენლისათვის ერთობლივადაც, ოღონდ  
იმ პირობის დაცვით, რომ ნებისმიერ დირექ-  
ტორს სავაჭრო წარმომადგენლის გარეშეც შეე-  
ძლოს წარმოადგინოს საზოგადოება. სააქციო  
საზოგადოების მიმართ მესამე პირის მხრიდან  
ნების გამომულავნების გამოსახატავად საკმარი-  
სია ნების გამომულავნება ერთი დირექტორის  
მიმართ. მაგ. სააქციო საზოგადოებას „ყაზბეგი“  
ჰყავს ოთხი დირექტორი. ოთხივე აღჭურვილია  
წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. ოთხ-  
ივეს შეუძლია მესამე პირებთან ჩაებას სამართ-  
ლებრივ ურთიერთობაში. თუ საზოგადოებას  
სჭირდება რაიმე მოწყობილობის შეძენა, ნასყი-  
დობის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცი-  
ლებელი არ არის ოთხივე დირექტორმა მოაწ-  
ეროს ხელი ხელშეკრულებას. საკმარისია გამყ-  
იდველმა ნდობა გამოამულავნოს ერთ-ერთი დირექ-  
ტორისადმი და ამ უკანასკნელის ხელმოწერაც  
საზოგადოება „ყაზბეგის“ ნების გამოვლენად ჩაი-  
თვლება. ყველა შემთხვევაში დირექტორია სა-  
ზოგადოების მესამე პირებთან ურთიერთობის  
მთავარი სუბიექტი. კანონის ეს მოთხოვნა კატ-  
ეგორიულია და მისი შეცვლა არ შეიძლება.

სააქციო საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების სტატუსში არსებითი ხასიათის ცვლილება არ შეიძლება დამოკიდებელი იყოს მათი ფუნქციონირების ამა თუ იმ სფეროს სპეციფიკაზე.<sup>5</sup> კანონის იმპერატიულ მოთხოვნათა ფარგლებში შესაძლებელია უმნიშვნელო თავისებურებათა გათვალისწინება. მაგ., რუსეთის სამკალაქო კოდექსის 103-ე მუხლით, სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის 64-ე მუხლით დირექტორთა საბჭო ან სამეთვალყურეო საბჭოა მმართველობის ძირითადი ორგანო. მის წინაშეა ანგარიშვალდებული კოლეგიალური (დირექცია, გამგეობა) ან ერთპიროვნულად (დირექტორი, გენერალური დირექტორი) კონკრეტული ორგანო.<sup>6</sup>

გერმანიის 1965 წლის 6 სექტემბრის სააქციო კანონის 77-ე მუხლით სააქციო საზოგადოების

<sup>5</sup> Я.И. Функ, В.А. Михальченко, В.В. Хвалей. Акционерное Общество: история и теория, Минск, 1999, с.22.

<sup>6</sup> Комментарий к Гражданскому кодексу РФ, под ред., О.Н. Садикова, М., 1995, с.137.

მმართველობით ორგანოს წარმოადგენს გამგეობა, რომელთა წევრები ერთობლივად წარმართავენ საქმიანობას.<sup>7</sup> დირექტორთა საბჭო და გამგეობაა ორივე ქვეყანაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები.

საქართველოს საზოგადოების სხვა თანამდებობის პირებს წარმომადგენლობის უფლება არ გააჩნიათ, მიუხედავად იმისა საკონტროლო ფუნქციები ან თუნდაც სამართლებრივი მდგომარეობა, საზოგადოების საქმიანობის წარმართვაში მნიშვნელოვანი როლის მაჩვენებელია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და თვით თავმჯდომარესაც. სამეთვალყურეო საბჭო იქმნება პარტნიორთა საერთო კრების მიერ და ფართო უფლებამოსილებებითაა აღჭურვილი. იგი ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორებს, აკონტროლებს მათ საქმიანობას და ანგარიშს სთხოვს გაწეული საქმიანობის შესახებ. უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა მისი უფლება-მოსილებანი. იგი უფლებამოსილია დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა. უფრო მეტიც, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, თუ საკითხი ეხება მისი წევრის პასუხისმგებლობას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დირექტორების წინააღმდეგ შეიტანოს სარჩევი. მიუხედავად ამისა, დირექტორების ფუნქციები არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. ამ უკანასკნელის ფუნქციების გაფართოება ძირითადად შეიდასაზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროს მოიცავს. მესამე პირებთან ურთიერთობა კი მის უშუალო ფუნქციებში არ შედის. ამიტომ მათ მიერ დადგებული ნების-მიერი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს. პრაქტიკაში ზოგჯერ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა ფუნქციების აღრევა ხდება და შეცდომით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თავისთვზე იღებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და ხელს აწერს სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებას. დაინტერესებულ პირს ყოველთვის

<sup>7</sup> Германское право, часть II, Торговое уложение и другие законы, М., 1996, с.192.

შეუძლია სასამართლოში დააყენოს ასეთი ზე-ლშეკრულებების გაბათილების საკითხი. ამას კი ლოგიკურად მოჰკვება საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მხოლოდ დირექტორებისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება სააქციო საზოგადოების ინტერესების დაცვის და მისი სამურნეო საქმიანობის კომპეტენტურად წარმართვის საქმეს ემსახურება. კანონი საზოგადოების ინტერესების დაცვის მექანიზმს ითვალისწინებს იმ შემთხვევებისათვის, როცა საზოგადოების წარმომადგენელმა დადო გარიგება, რომლის დადების უფლება მას არ ჰქონდა და ამის შესახებ იცოდა კონტრაპენტმა. ასეთ შემთხვევებში საზოგადოებას შეუძლია გარიგების დადებიდან წელიწადნახევრის განმავლობაში გამოაცხადოს გარიგება ბათილად. ეს ისეთ შემთხვევებს ეხება, როცა დირექტორი და კონტრაპენტი განზრახ მოქმედებდნენ ერთად, რათა ზიანი მიეყენებინათ წარმოდგენილი საზოგადოებისათვის. სააქციო საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურება დირექტორთა საქმიანობით შექმნილი კონკურენციის აკრძალვა. კანონით დირექტორებს არა აქვთ უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე მისდიონ იმავე საქმიანობას, რასაც საზოგადოება ანხორციელებს ან მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში დირექტორის სახით. მაგ. სააქ-

ციო საზოგადოება „თბილთამბაქოს“ გენერალურ დირექტორს უფლება არა აქვს დირექტორი იყოს ანალოგიურ საზოგადოებაში. გამონაკლის შემთხვევებში, როცა მსგავს საზოგადოებებს შორის კონკურენცია რეალური არ არის, დაინტერესებულ დირექტორს შეიძლება მიეცეს შეთაჯსების უფლება. აკრძალვის ეს წესი არ მოქმედებს თუ სააქციო საზოგადოების დირექტორი იმავლროულად მუშაობს დირექტორად შვილობილ საზოგადოებაში ან საზოგადოების ფილიალში. კარდა ამისა, შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა პირის დირექტორად დანიშვნის დროს წინასწარ იცოდნენ იმის შესახებ, რომ მომავალი დირექტორი უკვე ეწეოდა ასეთ საქმიანობას სხვა საზოგადოებაში, მაგრამ მისთვის ამ საქმიანობისათვის თავის დაწებება არ მოუთხოვიათ. ასეთ შემთხვევებში პირს დირექტორობის შეთავსება არ უნდა აეკრძალოს. კონკურენციის აკრძალვის მოთხოვნა მჭიდროდ უკავშირდება დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოცულობის საკითხს. შეთავსებით მოშუშვე დირექტორი არ შეიძლება ორივე საზოგადოების წარმომადგენელი იყოს იმ შემთხვევისათვის, როცა ისინი ერთმანეთთან სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში ებმებიან. ამ საკითხის რეგულირება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის.

ეპა შენგელია,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი.

## ქეთევან ქოქრაშვილი

# საერთაშორისო ფინანსური დიზინგი და მისი დამკვიდრების რეალური ასპექტები საქართველოში

**ლიზინგი** ინგლისური წარმოშობის ტერმინია (Leasing) და ქირავნობას ნიშნავს. დღეს იგი დამკვიდრებულია მრავალი ქვეყნის სამართლებლივ სისტემაში, რაც ძირითადად ამერიკული ლიზინგური კომპანიების საქმიანობის ექსპანსიითაა განპირობებული.

ლიზინგი თავისი შინაარსით უძველესი დროიდანაა ცნობილი. სამართლის ისტორიკოსები მის პროტოტიპად მიიჩნევენ ჩვ. წ. აღ-მდე V ათასწლეულში ეგვიპტესა და მესოპოტამიაში არსებულ ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებებს. იმავეს მოწმობს 1984 წელს შუმერების ქალაქ ურში აღმოჩენილი თიხის ფირფიტებზე შესრულებული ჩანაწერები. თანამედროვე ლიზინგის ანალოგს იყენებდნენ ძველი ფინიკიელებიც, რომლებიც ვაჭრობის მიზნით ქირაობდნენ გემებს. XI საუკუნის ვენეციაში კი ადგილი ჰქონდა გემების მეპატრონეთა მიერ ძვირად ღირებული ღუწების დაქირავებას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თანამედროვე ლიზინგის სამშობლოდ ინგლისი და ამერიკა მიიჩნევა, სადაც XIII საუკუნის ბოლომდე გრძელვადიანი ლიზინგის საგნად მხოლოდ უძრავი ნივთი გვევლინება. ამ პერიოდის ინგლისში მიწაზე საკუთრების განუსაზღვრელი უფლებით სამეფო ოჯახი სარგებლობდა, ამიტომ ლიზინგი გამოიყენებოდა როგორც მიწაზე სარგებლობის უფლების გადაცემის

ფორმა. XVIII საუკუნის ბოლოს ინგლისის სამართლებრივმა დოქტრინამ აღიარა, რომ ველა ის ნივთი, რომელიც პირს გადაეცემა საკუთრებაში, შეიძლება გახდეს ლიზინგის საგანი. XIX საუკუნეში ლიზინგი ძირითადად გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობებსა და ტრანსპორტზე (ამ უკანასკნელზე 1947 წლამდე, სანამ არ მოხდა რკინიგზის ნაციონალიზაცია.). მაგ. რკინიგზას ლონდონი-გრინვიჩი, სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად, 999 წლის ვადით ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა კომპანია „South Eastern Railway“.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ში დაიწყო ლიზინგის „ბუმი“. ეს გამოიწვია ამერიკაში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, რის გამოც მეწარმეები იძულებული გახდნენ პერიოდულად განეახლებინათ საწარმოო საშუალებები; გარდა ამისა, აშშ-ში ჩამოყალიბდა საკრედიტო რესურსების მყარი ბაზარი, რამაც განაპირობა ფინანსური ლიზინგის ეფექტურობა. მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ლიზინგური კომპანია სწორედ ამერიკაში, კერძოდ, სან-ფრანცისკოში შეიქმნა „United States Leasing Corporation“-ის სახელწოდებით (1952წ.). აღნიშნული კორპორაციის სამეწარმეო კონცეფცია აგებულია შემდეგ

იდეაზე – მოგების მისაღებად არ არის აუცილებელი წარმოების საშუალებებზე საკუთრების არსებობა, საკმარისია იქონიო მათზე სარგებლობის უფლება.

ლიზინგის პროცესი გამოხატავს ქონებრივ ურთიერთობათა კომპლექსს, რომელიც წარმოიშობა ლიზინგურ ოპერაციათა მონაწილეებს შორის ქონების მოძრაობასთან (ბრუნვსთან) დაკავშირებით. ამიტომ ლიზინგი, როგორც ეკონომიკურ-სამართლებლივი კატეგორია, წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც მიმართულია ფინანსურ საშუალებათა ინვესტირებისაკენ. ლიზინგის საგნის შეძენის დაფინანსება ხორციელდება ლიზინგური კომპანიის (ლიზინგის გამცემის) მიერ საკუთარი ან ნასესხები სახსრებით. ამასთან, საკუთრების უფლებას აღნიშნულ ქონებაზე ინარჩუნებს ლიზინგის გამცემი, ხოლო მიმღები კი იძენს განსაზღვრული დროით მხოლოდ მისით სარგებლობის უფლებას დადგენილი პერიოდულობით საზღაურის გადახდის პირობით.

მსოფლიო სამართლებრივი დოქტრინა იცნობს სხვადასხვა სახის ლიზინგს, მათ შორის, საერთაშორისი სამართლებლივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ლიზინგის დაყოფა ქონების ამორტიზაციის პირობების შესაბამისად ფინანსურ და ოპერატიულ ლიზინგად. სწორედ ამ კატეგორიებს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება საერთაშორისო ურთიერთობებში.

სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა საერთაშორისო კავშირების განხორციელების პროცესში იდება მრავალი სახის გარიგებები, რომლებიც ხშირად კონტრაქტის სახელწოდებითაა ცნობილი. მხარეთა ადგილსამყოფელი, ასევე ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ადგილი ერთმანეთს არ ემთხვევა, რის გამოც საჭირო ხდება მისი საერთაშორისო სამართლებლივი რეგულირება.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დოქტრინა საკუთარი რეგულირების საგნად მიიჩნევს გარიგებებს, რომელში მონაწილე

თუნდაც ერთი მხარე უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირია. ამასთან, გარიგების შინაარსი მოიცავს ოპერაციებს ქონების უცხოეთში გატანის ან უცხოეთიდან შემოტანასთან დაკავშირებით.<sup>1</sup>

სხვა მნიშვნელოვან ხელშეკრულებებთან ერთად საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო ფინანსურ ლიზინგს, რომელიც დღეს ერთგვარად მომწიფებულ ინდუსტრიად წარმოგვიდგება. აშშ ერთპიროვნული ლიდერია როგორც მოცულობის თვალსაზრისით (1994 წლისათვის მას გაფორმებული ჰქონდა ლიზინგი 140 მლრდ. აშშ დოლარის მოცულობით), ასევე თავისი წილით საერთაშორისო ბაზარზე (30%-ზე მეტი).

ფინანსური (კაპიტალური, პირდაპირი) ლიზინგი (Financial Capital Leases) ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: მასში ლიზინგის გამცემსა და მიმღებთან ერთად მონაწილეობს მესამე მხარე (ხელშეკრულების საგნის პროდუცენტი (მწარმოებელი ან მიმწოდებელი); ხელშეკრულების შეწყვეტის შეუძლებლობა ძირითადი ვადის გასვლამდე, ანუ სანამ არ იქნება დაფარული ლიზინგის გამცემის ხარჯები; ლიზინგური შეთანხმების გრძელვადიანობა (რომელიც მიახლოებულია ქონების სრული ამორტიზაციის ვადასთან).

ოპერატიული (სერვისული) ლიზინგი (Service Operating Leases) წარმოადგენს შედარებით მოკლევადიან ურთიერთობას (დაახლოებით 2-5 წელი), ამიტომ ლიზინგის გამცემის ხარჯების დაფარვა არ ხდება მხოლოდ ერთი ხელშეკრულების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, მისი ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე ფინანსური ლიზინგისა.

XX საუკუნის დასაწყისში ამერიკული ლიზინგის გამოცდილებით ლიზინგის გავრცელებამ მთელ მსოფლიოში შექმნა უამრავი სამართლებრივი ხასიათის პრობლემა, რაც გამოიწვია ინგლისურ-ამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემათა

<sup>1</sup> Богуславский. Международное Частное Право. ст. 200

განსხვავებამ. სწორედ ამ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საერთაშორისო კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტში თითქმის 15 წლის განმავლობაში მუშავდებოდა ლიზინგის რეგლამენტაცია საერთაშორისო გაგებით. საბოლოოდ შემუშავდა საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის კონვენციის პროექტი, რომელიც 1988 წელს კანადის ქალაქ ოტავაში ჩატარებულ დიპლომატიურ კონფერენციაზე წარადგინეს განსახილველად 55 სახელმწიფოსათვის (მათ შორის იყვნენ აშშ, საფრანგეთი, გფრ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, და ა.შ.), რაც საბოლოოდ აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერით დასრულდა. ოტავის კონვენცია დღემდე რჩება საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის რეგულირების ძირითად აქტად. აღსანიშნავია, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი არცთუ დიდია, ამიტომ, რიგ შემთხვევებში, საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება ნაციონალური კანონმდებლობის საშუალებით ხორციელდება. ამის გარდა, ლიზინგის პირობებზე სერიოზულ გავლენას ახდენს მასში მონაწილე მხარეთა სახელმწიფოების ნაციონალური საბაჟო, სავალუტო და საგადასახადო კანონმდებლობა.

აღსანიშნავია, რომ ოტავის კონვენცია, კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემისათვის არატრადიციულად, ლიზინგს სამმხრივ გარიგებად მიიჩნევს. ვფიქრობთ, უფრო მისაღები იქნება, თუკი საერთაშორისო ფინანსურ ლიზინგს დავაკვალიფიცირებთ როგორც ურთგვარად რთულ ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს როგორც მიწოდებას (ურთიერთობა პროდუცენტ ორგანიზაციასა და ლიზინგის გამცემს შორის), ისე ქონების ქირავნობას (ურთიერთობა ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის).

აღნიშნული კონვენციის მე-2 პუნქტი ადგენს განსხვავებას ნაციონალურსა და საერთაშორისო ფინანსურ ლიზინგს შორის. კერძოდ, ამ უკანასკნელის შემთხვევაში:

— ლიზინგის გამცემი და მიმღები

უნდა იყვნენ სხვადასხვა სახელმწიფოს სუბიექტები. საგულისხმოა, რომ პროდუცენტი (მიმწოდებელი) შეიძლება იყოს ხელშეკრულების როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ქვეყნის სუბიექტი;

— ლიზინგის მიმღები აბსოლუტურად დამოუკიდებლად ირჩევს ლიზინგის საგანსა და პროდუცენტს. აქედან გამომდინარე, ლიზინგის გამცემი თავისუფლდება ქონების ნაკლთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან, ხოლო ლიზინგის მიმღებს პროდუცენტისადმი გააჩნია პრეტენზის წაყენების უფლება იმ მოცულობით, რაც გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან;

— ლიზინგური კომპანია პროდუცენტისაგან იძენს ქონებას სპეციალურად მისი შემდგომი გაქირავების მიზნით. ამასთან, გამყიდველი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის საბოლოო მომხმარებელი შემძენი (ლიზინგის გამცემი) კი არა, არამედ დამქირავებელია (ლიზინგის მიმღები), რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია უშუალოდ წაუყენოს პრეტენზიები გამყიდველს (პროდუცენტს). აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ლიზინგის მიმღები არ იმყოფება რა პროდუცენტთან სპელშეკრულებო ურთიერთობაში, მაინც გააჩნია გარკვეული უფლებები მოცულული პირის მიმართ;

— ლიზინგური დავალიანების ანგარიშსწორება ხდება ქონების ამორტიზაციის ვადასთან დამოკიდებულებაში.

საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი ძირითადად არაპირდაპირი ხასიათისაა (Indirect Lease), რაშიც იგულისხმება ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციათა არაპირდაპირი მონაწილეობა ლიზინგურ კომპანიათა დაფინანსებაში (დასავლეთ ევროპაში ბანკები აფინანსებენ გრძელვადიანი სესხებით ლიზინგით გაცემული აქტივების ღირებულების 80 პროცენტს.<sup>2</sup>). ამ შემთხვევაში კრედიტის ოდენობა დაკავშირებულია ლიზინგის გამცემის

<sup>2</sup> Газман. Лизинг. ст. 31

საქმიან რეპუტაციასა და მის გადამზღვდელ-უნარიანობასთან. ბანკი ერთგვარად ყიდულობს ლიზინგური კომპანიისაგან მისი კლიენტის ვალდებულებებს რეგრესის უფლების გარეშე, ითვალისწინებენ ლიზინგის მიმღების რეპუტაციასა და პროექტის ეფექტურობასაც. საბანკო დაწესებულებები გამოდიან გარანტის საჭითაც. ლიზინგის გამცემისათვის გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად (ლიზინგის მიმღებისადმი უკუმოთხოვნის უფლების გარეშე) წარმოდგება ლიზინგის საგანი და ლიზინგის საგადასახადო დავალიანება.

რაც შეეხება პირდაპირ ლიზინგს (Direct Lease), ამ შემთხვევაში პროდუცენტი და ლიზინგის გამცემი ერთი და იგივე პირია.

ოფავის კონვენციის მე-4 მუხლი განსაზღვრავს საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის საგანს, რაც შეიძლება იყოს ნებისმიერი სამეწარმეო დანიშნულების ძვირად ღირებული მოწყობილობა-დანადგარი. საერთაშორისო ლიზინგის საგანი მხოლოდ მოძრავი ნივთია. რაც შეეხება უძრავ ნივთს, იგი არატიპობრივია საერთაშორისო ბრუნვისათვის, რამეთუ ეს უკანასკნელი ყოველთვის იმ ქვენის იურისდიქციის ქვეშა, სადაც იგი ფიზიკურად იმყოფება.

საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებათა შეწყვეტა, უკეთეს შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადის დამთავრებას უკავშირდება. ხშირად გარიგებაში გათვალისწინებულია ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის შესყიდვა (Lease with purchase option) წინასწარ განსაზღვრული ფასით (ჩვეულებრივ ეს არის ქონების თავდაპირველი ღირებულების 1-დან 10 პროცენტამდე); გარდა ამისა, შეიძლება დაიდოს ახალი ხელშეკრულება ნაკლები ვადითა და შეღავათიანი ფასით, ან დაუბრუნდეს ლიზინგის საგანი ლიზინგურ კომპანიას. პრაქტიკაში ადგილი აქვს საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის ვადაზე ადრე შეწყვეტასაც, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ლიზინგის საგნის განადგურებით (როცა შეუძლებელია მისი ანალოგით

შეცვლა) ან მხარეთა მიერ ხელშეკრულების არსებითი პირობების დარღვევით. საერთა-შორისო პრაქტიკაში ვწვდებით ისეთი სახის დარღვევებს, როგორიცაა, ლიზინგის მიმღების მიერ საგადასახადო დავალიანების გადაუხდელობა, ლიზინგის საგნის დაუზღვევლობა, ამ უკანასკნელის მიმღინარე და კაპიტალური რემონტის ჩატარების უგულვებელყოფა და ა.შ. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ლიზინგის გამცემი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებას,

რაც ძირითადად მდგომარეობს პროდუცენტი (მიმწოდებელი) ორგანიზაციისათვის ლიზინგის საგნის ფასის გადაუხდელობაში.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ბრალეული მხარე ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზარალი, მთლიანად გადაიხადოს საგადასახადო დავალება საერთაშორისო ლიზინგის მთელი ვადის მოცულობით.

საქართველოში ლიზინგის განვითარება სულ რამდენიმე წელს ითვლის. მართალია, არსებობს ლიზინგის ხელშეკრულების ცალკეული შემთხვევები, თუმცა დღემდე არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში ლიზინგური ოპერაციების მოცულობის, ლიზინგის სტრუქტურის სტატისტიკა.

საერთაშორისო ლიზინგის ბიზნესის სტრუქტურა უდავოდ საინტერესოა საქართველოში ლიზინგური საქმიანობის ანალიზისა და პროგნოზირების მიზნით. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ამას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღსანიშნავია, რომ ლიზინგური კომპანიების ასოციაციის ევროპული ფედერაცია (LEASE-EUROPE) მუდმივად აგროვებს, სისტემატიზაციაში მოჰყავს და აქვეყნებს ასეთი სახის ინფორმაციებს.

და ბოლოს, გვსურს ჩამოვაყალიბოთ იმ ხელშემწყობი პირობების არსებობა საქართველოში, რაც აუცილებელია ჯანსაღი ნაციონალური და საერთაშორისო ლიზინგის ინდუსტრიისათვის. პირველ რიგში, ეს არის საიმედო მაკროეკონომიკური გარემო. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი

ქვეყნისათვის, კაპიტალურ მოწყობილობათა იმპორტირებისათვის საჭიროა უცხოური ვალუტა, თუმცა ეს დაკავშირებულია გარკვეულ სავალუტო რისკთან. ამისათვის ლიზინგურ კომპანიებს სჭირდებათ უცხოური ვალუტის კონვერტირება, ან ჰეჭირების ადგილობრივი მექანიზმები, რათა ლიზინგის შეთავაზება მოხდეს ეროვნული ვალუტით. გარდა აღნიშნულისა, საერთაშორისო ლიზინგის განვითარებას ემსახურება საიმედო ნორმატიული კლიმატი. ლიზინგის ადეკვატური ნორმატიული რეჟიმი აღნიშნულ ხელშეკრულებას წარმოადგენს კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების შეუდარებელ საშუალებად.

ლიზინგური ოპერაციების ბაზარი საქართველოში ჯერ კიდევ აუთვისებელია, „მოედანი“ თავისუფალია, ამიტომ მისი მაქსიმალურად სწორად გამოყენების შემთხვევაში საკმაოდ დიდი მოგების მიღებაა შესაძლებელი. სამამულო საწარმოებსა და მომხმარებლებს ეზრდებათ პირდაპირი ლიზინგური კავშირების

დამყარების მოთხოვნილება. საქართველოში დღეს არსებული მაღალი საექსპორტო პოტენციალის საწარმოები მზად არიან შეიძინონ მოწყობილობა-დანადგარები ლიზინგის საფუძველზე. ამისათვის, ბუნებრივია, აუცილებელია მათი გადამხდელუნარიანობის ზუსტი განსაზღვრა, დასავლური და ეროვნული კაპიტალის დაფინანსების საიმედო სქემების შემუშავება, აუცილებელი გარანტიებისა და კონტრგარანტიების მიღება, ეკონომიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართული ლიზინგური პროექტების შექმნა, რაც, თავის მხრივ, საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს. პრაქტიკაში ცხადყო, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად არ არის საკმარისი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში წარმოდგენილი ლიზინგის მარეგულირებელი ზუთი მუხლი. ვთვლით, რომ აღნიშნული საკითხი ცალკე საუბრის თემაა და გაცილებით მეტ ჩაღრმავებასა და სერიოზულ მსჯელობას მოითხოვს.

ეთევან ქოქრაშვილი,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



## მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის განვითარება

მეურვეობის და მზრუნველობის ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესია სამართლის ისტორიაში, რომელსაც კარგად იცნობს ძველი აღმოსავლეთისა და რომის სამართალი. აღნიშნული ინსტიტუტი მოიაზრებოდა როგორც კურატორობის ინსტიტუტი. ძველ რომში ფიზიკურ პირებს ოთხ ჯგუფად ყოფდნენ: პირველ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც ქმედუუნარო პირებად ითვლებოდნენ. მათ შეეძლოთ საჩუქრის მიღება. მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ სქესობრივად მოუმწიფებელნი. შემდგომი ჯგუფი სქესობრივად მომწიფებული პირები იყვნენ. ასეთებად მიიჩნეოდა თოთხმეტი წლიდან ოცდახუთი წლის ასაკამდე პირები. აღსანიშნავია ის გარემობა, რომ მეორე და მესამე ჯგუფის პირებს ენიშნებოდათ მზრუნველი (კურატორი). გარიგების დადების დროს აუცილებელი იყო მზრუნველის თანხმობა. ინსტიტუტების მიხედვით, თავიანთი საქმეების გადაწყვეტა მათ დამოუკიდებლად არ შეეძლოთ. ოცდახუთი წლიდან იწყებოდა სრული ქმედუნარიანობა. ასეთი ასაკობრივი ზღვარი არსებობდა ძველ რომში და შესაბამისად ასაკისა ენიშნებოდა რეურვე ან მზრუნველი.

რომაული სამართალი ზრუნავდა იმ პირებზეც, რომლებსაც არ ჰყავდათ პატრონი, ან მოკლებულნი იყვნენ მამის ხელისუფლებას, ასევე იმ ძავშვებზე, რომელთაც გარდაეცვალათ მშობლები. ზრუნვის საგანს წარმოადგენდა სულით ავად-

მყოფი პირებიც. რომის სამართლის მიხედვით მეურვეები ენიშნებოდა განქორწინებულ ქალებს და არასრულწლოვნებს. მზრუნველები კი, როგორც სრულწლოვანს, ისე სულით ავადმყოფებს.<sup>1</sup>

მეურვეობის და მზრუნველობის ინსტიტუტი ძველ რომში იცავდა და განაგებდა მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფი პირის ქონებას და მათ პიროვნულ უფლებებსა და ინტერესებს. ძირითადად მეურვედ ინიშნებოდა ის პირი, რომელიც ახლოს იმყოფებოდა სამეურვეო პირის ოჯახთან, როგორიცაა სამეურვეო პირის ოჯახის წევრი ან მისივე გვარის წევრი.

მეურვეობის და მზრუნველობის ინსტიტუტის არსებობაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ ძველ ბერძნებთან და რომაელებთან ქორწინებისას საჭირო იყო მშობლებისა და მეურვეების წინასწარი შეთანხმება ქორწინებაზე. ასეთი შეთანხმება ძირითადად მეურვის ან მშობლის პრეროგატივას წარმოადგენდა, რადგან ადგილი ჰქონდა ჩვილთა დაწინდვას (ვთქვათ 6-7 წლის ასაკში).<sup>2</sup> იგი ძირითადად გარიგებას წარმოადგენდა და აუცილებელი იყო მშობლის ან მეურვის თანხმობა.

<sup>1</sup> ვ. მეტრეველი, რომის სამართალი, თბილისი 1995 წ. გვ. 94.

<sup>2</sup> ვ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი, თბილისი 1974 წ. გვ. 93.

აველი ჩვეულების მიხედვით ჩვილი ბავშვების დაწიშნვას ხშირად შედეგად მოსდევდა ისეთი ნორმების დარღვევა, რაც რიგ უხერხულებას იწყევდა და მრავალრიცხოვანი სარჩელის საფუძველიც იყო, მშობლებისა თუ მეურვეების მხრიდან. ქრისტიანულმა რელიგიამ და რომის კანონმდებლობამ ნიშნობისათვის აღიარა შვილი წლის ასაკი, რასაც აუცილებლად მშობლის ან მეურვის თანხმობა უნდა მოჰყოლოდა.

ჰიზანტიის კანონმდებლობის თანახმად, იმ აუცილებელ პირობებს შორის, რასაც ქორწინება უნდა მოჰყოლოდა ერთ-ერთი მთავარი იყო ქალ-ვაჟის, მშობლების ან მეურვის თანხმობა. მაშასადამე, იმდროინდელ ბიზანტიურ სინამდვილეში – XII-XIV საუკუნეებშიც ვხვდებით ჩვილი ბავშვების ნიშნობას და ეს გამონაკლის წარმოადგენდა. ნიშნობისათვის აუცილებელი იყო დასანიშნ პირთა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი წარმომადგენლები ბოროტი განზრახვით არ იძლეოდნენ თანხმობას ნიშნობაზე, შესაძლებელი იყო სასამართლოს მეშვეობით მათთვის გვერდის ავლა. აქ შეინიშნებოდა ანალოგია ძველ და ახალ კანონმდებლობას შორის, როცა არასრულწლოვანთა დაქორწინებისას აუცილებელია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (სამოქალაქო კოდექსის 1108 მუხლი). მისი არაარსებობის შემთხვევაში კი პატივსადები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეუძლია მისცეს სასამართლომ.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, საქორწინო-საოჯახო ურითიერთობებში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეურვეობის და მზრუნველობის ინსტიტუტი ძველ საბერძნეთში, ბიზანტიისა და რომიში.

რომისა და ბიზანტიის სამართალში ფეხმოკიდებულმა ამ ინსტიტუტმა კვალი დამჩნია კანონმდებლობის განვითარებას, როგორც რომის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში, ისე მისი რღვევის შედეგად წარმოშობილ სახელმწიფოებში. შესაბამისად, აღინიშნება თავისებური გავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნების კანონმდებლობათა

განვითარებაზე და მათ შორის გარკვეულ წილად საქართველოში ჩამოყალიბებულ სამართალზეც.

საქართველოში მეურვეობის და მზრუნველობის ინსტიტუტის განვითარების ისტორია არ ყოფილა ერთგვაროვანი. სანამ განვიზილავდეთ ამ ინსტიტუტის არსები და მნიშვნელობას ფეოდალური საქართველოს პირობებში, ინტერესმოკლებული არ იქნება შევეხოთ თვით ცნებების – მეურვეობისა და მზრუნველობის ეტიმოლოგიას. ამ ინსტიტუტის დღევანდელი ეტიმოლოგია გვიანდელია. ტერმინები მეურვე-მეურვეობა, მზრუნველი-მზრუნველობა გამოიყენება ვისიმეს მეთვალყურეობის, მზრუნველობის განხორციელების მნიშვნელობით.

ტერმინი „მეურვეობა“ და „მზრუნველობა“ თავისი შინაარსით ზუსტად მიესადაგება იმ ფუნქციის განხორციელებას, რაც წარმოადგენს ამ ინსტიტუტის დაიმუშავებულებას. დისერტაციაზე მუშაობისას სხვადასხვა ლექსიკონების გამოყენებისას, რამე განსაკუთრებული მინიშნება ამ ტერმინთან დაკავშირებით არ შეგვხვედრია. აღნიშნული ინსტიტუტის შესატყვისი ქართული სიტყვა იგივე რაც ამ ინსტიტუტის სახელწოდებაა, რაც პირდაპირი გაგვით ნიშნავს ვინმეზე ზედამხედველობას, მზრუნველობის განხორციელებას.

ძველი ქართული საოჯახო სამართლის ძეგლებში ძირითადად ასახულია საქორწინო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები, არასრულწლობან ქალ-ვაჟთა ქორწინების წესი და პირობები. „ძეგლის წერიდან“ ჩანს, რომ მე-12 საუკუნის დასაწყისამდე საქართველოში გავრცელებულ ყოფილა „რასრულწლოვან ქალ-ვაჟთა დაქორწინება“. ხსენებული საკანონმდებლო ძეგლის მიზედვით, შესაძლებელი ყოფილა „ჩვილ ქალ-ყრმათ დაწინდვა“<sup>4</sup> და მათი შემდგომი ცოლქმრული ბეჭის გადაწყვეტა მშობლებისა და მეურვეების მეცვეობით. ფეოდალურ საქართველოში და განსაკუთრებით ფეოდალურ საზოგადოებაში ასეთი ქორწინება უმეტესად დასაქორწინებელ პირთა მშობლების ეკონომიკური ხასიათის გარებას წარსოდგენდა.

საქართველოში მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებული ფეოდალური წყობილე-

<sup>3</sup> შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი 1998 წ. გვ. 30.

<sup>4</sup> გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვეები, თბ., 1971 წ. კვ. 102.

ბისათვის დ.მახასიათებელი ურთიერთობანი განსხვავდებოდა ბურუჟუაზიული საზოგადოების დროის არსებული საგავსი ურთიერთობებისაგან.

ფეოდალურ ეპოქაში, მაშინ, როცა სახეზეა დიდი ოჯახები, საგვარეულო წყობილების ნაშთები, თავისი ქართული წესითა და ტრადიციებით ნაკლებდ დგას დღის წესრიგში ზემოთ ხსენებული ინსტიტუტის დეტალური მოწესრიგების აუცილებლობა. თუმცა, არსებობდნენ უპატრონო პატვები, უმეთვალყურეო, მშობლის მზრუნველობას მოკლებული პირები. საქმე იმაშია, რომ დად, ქართულ ტრადიციულ ოჯახებში ადგილი ჰქონდა ობოლ ბავშვთა შეფარებას, მათზე მეურღობის განხორციელებას ახლობლებისა და ნ.თ.სავების მხრიდან და ამდენად ქუჩაში მიგდეული უმეთვალყურეო ბავშვთა რაოდენობა არ ჰეთჩინოდა. ძველ საქართველოში მეურღობის და მზრუნველობის ინსტიტუტი ნათესაური კაშირის ფარგლებში იყო მოქცეული და უპატრონი და ობოლი ბავშვების არსებობა ნაკლებად შეირშნებოდა.

საქართველოში მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში შედგენილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძის დავით ბატინიშვილის სამოქალაქო ჰსჯულდება, საინტერესო ცნობებს იძლევა მეურღობის და მზრუნველობის შესახებ.

ბატონიშვილის სამართალი იცნობს მეურღობის ინსტიტუტს, რომელიც ეხება მეურღობის განხორციელებას სხვადასხვა სფეროში. „ვექილი“, აქ მეურღეს იშნავს, რომელიც ენიშნებოდა ობოლ ბავშვებს..

საინტერესო როგორ ხორციელდებოდა მეურღობის ფუნქციები დიდ ოჯახებში. მცირეწლოვანს, რომელიც დარჩებოდა მშობლის მზრუნველობის გარეშე „დაუწესებდნენ მას კაცს ზედამხელედ... და სანამ მოიზრდებოდა მის ახლო მოაიესავეს მიაბარებდნენ ყოველსავე მის და შევეღლოს მამულსა და შემოსავლის დამცველად“<sup>5</sup> ობოლთა უზენაესი ჭირისუფალი იმდროინდელ საქართველოში (ქართლ-კახეთში) მეფეა, ხილო მეურღე შესაძლებელი იყო ყოფილიყო ვაიესავთა წრიდან, ხოლო ზედამხედ-

ველი შესაძლებელია ყოფილიყო ნათესავთა წრიდან ან გარეშეთაგანაც. სამეურვეო დაწესებულებას „ობოლთა მფარველი“ ეწოდებოდა. ობოლთა მფარველად ინიშნებოდნენ ნათესავები, ხოლო თუ უცხო პირი შეასრულებდა ამ ფუნქციას, კანონით წლიური ჯამაგირი მიეცემოდათ.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში იწყება დიდი ოჯახების დაშლის პროცესი. ჩამოყალიბებას იწყებს თანამედროვე ტიპის ოჯახები. ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა ახალი მოთხოვნები და ამოცანები დაუსახა ქართულ ტრადიციულ ოჯახებსაც, რაც განპირობებული იყო კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებით. საჭირო გახდა მეურღობის და მზრუნველობის მომწესრიგებელი ნორმების შემუშავება.

რუსეთთან შეერთების პროცესმა ბევრი მავნე შედეგები გამოიღო. იძალა მიგდებული ბავშვების რიცხვმა. ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში გაჩნდა შესაბამისად ახალი სამართლებრივი რეჟიმი, მათ შორის საოჯახო სამართალში არსებული ინსტიტუტები, კერძოდ, მეურღობის და მზრუნველობის ინსტიტუტის მიმართაც.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიღებული იქნა საბჭოთა კანონმდებლობა, რომელმაც შედარებით სრულყოფილად მოაწესრიგა აღნიშნული ურთიერთობები. თუმცა, სოციალიზმის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, განსაკუთრებით მომრავლდა უპატრონო ბავშვები, ადგილი ჰქონდა მათი შრომის ექსპლუატაციას. ჯერ კიდევ შეინიშნებოდა კულაკური ტიპის მეურნეობები, სადაც გამოიყენებოდა უპატრონო ბავშვთა ექსპლუატაცია. წვრილი ბურუჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მოეხდინათ სხვისი შრომის ექსპლუატაცია განსაკუთრებით უმეთვალყურეო, უდედმამო ბავშვებისა.

1918 წლის 16 სექტემბერს მიღებულ იქნა კოდექსი „მოქალაქებრივი მდგომარეობის აქტების, საქორწინო, საოჯახო და სამეურღო სამართლის კანონების შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის ძალით წესრიგდებოდა მეურღობის და მზრუნველობის საკითხები. ამ დროს მეურღობის და მზრუნველობის ორგანოები არ იყო ჯეროვნად განვითარებული და ვერ უწევდნენ შესაბამის კონტროლს უმეთვალყურეო ბავშვთა არმიას. საჭირო გახდა უდედმამო ბავშვთა

<sup>5</sup> დ. ფურცლაძე, სამოქალაქოს ჰსჯულვილება. თბ., 1960 წ. მც. აკადემ. გამომც.

სახლებისა და სკოლა-ინტერნატების გახსნა, რომელიც თავშესაფარი გახდებოდა ობოლი ან უმჯეოვალყურეო ბავშვებისათვის.

სამოქალაქო ომის პირველ წლებში ბევრი ბავშვი დაობლდა, იმატა უდედმამო ბავშვთა რიცხვმა. აუცილებელი გახდა მრავალი ღონისძიებების გატარება ამ საშინელი შედეგების ლიკვიდაციისათვის. 1921 წლის არნახულმა შიმშილმა წარმოუდგენლად გაზარდა ობოლ ბაშვთა რიცხვი. მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოები აქტიურად ჩაება მათ გადასარჩენად. გამოიყენებოდა ბავშვთა მოთავსება უცხო ოჯახებში,, სადაც მათზე დაკისრებულ ამოცანას პირნათლად ასრულებდნენ და საკუთარი ბავშვებივით ეპყრობოდნენ მათ.

კანონმდებლობამ გაითვალისწინა არა შხოლოდ ბავშვებზე მზრუნველობის ფაქტები, არამედ უფრო მეტად იგი ითვალისწინებდა ბავშვების ოჯახურ პირობებში ფიზიკურ და სულიერ, აგრეთვე მორალური აღზრდის აუცილებლობას.

დღიდი სამამულო ომისა და შემდგომი პერიოდისათვის სახეზე იყო მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების, ობლების დღიდი რაოდენობა. მათი პრობლემების გადაჭრის მიზნით კიდევ უფრო დაიხვეწა ამ სფეროში სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორ-

მები. შედგენილ იქნა დამატებები და ცვლილებები საქართველოს საოჯახო და სქორწინო სამეურვეო კანონთა კოდექსში, რომელიც მიღებულ იქნა ცვლილებებითა და დამატებებით 1955 წ. 1 აპრილს. ამ კანონს გააჩნდა გარკვეული ნაკლი, რაც ვლინდებოდა იმაში, რომ მოქალაქეების მხრივ მეურვეობის და მზრუნველობის განხორციელება არ ატარებდა ნებაყოფლობით ხასიათს. მეურვეობის და მზრუნველობის ჰოვალეობის შესრულება სავალდებულო იყო.

აღნიშნული ინსტიტუტის სრულყოფა მოხდა 1970 წლის 18 იანვარს საქორწინო-საოჯახო კოდექსით. კანონმდებლობის სრულყოფასთან ერთად ნათელი გახდა, რომ მეურვეობას და მზრუნველობის ინსტიტუტი მოითხოვდა დაცვეწასა და განვითარებას. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მოუხედავად ამისა, დღესაც გრძელდება არასრულწლოვანთა, სრულწლოვანთა მაგრამ ქმდეუნაროთა ან შეზღუდულქმედუნარიანთა პრობლემების სრულყოფისათვის გზების გამონახვა.

ამდენად მეურვეობის და მზრუნველობის ინსტიტუტმა სერიოზული ევოლუციური გზა გაიარა. თანამედროვე სამართლისათვის დამახასიათებელია ამ ინსტიტუტის უნიფიკაცია. ახალი ქართული სამოქალაქო კოდექსი, სწორედ სამართლის განვითარების ამ პროცესს ეხმიანება.

ასეა გეგავა,  
თსუ სოხუმის გილიალის  
სამოქალაქო კათედრის მსწავლებელი.

## ლევან ნანობაშვილი

# კომპიუტერული პროგრამა, როგორც საავტორო საპარტნის ნორმებით დაცული ნაზარმოვნები

საუკუნეთა გამავლობაში წიგნი იყო და რჩება საავტორო ამართლის ნორმებით დაცულ ყველაზე მრავალრიცხოვან და მნიშვნელოვან ნაწარმოებად. აგრამ, დროთა განმავლობაში წარმოიშვა ბევრი ახალი ობიექტი, რომელზე-დაც გავრცელდა საავტორო სამართლებრივი დაცვა. სწორედ მათრიცხვს მიეკუთვნება კომპიუტერული პროგრამული პროგრამები.

პირველი ელექტრონული გამომთვლელი მანქანა შეიქნა 1946 წელს აშშ-ს პენსილვანიის უნივერსიტეტში თავდაპირველად კომპიუტერი იყო იმდენად ძვრი, რომ მხოლოდ სახელმწიფოს და მსხვილ კომპანიებს თუ შეეძლოთ მისი შეძენა. მომხმარებელი ყიდულობდა კომპიუტერს და მის პროგრამას ერთი მწარმოებლისაგან, პროგრამას კი ქმნიდა თავად კომპიუტერის დამამზადებელი და იგი იყო განკუთვნილი მხოლოდ ერთი ონკრეტული მანქანისთვის. ამ პერიოდში ამგვრი ურთიერთობები წესრიგდებოდა ვალდებულებითი და არა საავტორო სამართლის ნორმებით.<sup>1</sup> მაგრამ დროთა განმავლობაში მდგომარება შეიცვალა. პერსონალური კომპიუტერების გამოგონებამ აქცია იგი ნებისმიერი დაწესებულების აუცილებელ ატრიბუტად, გაიზარდა მათი რიცხვი ოჯახებშიც. შესაძლებელი გახდა ერთ პროგრამის გამოყენება სხვადასხვა მწარმოელის კომპიუტერისათვის. პირო-

ბების შეცვლის შედეგად თავად პროგრამების ავტორებმა მოითხოვეს მათი უფლებების დაცვა. პირველი კანონები, რომლებიც იცავდნენ პროგრამების ავტორთა უფლებებს მიღებულ იქნა აშშ-სა და საფრანგეთში შესაბამისად 1980 და 1985 წლებში.

არსებობს მოსაზრება, რომ საავტორო სამართლის ნორმებით პროგრამის დაცვა საკმაოდ არა-საიმედოა.<sup>2</sup> მაგრამ პროგრამა შეიძლება იყოს დაცული მხოლოდ საავტორო სამართლის ნორმებით და არა როგორც სამრეწველო საკუთრების სამართლის ობიექტი. ძალიან ხშირად პროგრამა ცვლის რაიმე ტექნიკურ მოწყობილობას, მაგალითად, საბეჭდ მანქანას, ავტომობილის თერმოსტატს და ა.შ. თავდაპირველად საბეჭდი მანქანის და თერმოსტატის დაცვისათვის გამოიყენებოდა საპატენტო სამართალი, მაგრამ ანოლაგიური ფუნქციების განმახორციელებელი პროგრამების შექმნის შემდეგ მათი დაცვა ხდება საავტორო სამართლის ნორმებით. ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ პროგრამები ვითარდება საფეხურებით და მათთვის მეტისმეტი დაცვის მინიჭებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს შემდგომ პროგრესზე.<sup>3</sup> მაგრამ, სირთულეების მიუხედავად, პროგრამის დაცვა საავ-

<sup>2</sup> Фолсом Р., Гордон М., Спаногл Д., "Международные сделки" М. 1996 стр. 194.

<sup>3</sup> Robert A. German, Jane G. Ginsburg "Copyrigth for the nineties." 1993 p. 710.

<sup>1</sup> Мэггс П.Б., Йергеев А.П. "Интеллектуальная собственность" 200 стр. 57.

ტორო სამართლის ნორმებით არის ყველაზე ეფექტური და ერთადერთი შესაძლებელი გზა.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის (შემდგომში კანონი) მიხედვით კომპიუტერული პროგრამა არის ინსტრუქციათა ერთობლიობა სიტყვების, კოდების, სქემების ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა აამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგის მისაღწევად. (მუხლი 4, პუნქტი “კ”).

კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით კი კომპიუტერული პროგრამა მიჩნეულია ლიტერატურულ ნაწარმოებად წიგნის, ბროშურის ან სტატიის მსგავსად. ერთი შეხედვით შეუძლებელია წინამდებარე სტატიისა და პროგრამისა მსგავს ნაწარმოებად მიჩნევა, მაგრამ ლიტერატურული ნაწარმოების ცნება მოიცავს როგორც წერილობით, ისე ზეპირ ნაწარმოებს. სტატიასა და პროგრამის შორის ურთიერთკავშირი განპირობებულია სწორედ მათი წერილობითი ხასიათით.

პროგრამის არსები უკეთ გარკვევის მიზნით საინტერესოა მისი შექმნის პროცესისა და სახეების მოკლე დახასიათება.

პროგრამა წარმოადგენს ინსტრუქციათა ერთობლიობას, რომლებიც გამოიხატება სიტყვების, კოდების, სქემების, ციფრების ან ნებისმიერი სხვა ფორმით. იგი წარმოადგენს ხანგრძლივი და მოსაწყენი საქმიანობის განხორციელების საშუალებას. კომპიუტერს არ გააჩნია ადამიანური გრძნობები და იგი ვერ იტყვის უარს ასეთი ამოცანის შესრულებაზე. ადამიანი კი რჩება თავისუფალი და შეუძლია გააკეთოს ის, რისი შესრულება არ შეუძლია მანქანას.

პროგრამა იქმნება შესაბამისი სპეციალისტის (პროგრამისტის) მიერ კომპიუტერულ ენაზე.<sup>4</sup> მისი შექმნის პროცესი არის საკმაოდ ხანგრძლივი და მოითხოვს დიდ სიფრთხილესა და სიზუსტეს. ასეთი გზით შექმნილი პროგრამა შეიძლება იყოს წაკითხული და გაგებული ადამიანის მიერ. მას ეწოდება პროგრამის საწყი-

სი ტექსტი (კოდი). კანსხვავებით ადამიანისაგან, კომპიუტერი ვერ აღიქვავს საწყის ტექსტს, თუ არ მოხდა მისი გადაყვანა იბიექტურ (ბინარულ) კოდში. ობიექტური კოდი წარმოადგენს ციფრების – ერთიანებისა დ. ნულების ერთობლიობას, რომლებიც დაჯიუფებულია რვა ციფრად და იწვევს კომპიუტერში გარკვეულ პროცესებს – ელექტრონული წრეების შეკვრას და გათიშვას. ნებისმიერი პროგრამა ან კომპიუტერის მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ ორი ციფრის: ნულისა და ერთიანის კომბინაციას. პროგრამის შექმნის პროცესი არის საკმაოდ პიმზიდველი, მაგრამ, არა მხოლოდ მატერიალური ან საეცნიერო თვალსაზრისით, არამედ წინდა ესთეთიკური მხარითაც, რითაც იგი ემსკავსება ღიტერატურული ნაწარმოების შექმნის პროცესს<sup>5</sup>.

დანიშნულების მიხედვით პროგრამები იყოფა სამ ძირითად სახედ: 1. ოპერაციული პროგრამა – იგი განკუთვნილია კომპიუტერის შიდა მუშაობისათვის და სხვა პროგრამების მართვისათვის. ოპერაციული პროგრამა არის კომპიუტერული პროგრამების ყველაზე რთული სახე; 2. გამოყენებითი პროგრამა, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული ამოცანის გადასწყვეტად: დოკუმენტის, ცხრილის შედგენისათვის, ანტივირუსული და საბუღალტრო პროგრამები და სხვა; 3. ინსტრუმენტალური პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც იქმნება ახალი პროგრამები. მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ე.წ. “მთარგმნელი” პროგრამა, რომელიც გრდაქმნის საწყის ტექსტს ობიექტურ კოდით.<sup>6</sup>

პროგრამა არის ინსტრუქციათა ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც კომიუტერში ხდება გარკვეული პროცესების წარმართვა. მაგრამ, საავტორო სამართლის ერთ-ერთ უუძლებლურ პრინციპი ას წარმოადგენს ის, რომ, იდეის მსგავსად, იგი არ იცავს პროცესებს. ხორციელდება საავტორო უფლებით კომპუტერული პროგრამის დაცვა სამართლის ამ კარგის ძირითად პრინციპი პებს?

<sup>4</sup> უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერულ ენაზე საავტორო უფლება არ ვრცელდება. იხ. Закон Российской Федерации о “Правовом охране программ для ЭВМ и баз данных” 23 сентября, 1992 г. статья 3.

<sup>5</sup> Donald E. Knuth. “The Art of Computer Programming” (2-nd ed.) 1973.

<sup>6</sup> Вехов В.Б. “Компьютерные преступления” М. 1996 стр. 26-27.

საავტორო სამართლი იცავს პროგრამას, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით და არა იმ ელექტრონულ პროცესებს, რომლებსაც იგი იწვევს კომპიუტერში. კულინარული რეცეპტების წიგნიც წარმოადგენს გარკვეულ ინსტრუქციათა ერთობლიობას, რომლებსაც ასრულებს ადამიანი, მაგრამ საავტორო სამართლი ამ შემთხვევაში იცავს რეცეპტების გამოხატვის ფორმას და არა წიგნში მოცემულ იდეას ან მის საფუძველზე განხორციელებულ პროცესს.

პროგრამა შეიძლება ჩაიწეროს სპეციალურ მიკროსქემაზე ან მაგნიტურ მატარებელზე, მაგრამ იგი არ იქცევა კომპიუტერის ჩვეულებრივ ნაწილად. რაც გამორიცხავდა საავტორო სამართლის ნორმებით მისი დაცვის შესაძლებლობას. პროგრამა არ შეიძლება მივიჩნიოდ კომპიუტერის ჟემადგენელ ნაწილად, ისევე როგორც ფონოგრამა – ხმის ჩამწერი მანქანის. ნებისმიერ შემთხვევაში პროგრამა არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით და ფორმის წარმოეშვება მასზე საავტორო უფლება. ეს ყოველივე ეხება იმ პროგრამას ან თუნდაც სხვა ნაწარმოებს, რომელიც იქმნება კომპიუტერის მეშვეობით და ინახება მის მეხსიერებაში. იგა ჩაითვლება შემნილად აკრეფის მომენტიდან, ისევე როგორც წერილობითი ნაწარმოები – ქაღალდზე დაწერის მომენტიდან. არსებობს მოსაზრება, რომ ცალკე აღებულს პროგრამას არ გააჩნია არანაირი ღირებულება, თუ იგი არ იქნება გამოყენებული კომპიუტერთან ერთად. აგრამ ეს გარემოება ვერ მოახდენს გავლენას საავტორო სამართლის ნორმებით პროგრამის დაცვაზე.

საკმაოდ თავისებურია პროგრამის ეგზემპლიარის ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგი. მყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება იმავდროულად იწვევს სალიცენზიონ ხელშეკრულების დადებასაც რომელის პირობები წინასწარ და ცალმხრივად განსაზღვრულია ავტორის მიერ და მოავსებულია პროგრამის შეფუთვაზე (ე.წ. "Оберготный договор")<sup>8</sup>. ამასთან,

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული პროგრამების უმეტესობაზე სალიცენზიონ ხელშეკრულების პირობები მოცემულია არაქართულ ენაზე და, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლიდან გამომდინარე, არ წარმოშობს მყიდველისათვის რაიმე სამართლებრივ ვალდებულებას.<sup>9</sup>

კანონში მოცემულია რამდენიმე მუხლი, რომლებიც ეხება მხოლოდ პროგრამებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც "კომპიუტერული პროგრამის დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიუტერულ პროგრამაზე (ოპერაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით".

საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის გათანაბრება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ციფრულის თანმიმდევრობის საავტორო სამართლის ნორმებით დაცვის შესაძლებლობა არაურთხელ გამხდარა სადაც.<sup>10</sup>

პროგრამა ხშირად წარმოადგენს თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებს და, შესაბამისად, მასზე ვრცელდება თანაავტორთა სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი ყველა ნორმა.

თუ პროგრამა შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურებრივი ნაწარმოები), თავად სამუშაოს მიმცემი სარგებლობს შექმნილი პროგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლებით, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (მუხლი 16, პუნქტი 3).

ძირითადი ქონებრივი უფლებების გარდა პროგრამის ავტორს გააჩნია კოდევ რამდენიმე უფლება, რომლებსაც ითვალისწინებს კანონის მე-19 მუხლი.

პროგრამის ავტორს შეუძლია განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს პროგრამის რეპროდუცირება (გამრავლება). რეპროდუცირების ზოგადი უფლებისაგან ეს კონკრეტული

<sup>7</sup> Arthur R. Miller, Michael H. Davis "Intellectual Property" (Patents, Trademarks and Copyright) (2-nd ed.) 1990 p. 306.

<sup>8</sup> Мэгги П.Б., Сергеев А.П. "Интеллектуальная собственность" 2000 с.п. 88.

<sup>9</sup> იხ. ავრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე. თბ. 2001, გვ. 188.

<sup>10</sup> Robert A. German, Jane G. Ginsburg "Copyright for the nineties." 1993 p. 705.

შემთხვევა განსხვავდება იმით, რომ იგი გულისხმობს პროგრამის რეპროდუცირებას ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ. ე.ი. საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის გამრავლებას, იქნება იგი დაწერილი ქაღალდზე თუ შენახული კომპიუტერის მეხსიერებაში. ავტორს შეუძლია აკრძალოს ან ნება დართოს როგორც მთლიანი პროგრამის, ისე მისი ნაწილის რეპროდუცირება. ავტორის თანხმობა აუცილებელი მაშინაც, როდესაც რეპროდუცირება, საჭიროა პროგრამის ჩატვირთვის, ჩვენების, მუშაობის, გადაცემის ან შენახვისათვის.

პროგრამის ავტორს შეუძლია განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს პროგრამის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება.

გვარდა ზემოთმოყვანილი ორი უფლებისა, ავტორს შეუძლია გაავრცელოს საზოგადოებაში პროგრამის ორიგინალი ან ასლები ნებისმიერი ფორმით, გაქირავების უფლების ჩათვლით. ავტორის მიერ ან მისი თანხმობით პროგრამის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გავრცელების (მაგრამ, არა გამრავლების) კონტროლის უფლება, გარდა უფლებისა გააკონტროლოს პროგრამის ორიგინალის ან ასლების შემდგრობი გაქირავება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ეგზემპლიარის გაქირავების შესაძლებლობას, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რადგანაც ეს იწვევს მის უნებართვო გამრავლებას.<sup>11</sup>

ფურიზოკურ პირებს არ შეუძლიათ მოაწდინონ კომპიუტერული პროგრამის რეპროდუცირება პირადი სარგებლობის მიზნით, გარდა 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მუხლი 21).

კუანონის 29-ე მუხლი აწესრიგებს პროგრამის ათვისუფალ გამოყენებასთან (დეკომპილირებასთან) დაკავშირებულ ურთიერთობებს. დეკომპილირება ნიშნავს ობიექტური კოდის გარდაქმნას საწყის ტექსტად, რაც ხდება სპეციალური მოწყობილობის ან პროგრამის მეშ-

ვეობით. ასეთი გარდაქმნის მიზანია პროგრამებს შორის ურთიერთქმედების უნარის მიღწევა. მაგალითად, ოპერაციულ და გამოყენებით პროგრამებს შორის.

არსებობს მოსაზრება, რომ ობიექტური კოდის დეკომპილირება პროგრამის მუშაობის გააზრების მიზნით არ უნდა მოექცეს სავტორო სამართლის რეგულირების სფეროში, რადგანაც იგი არ იცავს იდეას ან „ზროვნების პროცესს.<sup>12</sup>

დეკომპილირების განხორციელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც პარი მართლზომოერად ფლობს პროგრამას და მანვე დამოუკიდებლად შექმნა სხვა პროგრამა მათ შორის ურთიერთქმედების უნარის მისაღწევად შემდეგი პირობების დაცვით: 1. პირი მართლზომიერად ფლობს პროგრამას და აქვს მისი ეგზემპლიარის გამოყენების უფლება; 2. ურთიერთქმედების უნარის მისაღწევად საჭირო ინფორმაცია სხვა წყაროებიდან აღრე არ ყოფილა მისთვის ხელმისაწვდომი; 3. მოქმედება ეხება პროგრამის იმ ნაწილებს, რომლებც აუცილებელია ურთიერთქმედების უნარის მისაღწევად; 4. ასეთი გზით იღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ პროგრამებს შორის ურთიერთქმედების მისაღწევად და არა რაიმე სხვა მიზნით (მუხლი 29).

კანონში მოცემულ პრიგრამის ცნებაში აღნიშნულია, რომ „ტერმინი მრიცავს კომპიუტერული პროგრამის დიზაინის მოსამზადებელ მასალას“ (მე-4 მუხლი, პუნქტი ‘კ’).

პროგრამის გარეგნული სახე (დიზაინი) საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალისა, გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ კომპიუტერის მოსარგებლე აღიქვავს მხოლოდ დიზაინს (ვიზუალურ და ხმოვან პროცესებს. მისთვის სულერთია, თუ რა გზით ასრულებს პროგრამა მის ბრძნებებს, მაგრამ მნიშვნელივნია პროგრამის ფერი, ზომა, განლაგება კომპიუტერის ეკრანზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, დრაივის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი იანი მიაყენოს პროგრამის ავტორს. მაგრამ, დისანი არ უნდა გავაიგივოთ პროგრამის გარეშეულ სტრუქტურასთან (ცალკეული ბრძანებების კანლაგებასთან), რომელ-

<sup>11</sup> Мэгgs П.Б., Сергеев А.П. „Интеллектуальная собственность“ 2000 стр. 242-243.

<sup>12</sup> Robert A. German, Ian G Ginsburg “Copyrigth for the nineties.” 1993 p. 767.

იც საერთო ჯიშაინის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არა ექვეალენტი.

ძალიან ხშირად ხდება ისე, რომ ერთი ამოცანის შესრულებლისათვის განკუთვნილ სხვადასხვა პროგრამაში კამიიყენება ბრძანებების განლაგების ერთნაირი სისტემა. რაც არაერთხელ გამხდარა სასამართლო დავების მიზეზი.<sup>13</sup> მაგრამ, ბრძანებების რაოდენობა ან განლაგების თავისებურებანი თავისავად არ წარმოადგენენ პროგრამის დაცულ ელემენტებს. მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში საუბარია თავად იდეაზე და არა იდეის გამოხტევის ფორმაზე. ბრძანებების განლაგება პროგრამის გარეგნულ სახეში შეიძლება შევადაროთ ოპიუტერის კლავიატურის განლაგებას ან აუტომანქანის საწვავის მაჩვენებელს, რომლებიც არ წარმოადგენენ ავტორის ინტელექტუალურ-შემიქტედებითი საქმიანობის შედეგს და რომლებზეც რ ვრცელდება საავტორო უფლება. უნდა აღიაშნოს, რომ აშშ-ში თავდაპირველად ცალ-ცალკე ხდებოდა პროგრამის კოდის, როგორც წერილობითი ნაწარმოების, და დიზაინის, რიგორც აუდიოვიზუალური ნაწარმოების, რეგისტრაცია. შემდგომში შემოღებულ იქნა ერთიანი რეგისტრაცია, ხოლო 1989 წელს აშშ-ს ბერნის კანვენციისადმი მიერთების შემდეგ რეგისტრაციის აუცილებლობა გაუქმდებულ იქნა ყველა ნიწარმოების მიმართ.<sup>14</sup>

საავტორო უფლება პროგრამაზე წარმოიშვება მისი შექმნის მომენტიდან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყი ვრცელდება როგორც საწყისს ტექსტზე, ისე იბიექტურ კოდზე, ქაღალდზე დაწერილ თუ კომპიუტერის მეხსიერებაში შენახულ პროგრამაზე. ნაწარმოებად მიჩნევა ცალკეული ალგორითმი – ინსტრუქციათა თანმიმდევრობა განააღვრული ამოცანის გადასწყვეტად.<sup>15</sup>

პროგრამაზე არ ვრცელდება საავტორო უფლება, თუ იგი წერილი განსაზღვრული შედეგის მიღწევის ერთადერთ საშუალებას, ე.ი. არის

იდეა და არა ამ იდეის გამოხატვის ერთ-ერთი შესაძლებელი გზა.<sup>16</sup>

ზოგჯერ საკმაოდ რთულია პროგრამაში მოცემული იდეისა და მისი გამოხატვის ფორმის ერთმანეთისაგან გამოჯვნა. საავტორო სამართლი კი იცავს მხოლოდ მეორეს. გამოხატვის ფორმად ყველაზე ხშირად მიჩნევა პროგრამის საერთო სტრუქტურა, მუშაობის ძირითადი თავისებურებანი, კომპიუტერის მართვისა და კონტროლის ფორმები და ა.შ.

საავტორო უფლება პროგრამაზე მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში. ასეთი ვადა სავსებით საკმარისია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-20 საუკუნის 60-70 წლებში შექმნილ პროგრამებსაც კი დღეს არავინ აღარ იყენებს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს არა მხოლოდ პოზიტიურ, არამედ ახალ ნეგატიურ მოვლენებსაც. პროგრამების შემთხვევაში ასეთს მიეკუთვნება კომპიუტერული პროგრამის თავისებური სახე – ვირუსი. ვირუსი იგივე პროგრამაა, მაგრამ მისი მთავარი მიზანია სასარგებლო პროგრამის განადგურება ან მუშაობის შეფერხება. ვირუსებს შეისწავლის ახალი მეცნიერება – კომპიუტერული ვირუსოლოგია, რომელიც განასხვავებს რეზიდენტულ და არარეზიდენტულ, ვულგარულ და დანაწევრებულ ვირუსებს.<sup>17</sup> ვირუსი ასრულებს რომელიმე ამგვარ ალგორითმს: “წაშალე ამ პროგრამის სრული ინფორმაცია, გადადი სხვა კომპიუტერში და გააკეთე იგივე”. ტერმინი “კომპიუტერული ვირუსი” საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხდება, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე მუხლით ელექტრო-გამომთვლელი მანქანის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ვირუსის საკითხი არის საკმაოდ თავისებური საავტორო სამართლებრივი თვალსაზრისით. პროგრამა წარმოაგდენს საავტორო უფლებით დაც-

<sup>13</sup> Robert A. German, Jane G. Ginsburg “Copyright for the nineties.” 1993 p. 731-747

<sup>14</sup> Arthur R. Miller; Michael H. Davis “Intellectual Property” (Patents, Trademarks and Copyright) (2-nd ed.) 1990 p. 309

<sup>15</sup> Мэгgs П.и., Сергеев А.П. “Интеллектуальная собственность” 2000 стр.205

<sup>16</sup> Arthur R. Miller, Michael H. Davis Intellectual Property (Patents, Trademarks and Copyright) (2-nd ed.) 1990, p. 308.

<sup>17</sup> Вехов В.Б. “Компьютерные преступления” М. 1996, стр. 81.

ულ ნაწარმოებს. ვირუსი იგივე პროგრამაა, მა-  
გრაამ მთსი შექმნა იწვევს სისხლისსამართლებრივ  
პასუხისმგებლობას. გავრცელდება თუ არა მასზე  
საავტორო უფლება?

ამ კითხვაზე უნდა გავცეთ უარყოფითი პა-  
სუქი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ვირუსის  
შეშქმნელმა მოითხოვოს თავისი ავტორობის  
აღიარება ან ქონებრივი უფლებების დაცვა. საავ-  
ტორო უფლებით მინიჭების ნაცვლად მას  
დატენირება როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე  
ქონებრივი პასუხისმგებლობა.

ლოფიციალური მონაცემებით სახელმწიფოთა  
უმცრავლესობაში კომპიუტერული პროგრამების  
40-50 % წარმოადგენს პირატული გზით დამზა-  
დებულ ეგზემპლიარებს.<sup>18</sup> ასეთი მდგომარეობა

აიხსნება პროგრამის ასლების დაზადების სიმა-  
რტივით – ზოგჯერ ამისათვის საკმარისია წამე-  
ბი. საქართველო არის ლიტერატურულ და მხ-  
ატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ 1886  
წლის ბერნის კონვენციის წევრი 200-მდე სხვა  
სახელმწიფოსთან ერთად. შესაბამისად, ყველა  
ამ სახელმწიფოს მოქალაქე-აკტიორს შეუძლია  
მოითხოვოს საქართველოში პროერამაზე თავი-  
სი საავტორო უფლებების დაცვა. კომპიუტერუ-  
ლი პროგრამის დაცვის საკითხი აქტუალურია  
ქართველი ავტორებისთვისაც. მაგრამ მისი სრუ-  
ლყოფისათვის აუცილებელია ამ უფლებათა არ-  
სისა და ბუნების სათანადო შესჩავლა, რაშიც,  
იმედია, წინამდებარე სტატია იავის მოკრძა-  
ლებულ წვლილს შეიტანს.

ლევან ნანობაშვილი,  
თსუ სამოქალაქო სამარილის კათედრის  
ასპირანტი.



<sup>188</sup> Кейзеров Н.М. Шамба Т.М. "Интеллектуальная собственность и культурные ценности" И. 1994 стр. 60

**ნინო კუნცევა-გაბაშვილი**

## ლოგიტი - ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ახალი ობიექტი

ინტერნეტის სრმოშვა ახალი ობიექტები და ცნებები: დომეინი, ელ-ფოსტა, ელექტრონული კომერცია, ელექტრონული ფული, ჩატი, ელექტრონული გამოკემლობა, ელექტრონული ხელმოწერა, და სხვ; ამასთან ერთად გაჩნდა სამართლდარღვევათახალი ჰაზები, წამოიჭრა მრავალი კონფლიქტი ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ერთ ახალ ობიექტს, როგორიცაა ინტერნეტის მისამართ და სახელი - დომეინი.

საერთაშორის კომპიუტერულ ქსელში - ინტერნეტში - ჩათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ინტერნეტის მისამართის და სახელის არსებობა. ამ მიშართს „Domain Name“ უწოდებენ. მხოლოდ ა. მისამართის მეშვეობით შეგვიძლია კომპიუტრი ინტერნეტში „ვიპოვოთ“. დომეინი შედგებ გრძელი თანმიმდევრობით განლაგებული ცვრების მწკრივისგან (მაგ., 123.456.78.9 34 და აღწერილია როგორც „IP“ („Internet Protocol“) - წესები, რომელიც ითვალისწინებს ინტერნეტის მთავარ ფუნქციებს; ინტერნეტ - პროტოკოლის მისამართი/ნომერი - უნიკალური ნორია, რომელიც ეძლევა ინტერნეტში ჩართულ ველა კომპიუტერს და შედგება წერტილით დაშრებული ოთხი ნაწილისგან. იგი მისამართის როს ასრულებს. მაგრამ კომპიუტერების უმრავლესობა იყენებს ასოებისგან შედგენილ დომეინურ ახელებს, რაც მომხმარებლებისთვის დასამახვრებლად გაცილებით აღვილია. ამ მიზნით შეუძლია Domain Name System - DNS), რომელც მისამართის ასოებით ჩაწერების საშუალებს იძლევა.

დომეინი ყოველთვის შედგება იერარქიული ელემენტებისგან. მაგალითად, დომეინი <http://www.nic.ge> შედგება:

- აბრევიატურა <http://> გამოიყენება ინტერნეტში პროტოკოლის (Hyper Text Transfer Protocol - ჰიპერტექსტის გადაადგილების პროტოკოლი) გადაადგილებისთვის. წარმოადგენს ერთერთ უმნიშვნელოვანეს პროტოკოლს, რომელიც WWW-ში გამოიყენება (WWW - World Wide Web; WWW; The Web - ინტერნეტის საშუალებაა გააერთიანოს და გადაადგილოს დოკუმენტები. ვებ-დოკუმენტს ეწოდება „Web page“ (ვებგვედრი), გვერდებს შორის კავშირი მომხმარებელს გვერდიდან გვერდზე (ჰიპერტექსტი) გადასვლის საშუალებას აძლევს, სადაც გვერდი განთავსებულია რომელიმე სერვერზე ან მსოფლიოს სხვადასხვა სერვერებზე.);

- აბრევიატურა www სერვერისთვის („server“ - კომპიუტერი ან პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი, რომელიც ხელს უწყობს კლიენტის კავშირს სხვა კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფასთან ან მონაცემთა ბაზასთან);

- „nic“ - მეორე დონის დომეინია (second-level domain);

- „ge“ - უმაღლესი დონის დომეინია (top-level domain).

მეორე დონის დომეინამდე სახელს შეიძლება დაერთოს სუბდომეინი, ხოლო უმაღლესი დონის დომეინის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება იერარქიული სისტემით განთავსდეს ინდივიდუალური მონაცემებიც.

უმაღლესი დონის დომეინი (Top-Level Domain; TLD) - დომეინური სახელია, რომელიც თავსძება ინტერნეტის მისამართის სულ ბოლოს. განასხვავებენ ორი სახის უმაღლესი დონის დომეინს: 1. დომეინური სახელის მფლობელის საქმიანობის დარგის განმსაზღვრელ დომეინს (generic top level domain) და 2. ქვეყნის კოდის (CCTLD- Country code top-level domain). gTLD კატეგორიის დომეინი შედგება სამი ასოსგან და მიუთითებს მომხმარებლის საქმიანობაზე: „com“ - კომერციული ორგანიზაციები, „edu“ - სასწავლო დაწესებულებები, „org“ - არასამთავრობო ორგანიზაციები, „net“ - პროვაიდერები, რომლებიც აწარმოებენ ქსელურ მომსახურებას, „mil“ - სამხედრო დაწესებულებები, „gov“ - სახელმწიფო დაწესებულებები). ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ გააფართოვონ ეს სია, რაც იძლევა კონკურენციის გაზრდის საშუალებას. 2000 წლის 16 ნოემბრის საერთაშორისო შეზვედრაზე, რომელიც სახელების და ნომრების ჯანმსაზღვრელი ინტერნეტის კორპორაცია (ICANN) ატარებდა, დასახელებულ იქნა უმაღლესი დონის ახალი ვარიანტები: „aero“ - ავიატორანსპორტის ინდუსტრიისათვის (რეგისტრაციონური - აერონავტიკული კომუნიკაციის საერთაშორისო საზოგადოება), „.biz“ - სამეწარმეო საქმიანობისათვის (რეგისტრაციონი - JV Team, LLC), „.coop“ - არამომგებიანი კოოპერატივებისათვის (რეგისტრაციონი - ბიზნეს კოოპერაციის ნაციონალური ასოციაცია), „.info“ - შეუზღუდავი გამოყენებისათვის (რეგისტრაციონი - Afilias, LLC), „.museum“ - მუზეუმებისათვის (რეგისტრაციონი - მუზეუმების დომეინების მართვის ასოციაცია), „.name“ - შეუძლიათ დაარიეგისტრირონ ფიზიკურმა პირებმა (რეგისტრაციონი - Global Name Registry, LTD), „.pro“ - ბუღალტერებისათვის, იურისტებისათვის, ექიმებისათვის (რეგისტრაციონი - RegistryPro, LTD). მაგრამ ჯერჯერობით ჩამოთვლილი დომეინები არ არის შემოღებული. სხვადასხვა დონის საერთაშორისო შეკრებებზე ახალი უმაღლესი დონის დომეინების შემუშავება ერთეულთი სტრატეგიული ამოცანაა.

ქვეყნის კოდი (CCTLD) შედგება ორი ასოსგან და მიუთითებს მომხმარებლის სახელმწიფოზე (მაგალითად, „.გე“ - საქართველოსთვის,

„de“ - გერმანიისთვის, „uk“ - დიდი ბრიტანეთისთვის). ქვეყნის კოდის უსაღლესი დონის დომეინის აღება შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ბიზნესს მრავალ ქვეყანაში, თავის სახელზე არეგისტრირებენ ათასობით დომეინურ სახელს მაგალითად, TopiC Corporation -ს, რომელიც ტონგოს რეზიდენტია, სხვადასხვა კონტინენტზე რეგისტრირებული აქვს 4200 - ზე მეტი დომეინი), იგივე შეიძლება ითქვას მრავალ სხვა ორგანიზაციაზე, რომლებმაც სწორედ შეაფას ინტერნეტის უპირატესობა და დიდი კომერციული მნიშვნელობა.

უმაღლესი დონის დომეინისგან განსხვავებით, მეორე დონის დომეინის ირჩევსთვითონ დომეინის მფლობელი, რისთვისაც ან ყურადღებაში ინდა მიიღოს World Wide Web - ის თავისებურებები. ვებს არ გააჩნია ე. წ. „ყვითელი გვერდები“, სადაც ჩამოთვლილი ინებოდა არსებული დომეინები. სწორედ ეს ჩარმოშობს კონფლიქტს მსოფლიოში არსებული და რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნებსა და ახალ დომეინს შორის.

გამოვყობთ შესაძლო კონფლიქტების სახეებს:

1. დომეინი - დომეინი
2. დომეინი - სავაჭრო ნიშანი
3. დომეინი - საფირმო სახელწოდება
4. სავაჭრო ნიშანი/დომეინი - საფირმო სახელწოდება/დომეინი

#### დომეინური სახელების მითვისება

ახლო წარსულში რეგისტრაციის დროს დომეინურ სახელებს ექსპლიზა არ უჭარდებოდა. დომეინური სახელების მითვისება („domain grabbing“, „cyber squatting“) ზემოაღნიშნული პროცესების თანდაყოდილი მოვლენაა. მსოფლიოს თითქმის ყველა ჭერნაში ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ „წარმატებულმა ბიზნესმენებმა“ ზუსტად შეაფასეს იტერნეტის მნიშვნელობა ბიზნესის და კომუნიკაციის განვითარებისთვის და, მომავალში ამ დომეინების გაყიდვის შაზნით, თავის სახელზე აარეგისტრირეს მრავალი ათასი დომეინი, როელიც შეიცავდა ცნობილი ფირმების სახელწოდებსა და სავაჭრო ნიშნებს და ფიზიკური პირებისსახელებს. ამისი საფუძველი კი სწორედ ის გახსა, რომ ფირმები

ვერ აცნობიერებდნენ დომეინების მნიშვნელობას. მაგალითად 1994 წელს აშშ-ს მსხვილი კომპანიების მხილად ერთ მესამედს გააჩნდა რეგისტრირებული დომეინი. ხოლო, მოგვიანებით, როდესაც დომეინი მნიშვნელობა ნათელი გახდა და ამ ფირმებს დომეინის აღება დასჭირდა, „წარმატებულმა ბრნესმენებმა“ მათ რამდენიმე ასეული დოლარის ღირებულების მათივე დომეინების ყიდვა შესთავაზეს. უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, ბევრ ქვეყანაში ეს სტრატეგია გამართლებული აღმოჩნდა და მრავალმა ადამიანმა საკმაოდ დიდი მოგებაც ნახა! შეუძლებელია არ ბაზნესიდან მიღებული თანხების ზუსტი დადკენა. მეორე მხრივ, კი ამ პროცესმა მრავალი სასამართლო დავა წამოჭრა.

2000 წლის მარტში ინგლისის სასამართლოს მიმართა მწერალმა ჯანეტ ვინტერსონმა, რომელმაც შეიტყო რომ მისთვის უცნობი პირის დოქტორ ჰოგართის სახელზე რეგისტრირებული იყო დომეინები [jeanettewinterson.com](http://jeanettewinterson.com), [jeanettewinterson.net](http://jeanettewinterson.net), [jeanettewinterson.org](http://jeanettewinterson.org). აგრეთვე გაირკაა, რომ ამ პიროვნების მიერ დომეინად რეგისტრირებული იყო კიდევ 130 ავტორის სახელი და მან შექმნა ვებ-გვერდი, სადაც ის სთავაზობდა ამ დომეინის ყიდვას.

დომეინის მითვისებას მრავალი ფორმა ახასიათებს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია, როდესაც პირი დომეინად არეგისტრირებს და იყენებს სხვა იურიდიული თუ კერძო პირის სახელს ან სავაჭრო ნიშანს. ადვილობრივი კანონმდებლობები ზუსტად არ განსახლვრავენ: უნდა განიხილოს თუ არა ნიშნის თუ დომეინის მხოლოდ რეგისტრაცია პირის სამეწარმეო საქმიანობის განზრავად. აქედან გამომდინარე, სასამართლოებს ენიჭებათ უფლება კანიხილონ ამ ნიშნების რეგისტრაცია, როგორც კომერციული საქმიანობის განზრავა. ბელგიაში ვებ-გვერდზე მოთავსებული ინფორმაცია, რომელსაც მიმართავს ნებისმიერი მსურველი, რეკლამად განიხილება.

დომეინის მითვისება მიზნად ისახავს სხვისი სავაჭრო ნიშნის, საფირმო სახელწოდების, ფიზიკური პირის სახელის დომეინად რეგისტრაციას მისი გამოყენების გარეშე და შემდგომში სახელის/სავაჭრო ნიშნის მფლობელზე გაყიდვას.

გერმანიაში ერთ ფიზიკურ პირზე რეგისტრირებულ იქნა 192 ქვეყნის კოდის უმაღლესი

დონის დომეინი, ისეთი როგორც: „citroen.de“, „honda.de“, „hilton.de“. როდესაც მან შესთავაზა ფრანგულ ავტოკონცერნს 4000 გერმანულ მარკად დომეინ „citroen.de“ - ს ყიდვა, ფრანკფურტის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება სიტროენის სასარგებლოდ. მრავალი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა იზიარებს სავაჭრო ნიშნის აუცილებელი გამოყენების პრიციპს. თუ დომეინის „მიმთვისებელმა“ მხოლოდ დაარეგისტრირა დომეინი მისი გამოყენების განზრავის გარეშე, ან ვებ - გვერდი წარმოადგენს მხოლოდ საბლანკო გვერდს, საკმაოდ რთული იქნება დომეინის გამოყენების ფაქტის დამტკიცება. მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთის სასამართლომ გამოიტანა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება Harrolds Ltd.-ს საქმესთან დაკავშირებით.

კონფლიქტის განხილვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ჭრილში აგრეთვე პრობლემატურია, რადგან მაშინ უნდა დამტკიცდეს დომეინის „კომერციული გამოყენება“, რაც სირთულეს წარმოადგენს დომეინის „მიმთვისებელი“ მიზნად ისახავს დომეინის მხოლოდ გაყიდვას და არა გამოყენებას.

### კონფლიქტი სავაჭრო ნიშნისა და დომეინს შორის

სავაჭრო ნიშნების „ტერიტორიალური“ ბუნება ნიშნავს შემდეგს: საქართველოს კანონმდებლობა გამოიყენება იმ შემთხვევაშუ, თუ საქართველოში რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნზე უფლებები დარღვეულია საქართველოში. მაგრამ, თუ ნიშანი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნად საქართველოს ტერიტორიაზე, მას საქართველოში დაცვა არ ენიჭება (გარდა საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებისა).

სავაჭრო ნიშნისგან განსხვავებით, დომეინისთვის არ არის გათვალისწინებული ანალოგიური ფორმალობების დაცვა. როდესაც სარეგისტრაციოდ განცხადებული სავაჭრო ნიშანი ქვეყნდება სპეციალურ უურნალში, სამი თვის განმავლობაში პირს, რომელსას რეგისტრირებული აქვს მსგავსი ან იდენტური სავაჭრო ნიშანი, შეუძლია გამოთქვას თავისი პროტესტი. დომეინების რეგისტრაციის დროს არ არის გათვალ-

ისწინებული მსგავსი პროცედურა და უფლება დომეინზე პირს ენიჭება „პირველი გამოყენების პრინციპის“ („first come, first served“) საფუძველზე. პრობლემა კი შემდეგშია: როგორ შეუძლია სავაჭრო ნიშანის გამოყენებაზე ექსკლუზიური უფლებების მფლობელს წინ აღუდგეს მსგავსი ან იდენტური დომეინის გამოყენებას? სხვადასხვა ქვეყანაში გათვალისწინებულია განსხვავებული წესები. მაგალითად, შევდეთში რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირების დომეინები და ფიზიკური პირებისთვის არ არის გათვალისწინებული ანალოგიური ფორმალობა. კომპანიას შეუძლია დაარეგისტრიროს თავის სახელზე მხოლოდ ერთი დომეინი, რომელიც შეესაბამება კომპანიის სახელწოდებას (სავაჭრო ნიშანი არ შეიძლება დარეგისტრირდეს, თუ არ შეიცავს საფირმო სახელწოდების ნაწილს მაიც). ანალოგიური წესი გათვალისწინებულია ავსტრალიაში, ფინეთში, პორტუგალიაში, ისრაელსა და იტალიაში. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს პროდუქციის და ფირმის დაცვის კარგ საშუალებას იმ პირებისგან, ვინც დაარეგისტრირა დომეინი არაკეთილსინდისიერი გამოყენების მიზნით.

სსაქმე რთულდება, როდესაც დომეინი ეკუთვის ფიზიკურ პირს, რომელიც არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

სსავაჭრო ნიშნების სამართლის ნორმებსაც არ ძალუს სრულად დაიცვას სავაჭრო ნიშნები დომეინების მიმთვისებლებისგან. იმ შემთხვევაში, „თუ „მიმთვისებელი“ არ იყენებს დომეინს, ან იყენებს მას სხვა საქონლის ან მომსახურეობის აღსანიშნავად - ეს არ გამოიწვევს საზოგადოებისა შეცდომაში შეყვანას, და ნიშნის მფლობელის საკითხის რთული იქნება მისი უფლებების დარღვევის ფაქტის დამტკიცება. ბრიუსელის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კომპანია, რომელიც იყენებს სხვა პირის სავაჭრო ნიშნად რეგისტრირებულ სახელს, უნდა ვებ-გვერდის დახურვით შეწყვიტოს დომეინის გამოყენება (მაგრამ სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მას უნარჩუნდება დომეინის რეგისტრაცია).

ღიად რჩება შემდეგი საკითხები:

11. როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ ორი

ფირმიდან, რომლებსაც საქინლის ან მომსახურების სხვადასხვა კლასებისავის რეგისტრირებული აქვთ ერთნაირი სავაჭრო ნიშანი, და ერთ-ერთი მათგანი პირველი გამოიყენებს ან დაარეგისტრირებს თავის ჰაელწოდებას ან სავაჭრო ნიშანს დომეინად? უპირატესობა უნდა გადაწყდეს „პირველი გამოყენები/რეგისტრაციის“ პრინციპით.

2. შესაძლებელია თუ არა ამ წესის გამოყენება უცხოური კომპანიების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნები ამ ქვეყნის ტერიტორიაზე?

3. ეწინააღმდეგება თუ არა ღომეინის რეგისტრაცია, რომელმაც შემდგომში შესაძლებელია ზელი შეუშალოს სხვა დომეინის რეგისტრაციას, სავაჭრო ნიშნების კანონმდებლობას?

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში გამოიყოფა რამდენიმე პრიორიტეტი:

- უპირატესობა ენიჭება რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს (პრიორიტეტი აითვლება განცხადების შეტანის მომენტიდან); ანალოგიურად წყდება საკითხი დომეინებისათვის, რომლებსაც პრიორიტეტი ენიჭებათ სპეციალურ მარეგისტრირებულ ორგანოში განცხადების შეტანის მომენტიდან;

- დომეინი უნდა „გამოიყენებოდეს“; თუ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში დომეინი არ გამოიყენება, რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს;

- დომეინი უნდა გამოიყენებოდეს „კომერციული მიზნით“, სხვა მიზნით გამოიყენებული დომეინი სავაჭრო ნიშნის მფლობელის უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა. ამ პრინციპიდან გამოდინარე რთულია ისეთი ნიშნის დაცვა, რომელსაც დომეინად იყენებს ფიზიკური პირი ან არამომგებიანი ორგანიზაცია.

ბელგიაში წარმოიშვა ერთი საინტერესო სასამართლო პრეცედენტი: Tractebel დიდი და ცნობილი კომპანია ბელგიაში, რომელსაც 1996 წელს დაარეგისტრირებულ სახელს, უნდა ვებ-გვერდის დახურვით შეწყვიტოს დომეინის გამოყენება (მაგრამ სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მას უნარჩუნდება დომეინის რეგისტრაცია). ბელგიაში წარმოიშვა ერთი საინტერესო სასამართლო პრეცედენტი: Tractebel დიდი და ცნობილი კომპანია ბელგიაში, რომელსაც 1996 წელს დაარეგისტრირებული დომეინი „Tractebel.be“. 1997 წელს კი მან შეიტყო, რომ ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ, სხვა ბელგიური კომპანიების სახელებთან ერთად, რეგისტრაციაში გაატარდა დომეინი „Tractebel.com“. ბელგიურმა კომპანიამ მიმართა სასამართლოს მოთხოვნით - აეკრძალა ამერიკული კომპანიისთვის დომეინის

გამოყენება. სასამართლომ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება: Tractebel - ს ეკუთნოდა სახელი „Tractebel.ცე“, მოპასუხის მიერ „Tractebel.com“ -ის რეგისტრაცია არ წარმოადგენს კეთილსინდისერი კონკურენციის დარღვევას. ამ მოსაზრებით ასამართლომ უარი თქვა საქმის აღძვრაზე. შემთხვევა სასამართლომ შეაფასა როგორც „შესაძლებლობის გამოყენება“ და ამრიგად სამართლდარღვევად არ მიიჩნევა. ინტერნეტში ჩართვის „შესაძლებლობის გამოყენება“ სასამართლოსათვის ყველაზე გავრცელებული არგუმენტია. Tractebel -ს შეეძლო მიემართა InterNIC - ითვის (საქმიანობის აღმნიშვნელი უმაღლესი დონის დომეინების საერთაშორისო მარეგისტრირებულ ორგანიზაციისათვის) მოთხოვნით: ამერიკული კომპანიისთვის, რომელისთვისც კარგად იყო ცნობილი Tractebel -ის არსებობის შესახებ, აეკრძალა დომეინის გამოყენება ან კაუჭემებინა რეგისტრაცია.

როგორც აღნიშვნეთ, სავაჭრო ნიშნის მფლობელს მოწხოვნება ნიშნის აუცილებელი გამოყენება. მფლობელის მიერ თავისი სავაჭრო ნიშნის დომეინად უბრალო რეგისტრაცია, როგორც წესი, დოქეინს ავტომატურ დაცვას არ ანიჭებს. უფლებამისილი ორგანო (ადმინისტრატორი) აძლევს მას დომეინს იმისათვის, რომ მისი კომპიუტერი ჩართოს ინტერნეტში. აგრეთვე, სავაჭრო ნიშნის მფლობელის უფლება - წინ აღუდგეს ღომების მფლობელის მიერ დომეინის გამოყენება - წარმოიშვება ნიშნის გამოყენებაზე პრიორულის დადგენის მომენტიდან. ხოლო, დომეინის კამოყენების პრიორიტეტის აღმოცენების მომენტი ზუსტად არ არის დადგენილი. მიზანშეწონილია, რომ პრიორიტეტი დომეინზე დადგინდეს მისი რეგისტრაციის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტიდან (რასაც ზოგიერთი ქვეყნის კონფიდენციალური უკვე ითვალისწინებს).

სირთულეს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმე გვაქვს მსგავს, მაგრამ არაიდენტურ ნიშნებთან. ეს კონფლიქტი არ არის ახალი სავაჭრო ნიშნების სამართლისათვის, მაგრამ დოტინებთან დაკავშირებით წამოიჭრება შემდეგი კითხვა: ნიშნის რა ელემენტი უნდა იყოს შედარებული მსგავსების შემთხვევაში? შესაძლებლია, პასუხი შემდეგია: მხოლოდ მეორე დონის დომეინი. აქედან გამომდინარე,

სავაჭრო ნიშნების კანონმდებლობის თვალსაზრისით, კომპანია „GAMMA“-ს დომეინი „gamma.ge“ დომეინ „gamma.com“ - ის ან „gamma.edu“ - ს იდენტურია. მსგავსება მხოლოდ მაშინ იქნება „სახიფათო“, თუ ორი სხვადასხვა ფირმა იყენებს მსგავს ნიშნებს საქონლის ერთი კატეგორიისთვის. მაგალითად, თუ ფირმა ა -ს რეგისტრირებული აქვს სავაჭრო ნიშანი „GAMMA“ სიგარეტის ნაწარმისთვის, მას არ შეუძლია აუკრძალოს სხვა ფირმას გამოყენოს დომეინი „gamma“, რომელიც გამოიყენება ვებ-გვერდისთვის, სადაც მოთავსებულია ფარმაცევტული პროდუქტის რეკლამა (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ფირმა ა არის საყოველთაოდ ცნობილი). ზემოთ მოყვანილი შემთხვევა კიდევ ერთხელ გვაჩვენებს დომეინის დიდ მნიშვნელობას. თუ ორ კომპანიას თავის სახელზე რეგისტრირებული აქვს იდენტური სავაჭრო ნიშანი, მაგრამ საქონლის ან მომსახურების სხვადასხვა კატეგორიისათვის, ორივე კომპანიას აქვს დომეინ „gamma.ge“ ან „gamma.com“ - მიღების თანაბარი უფლება. მაგრამ, რადგან შესაძლებელია მხოლოდ ერთი „gamma.ge“ -ს (შესაბამისად, დომეინ „gamma.com“) არსებობა, უპირატესობა მიენიჭება იმ კომპანიას, რომელიც პირველი მიმართავს დომეინის მარეგისტრირებულ შესაბამის ორგანოს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა (მაგ., გერმანიის და შვედეთის) არარეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს იცავს ისეთივე რეჟიმით, როგორც რეგისტრირებულს იმ პირობით, თუ ისინი „საზოგადოებისათვის ცნობილია“. სხვა ქვეყნებში კი, მათი დაცვა შესაძლებელთა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის, ინგლოსისა და აშშ-ში Passing Off - ის წესების საფუძველზე. თუ ორგანიზაციას არ გააჩნია სავაჭრო ნიშანი, პრიორიტეტის უფლება ეფუძნება საფირმო სახელწოდების გამოყენების უფლებას. ანალოგიური წესი გამოიყენება უცხოური ორგანიზაციების მიმართაც. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის კანონმდებლობის ნორმების გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ საქმიანობაში პირი დომეინად სხვა პირის სავაჭრო ნიშნის ელემენტს გამოიყენებს.

რადგან დომეინის რეგისტრაცია და მისი შემდგომი გამოყენება შეუძლებელია სპეციალური მარ-

ეგისტრირებელი ორგანოს ჩაურევლად, ეს ორგანო ავრეთვე არის ამ ურთიერთობების ერთერთთ შხარე. ეს ორგანო უდებს აპლიკანტს სტანდარტულ ზელშეკრულებას, რომლის თანახმადაც აპლიკანტი აძლევს ორგანოს პირობას არ გამოიყენოს დომეინი მესამე პირის საზიანოდ და რომ წარმოდგენილი დომეინი არ ღარავს სხვა პირის უფლებებს. შესაძლებელია აპლიკანტის მიერ არჩეული დომეინი გამოქვეყნდეს ორგანოს სპეციალურ პერიოდულ გამოცემაში და დაინტერესებულ პირებს მიეცეს საშუალება დადგენილ ვადზაში წარმოადგინონ თავისი დასაბუთებული პრეტენზიები. მაგალითად, ფინეთში ასეთი ფუნქცია ეკისრება სახელმწიფო უწყებას - ტელეკომუნიკაციის მართვის ცენტრს. ანალოგიური პრობლემები წარმოიშვება სერვის-პროვაიდერებთან დაკავშირებით (ეს საკითხები პრიორიტეტულად იქცა ისეთი კომპანიებისათვის, როგორიცაა CompuServe და American Online).

როგორ გადაწყდება კონფლიქტი ორ სხვადასსხვა ქვეყანაში რეგისტრირებულ მსგავს ან იდენტურ სავაჭრო ნიშნის საფუძველზე შექმნილ დომეინებს შორის? კონფლიქტი წამოიჭრება მხოლოდ მაშინ, როდესაც უცხოური კომმანია თავის ვებ-გვერდზე მოთავსებულ ნიშანს გამოიყენებს მეორე ქვეყანაში. საკითხის გადასაწყვეტად მიმართავენ შემდეგ კრიტერიუმებს:

11. გათვლილია თუ არა რეკლამირებული საქმიანელი ამ ბაზარზე და ამ ქვეყნის მომხმარებელზე;

22. მითითებულია თუ არა ვებ-გვერდზე რეკლამის განმთავსებლის უცხოურ წარმოშობაზე;

33. იძლევა თუ არა ვებ-გვერდი უცხოური მფლობელისა და უცხოური სავაჭრო ნიშნის იდენტიფიკაციის საშუალებას.

ზხოვიერთ ქვეყანაში გამოიყენება აგრეთვე სავაჭრო ნიშნების და მომხმარებლის უფლებების დაცვის ნორმებიც, რომლებიც მოითხოვენ საქმიანლის წარმოშობის, დამამზადებლის შესახებ სრული ინფორმაციის განთავსებას, კრძალავენ შედარებითი რეკლამის, ფიზიკური პარების ან ცნობილი პიროვნებების სახელების გამოყენებას და სხვ.

საათონტერესოა განვიხილოთ ისეთი შემთხვევებიცა, როდესაც პირს უარი ეთქმევა სავაჭრო ნიშნად აღწერილობითი ხასიათის სიტყვის ან გან-

მასხვავებელუნარო ნიშნის რეგისტრაციაზე. მაგრამ ამ სიტყვის რეგისტრაცია დომეინად შესაძლებელია (მაგ., გერმანიაში გატეოის ან უერნალის (რომელთა ძირითადი მიტრულება ეკონომიკა) რედაქტორს შეუძლია რეგისტრაციაში გაფაროს „wirtschaft-online.de“ („Wirtschaft“ ნიშნავს „ეკონომიკა“). მარეგისტრირებული ორგანო ამ საკითხს უდგება „პირველი განცხადების“ და „შესაძლებლობის გამოყენების“ პრინციპით.

### კონფლიქტი საფირმო სახელწოდებისა და დომეინს შორის

უფრო რთულია კომპანიების საფირმო სახელწოდების დაცვა. ზოგადი წესის მიხედვით (მათ შორის საქართველოს კნინმდებლობით) საწარმოს სახელწოდებაზე უფლების აღმოცენება არ არის დაკავშირებული მია რეგისტრაციასთან, არამედ ეფუძნება „პირველი გამოყენების პრინციპს“. აქედან გამომდინარე: 1. ორ ან მეტ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს მეგავსი ან ერთნაირი სახელწოდება; 2. არ არის გამორიცხული, რომ ეს ორგანიზაციები მოდგაწეობდნენ ერთ სფეროში, ან ეწოდენ მსგავს საქმიანობას; 3. საწარმოები, შესაძლოა, არც იყვნენ გეოგრაფიულად დაშორებული. საფირმო სახელწოდებაზე ექსკლუზიური უფლება გულისხმობს შემდეგს: ქვეყნის ტერიტორიაზე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს არ აქვთ უფლება თავის სახელწოდებად გამოიყენოს სხვა პირს მსგავსი ან ანალოგიური სახელი.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ორი ერთნაირი სახელწოდების ორგანიზაცია (ამისი შესაძლებლობა კი მკვეთრად იზრდება საერთაშორისო ბაზარზე გასვლის დროს), ორივეს აქვს თავისი სახელის დომეინად გამოყენების უფლება. მაგრამ რადგან დომეინს უნიკალურობა ზასიათებს და ერთი დონის დომეინი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ ეგზემპლარში, იმის შედეგად „პირველი მიმართავს რეგისტრაციის პრინციპი“.

### კონფლიქტი დომეინებს შორის

მრავალი ქვეყნის სამოქალაქო ს.მართალი აღიარებს პირის უფლებას გამოიყენოს თვითონ ან/და აუკრძალოს სხვას თავისი სახელის გამოყენება. აქედან გამომდინარე, პირს უფლება აქვს თავისი სახელი გამოიყენოს კომერციულ ურთ-

იერთობებში. თუ პირი კომერციულ ურთიერთობებში სავაჭრო ნიშად იყენებს თავის სახელს ან წელმოწერას, რომელიც სხვა პირის (რომელსაც აგრეთვე აქვს სახელის გამოყენების უფლება) სახელის (რომელიც აგრეთვე გამოიყენება ამგვარ ურთიერთობებში) ანალოგიურია და შეცდომაში შეუძლია საზოგადოება, შეიძლება მოეთხოვოს სახელი კომერციული გამოყენების შეწყვეტა, თუ მან იყოდა ან მას უნდა სცოდნოდა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობაზე (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის პრინციპი). ამ პრინციპის გამოყენება გამართლებულია მხოლოდ კომერციულ ურთიერთობებში და არაფერო აქვს საერთო პირად, სახელმწიფო თუ არაორგებიან საქმიანობასთან. ბიზნესის მესაკუთრეს პასუხისმგებლობა ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას არ ჰქონდა ზიანის მიყენების განზრახვა. კანონი ითვალისწინებს კომპენსაციის გადახდას.

დომეინის მესაკუთრეს უფლება აქვს წინ აღუდგეს სხვა პირის მიერ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით მსგავსი დომეინის გამოყენებას (სავაჭრო ნიშნების სამართლის პრინციპების გამოყენების ანალოგით). მაგრამ ამის მარეგულირებელი ნორმები დღეისათვის შემუშავებული არ არის და თავისი ინტერესების დასაცავად ფირმები თავის სახელზე არეგისტრირებენ რამდენიმე მსგავს დომეინს და ქმნიან „დომეინური სახელების პაკეტებს“.

ინტერნეტის მისამართი ხდება საბაზრო ურთიერთობების სრულფასოვანი ობიექტი, რომლის გასხვისება შესაძლებელია ხელშეკრულების საფუძველზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არჩეული დომეინი არ უნდა ლახავდეს მესამე პირის კანონიერ ინტერესებს.

არ არია აუცილებელი, რომ დომეინად პირმა თავისი სრული სახელწოდება ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი გამოიყენოს (მაგ. ფირმა „Alpha Beta ^Partners“ შეუძლია დომეინად დაარეგისტრიროს „alphalaw.ge“, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „alphalaw“ დაცული არ არის. აგრეთვე, ეს სიტყვა შესაძლოა რეგისტრირებული იყოს სხვა ქვეყანაში როგორც სავაჭრო ნიშანი.). ავსტრალიაში კი, კანონი აღიარებს რა დომეინს უნიკალურობას, მოითხოვს, რომ დომეინად გამოყენებული იყოს პირის სრული სახელ-

წოდება; რეგისტრაციისთვის განცხადებული დომეინი არ უნდა იყენებდეს საქონლის ან მომსახურების აღმნიშვნელ ზოგად სიტყვას (მაგ., „ლვინო“, „საბანკო“, „კომპანია“, „ფირმა“, „მაღაზია“, „კომპიუტერი“ და ა.შ.) და არც ავსტრალიის გეოგრაფიული ერთეულის დასახელებას, ანუ აღიარებს განმასხვავებელუნარიანობის პრინციპს. კონფლიქტის ადგილი ექნება იმ ორგანიზაციების დომეინებს შორის, რომლებსაც აუქმნია მსგავსი სახელწოდება.

როგორც უკვე აღვნიშვნეთ, უფლებამოსილი ორგანოები რეგისტრაციის დროს პრიორიტეტს ანიჭებენ იმ აპლიკანტს, რომელმაც პირველმა მოითხოვა ეს. აქედან გამომდინარე, კონფლიქტი ერთნაირი მეორე დონის დომეინებს შორის, რომელსაც ერთი უმაღლესი დონის დომეინი აქვს, არ წარმოიშვება. საკითხის ამგვარმა გადაწყვეტილებამ მრავალი პირის უკმაყოფილება გამოიწვია.

დომეინის მფლობელს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს განცხადებით უფლებამოსილ ორგანოს დომეინის სავაჭრო ნიშად რეგისტრაციისათვის.

განვიხილოთ შემდეგი შემთხვევაც, როდესაც ქვეყანაში რეგისტრირებული „ადგილობრივი“ სავაჭრო ნიშნის მფლობელი მოითხოვს „ადგილობრივი“ თუ უცხოური მესამე პირისგან ინტერნეტში არ გამოიყენოს იდენტური ან მსგავსი ნიშანი. წამოიჭრება კითხვა: ვალდებულია თუ არა დომეინის რეგისტრაციის მსურველი ჩაატაროს მსოფლიოში არსებული და რეგისტრირებული სავაჭრო ნიშნების კვლევა? ვალდებულია, რადგან უფლება სავაჭრო ნიშანზე ჩაითვლება დარღვეულად, თუ მესამე მხარე „იყენებს“ მსგავს ან იდენტურ ნიშანს (დომეინს) სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციის ქვეყანაში. მაგრამ, თუ ვებ-გვერდი არ არის გათვლილი იმ ქვეყნის მომხმარებელზე, სადაც რეგისტრირებულია სავაჭრო ნიშანი, დომეინი არ ითვლება გამოყენებულად „ამ ქვეყანაში“ (ეს პრაქტიკა გათვალისწინებულია ბელგიის, გერმანიის, ფინეთის, პორტუგალიის, ესპანეთის და შვედეთის კანონმდებლობით).

იტალიის კანონმდებლობა ითვალისწინებს განსხვავებულ წესს: მიჩნეულია, რომ კონფლიქტი შესაძლებელია წარმოიშვას მხოლოდ ვებ-გვერ-

დის მფლობელსა და ამ ქვეყანაში რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს შორის. ამ პრინციპიდან გამომდინარე, თუ საქართველოს რეზიდენტი დომეინად გამოიყენებს სიტყვა „barilla“ - ს (მსოფლიოში კარგად ცნობილი იტალიური მაკარონი და, იტალიაში რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანია) და ვებ-გვერდზე მოათავსებს მის მიერ წარმოებული მაკარონის პროდუქციის რეკლამას, ეს დარღვევად არ მიიჩნევა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საზღვარგარეთის ქვეყნებში საინტერესო გამოცდილება და სასამართლო პრაქტიკა დაგროვილი. ჩვენს ქვეყ-

ანაშიც წარმოიშვა პირები სასამართლო დავა, რომელიც საზოგადოებაში „MMC“-ს სახელითა ცნობილი. მაგრამ საზოგადოებაში და საქმიან ურთიერთობებში დავების და კონფლიქტების მიუხედავად, კანონმდებლობა ჯერ-ჯერობით აბსოლუტური „დუმილითა“, მოცული. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ასოციაცია უცხოელი პარტნიორების დახმარებით იწყებს პროგრამას, რომლის რიზნია საქართველოში ინტერნეტის პოპულარიზაცია, აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის წექმნა და საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვების დანერგვა.

ნიმუ კუნცევა-ზაბაშვილი,  
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების  
ასოციაციის თავმჯდომარე.

### ქამოყენებული ლიტერატურა:

11. The International Intellectual Property, Commentary and Materials; Frederick Abbott, T.Cottler, F.Gurry; Kluwer Law International; The Hague - London - Boston, 1999;
22. „Law and the information superhighway“, Henry H. Perritt; Wiley Law Publishing, John Wiley and Sons, Inc; New York, Chishester - Toronto - Singapore, 1996;
33. „The management of Internet Names and Addresses: Intellectual Property Issues, Report of the WIPO Internet Domain Name Process, 1999;
41. Internet Business: Der Weg zu erfolgreichem, Online, Marketing und Electronic Commerce; Internet Verlag, August Nr. 4 / 2000;
55. The Whole Internet: User's Guide and Catalog, Ed Krol, O'Reilly and Association, Inc, 1994;
65. Paralegal Guide to Intellectual Property; Valerie J. Atkinson, Wiley Law Publication, 1997;
77. „New media and society“, SAGE Publication, Vol.2, N 2, June 2000;
83. „International Information Technology Law“, editor - D. Campbell, John Wiley and Sons, 1997;
99. The new Information Infrastructure. Strategies for U.S. Policy; editor - William J. Drake, The 20th Century Fund Press, New York, 1995;
110. „Software and Intellectual Property Protection“, Bernard A. Galler, Quorum Books, Westport, Connecticut. - London, 1995;
111. Who owns Information? From Privacy to Public Access; Anne Wells Branscomb, Basic Books, A Division of Harper Collins Publ., 1994;
112. „Using ICANN's UDRP: Process“, <http://eon.law.harvard.edu/udrp/process.html>
113. <http://www.icann.org/udrp/udrp.htm>
114. „Uniform Domain Name Dispute Resolution Policy“, <http://www.icann.org/udrp/udrp-policy-24oct99!.htm>
115. <http://www.icann.org/udrp/staff-report-24sept99.htm>

16. „Rules for UDRP“, <http://www.icann.org/udrp/udrp-rules-24oct99.htm>
17. „Policies on Cybersquatting“, <http://www.domainhandbook.com/comp-bills.html>
18. „Webvertising: Unfair Competition and Trademarks on the Internet“, AIJA Law Library; editor - Matthias W. Stecher, Huber Law International, London - The Hague - Boston, 1999;
19. „The Georgian Domain Name Registry“, <http://georgia.net.ge/domain/>
20. „ICANN Accredits Ten New Domain Name Registrars“, <http://www.icann.org/announcements/icann-pr21dec99.htm>
21. „ICANN Staff Report“, <http://www.icann.org/santiago/udrp-staff-report.htm>
22. „Model UDRP for Voluntary Adoption by Registrars“, <http://www.icann.org/santiago/registrar-dispute-policy.htm>
23. „A Structural Overview“, <http://www.icann.org/general/structure.htm>
24. „ICANN EU: Questions for candidates“, <http://angua.rince.de/icann-europe/msg0097.html>
25. „Guide to UDRP Procedure and Policy“, Zak Muscovitch, <http://boalt.org/UDRP/UDRP-policy-guide.html>
26. „Country Code Top Level Domain“, <http://www.iana.org/cctld/cctld.htm>
27. „New TLD Program“, <http://www.icann.org/tlds/>
28. „Comparison of Bylaws proposals for a new Internet Corporation“, <http://www.domainbook.com/comp-bylaws.html>
29. „ISPA Advisory 4: ICANN - A Primer“, <http://www.ispa.org.za/advisory4.htm>
30. <http://cybr.law.harvard.edu/property/domain/icann2.html>
31. „USA Department of Commerce, Management of Internet Names and Addresses“, <http://www.icann.org/general/white-paper-05jun98.htm>



## არჩილ თაბაგარი

## გამარტივებული ზესით ფულადი დაცვალიაშის გადახდევინების შესახებ საქმეზე წარმოების აღძვრა

1 საქართველოში მიმდინარე რეფორმების ფონზე ჩვენი სახელმწიფოს სწრაფვამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა რიგში განსაკუთრებით აქტუალური გახადა ქვეყნის შიგნით მოქმედი ნორმატიული ბაზის სრულყოფის პრობლემა. ჯერ კიდევ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ ახალი კონსტიტუციის მიღებით საჯაროდ გამოხატა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის სურვილი და უარი თქვა საზოგადოების მართვის არადემოკრატიულ მეთოდებსა და სამართლის ტოტალიტარულ რეჟიმზე,, რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულში სახელმწიფოს მართვის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა და გარეგანი სილამაზის ტოლთვას შინაგან ბოროტებას მაღავდა.

2 მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების მიღების კვალობაზე, საქართველომ 1997 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ახალი „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ მიღებით კიდევ ერთი აგური შემჩატა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საძირკველს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნორმატიულ ბაზას. მართალია, საქართველოს ახალი „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ მისი მიღებიდან თითქმის ერთნახევარი წლის შემდეგ - 1999 წლის 15 მაისს შევიდა ძალაში, მიუხედავად ამისა, ის იმ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთაგანთა,, რომელმაც პირველად თანამედროვე ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისტორიაში მოახდინა რაღიკალური შემობრუნე-

ბა საბჭოური სამოქალაქო სამართლის პროცესისაგან და განამტკიცა აღარიანი მოქალაქის კონსტიტუციით აღიარებულ პრიციპების: უფლებათა სასამართლო წესით დაცა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მხარეთა შეფაბრებითობა, დისპოზიციურობა, და სხვა ღირებულებათა რეალიზაციის რეალური პროცესუადური გარანტიები და მექანიზმები.

საქართველოს ახალი „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ მიღებით უნიდებელმა განამტკიცა რა უფლებათა დაკვის სხადასხვა პროცესუალური ფორმები, საფუძველი დაუდო სამოქალაქო წარმოების დაყოფას შემდეგ სახეებად: სასარჩელო წარმოება, გამარტიტებული წარმოება, უდავო წარმოება. როგორც წობილია, სამოქალაქო სამართალწარმოების სხე ეს არის სასამართლოების მიერ საქმეთა განილვისა და გადაწყვეტის გარკვეული პროცესუალური წესრიგი და მათი ერთმანეთში არევამ სეიძლება მიგვიყვანოს სასამართლოს მიერ სქმეთა არასწორ განხილვასა და, შესაბამისად, სქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღებამდე.

მნელი არ არის იმის შემჩნეა, რომ დემოკრატიული საქართველოს განვითრების ამ ეტაპზე „გამარტივებული წარმოება“ საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს, მაგრმ უდავოა ისიც, რომ საქმეთა განხილვის გამრტივებულ წესს შორეულ ისტორიულ წარსულში აქვს გამჯდარი ფესვები და ის თანამედროვე სამოქალაქო სამართალწარმოების მონაპოვნი არ არის. ის-

ტორიულად გამარტივებული წარმოება აღიძვრებოდა კრედიტორის განცხადებით, რომლის საფუძველზეც სასამართლო გასცემდა ბრძანებას, რის შედეგადაც კრედიტორი დროის მცირე მონაკვეთში და მცირე ხარჯების გაღებით ახდენდა დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვასა და აღდგენას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გამარტივებული წესით ორი კატეგორიის საქმეებს განიხილავს: თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებს (მუხ:292-301) და ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრულ საქმეებს (მუხ:302-309). წინამდებარე საუურნალო სტატიით არ ვაცხადებთ პრეტენზიას მთლიანად გამარტივებული წარმოების განხილვა-დახასიათებაზე, არამედ სათაურიდან გამომდინარე, მხოლოდ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ფულადი დავალიანების გადახდევინების თაობაზე წარმოშობილ სამოქალაქო საქმეებზე წარმოების აღძვრის თავისებურებებზე. წინამდებარე საუურნალო სტატია წარმოადგენს მოკრძალებულ ცდას წარმოჩენილ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვის სირთულებს ქმნის.

ფულადი დავალიანების გადახდევინების თაობაზე წარმოშობილ სამოქალაქო საქმეებზე წარმოების აღძრის ინიციატორად გვევლინება კრედიტორი, რომელიც ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარისაგან ვერ იღებს რა შემხვედრ დაკმაყოფილებას, ახდენს დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის პრინციპის რეალიზაციას და სასამართლოს მიმართავს განცხადებით, რომ მოვალის მიმართ გაცემულ იქნეს ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ სასამართლო ბრძანება. ამრიგად, სამოქალაქო წარმოების აღნიშნული სახის აღძვრა ხდება კრედიტორის განცხადების საფუძველზე და, შესაბამისად, წარმოების ამ სახეს გააჩნია მხარეები განმცხადებლისა და მოპასუხის სახით. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ განცხადება სასამართლოში შეიძლება შეტანილი იქნეს როგორც უშუალოდ განმცხადებლის (კრედიტორის) მიერ, ისე მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

კრედიტორის მიერ სასამართლოში განცხადების შეტანა მოპასუხისათვის დავალიანების გადახდევინების შესახებ სასამართლო გადახდის ბრძანების გაცემის მოთხოვნით მისი უფლება, კანონით გარანტირებული შესაძლებლობაა და არა ვალდებულება. თუ კრედიტორი (მოთხოვნის მფლობელი) თვლის, რომ მისი დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის ეფექტურ საშუალებას სარჩელი წარმოადგენს, მას უფლება აქვს იგივე საფუძვლით მოთხოვნა სასამართლოში წარადგინოს სარჩელის ფორმით. მხოლოდ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში საქმე განიხილება საერთო სასარჩელო წესით ჩვეულებრივ იმ ხარჯებისა და დროის გათვალისწინებით, როგორც ეს უფლებათა დაცვის სასარჩელო ფორმისთვისაა დამახასიათებელი. სწორედ, აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე და 303-ე მუხლები, სადაც ნათქვამია, რომ „ამ თავში ჩამოყალიბებული გამარტივებული წესით შეიძლება განხილულ იქნეს მოთხოვნები გარკვეული ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ“ და „განცხადება, რომელიც საქმის გამარტივებული წესით განხილვის საფუძველია, მიზნად უნდა ისახავდეს სასამართლოს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების მიღებას“.

მართებული იქნება იმის აღნიშვნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლი სხვა ქვეყნების საპროცესო კოდექსებისაგან განსხვავებით, არ აკონკრეტებს თუ რა საფუძველზე შეიძლება მოითხოვოს განმცხადებელმა ფულადი დავალიანების გადახდევინება ე.ი. კანონმდებელი უშვებს ნებისმიერი საფუძვლებიდან გამომდინარე ფულადი დავალიანების გადახდევინების თაობაზე მოთხოვნის წარდგენას სასამართლო გადახდის ბრძანების გაცემის მოთხოვნით ანუ სასამართლო უფლებამოსილია გადახდის ბრძანება ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მიღლოს ნებისმიერი ფულადი ხასიათის ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, გარდა ორი შემთხვევისა. კერძოდ, როდესაც მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე და როდესაც ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით.

იმისათვის, რომ განცხადება ფულადი დავალ-იანების გადახდევინების სასამართლო ბრძანების გაცემის შესახებ წარმოებაში იქნეს მიღებული, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს ანუ უნდა გააჩნდეს ის რეკვიზიტები, რომელთა დაცვის გარეშე სასამართლო უარს ეტყვის განმცხადებელს წარმოდგენილი განცხა-დების მიღებაზე და შესაბამისად, მის განხილ-ვაზე. განცხადება, რომელიც გამარტივებული წესით საქმის განხილვის საფუძველია, შედგე-ნილ უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შე-იცავდეს მითითებას შემდეგ საკითხებზე:

- 1) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეიტანება განცხადება;
- 2) განმცხადებლისა და მოპასუხის სახელი, გვარი და მისამართი. იურიდიული პირის შემთხ-ვევაში, მისი სახელწოდება და მისამართი. წარ-მომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხ-ვევაში, მისი სახელი და მისამართი;
- 3) მონაცემები იმის შესახებ, თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნებია წარმოყენებული;
- 4) წარმოყენებული პრეტენზიის დასაბუთება;
- 5) მითითებას იმის შესახებ, რომ აღძრული მოთხოვნა განმცხადებლის მხრიდან არ არის დამოკიდებული რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე ან, რომ მის მიერ ასეთი ვალდებულების შესრულება უკვე განხ-ორციელდა;
- 6) განცხადებაში ასევე მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის მიზანი საქმის გამარტივე-ბული წესით განხილვისა და მოპასუხის მიმა-რთ სასამართლო გადახდის ბრძანების გაცემის შესახებ;
- 7) განცხადებას უნდა ერთვოდეს დანართე-ბი, როგორც მოთხოვნის დამადასტურებელი ფაქტობრივი საფუძველები;
- 8) განცხადება ხელმოწერილი უნდა იქნეს განმცხადებლის მიერ. წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს სათანადო უფლებამოსილების დამა-დასტურებელი რწმუნებულება.

აღსანიშნავია სასამართლო განსჯადობის საკ-ითხი გამარტივებული წარმოების დროს. განცხ-ადება ფულადი დავალიანების გადახდევინების სასამართლო ბრძანების გაცემის შესახებ უნდა

იყოს იმ სასამართლოს განსჯადი, რომელშიც შეტანილია იგი. სასამართლო განსჯადობის სა-კითხი გამარტივებული წარმოების დროს საპრო-ცესო კოდექსით ცალსახად არის მოწესრიგებუ-ლი და მდგომარეობს იმაში, რომ ფულადი დავალ-იანების გადახდევინების შესახებ საქმეს განიხ-ილავს სასამართლო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მუხ:304). ალბათ ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ სასამართლო გან-სჯადობის მარეგულირებელი ეს ნორმა თავისი შინაარსით შეეხება მხოლოდ მოპასუხე ფიზ-იკურ პირებს, იმდენად რამდენადაც საუბარია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილზე, ხოლო იურიდიულ პირს, როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობით გააჩნია არა საცხოვრებელი ადგილი, არამედ იურიდიული მისამართი. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოდექსის აღნიშნუ-ლი ნორმა ვფიქრობთ საჭიროებს გარკვეულ დახვეწას იმ თვალსაზრისით, რომ იგი უნდა გავრცელდეს ასევე მოპასუხე იურიდულ პირე-ბზედაც.

გამარტივებული წარმოების მარეგულირებე-ლი საპროცესო ნორმები განცხადების წარმოე-ბაში მიღების სხვა დამატებით მოთხოვნებზე არაფერს ამბობენ. თუმცა, სასამართლო პრაქ-ტიკაში განცხადების წარმოებაში მიღების ერთ-ერთ სავალდებულო მოთხოვნად გამოაცხადა სახელმწიფო ბაჟის გადახდა განცხადების სასა-მართლოში წარდგენამდე. ამრიგად, იმ შემთხ-ვევაშის, თუ სასამართლოში წარდგენილ განცხ-ადებაზე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო განჩინებით უარს ეტყვის განმცხ-ადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე. ისმის კითხვა, აქვს კი მსგავსი გადაწყვეტილების (განჩინების) მიღების იურიდიული საფუძვე-ლი მოსამართლეს?

სამწუხაროდ, მოქმედი საპროცესო კოდექსით სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკითხი გამარ-ტივებული წესით ფულადი დავალიანების გადა-ხდევინების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით საკმაოდ ბუნდოვნად არის მოწესრიგებული. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ წარმოების ამ სახის მარეგუ-ლირებელი არც ერთი მუხლი არ ითვალისწინებს ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში განცხადე-ბის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესა-

ძლებლობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს განცხადების სავალდებულო რეკვიზიტებს, საერთოდ არაფერს ამბობს სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობაზე. 305-ე მუხლი კი, რომელიც განსაზღვრავს განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ჩამონათვალში საერთოდ არ უთითებს სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევას. ამით ჩვენ გვსურს იმის თქმა, რომ იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში წარდგენილი იქნება განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გარეშე, მოსამართლე ვერ მიიღებს განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ იმ უბრალო მიზეზით, რომ ის ვერ მიუთითებს წარმოების აღნიშნული სახის მარეგულირებელ საპროცესო კოდექსის ვერცერთ მუხლზე.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო პარაქ-ტიკა ვითარდება საწინააღმდეგო მიმართულებით. დღეისათვის რაიონულ სასამართლოთა დიდი ნაწილი იღებს განჩინებას „განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და ხარვეზის (სახელმწიფო ბაჟის გადახდა) შევსების ვადის განსაზღვრის შესახებ“. მსგავსი განჩინების იურიდიულ საფუძვლად კი, ასახელებენ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-4 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე, 39-ე, 179-ე და 185-ე მუხლებს.

სანამ საკითხისა და ამ მუხლების დეტალურ  
განხილვაზე გადავიდოდეთ, მართებული იქნება  
აქვე აღვენიშნა ის, რომ სასამართლო პრაქ-  
ტიკის მსგავსი კუთხით განვითარება სულაც არ  
ყოფილა მოსამართლეთა თვითნებობის შედეგი.  
პირიქით, აღნიშნულის მიზეზი გახდა სწორედ  
საპროცესო კოდექსში კანონმდებლის უხეში  
დაუკვირვებლობის შედეგად შეტანილი რამდენ-  
იმე ცვლილება, რომელმაც დაუდო საფუძველი  
სასამართლო პრაქტიკის მსგავსი კუთხით გან-  
ვითარებას. ეს უკანასკნელი კი უფრო ნათელი  
გახდება საკითხის დეტალურად განხილვისას,  
რაზეთაც ჩვენ ჭირობოთ ჯვარზება საუბარი.

თვალსაჩინოებისათვის უმჯობესი იქნება, თუკი  
გადავხედავთ საპროცესო კოდექსისა და სახ-  
ელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის  
მიღების ისტორიას. 2000 წლის 28 ივნისამდე,  
როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ისე

სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონი  
დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხა-  
დების სასამართლოში შეტანისთვის კრედიტორის  
მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალიდებულე-  
ბას არ ითვალისწინებდა. ამდენად, განმცხადებე-  
ლი გათავისუფლებული იყო სახელმწიფოს  
სასარგებლოდ ბაჟის გადახდისაგან, მაგრამ 2000  
წლის 28 ივნისის კანონით „სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსში ცვლილებებისა და დაშატებების  
შეტანის შესახებ“ საპროცესო კოდექსის 38-ე  
და 39-ე მუხლებში, რომლებიც განსაზღვრავენ,  
თუ რომელ საპროცესო მოქმედებებზეა გადა-  
სახდელი სახელმწიფო ბაჟი და ასევე სახელმ-  
წიფო ბაჟის განაკვეთებს, შეტანილ იქნა ცვ-  
ლილებები, რომლის საფუძველზე აღნიშნული  
მუხლები ჩამოყალიბდნენ შემდეგი რედაქციით:

მუხლი 38. სახელმწიფო ბაჟო

„სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით:

- ა) სარჩელზე, აგრეთვე განცხადებაზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ;

ბ) შეგებებულ სარჩელზე;

გ) მესამე პირის სარჩელებზე, ორმელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;

დ) განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძრის შესახებ;

ე) სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ;

ვ) სააპელაციო საჩივარზე;

ზ) კურძო საჩივარზე.

რაც შეეხება საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის განაკვეთებს, ზემოაღნიშნული კანონით ისიც ასევე „გასწორებულ“ და „შესაბამისობაში“ მოყვანილ იქნა კოდექსის 38-ე მუხლთან.. კერძოდ:

მუხლი 39. სახელმწიფო ბაჟის ოფენტობა

1. სახელმწიფო ბაჟის ღირებულება დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე დაშეადგინს:

- ა) 38-ე მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სადაც საგნის ლირებულების 2,5 პროცენტს;

ბ) სააპელაციო საჩივრისათვის – სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტს;

გ) საკასაციო საჩივრისათვის – სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტს;

დ) კერძო საჩივრისათვის, აგრეთვე განცხადებისათვის დავალიანების ამოღების თაობაზე გადახდის, ბრძანების მიღების „შესახებ – სადავო საგნის ღირებულების 1.5 პროცენტს.

2. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

ამრიგად, საბოლოო ჯამში ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება-დამატებების შედეგად ადგილი აქვს ნორმათა კოლიზიას ანუ წარმოიშვაორი ნორმა, რომელიც განსხვავებულად აწესრიგებს ერთ ურთიერთობას ე.ი. ერთ შემთხვევაში თუ ვოხელმძღვანელებთ საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, წარმოების ამ სახეზე გადასახდელია სახელმწიფო ბაჟი მოთხოვნის 2,5 პროცენტის ოდენობით, ხოლო იქვე მეორე ნორმის თანახმად, გადასახდელია მოთხოვნის 1,5 პროცენტი.

სამწუხაროდ, მსგავს სიტუაციას ვხვდებით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონშიც.. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით: ა) სარჩელებზე, აგრეთვე განცხადებებზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ – სადავო საგნის ღირებულების 2,5 პროცენტი. ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში კი აღნიშნულია, რომ კერძო საჩივრებზე, აგრეთვე განცხადებებზე დავალიანების ამოღების თაობაზე გადახდის ბრძანების მიღების შესახებ – სადავო საგნის ღირებულების 1,5 პროცენტი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 და საპროცესო კოდექსის 179-ე და 185-ე მუხლებს, აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: საპროცესო კოდექსის 179-ე და 185-ე მუხლები შეეხება სასარჩელო წარმოებას და მას საერთოდ არ აქვს კავშირი საქმის განხილვის გამარტივებული წესით მოწესრიგებულ ურთიერთობებთან. ამიტომ სასარჩელო წარმოების მარეგულირებელი ნორმები განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე

განჩინების გამოტანის იურიდიულ საფუძვლად ვერ გამოდგება. ასევე ვერ შეასრულებს ამ ფუნქციას სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლიც, სადაც ნათქვამია, რომ „სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება საერთო სასამართლოებში განსახილველ სასარჩელო ან სხვა განცხადებებზე და საჩივრებზე“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული დეფინიცია საკმაოდ ზოგადია და თუ რომელ განცხადებაზეა საუბარი, გაურკვეველია.

ამრიგად, საპროცესო კოდექსის მსგავსი ორაზროვანი და ბუნდოვანი დამოკიდებულება სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკითხისადმი, სასამართლოების მიერ თვითნებობის შესაძლებლობას ქმნის, რაც საბოლოო ჯამში უარყოფით გავლენას ახდენს კრედიტორისა და საერთოდ მხარეთა უფლებებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კოდექსის მსგავსი მიღვომა სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკითხისადმი, შლის განმასხვებელ ზღვარს გამარტივებულ წარმოებასა და სასარჩელო წარმოებას შორის, ვინაიდან დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა ერთი ნაწილიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის ერთი და იგივე განაკვეთია დაწესებული როგორც სარჩელისათვის, ისე განცხადებისათვის. გამარტივებული წარმოება კი რომ ნამდვილად არ საჭიროებს მოსამართლეთა მხრიდან იმდენი ენერგიის დახარჯვას, როგორც სასარჩელო წარმოება, ვფიქრობთ დავას არ უნდა იწვევდეს.

მას შემდეგ, რაც სასამართლოში წარდგენილი იქნება განცხადება გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ სასამართლო გადახდის ბრძანების გაცემის თაობაზე, მოსამართლე ვალდებულია გადაწყვიტოს საკითხი მისი წარმოებაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ. სამწუხაროდ, საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც გამარტივებულ წარმოებას აწესრიგებენ, საერთოდ არ განსაზღვრავენ ვადას, რომლის განმავლობაშიც სასამართლო ვალდებული იქნება მიღლოს განჩინება განცხადების წარმოებაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ვადის განსაზღვრას დიდი მნიშნელობა აქვს, ვინაიდან კრედიტორი, რომელიც ირჩევს უფლებათა დაცვის აღნიშნულ საპროცესო ფორმას, დაინტერესებულია საქმის რაც შეიძლება მოკლე ვადაში განხ-

იღვით. საერთოდ კი, გამარტინებული წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა უფლებათა დაცვის სხვა პროცესუალურ საშუალებებთან (ფორმებთან) შედარებით, სწორედ მისი ოპერატორობაა. ამის გათვალისწინებით, საპროცესო კოდექსის აღნიშნული ხარვეზი, ჩვენის აზრით, აუცილებლად უნდა გასწორდეს. წინააღმდევ შემთხვევაში, დღევანდელი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლოები ანალოგის ძალით კვლავ გამოიყენებენ საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლს, რომლის თანახმადაც განცხადების წარმოებაში მიღების ვადად განსაზღვრულია 5 დღე შესაბამისი საბუთების სასამართლო კანცელარიაში ჩაბარების მომენტიდან. ვფიქრობთ, რომ 5 დღე წარმოების აღნიშნული სახისათვის შემცირებულ უნდა იქნეს არაუმეტეს 3 დღემდე.

გარდა ამისა, ვადის განსაზღვრას, რომლის ფარგლებშიც მოსამართლე ვალდებულია მიიღოს განჩინება განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ, გააჩნია ის მნიშვნელობაც, რომ აღნიშნული განჩინების მიღებას უკავშირდება გარკვეული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, მოსამართლის ვალდებულება მიიღოს სასამართლო ვადაზდის ბრძანება. მოქმედი საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში განცხადება წარდგენილია ყველა მოთხოვნის დაცვით, მაშინ მოსამართლე ვალდებულია მიიღოს სასამართლო ბრძანება. ე.ი. განცხადების წარმოებაში მიღება იმავდროულად ნიშნავს განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და სასამართლოს ვალდებულებას სასამართლო ვადაზდის ბრძანების მიღების თაობაზე. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ განცხადება წარმოებაში იქნება მიღებული, სასამართლოს შემდეგ უფლება არა აქვს უარი უთხრას განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

იმდენად, რამდენადაც ჩვენ აქ შევეხეთ განცხადების წარმოებაში მიღების ვადას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თუკი აქვე განვიხილავთ საკითხს იმის თაობაზე, თუ საერთოდ რა ვადაშია სასამართლო ვალდებული განიხილოს განცხ-

ადება და მიიღოს მასზე სასამართლო ვადაზდის ბრძანება. სამწუხაროდ, მოქმედი საპროცესო კოდექსი ამ საკითხზეც დუმს. ამ შემთხვევაში, ურთიერთობის რეგულირების მიზნით შესაძლებელია გამოვიყენოთ საპროცესო კოდექსის ზოგადი დებულებები, რომლებიც ზოგადად განსაზღვრავენ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის საპროცესო ვადებს. კერძოდ, კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია, რომ სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, გარდა აღიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვისა.

ამრიგად, სასამართლო, რომელიც ორი თვის შემდეგ გამოიტანს გადაზდის ბრძანებას, რომელიც მოპასუხის მიერ პროტესტის შეტანის შემთხვევაში შესაძლებელია საერთო სასარჩელო წარმოების წესით დაექვემდებაროს განხილვას, საერთოდ უკარგავს არს და ეფექტურობას უფლებათა დაცვის აღნიშნულ საპროცესო ფორმას. ჩვენის აზრით, საქმის განხილვის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 კვირას შესაბამისი განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან. ამდენად, ვფიქრობთ, რომ საქმის განხილვის საპროცესო ვადები სხვა ხარვეზებთან ერთად კანონმდებლის მიერ შესაბამისი საკანონდებლო ცვლილებებით უმოკლეს დროში უნდა იქნეს გადაწყვეტილი, რაც სასიკეთო გავლენას მოახდენს როგორც სასამართლოებზე, გაათავისუფლებთ რა საქმეთა განხილვის გადატვირთულ გრაფიკს, ისე მხარეებზე, რომლებიც კანონით მკვეთრად განსაზღვრული საპროცესო ვადების ფარგლებში შეძლებენ დარღვეული უფლებების აღდგენასა და დაცვას.

არჩილ თაბატარი,  
თსუ იურიდიული ფაკულტეტის  
IV კურსის სტუდენტი.

# სისხლის საქართველო, პროცესი

ფრიდონ ბასილაძე

## სამოხელეო და სასამართლო ხელისუფლების შინაგანი მიმღებები და მიმღებები

სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმღებები დანაშაული ახლო კავშირშია სამოხელეო დანაშაულთან. მათ შორის კავშირი გამოიხატება იმაში, რომ ორივე დანაშაულის სუბიექტები თანამდებობის პირებია (მოხელეებია). ამიტომ სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმღებები დანაშაულის ცალკე, დამოუკიდებელი, კარის სახით გამოყოფა თითქოს საფუძველს მოკლებულია. სინამდვილეში მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობს.

თითოეული დანაშაულის არსის გამოსარკვევად აუცილებელია დავადგინოთ ხელყოფის ობიექტი. არ არსებობს დანაშაული, რომელიც არ აყენებდეს რაიმე ზიანს რომელიმე საზოგადოებრივ ურთიერთობას, ან არ უქმნიდეს მას ზიანის მიყენების საფრთხეს. როგორც ვ. კუდრიავცევი აღნიშნავდა: „თითოეული დანაშაული, გამოიხატება იგი მოქმედებაში თუ უმოქმედობაში, ყოველთვის ხელყოფს გარკვეულ ობიექტს. დანაშაული, რომელიც არაფერს ხელყოფს, ბუნებაში არ არსებობს. ობიექტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს განსაკუთრებული ნაწილის სისტემის აგებაში.“<sup>1</sup>

ბ. ზდრავომისლოვის აზრით, სამოხელეო დანაშაული არის „განზრახი ან გაუფრთხილებლო-

ბითი საზოგადოებრივად საშიში ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი ინტერესების წინააღმდეგ თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.“<sup>2</sup>

პროფ. შ. ფაფუაშვილი ასე განმარტავს სამოხელეო დანაშაულს: „სამოხელეო დანაშაული არის თანამდებობის პირის მიერ თავის სამსახურებრივ მოვალეობათა სფეროში ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის ნორმალურ საქმიანობას.“<sup>3</sup>

მ. ლეკვეიშვილის აზრით, „თანამდებობრივი დანაშაული ეწოდება ისეთ თანამდებობრივად საშიშ ქმედებას, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას, ჩადენილია, როგორც წესი, თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ. თანამდებობრივი დანაშაული განსხვავდება სხვა

<sup>1</sup> ბ. კუდრიავცევი, „დანაშაულის კვალიფიკაციის თეორიული საფუძვლები“, მოსკოვი, 1963, გვ. 252.

<sup>2</sup> ბ.ვ. ზდრავომისლოვი, „თანამდებობრივი დანაშაული“, მოსკოვი, 1979, გვ. 7.

<sup>3</sup> შ. ფაფუაშვილი, „თანამდებობრივი დანაშაული სისხლის სამართლის თვლისაში, კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში“, თბ., 1988, გვ. 54.

სამართლებრივი ხელყოფისაგან სპეციალური სამინიშნით. იგი შეიძლება ჩადენილი იქნას:

1. სპეციალური სუბიექტის – თანამდებობის პირის მიერ.

2. თანამდებობრივი (სამსახურებრივი) მდგომარეობის გამოყენებით ან სამსახურის კონკრეტულ ვალდებულებათა დარღვევის მეშვეობით.

3. იგი აყენებს ან შეუძლია მიაყენოს არსებითი ზიანი სახელმწიფო აპარატის სწორ საქმიანობას.<sup>4</sup>

თანამდებობრივ დანაშაულთა ობიექტია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის სწორი საქმიანობა, ასევე მათი პრესტიუდ და ავტორიტეტი.

სამოხურეო დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას, ჩადენილია, როგორც წესი, სახელმწიფო მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ.

„სამოხურეო დანაშაულის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული კონსტიტუციური წყობილების და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის სწორ ფუნქციონირებასთან.“<sup>5</sup>

სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არის ისეთი მართლ-საწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ზიანს აყენებს მართლმსაჯულებისა და ცალკეული მოქალაქეების კანონიერი ინტერესებს, აფერხებს საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას.

სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბიექტების, სამოხურეო დანაშაულის სუბიექტების მსგავსად, თან-

ამდებობის პირები არიან, მაგრამ ამ დანაშაულის სუბიექტად კერძო პირებიც გვევლინებიან. მაგ. სასამართლოს უპატივცემულობა, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი, ცრუ დასმენა და ა.შ. ასევე სამოხურეო დანაშაულიც შეიძლება ჩადენილი იქნეს კერძო პირის მიერ, მაგალითად, ქრთამის მიცემა.

სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტი არის ის ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება სასამართლო ორგანოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. სწორედ ხელყოფის ობიექტში დევს ძირითადი განსხვავება სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ და სამოხურეო დანაშაულს შორის. ამ უკანასკნელის ობიექტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო აპარატის ნორმალური საქმიანობაა. თუ ამ განსხვავებას უკუვაგდებთ და მხოლოდ სუბიექტის მიხედვით სამოხურეო დანაშაულში სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს გავაერთიანებთ, მაშინ უნდა მოვახდინოთ სხვა გადაადგილებებიც სისხლის სამართლის კოდექსში. კერძოდ, მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნის მოსყიდვის ან იძულების შემადგენლობა ზედმეტი იქნება, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში არის იძულების შემადგენლობა. ეს ორი დანაშაული სულ სხვადასხვა ობიექტებს ხელყოფს. იძულების ობიექტი პიროვნების მოქმედების თავისუფლებაა, ხოლო მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვის ან იძულების ობიექტია მართლმსაჯულების ინტერესები, მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესი. ეს ორი დანაშაული ობიექტური მხრივადაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. იძულება შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ძალადობის ან მუქარის მეშვეობით, ხოლო მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან იძულება გამოიხატება ამ პირთა ან მათი ახლო ნათესავების მოკვლის, მათ მიმართ ძალადობის ანდა მათი ქონების დაზიანების ან განადგურების მუქარაში. ანალიგიურად, ცრუ დასმენა ჰგავს ცილისწამებას დან-

<sup>4</sup> მ. ლეკვეიშვილი „სისხლის სამართალი (განსაკუთრებულის ნაწილი)“, თბ., 1996, გვ. 130.

<sup>5</sup> მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, „პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის“, თბ., 2000, გვ.100.

აშაულში დაბრალებით. ამიტომ, თითქოს ცრუ დასმენა ზედმეტია სისხლის სამართლის კოდექსში. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მართალია, ცრუ დასმენით იბლალება პიროვნების პატივი და ღირსება, მაგრამ ამ დანაშაულის ძირითადი ობიექტი მართლმსაჯულების ინტერესებია, მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესია, რათა სისხლის სამართლის პასუხისვებაში არ მიეცეს უდანაშაულო პირი.

თუ უარყოფთ გვარეობითი ობიექტის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის აგების პრინციპს და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს სუბიექტის პრინციპით სამოხელეო დანაშაულთა თავში მოვათავსებთ, აუცილებლად დადგება პრობლემა, თუ რომელ თავში მოექცეს ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი, სასამართლოს უპატივცემულობა, მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმის მოსყიდვა ან იძულება, ცრუ დასმენა, დანაშაულის დაფარვა, დანაშაულის შეუტყობინებლობა, ქრთამის მიცემა, რადგან აღნიშნულ დანაშაულთა სუბიექტები კერძო პირებია.

სამოხელეო და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გამიჯვნისათვის აუცილებელია ასევე მოკლედ შევეხოთ ნორმათა კონკურენციის საკითხს. ასეთი მდგომარეობა აღმოცენდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით.

ნორმათა კონკურენცია შემდეგში მდგომარეობს: ჩადენილია ერთი ქმედება, რომლის ნიშნებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებში. ისმის საკითხი, თუ რომელი ნორმით უნდა მოხდეს ქმედების კვალიფიკაცია? მაგალითად, ავილოთ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და შევადაროთ იგი უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას. უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა ცხადია,

მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია, რომელიც თანამდებობის პირს წარმოადგენს. აღნიშნული დანაშაულის ჩადენა აუცილებლად გულისხმობის იმავდროულად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, მაგრამ მოსამართლის მიერ უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა უფრო ზუსტად და კონკრეტულად ასახავს თანამდებობის პირის, ამ შემთხვევაში მოსამართლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და ქმედებაც ამიტომ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა. ეს, ბუნებრივია, წარმოადგენს სპეციალურ ნორმას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ზოგად ნორმასთან მიმართებაში.

გარდა ამისა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ობიექტია სახელმწიფო აპარატის ნორმალური საქმიანობა და ამდენად, იგი სამოხელეო დანაშაულს წარმოადგენს, ხოლო უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ობიექტია სასამართლო ხელისუფლება. ამიტომ, აღნიშნული დანაშაული მოთავსებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და არა სამოხელეო დანაშაულთა თავში, როგორც ეს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლშია. სისხლის სამართლის კოდექსის ავტორები, ალბათ, იქიდან ამოვიდნენ, რომ სასამართლოც სახელმწიფო აპარატის შემადგენელი ნაწილია და უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას, მის ავტორიტეტის ხელყოფს. გარდა ამისა, მოსამართლეც ხომ თანამდებობის პირია! ზოგადად, აღნიშნული თვალსაზრისი სწორია, მაგრამ საბოლოოდ მას მაინც ვერ დავეთანხმებით, რადგან ნორმათა კონკურენციის პრინციპიდან გამომდინარე, უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლო ხელისუფლების პრესტიუს ხელყოფს, რომელიც ხსენებული დანაშაულის ობიექტია.

ამ დანაშაულის ობიექტია ასევე ადამიანის თავისუფლება. ამ თვალსაზრისით, სისხლის სამართლის კოდექსის 14ტორთა აზრი წინააღმდეგობრივი ჩანს, რადგან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მოთავსებულია უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში და განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება. ამ ორი დანაშაულის ობიექტად კანონმდებელი მიიჩნევს ადამიანის თავისუფლებას. სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში უდანაშაულო პირის განზრახ მიცემისა და განზრახ უკანონო დაკავების ან დაპატიმრების სუბიექტები თანამდებობის პირებია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა ხდება თანამდებობის პირის – მოსამართლის მიერ. აღნიშნული დანაშაულის ობიექტად კანონმდებელი მიიჩნევს სახელმწიფო აპარატის

ნორმალურ საქმიანობას, მის ავტორიტეტს. ამასთან, ეს დანაშაული ხელყოფს ადამიანთა თავისუფლებასაც. ამიტომ გაუგებარია, თუ რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როცა თანამდებობის პირების – მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიერ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში უდანაშაულო პირის განზრახ მიცემისა და განზრახ უკანონო დაკავების ან დაპატიმრების ობიექტად მიიჩნია ადამიანის თავისუფლება, ხოლო უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა, რომელსაც ასევე თანამდებობის პირი – მოსამართლე ჩადის, სამოხელეო დანაშაულად ჩათვალა, მაშინ, როდესაც ხსენებული დანაშაულიც ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული.

ბუნებრივია, რომ მოცემული პრობლემის გადაჭრა შემდგომ კვლევას მოითხოვს და წინამდებარე სტატიის საგანი ვერ იქნება.

ფრიდონ ბასილაშვილი,  
ქუთაისის საოლქო სასამართლოს  
მოსამართლე.



## კობა კობახიძე

**„გამოძალვის დელიქტის დეფინიციის  
სრულყოფილების მცდელობის გზაზე“**

გამოძალვის დელიქტი, ჩვენი აზრით, ერთი შეხედვით მეცნიერული განხილვის მხრივ ნაკლებ საინტერესოა, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, მისი იურისპრუდენციაში გამოყენების საკითხი პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო დისკუსიის შანსს გვაძლევს. საქმე იმაშია, რომ იგი ფორმალურ დანაშაულადაა აღიარებული და ამ ფონზე პრობლემები გვჭვდება პირის ზსენებულ დანაშაულში ინკრიმინირების დროს. გამოძალვის ე.წ. შედეგიან დელიქტად გარდაქმნის მიზნით, ჩვენი აზრი გამოთქმული გვაქვს 1989 წლის №6-ე უურნალ „საბჭოთა სამართალში“.

დღეს მოკლედ შევეხებით გამოძალვის საგნის და მისი სხვა დანაშაულისაგან გამიჯვნის ზოგიერთ საკითხს.

თითქოს მარტივად გასაგებია, რა მოიაზრება გამოძალვის საგნის ერთ-ერთ სახეში – ქონებაში, მაგრამ აქ ერთი დეტალია გასახსენებელი, თუ უწინ ამ თვალსაზრისით მსჯელობა იყო ცალკე მოქალაქის პირად და ცალკე სახელმწიფოს საკუთრებაზე, დღევანდელ, 2000 წლიდან მოქმედ, სისხლის სამართლის კოდექსში ზემოაღნიშნული გამოხატულია ერთ ცნებაში – სხვისი ქონება, სადაც ტერმინი „მოძრავი“, რაც წითელ ხაზად გასდევს ქონების ძარცვას და ყაჩაღობას, მართებულადაა შემოღებული, რამეთუ გამოძალვის გზით ქონებრივი უფლების მოპოვება შესაძლებელია უძრავი ქონების შემთხვევაშიც, განსხვავებით ზემოხსენებული დელიქტებისაგან. ტერმინ „სხვის ქონებასთან“ დაკავ-

შირებით, ე.ი. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქის პირადი საკუთრების ერთიან „სხვის ქონებად“ დეფინიციასთან დაკავშირებით ჩვენი აზრი გვაქვს გამოთქმული ჯერ კიდევ 1991 წელს.<sup>1</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინ „მოძრავთან“ დაკავშირებით ზოგ იურისტს წარმოეშვა აზრი, რომ შეიძლება ქურდობით ან ძარცვით ზოგი უძრავი ქონების გატაცებაც, მაგალითად, სახლის ან გარაჟის დაშლა და ისე დაუფლება. საქმე იმაშია, რომ ადრე უძრავად არსებული ქონება, მისი დაშლის შემდეგ ამოძრავებული, გვევლინება მოძრავი ქონების სტატუსში. თუ მათ შეხედულებებს გავიზიარებთ, მაშინ ე.წ. მთავარი უძრავი ქონების, მაგალითად, მიწის გატაცებაც შეიძლება, რადგან პრაქტიკული თვალსაზრისით მას იღებენ ერთი ტერიტორიიდან და იყენებენ სასაფლაოებზე, ორანჟერეებში, საყვავილე ქოთნებში, მწვანე ნარგავების კეთილმოსაწყობ უბნებზე, სტადიონებზე და ა.შ.

გამოძალვის საგანში საყოველთაოდ მიღებული კონცეფციით ქონებად მოიაზრება მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გამიზნული გარკვეული ღირებულების მქონე მატერიალური სამყაროს ნივთები და მათი ეკვივალენტები,<sup>2</sup> ხოლო სხვის ქონების

<sup>1</sup> კ. კობახიძე, გაზეთი „ცხოვრება და კანონი“, 1991, №4, სატაური „ყურადღება რეკეტი“, გვ.5.

<sup>2</sup> Куз В.Н., «Ответственность за вымогательство по советскому уголовному праву» азтორეფერატი, Харков, 1986, ст. 8.

ბად – როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის ქონება, აგრეთვე ამ უკანასკნელთა ქონება, რომელიც სხვა პირის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ იმყოფება.

რაც შექება გამოძალვის შემდეგ საგანს, იგი ასეა განმარტებული ამჟამინდელ რუსულ სისხლის სამართალში: „ქონებაზე უფლება – ეს იურიდიული კატეგორია, რომლის შინაარსი მოიცავს მესაკუთრის უფლებამოსილების აღიარებულ ცივილისტურ ტრიადას – უფლებას, სარგებლობას და განკარგვას. გამოძალვის დროს დამნაშავემ შეიძლება მოითხოვოს ერთ-ერთი ან რამდენიმე უფლებამოსილების გადაცემა ნივთის საკუთრებაში გადაუცემლად“.<sup>3</sup>

ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გამოძალვისათვის კიდევ ერთი საგანია დამახასიათებელი – ქონებრივი სარგებლობა, რომელიც გულისხმობს, მაგალითად, დამნაშავის სასარგებლოდ ამა თუ იმ სახის ფასიანი სამუშაოს უფასოდ შესრულებას ისეთი მოქმედებისას, რომლებსაც გამოძალველისათვის მოაქვს ქონებრივი სარგებელი. რუსეთში დღეს მოქმედ კოდექსში ასეთი სახის მოქმედებას დაარქვეს „ქონებრივი ხასიათის მოქმედებები“, სხვაგან ქონებრივი ხასიათის მოთხოვნები და ა. შ.<sup>4</sup>

გამოძალვის შემთხვევაში ქონებრივი ხასიათის ურთიერთობების წარმოშობისას საქმე გვაქვს სამოქალაქო ურთიერთობასთანაც, რომელშიც, თავისთავად, იგულისხმება გარიგებანი. ეს უკანასკნელი კი შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი ხასიათის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება კითხვის დასმა: შესაძლებელია თუ არა არაქონებრივი ხასიათის სარგებლის მიღება გამოძალვით, მაგალითად, ამ ხერხით თანავტორობის აღიარება მხოლოდ სახელის მოსახვეჭად, არჩევნებზე ხმის მიცემა, რაიმე ინფორმაციის მიღება, ხოტბა – დიდების შესხმა მასმედიაში, იურიდიული პირისათვის სახელის წართმევა, რაიმე სახის მატერიალურად დაუინტერესებელი შუამავლობა, ქორწინება ან მისი

შეწყვეტა არაქონებრივი ინტერესებით და სხვა. პასუხი, რა თქმა უნდა, ცალსახად დადებითია, მაგრამ როგორ წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთობა. მაგალითად, არჩევნებთან, ქორწინებასთან, თანავტორობასთან დაკავშირებით ისინი მოწესრიგებულია სისხლის სამართლის სპეციალური ნორმებით, მაგრამ ვინაიდან არაქონებრივი ხასიათის სარგებლის მიღების მრავალი მაგალითი შეიძლება დასახელდეს და ასეთი რეალობაშიც მოხდეს, მისი სამართლებრივი რეგულირება ხდება ზოგადი ნორმით, იძულებით, საქართველოს სსკ 150 მუხლით, – ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ი. ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება. მაგრამ საკითხავია, იძულების დროს მხოლოდ სარგებლის მიღებაა აუცილებელი? – ჩემი აზრით, არა, რადგან იძულებით შეიძლება მრავალი არასარგებლიანი შედეგის დადგომა სხვადასხვა მოტივით. ამიტომ, ისმის კითხვა: როგორ უნდა გაიმიჯნოს არაქონებრივი სარგებლის შემთხვევაში იძულების და გამოძალვის დელიქტები, თუ საჭიროა მოხდეს ამ დანაშაულთა საგნების კონკრეტიზაცია.

ვნახოთ, როგორია დანაშაულის საგანთან მიმართებაში უცხოური სისხლის სამართალი. გერმანიაში გამოძალვად ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია ზიანის მიყენება ქონებრივი ინტერესებზე.<sup>5</sup> ამერიკის შეერთებული შტატების დოქტრინის მიხედვით გამოძალვად ითვლება ქონების მიღება,<sup>6</sup> იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსის 247-ე მუხლით კი გამოძალველად ითვლება ეკონომიკური სარგებლის უკანონოდ მიმღები ან ის, ვინც ასეთით ასარგებლებს მესამე პირს.<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ, პირველ მათგანში გამოძალვის საგანია ქონებრივი ინტერესი, მეორეში – ქონება, მესამეში კი ეკონომიკური სარგებელი. ეს უკანასკნელი შეგვიძლია მივუსადაგოთ „ჩვენი გამოძალვის“ ერთ-ერთ საგანს – ქონებრივ სარგებლობას, მეორე მათგანი – ქონებას, პირველი

<sup>3</sup> Уголовное право, Особенная часть, учебник для Вузов, Издательская группа «Инфра». Мирома – Москва, 1997, ст.240.

<sup>4</sup> Кущ В.Н., «Ответственность за вымогательство по советскому уголовному праву» азоторговля, Харьков, 1986, ст. 9.

<sup>5</sup> Ф.М. Решетников, «Буржуазное уголовное право – орудие защиты частной собственности», М., 1982, ст.57.

<sup>6</sup> იქვე. გვ.98.

<sup>7</sup> იქვე. გვ.105.

— ქონებაზე უფლებას. ვინაიდან საქმე ეხება სამოქალაქო ურთიერთობებს, ტერმინ „ქონების“ დეფინიციისათვის, ჩემი აზრით, მიზანშეწონილია, მოვიშველიოთ უკვე დაკანონებული და აპრობირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი: „ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“. ამავე კოდექსის 152-ე მუხლში კიდევ ერთი ცნებაა — „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე“. ეს უკვე კანონია და არა დოქტრინული შეხედულება და მისი მიხედვით ქონებაში მოიაზრება დღევანდელი გამოძალვის საგნები, მატერიალური ღირებულების მქონე მოძრავი და უძრავი ნივთები, ქონებაზე უფლებაც, ქონებრივი სარგებლობაც: ქონებაზე უფლება ესაა — „მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს“, ქონებრივი სარგებლობაა — „მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი“ და, მესამეც, არაქონებრივი სარგებლობა — „ასეთის მფლობელს მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რამე“ (ე.ი. არამატერიალური სარგებელი კ.კ.).

ამგვარად, „ქონების“ კანონისმიერი განმარტება მოიცავს გამოძალვის სამივე საგანს — თავად ქონებას, ქონებაზე უფლებას და ქონებრივ სარგებლობას (რაზეც ცალსახადაა მითითებული საბჭოური ქვეყნების და ამჟამინდელ რუსულ სისხლის სამართლის დოქტრინებში), აგრეთვე, არაქონებრივი ხასიათის სარგებელსაც, რომლების გამოძალვის გზით მიღების შემთხვევებს არეგულირებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსკ-ის სპეციალური ნორმები. თუმცა, ასეთის უქონლობის პირობებში ზოგადი ნორმის სახით გამოყენებული უნდა იქნეს არა საქართველოს სსკ 150 მუხლი — იძულება, არამედ 181-ე მუხლი —

გამოძალვა. ე.ი. ჩვენი აზრით, რაიმე სარგებლის, ეს იქნება მატერიალური თუ არამატერიალური ხასიათის, მიღება მუქარადართული მოთხოვნით უნდა დაკვალიფიცირდეს გამოძალვად, თუ არაა სპეციალური ნორმა, ხოლო თუ რაიმე სარგებლის გარეშე ხდება ასეთი პირის მოქმედება, უნდა დაკვალიფიცირდეს იძულებად. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ ენიჭება იმ გარემოებას, რომ გამოძალვა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, ხოლო იძულების გვარეობითი ობიექტია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ამდენად, მიზანშეწონილია, გამოძალვის საგნად მივიჩნიოთ არაქონებრივი ხასიათის სარგებელიც და ამ დელიქტში „ქონების“, ქონებაზე უფლების“ და „ქონებრივი სარგებლობის მიღების“ გაგებაში მოვიაზროთ ზემოთნახსნები, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული „ქონების დეფინიცია და მასში მოცემული „არაქონებრივი სიკეთის“ გაგება, რის შემდეგაც აღიარებული იქნება, რომ გამოძალვის საგანს წარმოვსახავთ მხელოდ ტერმინ „ქონებაში“.

აქვე ერთი საკითხია აღსანიშნავი, კანონმდებელმა ქონებად მიიჩნია ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით და არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. ამიტომ, თუ თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებული ქონების გამოძალვა მოხდება, მათ მოიცავს დანაშაულის სპეციალური შემადგენლობები, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოძალვა — სსკ 237 მუხლი; შხამის გამოძალვა — სსკ 250 მუხლი; ნარკოტიკულ საშუალებათა მოთხოვნა-გამოძალვა — 264-ე მუხლი; ხოლო თუ ეწინააღმდეგება ზნეობრივ მოთხოვნებს თავად სარგებელი, და ამდენად არ ჩაითვლება იგი ქონებად, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სპეციალური ნორმებით — მაგალითად, სსკ 139-ე მუხლი — სქესობრივი კავშირის იძულება სახელგამტები ცნობების გახმაურების ან ქონების განზრახ დაზიანების მუქარით და მისთ. ასევე 253-ე მუხლი — ამავე გზით პროსტიტუციაში ჩაბმა. ე.ი. აქ ორივე შემთხვევაში რაღაც სარგებელი არის და მაგალითად, მეძავთან გამოძალვითი გზით სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის გასამრჯელოსაგან გათავისუფლება გარკვეული ქონებრივი სარგე-

ბელიც არის, მაგრამ ვინაიდან ასეთი ამორალური სარგებელი კანონით ქონებად არ ითვლება და თან სპეციალური ნორმაც არსებობს, ასეთი ქმედება არ დაკალიფიცირდება გამოძალვად.

გამოძალვის კვალიფიკაციის საკითხი არის დაკავშირებული სხვა დანაშაულისაგან მისი გამიჯვნის საკითხთან. „იგი ყველაზე მეტად ახლოსაა ძარცვასთან, უფრო სწორად, ძარცვის მცდელობასთან. ძარცვისას ქონების მძარცველზე გადაცემა ჩადენილს აქცევს დამთავრებულ დანაშაულად, მაგრამ ვიდრე მოხდება ეს გადაცემა, დამნაშავის სიცოცხლისათვის არასაშიში ძალადობა ახლოსაა გამოძალვის დროს ქონებრივი მოთხოვნის წარდგენის გაგებასთან და გამოძალვისა და ძარცვის მცდელობას შორის მკვეთრი გამიჯვნა შეუძლებელია“<sup>8</sup>. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ზოგ რუს ავტორს მიაჩნია, რომ ძარცვისას ნივთის გადაცემა მაშინვე ხდება, გამოძალვისას კი მომავალში.

დაახლოებით ამასვე იზიარებს ზოგიერთი ამერიკული მეცნიერი და ძარცვისა და გამოძალვის ერთადერთ განმასხვავებელ ნიშნად თვლიან გარკვეული მოქმედების მომავალში შესრულებას – არა ქონების მომავალში გადაცემას, როგორც ამას ფიქრობენ რუსი ავტორები, არამედ მუქარის მომავალში ასრულებას – ძარცვისას მაშინვე ხდება მუქარის ასრულება, გამოძალვის შემთხვევაში კი მომავალში.<sup>9</sup>

ზოგიერთი რუსი ავტორი, ვერ ახერხებს რა გამოძალვისა და ძარცვის განსხვავებას სხვა კრიტერიუმით, წერს: „მუქარის დაუყოვნებლივი ასრულება ფსიქიკურ ძალადობას გადაზრდის ფიზიკურში, ხოლო გამოძალვას – ძარცვაში ან ყაჩაღობაში“, ან „გამოძალვა და ძარცვა ქმნიან დანაშაულთა ერთობლიობას, როცა ძალადობის იმავდროულად გამოყენების შემთხვევაში გამომძალველი ქონების ნაწილს მომავალში ითხოვს, ნაწილს კი მაშინვე ეუფლება.“<sup>10</sup>

მუქარის ქონების მიღების თანადროულად ან

<sup>8</sup> Ответственность за вымогательство, «Соц. законность» М., №6 Ляпунов, ст. 38.

<sup>9</sup> Ф.М. Решетников, «Буржуазное уголовное право – орудие защиты частной собственности», М., 1982, ст. 98-99.

<sup>10</sup> Уголовное право, Особенная часть, учебник для Вузов, Издательская группа «Инфра». Мнорма – Москва, 1997, ст.246.

მომავალში ასრულებასთან დაკავშირებით ზოგ ავტორს ასეთი შეხედულებები აქვთ:

„ერთი მხრივ ძარცვის და ყაჩაღობის, მეორე მხრივ, გამოძალვას შორის კვალიფიკაციის სიძნელის გამო სწორი იქნებოდა მათ შორის განსხვავება დაგვენახა არა მუქარის განხორციელების მომენტში, არამედ მუქარის ასრულებისას ძალადობის დანიშნულებაში – შურისძიება ქონების გადაცემაზე უარის გამო. გამოძალვის მუქარა ემსახურება დაზარალებულისაგან შესაძლებელი წინააღმდეგობის გადალახვის მიზანს გამომძალველზე ქონების გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, მაგრამ მისი შესაძლებელი რეალიზაცია ისახავს სხვა მიზანს – შურისძიებას უარის თქმისათვის;“<sup>11</sup>

დაახლოებით ამავე აზრს, ე.ი. ქონების გადაცემაზე უარის შემთხვევაში შურისძიების მიზნით მუქარის და ძალადობის გამოყენებას გამოძალვის სხვა დანიშნულებისაგან გამმიჯნავ საშუალებად აღიარებას ემსრობა ვ. კუცი;<sup>12</sup>

„გამოძალვითი მუქარა უნდა იყოს დაზარალებულის იძულების საშუალება, გამომძალველს გადასცეს ქონება;“<sup>13</sup>

„ძარცვისას დამნაშავე თავად ართმევს ქონებას დაზარალებულს, გამოძალვისას კი იგი აიძულებს მას თავის ხელით გადასცეს ქონება;“<sup>14</sup>

აფხაზ იურისტს მ. გუგუჩიას გამოძალვისა და ძარცვის, ყაჩაღობის განსხვავებისას აქცენტი გადააქვს დანაშაულის საგანზე. აღნიშნავს, რომ ძარცვისა და ყაჩაღობის დროს არ შეიძლება ქონების უფლების ან ქონებრივი უფლების გატაცება და ემსრობა აზრს, რომ გამოძალვისას, განსხვავებით მსგავსი დანაშაულობისაგან, შეიძლება დამნაშავემ წარადგინოს მოთხოვნა იმაზე, რაც დაზარალებულს მომავალში ექნება;“<sup>15</sup>

<sup>11</sup> Вестник ЛГУ, серия 6, №4, «Вымогательство, как форма хищения», Боготишев В.Я., 1990, ст.70.

<sup>12</sup> Кущ В.Н., «Ответственность за вымогательство по советскому уголовному праву» азоторгтранс, Харков, 1986, ст.12.

<sup>13</sup> Исаев М.М., «Имущественные преступления», М., 1930, ст. 44.

<sup>14</sup> И.Н. Якимов, «Вымогательство и шантаж», «Административный вестник», №2, М., 1926, ст.39.

<sup>15</sup> Ответственность за разбой по советскому уголовного законодательства, Сухуми, Абхазгосиздат, 1958, ст.122-125.

გამოძალვის სხვა დანაშაულისაგან გამიჯვნაზე მსჯელობისას ს. ბაკშევი წერს: „გამოძალვითი მუქარის რეალიზება ხდება არა მაშინვე, როცა დაზარალებული არ შეასრულებს მასზე წარდგენილ მოთხოვნას, არამედ გარკვეულად ახლო თუ შორეულ მომავალში . . . გამოძალვითი მუქარა შეიძლება გამოიხატოს არაპირდაპირი ფორმითაც, წერილობითი მინიშნებით . . სხვისი მეშვეობით, განსხვავებით სხვა სახის მუქარისაგან“.<sup>16</sup>

თუ კარგად დავუკვირდებით ზემოჩამოთვლილ განმასხვავებელ გამოძალვის მსგავსი დანაშაულებისაგან გამიჯვნავ არგუმენტებს, ასეთი მიზნით საბოლოოდ არცერთი არ გამოდგება, რადგან შესაძლებელია მრავალი ისეთი მაგალითის მოტანა, როცა არანაირი არგუმენტის მოშველიებით არ მოხერხდება გამოძალვის გამიჯვნა უფრო მეტად ძარცვისაგან და გამოძალვის დღევანდელი დეფინიციის ფონზე. შეიძლება ისეთი მაგალითის მოფიქრება, როცა იდეალურად დაემთხვევა გამოძალვისა და ძარცვის დანაშაულის შემადგენლობები და ასეთი მოქმედების იურიდიულმა შეფასებამ შეიძლება დილემამდე მიგვიყვანოს. ასეთი ჩიზი რომ თავიდან ავიცილოთ, გამოძალვის დეფინიციაში, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა შევიტანოთ ჭერმინი „წინასწარი შეთანხმება“, რის გამოც გამოძალვად გაიგება არა მარტო დამნაშავის ქონებრივი მოთხოვნის წარდგენა, არამედ დაზარალებულთა შეთანხმება ასეთზე და შემდეგ ქონების გადაცემა გამომძლველზე. დაახლოებით ასეთ შეთანხმებაზე ამერიკის იურიდიულ დოქტრინაშიც და კანონთა კრებულებშიც უშუალოდაა მითითებული, კერძოდ, ამერიკის სისხლის სამართლის ნორმატიულ აქტთა კრებულში. მის არსებობაზე ჩვენ გვქონდა ლაპარაკი რეკეფტის ცნების განმარტების დროს ამ კანონის 95-ე თავის 1951-ე პარა-

გრაფის მოხმობისას: „გამოძალვა ნიშნავს სხვა პირისაგან მისივე თანხმობით ქონების შეძენას ძალადობით, დაშინებით და ა.შ.“ რაც შეეხება დოქტრინას, მის მაგალითად გამოდგება ფ. რეშეტნიკოვის „ბურჟუაზიული სისხლის სამართლში“ განხილული ზოგიერთი ამერიკელი ავტორის გამოძალვის ძარცვისაგან გამიჯვნის პრინციპი: „ზარცვის დროს დამნაშავე დაზარალებულის ნების წინააღმდეგ იღებს ქონებას, გამოძალვისას კი მისი თანხმობით“.<sup>17</sup> ე.ი. ლაპარაკია არა უბრალოდ თანხმობაზე, დათანხმებაზე, არამედ წინასწარ შეთანხმებაზე, თუმცა, კაბალურზე, მაგრამ მაინც ორმხრივზე.

ასეთი ჭერმინის შემოღება გადაწყვეტს დიდ პრობლემას: მხოლოდ მოთხოვნის წარდგენა არ ჩაითვლება დამთავრებულ გამოძალვად და იგი აღიქმება მხოლოდ მცდელობის დონეზე. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ერთადერთი რუსი მეცნიერი იურისტი ეხმაურება ჩვენს გულისტკივილს, როცა იგი წერს, რომ „გამოძალვა თავისი არსით დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს დამნაშავის მიერ ქონებრივი სარგებლობის მიღების მომენტიდან“.<sup>18</sup>

წინასწარ შეთანხმებაში უნდა ვიგულისმოთის მომენტი, რომ ვიდრე დაზარალებული დაყაბულდება გამომძალველის პირობას, მას აქვს შანსი, მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ განუცხადოს ვინმეს. ამის საშუალება კი მას არა აქვს ყაჩაღობის თუ ძარცვის დროს და მას შემდეგ, რაც აწონ-დაწონის, აწყობს თუ არა გამომძალველის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დათანხმება, ახდენს ასეთ გარიგებას, შეთანხმებას, რის შემდეგაც ხდება გადაცემა. ჩვენი აზრით, „წინასწარი შეთანხმების“ აზრის ჩადება გამოძალვის დისპოზიციაში მოახდენს მის მკვეთრ გამიჯვნას სხვა მსგავსი დანაშაულებისაგან.

კობა კობახიძე,  
ნაძალადევის რაიონის პროკურორის  
თანაშემწე.

<sup>16</sup> Уголовно-правовая охрана личной собственности в СССР, 1954, ст.114-118.

<sup>17</sup> Ф.М. Решетников, «Буржуазное уголовное право – орудие защиты частной собственности», М., 1982, ст.98

<sup>18</sup> Исаев М.М., «Имущественные преступления», М., 1930, ст. 44.

## ბესიკ ქუთათელაძე

### ზიანის ანაზღაურების ზოგიერთი პრობლემის შესახებ (სისხლისამართლებრივი ასკექტი)

დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება ყოველი ადამიანის სამართლებლივი სტატუსის ელემენტია. მაგრამ არც საქართველოს კონსტიტუცია და, შესაბამისად, არც სისხლის სამართლის მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობა, არ ადგენს ნორმას, რომელიც შექმნიდა სრულფასოვან გარანტიებს დანაშაულით დარღვეული უფლების აღსადგენად, მიუხედავად არაერთი მცდელობისა (მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ისეთი ინსტიტუტების შექმნით, როგორიცაა: სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში, სისხლის სამართლებრივი რესტიტუცია, ბრალდებულის მიერ ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება, ზიანის ანაზღაურება სასამართლოს ინიციატივით).

ფაქტია, რომ არ არსებობს დაზარალებულის უფლებათა რეალიზაციის სათანადო იურიდიული მექანიზმი. 1998 წელს ძალაში შესულ საპროცესო კანონში დაზარალებული ჯერ კიდევ რჩება პასიური და თავის უფლებებში საკმაოდ შეზღუდული სუბიექტი. ჩვენ ვაღიარებთ, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს და იგი დამნაშავემ უნდა აანაზღაუროს; დამნაშავემ სხვისი სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისათვის პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ პირადად (თავისუბლების აღკვეთა და სხვა), არამედ ქონებრივადაც. ისიც გასაგებია, რომ ზიანის მიყენების შემთხვევაში პირს წარ-

მოეშობა უფლება „სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“ (სსსკ 30-ე მუხლის პირველი ნაწილი). პრაქტიკულად კი ხშირია შემთხვევა, როდესაც დაზარალებულმა (ან სხვა უფლებამოსილმა პირმა) არც კი იცის ვის წარუდგინოს სასარჩელო მოთხოვნა. მაგალითად, როდესაც ბრალდებული დაუდგენელია. ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილით: „ბრალდებულის დაუდგენლობა არ აბრკოლებს სამოქალაქო სარჩელის წარდგენას. საქმის წარმოების შეჩერების შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაიმალა, მისი ადგილსამყოფელი ან პასუხისვებაში მისაცემი პირი დაუდგენელია, სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიძლება წარედგინოს სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“ (ნორმა 2005 წლის 15 მაისიდან უნდა ამოქმედდეს). ამით კანონმდებლმა ზაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო დაზარალებულის წინაშე ანგარიშვალდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კომპეტენტური ორგანოები ვერ შეძლებენ დამნაშავის მხილებასა და დასჯას. თუ ეს ასეა, ვის ევალება დაიცვას ქვეყანაში მართლწესრიგი და უზრუნველყოს საზოგადოების ყოველი წევრის უსაფრთხოება? ნუთუ დაზარალებულს!...

თუ სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოები ვერ შეძლებენ დანაშაულის აღკვეთას, ბუნებრივია, სახელმწიფო, რომელიც თავს იწონებს თავის მოქალაქეთა მფარველობითა და დაცვით, უნდა იკისროს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ნოველა (მისი ფორმულირება და არასაკმარისობა) ჰქონის ყველა გარანტიას მისი უმოქმედობისათვის და მხოლოდ ჩვენს მიერ საკითხის ნაკლებმნიშვნელოვნების აღიარებაზე, პრობლემის სიღრმისეული წვდომის უუნარობაზე მეტყველებს.

ვინ უნდა აანაზღაუროს ზიანი, თუ სისხლის-სამართალწარმოებაში გამოირკვა, რომ დამნაშავის მატერიალური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა ზიანის არა თუ სრული, არამედ ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის. აღნიშნული გარემოება, როგორც მოყვანილი ნორმიდან ჩანს, არ ქმნის საფუძველს სასარჩელო მოთხოვნის სახელმწიფოსათვის წარსადგენად. ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 39 მუხლით: „1. სამოქალაქო სარჩელის განხილვისას ზიანის ანაზღაურების საფუძველს, პირობას, მოცულობასა და წესს განსაზღვრავს სამოქალაქო, შრომის და სხვა კანონმდებლობა.“ მაგრამ აღნიშნული კანონმდებლობით მოპასუხის გადახდისუუნარობის ფაქტის დადგენა ქმნის საფუძველს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, ანუ, ზიანი არც ამ შემთხვევაში ნაზღაურდება. მაგრამ იმ საქმეებზეც, სადაც მოპასუხის ქონებიდან ზიანის დაფარვა შესაძლებელია, დანაშაულის ჩადენიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე (რითაც ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება), ხშირად რამდენიმე წელიც გადის, რაც ნამდვილად არასასურველ მდგომარეობაში აყენებს დაზარალებულს. (საგულისხმოა, რომ სამოქალაქო მოსარჩელეს სახელმწიფოსათვის სასარჩელო მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ სსკ-ის 29-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალ-

ისწინებული საფუძვლით სისხლისსამართალწარმოების შეჩერებისას და მხოლოდ გამოძიების ვადის გასვლის შემდეგ). პირობითად წარმოვიდგინოთ პირი, რომელსაც სხეულის დაზიანების შედეგად სასწრაფო სამედიცინო დახმარება ესაჭიროება, იმ ოჯახის მდგომარეობა, რომელსაც არა აქვს სახსარი დაკრძალოს მიცვალებული და ა.შ. იმედია, ნათელია ზიანის არა მარტო სრული, არამედ დროული ანაზღაურების საჭიროებაც. დღეისათვის რეალურად არსებული უფასო სამედიცინო დახმარებისა და დაზღვევის სისტემა ამ მხრივ მდგომარეობას ვერ შეამსუბუქებს.

გაურკვევლობას ბადებს კითხვაც – დამნაშავის გარდაცვალების შემთხვევაში ვინ უნდა აანაზღაუროს ზიანი? ამჯერადაც სამოქალაქო კანონმდებლობას უნდა დავესესხოთ. „მემკვიდრეული ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივების ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად“ (სსკ-ს 1484-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამ შემთხვევაში დაზარალებული თავისი სტატუსით კრედიტორს უნდა გავუთანაბროთ. მამკვიდრებლის ქონება, პირველ რიგში, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგის აღმოფხვრას უნდა მოხმარდეს. მაგრამ, თუ ეს ქონება ზიანის დაფარვის საშუალებას არ იძლევა, დაზარალებული კიდევ ერთხელ დაუცველი რჩება.

აი, დაახლოებით ასეთია საქართველოს კანონმდებლობით შექმნილი დაზარალებულის უფლებათა დაცვის მექანიზმი. ჯერ იგი დანაშაულის მსხვერპლია, მოგვიანებით სისხლის სამართალწარმოებაში არც ისე სასიამოვნო პროცედურის მონაწილის სტატუსს იღებს, სადაც საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლის დადგენისას (სსკ-ის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილი), იძულებული ხდება ახალ წარმოებაში ჩაერთოს. სახელმწიფოსათვის სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით დაზარალებული (სამოქალაქო მოსარჩელე) სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტად იქცევა, რომლის დასასრულს საკუთარ უფლე-

ბებსა და პაროლმსაჯულების აპარატზე იმ-  
ედგაცრუება ელის.

მიმართ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოებაში გადაცემა კიდევ ერთხელ ლახავს დაზარალებულის უფლებებს. ერთი საქ-  
მის გამო ორი წარმოების დაფინანსება არც სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს.  
ჩნდება ეჭვი, ხომ არ კეთდება ეს იმისათვის,  
რომ თავმოხეზრებულმა დაზარალებულმა ხელი ჩაიქნიოს წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნაზე  
და ამით სახელმწიფომ თავი აარიდოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

ყველაზე მძიმე ტვირთად დაზარალებულს გაუხსნელი დანაშაული აწევს. 1998 წლის ოფიციალური მაჩვენებლებით, მსოფლიოში დან-  
აშაულთა მხოლოდ 40% იხსნება.<sup>1</sup> არ ვფიქრობ,  
რომ ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში უკეთესი მდგო-  
მარეობა იქნა. ოფოციალური მონაცემების სის-  
ტორეშიც რომ არ გვეპარებოდეს ეჭვი, ფაქტია,  
დანაშაულია მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ  
განუცხადებული ან სამართალდამცავი ორგანოე-  
ბის მიერ დაუნახავი რჩება. დაზარალებული არ  
ჩქარობს განაცხადოს დანაშაულის შესახებ. ამის  
მიზეზი მისი რწმენაა, რომ იგი ვერ გაიხსნება  
და არ ანაზღაურდება ზიანი.

დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე,  
ზიანის დროული და სრული ანაზღაურების პრინ-  
ციპის უზრუნველყოფის ერთადერთ გზას სპე-  
ციალური სახელმწიფო ფონდის შექმნასა და  
სახელმწიფოს მიერ ყველა ზემოთჩამოთვლილ  
შემთხვევებში დანაშაულებრივი შედეგის აღმოფხ-  
ვრის ვალდებულების თავის თავზე აღებაში ვხე-  
დავ. აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა, პირველყ-  
ოვლისა, ხელს აძლევს თავად სახელმწიფოს,  
მისი სამართალდამცავი ორგანოებისადმი საზოგა-  
დოების მხრიდან დაკარგული ნდობის აღსაღ-  
გენად. დაზარალებულმა იცის რა, რომ ზიანი

აუნაზღაურდება დანაშაულის გაუხსნელობის,  
დამნაშავის გარდაცვალებისა, თუ მისი გადა-  
ხდისუუნარობის დადგენის შემთხვევაშიც, იგი  
აღარ დაფიქრდება, განაცხადოს თუ არა დანა-  
შაულის შესახებ.

სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურება არა  
მხოლოდ დაზარალებულის კანონიერი ინტერე-  
სების სრულ დაცვას უზრუნველყოფდა, არამედ  
(როგორც სისხლის სამართლებრივი პოლოტიკის  
საშუალება) ხელს შეუწყობდა ზოგადი პრევენცი-  
ის ამოცანების შესრულებას. აიღებდა რა თავის  
თავზე (პირველ ეტაპზე მაინც) ზიანის ანაზღაუ-  
რების ვალდებულებას, სახელმწიფო არსებითად  
გაუიოლებდა ბრალდებულს საზოგადოებაში დაბ-  
რუნებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების  
გადავადებამ (მაგრამ, რათქმაუნდა, არა დაზარალე-  
ბულის ინტერესების ხარჯზე) შეიძლება არსე-  
ბითად შეუწყოს ხელი დამნაშავის რესოციალ-  
იზაციას. ... გარდა ამისა, სახელმწიფო განაგებს  
ქონებრივი ხასიათის სანქციების (ჯარიმა, ქონების  
კონფისკაცია) გამოყენებით მიღებულ თანხებს.  
... ამდენად სამართლიანი იქნებოდა, ეს თანხები  
გამოყენებულიყო დანაშაულის შედეგად მიყენებ-  
ული ზიანის აღმოსაფხრელად.<sup>2</sup>

სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურება ხელს  
შეუწყობდა საგამოძიებო და სასამართლო ორ-  
განოების გააქტიურებას დანაშაულის გახსნისა  
და დამნაშავის მხილების მხრივ.<sup>3</sup>

სახელმწიფო ფონდის შექმნის იდეას ორსაუკუ-  
ნოვანი ისტორია აქვს. 1900 წელს ბრიუსელში  
საერთაშორისო პენიტენციალურ კონგრესზე  
პენალისტთა დიდმა ნაწილმა აღიარა, რომ ზიანის  
ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფომ თავის  
თავზე უნდა აიღოს. დანაშაულით მიყენებული  
ზიანის ეფექტური ანაზღაურების პრობლემას

<sup>2</sup> Мазалов А.Г., Савицкий В.М. Нерешенная проблема возмещения вреда потерпевшему от преступления // Провоедение, 1977, №3, с.49 – 50.

Понарин В.Я. Защита имущественных прав личности в уголовном процессе Российской Федерации. Дис. на соиск. уч. сте док. юрид. наук, Воронеж, 1994, с.178.

<sup>1</sup> Известия 1998 15 апр. в кн.: Доказывание в уголовном процессе. под ред. В.А. Власихина М., 2000, с.147.

მიეძღვნა 1973 წელს ფრაიბურგში გამართული საერთაშორისო კოლოკვიუმი.<sup>4</sup> იგივე თემას და ეთმო 1974 წელს ბუდაპეშტში გამართული სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის XI კონგრესის მესამე სექცია. პროფესორ ბემელნის (ნიდერლანდები) გენერალურ მოხსენებაში ნათქვამია: „რადგან დამნაშავეთა დაგვიანებით მოძებნისა და გადახდისუნარობის გამო დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ხერხდება, ან ჭიანურდება ხანგრძლივი დროით, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდები“. აღნიშნულ კონგრესზე დელეგატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სამოქალაქო სარჩელის სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში განხილვას.<sup>5</sup>

განსახილველ თემას შეეხება რამოდენიმე საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტი. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ „მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია ხელისუფლების დანაშაულებათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის“, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბერს.<sup>6</sup> დეკლარაციის მე-12 პუნქტის მიხედვით, „იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სამართალდარღვევისგან ან სხვა წყაროებიდან კომპენსაციის სრული მოცულობით მიღება, სახელმწიფო ფინანსური კომპენსაცია უნდა მისცეს: а) მსხვერპლთ, რომლებმაც მძიმე დანაშაულობათა გამო მიიღეს მნიშვნელოვანი სხეულის დაზიანება ან არსებითად დაზიანეს ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა; ბ) ოჯახებს, იმ პირთა კმაყოფაზე მყოფთ, რომლებიც ამგვარი ვიკტიმიზაციის შედეგად დაიხოცნენ ან ფიზიკურად ან ფსიქიკურად არაშ-

რომისუნარიანები გახდნენ.“<sup>7</sup> მაშასდამე, დეკლარაციის შესაბამისად სახელმწიფი ფონდიდან ზიანი ნაზღაურდება მხოლოდ: „პძიმე დანაშაულებათა გამო“. ყურადღებას იჰკობს დოკუმენტით ზიანის ანაზღაურების ორი ფორმის გამიჯვნა: კომპენსაცია (სახელმწაფოს მიერ ეროვნული და სხვა ფონდების შექმნით) და რესტიტუცია (დამნაშავის ან ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ).

1983 წელს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული იქნა „ევროპის შეთანხმება ძალადური დანაშაულით მიყენებული ზიანის კომპენსაციის შესახებ“.<sup>8</sup> შეთანხმება აღვენს საკომპენსაციო სისტემის მინიმალურ სტანდარტებს და ვრცელდება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ განზრახდანაშაულებზე.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყანა იცნობს სპეციალური სახელმწიფო (სადაზღეო) ფონდის ფენომენს. ა.შ.შ-ის რამდენიმე შტატის, იაპონიის, ავსტრაიის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულია სახელმწიფო ფონდიდან ზიანის დაფარვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა საქმეებზე.<sup>9</sup>

მეტი თვალსაჩინოებისათვის მინდა წარმოგიდვინოთ ფინეთის კანონი „დანაშაულებრივ ქმედებათა მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდა სახელმწიფო ფონდიდან“, რომლის მიხედვითაც კომპენსაციის გადახდის საფუძველი წარმოადგენს იმ პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც განიხილავდა საქმეს ზიანის გამომწვევი დანაშაულის შესახებ. მიმართვა ეგზავნებოდა ინციდენტთა სახელმწიფო

<sup>4</sup> Revue internationale de droit penal. 1973, N 1-2, p. 372-406.

<sup>5</sup> Клочков В. Конгресс международной ассоциации уголовного права // Законность, 1975, №3, с. 35.

<sup>6</sup> საქართველოს კანონები. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბილისი, 1998, გვ. 510-518.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 516.

<sup>8</sup> Reparations to Victims of Crimes and the Trust Fund (Art. 75 and 79 of the Rome Statute), 1999, p. 6-18.

<sup>9</sup> Веденникова О. Фонд для жертв преступлений // Соц. законность, 1990, №11, с. 26.

სამსახურს (State Accident Office), რომელიც განსაზღვრავდა კომპენსაციის ოდენობას. თუ ბრალდებულის ვინაობა დაუდგენელია, პოლიციის ორგანოში დანაშაულის შესახებ განცხადების შესვლიდან 6 დღის გასვლისას, ინციდენტთა სახელმწიფო სამსახური იღებს გადაწყვეტილებას კომპენსაციის შესახებ. შემოსავლის შემცირების ან მარნენალის დაკარგვის შემთხვევაში გადახდა ხდება ნაწილ-ნაწილ და რეგულარულად. კომპენსაციის ნებისმიერი სხვა სახე გაიცემა ერთდროულად. აღნიშნული სამსახურის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. შემდგომი გასაჩივრება არ დაიშვება.<sup>10</sup>

კანონმდებლობით დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სრული რეგლამენტაციისათვის აუცილებლად მიგვაჩნია თეორიული, ნორმატიულ-სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე რამდენიმე ახალი ნორმის შემუშავება.

დაზარალებულის უფლებათა უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმწიფო ფონდი, სოციალურ-ფინანსოვანური და ინფორმაციული დახმარების სამსახური. ეს საკითხი ეტაპობრივად, თანმიმდევრულად, სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის სინამდვილის გათვალისწინებით უნდა შეისწავლოს.

სისხლის საპროცესო კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესატანად დასაბუთებული წინადაღებების შეთავაზებამდე მეცნიერულ დამუშავებასა და პასუხის გაცემას მოითხოვს შემდეგი კითხვები: რა ფორმა ექნება სახელმწიფო ფონდს? რა წყაროებიდან შეივსება იგი? რა შემთხვევაში და რა წესით მიმართავს მას დაზარალებული? ვინ უნდა იყოს ფონდიდან კომპენსაციის მიღების სუბიექტი? რა სახის ზიანი (რა მოცულობით) ანაზღაურდება ფონდიდან? რა წესითა და ვადაში მოხდება კომპენსაციის გადახდა? რა ფორმით მოხდება მსჯავრდებულიდან სახელმწიფო ფონდის სასარგებლოდ თანხების ამოღება? და ა.შ.

ბესიპ ქათათელაძე,  
თსუ სისხლის სამართლის პროცესისა და  
კრიმინალისტის კათედრის ასპირანტი.

<sup>10</sup> Мазалов А.Г., Савицкий В.М. Указ. соч. с49-50.

## ავთანდილ კახიაშვილი

# მოსამართლეობის საპპალიციკაციო გამოცდის ჩატარების შესის სრულყოფისათვის

სამართლებრივი სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სამომავლო ორიენტირია, ჯერჯერობით კი ქვეყანაში გამართულად მომუშავე სახელმწიფო მექანიზმია შესაქმნელი. კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების უპირველეს დამცველად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა გვევლინებოდნენ, ხოლო კანონიერი უფლებების დარღვევისას მოსახლეობას უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოებისათვის მიმართვის საშუალება.

ვინაიდან, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და სამართლიანი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების არსებობით თითოეული მოქალაქე სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმა ზოგადსაკაცობრიო აღიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებს მონატრებული საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

მოსამართლეთა კორპუსის შეცვლის ერთობ გაჭიანურებული კამპანიის შოქ-ჩრდილებზე ბევრი ითქვა და დაიწერა.

შეიძლებოდა მსჯელობა რეფორმის კონცეფციისა და საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებებზე, არსებით ხარვეზებზე საკვალიციკაციო გამოცდების ჩატარების მეთოდიკასა და პროცედურაში, მაგრამ, ვინაიდან მორიგი გამოცდები კარს მოგვადგა, მიზანშეწონილად მივიჩნევ, ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, ნამუშევრების შეფასების

ობიექტურობის საკითხისათვის დამეთმო, მითუმეტეს, რომ მოსამართლეობის კანდიდატთა ნაწილი ადრე ჩატარებული გამოცდის შედეგით უკმაყოფილო დარჩა და ერთ-ერთმა სასამართლოშიც კი იჩივლა.

საკითხის აქტუალობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მოსამართლეობის კანდიდატებთან ერთად, უახლოეს მომავალში, მოსამართლეობის საკვალიციკაციო გამოცდის მსგავსად, შესაძლოა, პროკურორებად და ადვოკატებად მუშაობის მსურველებსაც მოუწიოთ გამოცდების ჩაბარება.

იუსტიციის საბჭოს ყოფილის წევრი, ამჟამად ქუთაისის საოლქო სასამართლის თავმჯდომარე მამუკა მამალაძე ბრძანებდა, რომ: „ტესტური გამოცდისას შემოქმედებითი საქმიანობის უნარის შემოწმება არ ხდება. ასეთი უნარის შემოწმება ხდება წერითი გამოცდის დროს, თუმცა წერითი გამოცდაც დასახვეწია“!

წარმოდგენილი პუბლიკაციის მიზანია სწორედ იმ საკითხში გარკვევა, თუ რამდენად დასახვეწია მოსამართლეობის წერითი გამოცდის მექანიზმი. ამასთან, გამოვთქვამ გარკვეულ შენიშვნებსა და წინადადებებს, როგორც საგამოცდო საკითხების, ასევე მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის წესის შემდგომი სრულყოფისათვის.

იმისათვის, რომ გავერკვეთ იუსტიციის საბჭოს მოთხოვნებში გამოსაცდელებისადმი, ბუნე-

<sup>1</sup> მამუკა მამალაძე, სასამართლო რეფორმა – გამოცდების მესამე ტურის წინ, გაზ., 7 დღე, 22.01.1999.

ბრივია, გვერდს ვერ ავუკლით იმ კრიტერიუმებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა საგამოცდო კომისია, ანუ საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ (ბრძანებულება №697, 27.10.1997) მოსამართლეობის საკვალიციკაციო გამოცდის ჩატარების წესს, რომლის თანახმად:

„1. წერითი გამოცდის მიზანია გამოსაცდელის თეორიული ცოდნის, საკანონმდებლო მასალის გამოყენების უნარისა და ცხოვრებისეული მოვლენებისადმი ამ ცოდნის მისადაგების შესაძლებლობების შემოწმება.

2. წერითი გამოცდის საკითხი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შესაძლებელი იყოს გამოსაცდელის როგორც თეორიული ცოდნის, ისე ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამოვლენა“ (მუხლი 16).

თუ გავითვალისწინებთ, რომ საკვალიციკაციო გამოცდის პირველი ეტაპის – ტესტური გამოცდის ძირითადი მიზანია გამოსაცდელის „პოზიტიურ სამართალში“, გათვითცნობიერების შემოწმება (მუხლი 8), ხოლო წერითი გამოცდის „ბილეთი შედგება 7 საკითხისაგან, სამი საკითხი არის თეორიული, 4 – კაზუსი“ (მუხლი 38.3), თავისთავად იკვეთება გარკვეული დაზუსტების აუცილებლობა. კერძოდ, იგულისმება თუ არა „თეორიულ ცოდნაში“ მთლიანობაში აღებული მოსამართლეობის საკვალიციკაციო საგამოცდო პროგრამა და წერითი გამოცდის თითოეულ საკითხში უნდა გამოავლინოს გამოსაცდელმა ამგვარი თეორიული ცოდნა (სამართლებრივი აქტები, სამართლის დარგები და დამხმარე ლიტერატურა), თუ კაზუსების ამოხსნისას შეიძლება მხოლოდ „პოზიტიური სამართლიდან“ მოიშველიოს სათანადო ნორმები, სხვა – დამატებითი თეორიული არგუმენტების მოყვანის გარეშე.

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ვითარებაში, როდესაც იმავე წესების მიხედვით: „თეორიულ საკითხებზე პასუხის გაცემისას გამოსაცდელს მოეთხოვება საკანონმდებლო მასალის ცოდნა, განსახილველი საკითხის დაკავშირება სხვა სამართლებრივ პრობლემებთან, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზი“ (მუხლი 20.2). მიმაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილი მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის ამგვარი სახით კიდევ უფრო

განზოგადება ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან ყოველ ცალკეულ გამომცდელს საშუალება ეძლევა, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს „საკანონმდებლო მასალის“ თუ განსახილავ საკითხთან დაკავშირებული „სხვა სამართლებრივი პრობლემების“ სპექტრი და გამოსაცდელისაგან „თეორიული და პრაქტიკული ასპექტების“ მხოლოდ მისთვის მისაღები სახის ანალიზი მოითხოვოს.

ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნევ, რომ აღნიშნული პუნქტი უფრო მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებულიყო. მაგ. თუნდაც შემდეგი სახით: „თეორიულ საკითხებზე პასუხის გაცემისას გამოსაცდელს მოეთხოვება საკვალიციკაციო საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის (სამართლებრივი აქტების და შესაბამისი ლიტერატურის) ცოდნა“.

ამ შემთხვევაში, გამოსაცდელისათვის ნათელი იქნებოდა, რომ მან თავისი შეხედულებისამებრ კი არ უნდა დაუკავშიროს განსახილველი საკითხი „სამართლებრივ პრობლემებს“ (ისევე, როგორც გამომცდელმა არ უნდა მოგვახვიოს თავს საკუთარი ხედვა, ვინაიდან „პრობლემების“ თაობაზე თითოეულ იურისტს თავისი თვალსაზრისი გააჩნია და „თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზსაც“ შეიძლება უაღრესად სპეციფიკურადაც კი უდგებოდეს), არამედ მხოლოდ პროგრამაში მოცემული იურიდიული ლიტერატურიდან უნდა ისარგებლოს ფორმულირებებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საშიშროება ჩნდება მინიმალური შეფასება იმ გამოსაცდელმაც მიიღოს, რომელიც საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებშიც, თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებშიც სიღრმისეულად ერკვევა (შეიძლება არანაკლებად, ვიდრე გამომცდელი), მაგრამ მისი პოზიცია გამომცდელს მიუღებლად ეჩვენოს (მერჩივნა, გამოცდების მექანიზმი სწორედ ასეთი კანდიდატების გამოსავლენად ყოფილიყო მიმართული).

თითქმის ანალოგიური ვითარებაა მე-20 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაშიც, რომლითაც: „კაზუსის ამოხსნის დროს გამოსაცდელმა უნდა შეძლოს სამართლებრივი კვალიფიკაცია – სამართლებრივი ნორმების მისადაგება ამოსახსნელ კაზუსში მოცემულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან. ასევე, მან უნდა შეძლოს ამგვარი გადაწყვეტის დასაბუთება, როგორც თეორიუ-

ლი, ისე პრაქტიკული არგუმენტებით.“ თუ არ დაკონკრეტდა, რა იგულისხმება კაზუსის ამოხ-სნისათვის საჭირო „თეორიულ და პრაქტიკულ არგუმენტაციაში“, ცალკეულმა გამომცდელმა მათში შეიძლება მოიაზროს ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი სისტემაც, ცალკეულ დარგებში მოქმედი პრინციპებიც, განსახილველ საკითხთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ინსტიტუტებიც, თუ ცალკეული ნორმებიც და, ამასთან, „პრაქტიკულ არგუმენტებად“ სამართლწარმოების პრაქტიკიდან აღებული მაგალითების მოშველიებაც მოითხოვოს.

მივიჩნევ, რომ, თავად საგამოცდო წესის არ-სიდან გამომდინარე, მეორე წინადაღებაში, ზოგად-აბსტრაქტული ცნებებით მანიპულირების ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა, გამოსაცდელისაგან, უბრალოდ, საკუთარი არგუმენტაციის მოყვანა მოგვეთხოვა. ფორმულირება კი შეიძლებოდა ამ სახით ჩამოვეყალიბებინა: „კაზუსის ამოხსნის დროს გამომცდელმა უნდა შეძლოს სამართლებრივი ნორმების მისაღაება ამოსახსნელ კაზუსში მოცემულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება (დასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება)“.

გამოცდაზე გამსვლელთათვის სავალდებულო თეორიული ცოდნის ფარგლების, იუსტიციის საბჭოს მხრიდან, მკაფიოდ განსაზღვრის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სწორედ იმ გარდამავალ ეტაპზე, როდესაც საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის შედეგად პრინციპულად იცვლება საკანონმდებლო ბაზა, რიგ შემთხვევებში ერთობ ნაჩარევად მიღებულ თუ გამოქვეყნებულ კოდექსებში ხარვეზებია გაპარული, კოდექსების ნაწილი ჯერ არ ამოქმედებულა და გაუთავებლად განიცდის ცვლილებას, დღემდე არ გამოცემულა კომენტარებისა და აუცილებელი დამსმარე ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი. უფრო მეტიც, თავად იუსტიციის საბჭოს მიერ გამოცემულ (კანონებისა და საერთაშორისო აქტების) კრებულშიც კი გვხვდება არსებითი ხასიათის უზუსტობანი, რომლებმაც შეიძლება შეცდომაშიც შეიყვანონ გამოსაცდელი.

აღთარებული ფაქტია, რომ მეცნიერები საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული მუხლების არსის თაობაზეც ვერ შეთანხმებულან და უმაღ-

ლესი კვალიფიკაციის იურისტებსაც კი დიამეტრიალურად განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნიათ. სამწუხაროდ, დღემდე კონსტიტუციის კომენტარებიც არ გამოსულა. შედეგად, გამორიცხული არ არის გამოსაცდელის პასუხში მოყვანილი „თეორიული არგუმენტების“ შეფასება დამოკიდებული იყოს კონკრეტული გამომცდელის სუბიექტურ შეხედულებაზე, ხოლო ვინაიდან ზოგიერთი საკანონმდებლო ნოვაცია, სავსებით შესაძლებელია, ერთნაირად ახალი აღმოჩნდეს გამოსაცდელისა და საგამოცდო კომისიის წევრებისათვის (საკულიციკაციო საგამოცდო კომისიის დებულების 5.2. მიხედვით: „პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო ხარისხი ან სპეციალობით პრაქტიკულად მუშაობის 15 წელზე მეტი გამოცდილება“), ამდენად, რიგ შემთხვევებში, პოზიციათა შორის არსებითი განსხვავება სრულებით ბუნებრივიც კი უნდა იყოს და არც ის არის გამორიცხული, თავად გამომცდელი – ახალგაზრდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ან თუნდაც ღვაწლმოსილი პროფესორიც კი სცდებოდეს.

ისიც ხომ ცნობილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უაღრესად კვალიფიციურ წევრებსაც კი გააჩნიათ განსხვავებული შეხედულებები რიგ პრინციპულ საკითხებზე და არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთსა და იმავე ნაშრომს სრულიად განსხვავებულად შეაფასებენ, მაგალითად, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბ-ნი ზაურ ჯინჯოლავა და იგივე სამეცნიერო ხარისხის მქონე ბ-ნი ბიძინა სავანელი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს განმაურებულ გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ დაეთანხმა და ცენტრალური ტელევიზითა თუ გაზეთით გამოსვლისას კოლეგის ნაშრომი, ფაქტობრივად, „არადამაკმაყოფილებლად“ შეაფასა.

მსგავსი სახის სადაც საკითხები კი, გარდამავალი პერიოდის საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის გარდა, სხვა დარგებშიც მრავლად მოიძებნება და, სამწუხაროდ, სპეციალისტებსაც კი დღემდე არაერთმნიშვნელოვნად ესმით რიგი ცნებები და ინსტიტუტები პროგრამით გათვალისწინებული ისეთი დისციპლინებიდან, როგორებიცაა, მაგ.: სისხლის სამართლი, სისხლის სამართლის პროცესი, სამეწარმეო სამართლი და სხვა, რაც

ბუნებრივია, შექმნის გარკვეულ პრობლემებს საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასულთა წერითი ნაშრომების შეფასებისას (მაგალითად, დღემდე სადაც ის სისხლის სამართლებრივი დევნის, ეჭვმიტანილის, დაკავების მომენტის, ეჭვმიტანილისადმი უფლებების განმარტების მომენტი, პატიმრობის და სხვა უმნიშვნელოვანესი ცნებების სამართლებრივი შინაარსი).

სხვათა შორის, შეფასებელთა შორის სერიოზული უთანხმოების შესაძლებლობა რეფორმატორებმა, ჩანს, თავიდანვე გაითვალისწინეს და ამ ვითარებაში, როდესაც „ბილეთის ყოველი საკითხი ფასდება 5 ქულიანი სისტემით, მაქსიმალური შეფასება არის 5, ხოლო მინიმალური – 0 „(მუხლი 21.1). ხოლო საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებით „ნამუშევარს მოცემული საგნის ორი სპეციალისტი ასწორებს“, იქვე მიუთითეს, რომ: თუ კომისიის წევრთა შეფასებებში სხვაობა მნიშვნელოვანია (3-5 ქულა), გადამწყვეტი იქნება კომისიის თავმჯდომარის თვალსაზრისი“ (პუნქტი 13.5).

ამდენად, არ გამოვრიცხავ, თუ რომელიმე გამომცდელი ბრმად იხელმძღვანელებდა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის მე-20,3 მუხლით და მას შედარებით ფართოდ გაიგებდა, სავსებით შეიძლება, რომელიმე ნამუშევარში, რომელშიც, ფაქტობრივად, სწორი პასუხი იქნებოდა მოცემული და სათანადო მუხლები მოშველიებული, ოთხივე კაზუსისათვის მინიმალური ქულები ან თუნდაც ) ქულაც კი დაეწერა და ფორმალურად ვერც ვერავინ შეედავებოდა.

ამასთან, რაოდენ პარადოქსულიც უნდა მოგვეჩენოს, თუ რომელიმე სხვა გამომცდელი, წესების იმავე პუნქტს შედარებით შეზღუდული მნიშვნელობით (ვიწროდ) გაიგებდა და ცხოვრებისეული სიტუაციისადმი კონკრეტული სამართლებრივი ნორმების მისადაგებისას დამატებითი თეორიული და პრაქტიკული არგუმენტების მოშველიების საჭიროებას ვერ დაინახავდა, სავსებით შეეძლო მოცემულ ნამუშევარში ამოხსნები, ძირითადად, უმაღლესი ქულებით შეეფასებინა (ცხადია, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამოხსნისას კოდექსის არასათანადო მუხლია მოშველიებული).

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ როგორც უკვე აღვნიშნე, სხვადასხვა გამომცდელთა შე-

ფასებებს შორის არსებითი სხვაობის შესაძლებლობა საგამოცდო კომისიის დებულებითვეა გათვალისწინებული (პუნქტი 13.5 არ გამორიცხავს იმ ვითარებას, როდესაც ყველა სხვა საკითხზე შეფასებათა იღენტურობის შემთხვევაში, ცალკე აღებული კაზუსის ამოხსნაში ერთმანუთიანი დაიწეროს, მეორემ – 0), უკიდურეს აუცილებლობად მივიჩნევ, საკვალიფიკაციო წერითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება-დაკონკრეტებას და წესებით დადგენილი მოთხოვნების ერთმნიშვნელოვნად განმარტებას გამომცდელ-გამოსაცდელებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავებს ვერც მომავალში ავიცილებთ და დარწმუნებული ვარ, პრეტენზიები საგამოცდო კომისიისა და თუ იუსტიციის საბჭოს მიმართ, რიგ შემთხვევებში, არც თუ უსაფუძლოდ იქნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კაზუსებით სწორედ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში სწორად გამოყენების უნარის გამოვლენა უნდა ხდებოდეს და გამომცდელმა ამოხსნა იმის მიხედვით უნდა შეაფასოს, თუ რამდენად სწორად გაერკეა გამოსაცდელი პირობაში და რამდენად მართებულად შეუფარდა ცხოვრებისეულ სიტუაციას შესაბამისი ნორმები. მითუმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საგამოცდო ბილეთში „სამი საკითხი არის თეორიული, ოთხი – კაზუსი“, ამდენად, საკმარისად მივიჩნევ პასუხში პირობის გარკვეულ ანალიზთან ერთად (ცხადია, თუ ამის საჭიროება არსებობს), სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია იყოს მოცემული და არგუმენტირებული იყოს სათანადო ნორმების მოშველიების გზით. ამასთან, ბუნებრივია, დასმულ შეკითხვებს სრულად უნდა გაეცეს პასუხი.

შთაბეჭდილება მრჩება, თუ განვლილ ტურებში გამოსაცდელებს საგამოცდო კომისიის მოთხოვნებს თავიდანვე შედარებით ნათლად ავუხსნიდით და დავუკონკრეტებდით, დამატებით „თეორიულ და პრაქტიკულ არგუმენტებს“ როგორმე მოიძიებდნენ, თუმცა, კაზუსების ამოხსნისას, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

მართალია, გონივრულად შედგენილი საგამოცდო საკითხებით გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეგვემნოდა მოსამართლეობის კანდიდატების ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, მაგრამ ტესტური და წერითი საგამოცდო ბილეთე-

ბის გაცნობით შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იუსტიციის საბჭოს ძირითადად, გამოსაცდელების მეხსიერების (დაზუთხვის) უნარის გამოვლენა აქვს გამიზნული და მხოლოდ სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში ერთობ ნაჩქარევად მიღებული ახალი კანონების ფორმულირების ზუსტ ცოდნას ითხოვს.

ამასთან, რეფორმატორებს, როგორც ჩანს, აქცენტი, ძირითადად, გადატანილი აქვთ კითხვა-პასუხის იმგვარ მექანიზმზე, როგორიც წლების განმავლობაში „წარმატებით“ გამოიყენება იურიდიულ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის. „ტიპიურ“ შეკითხვაზე გამოსაცდელმა „ტიპიური“ უნდა გასცეს და სახელმძღვანელოებში მოცემულისაგან (საპროგრამო), თუნდაც ოდნავ განსხვავებული თვალსაზრისის გამოთქმას, შეიძლება უარყოფითი შეფასება მოჰყვეს. მაშინ, როდესაც სავსებით ლოგიკური იქნებოდა, უმაღლეს სასწავლებლებში (იქნებ, მოსამართლეებადაც....) სწორედ ისეთი პიროვნებები მოგვეზიდა, რომლებიც დამოუკიდებლად იაზროვნებდნენ, კონკრეტული სიტუაციის ობიექტური ანალიზის უნარს გამოავლენდნენ და საკუთარ პოზიციას სათანადო გონივრული არგუმენტებით დაასაბუთებდნენ.

პრობლემის ერთ, მეტად პრინციპულ მომენტსაც უნდა შევეხოთ. თუ წერითი გამოცდის კაზუსებში გარკვეული ტერმინოლოგიური „მახეები“ სრულიად გამიზნულად იყო ჩადებული გამოსაცდელის, როგორც ჩვენი ბრძენი წინაპრები იტყოდნენ, „გამჭრიახი გონიერების“, „მჩხრეკველობის“, „მიმხვდურობის“ თუ „გამსინჯაობის“ გამოსავლენად, უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ თუ ამგვარ „დეტალებს“ (მაგ. ერთ-ერთ კაზუსში ხან დაზიანებულ „ფილაზე“ იყო ლაპარაკი, ხან „სახურავზე“, თუმცა ქართულ ენაში ამ ტერმინებს სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნიათ) არც საგამოცდო საკითხების შემდგენლები, არც გამოსაცდელები და არც პასუხის შემფასებლები ყურადღებას არ აქცევენ, მაშინ ვითარება გაცილებით საგანგაშო ყოფილა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და მიმდინარე საგამოცდო კამპანია მართლაც უნდა იქცეს სერიოზული განსჯის საგნად.

სხვათა შორის, იმ გარემოებასას უნდა გავუსვათ ხაზი, რომ წერითი თუ ტესტური

გამოცდის მეშვეობითაც შეიძლებოდა გარკვეული წარმოდგენის შექმნა პიროვნების საქმიანოვისებისა და გონებრივ შესაძლებლობებზე, მაგრამ ამისათვის საგამოცდო საკითხები სრულიად სხვა პრინციპებით უნდა იყოს შერჩეული (მაგალითად, თუნდაც ისე, როგორც ამერიკაში ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტს (გონებრივი განვითარების დონეს) ან აკადემიური შესაძლებლობების გამოცდას აწყობენ).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საერთო გონებრივი განვითარების განსაზღვრის საუკუნის დასაწყისისდროინდელი – ჩარლზ სპირმანისული მეთოდიკები და თანამედროვე – თეორიები (რომელთა მიხედვით ადამიანის ინტელექტი შვიდი მიმართულებით ვითარდება), ჩვენი გამოცდებით მხოლოდ მეხსიერების უნარს თუ დაადგენთ.

ამდენად, საკუალიციკაციო გამოცდების მექანიზმსაც შევცვლიდი და საგამოცდო პროგრამებსაც სრულიად სხვაგვარად შევარჩევდი. ამასთან, არც ამერიკაში დაგვჭირდებოდა ტესტების კონსპირაციულად ბეჭდვა და ყოველგვარი „გაუონვის“ საფრთხეც გამოირიცხებოდა. არც არაფერის დაზუთხვა იქნებოდა საჭირო და მაღალი ინტელექტით გამორჩეულ ახალ ძალებსაც ფართოდ მოვიზიდავდით გამოცდებზე (რაც ცალკე მსჯელობის თემაა და ამჯერად მასზე არ შევჩერდები).

ერთს კი აღვნიშნავ, რომ ჩვენთან ჩატარებული საკუალიციკაციო გამოცდებში წარჩინებულზე, უდავოდ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დამაკმაყოფილებელი მეხსიერება აქვს (ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ საკითხების „გაუონვას“ გამოვრიცხავთ...), მაგრამ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად, გამოდგება თუ არა მოსამართლედ, სრულებითაც არ უნდა იყოს საკმარისი და არა მგონია ამ საკითხში ორიგინალური ვიყო. ის გარემოება, რომ „კანონის ცოდნა მისი ფრაზების ცოდნას კი არ ნიშნავს, არამედ მისი აზრისა და მნიშვნელობის ჩაწვდომას“, ბიზანტიულებმა ჯერ კიდევ VI საუკუნეში აღიარეს ჭეშმარიტად და იუსტინიანეს კოდექსშიც ასახეს. ბაგრატ კურაპალატისა და ვახტანგ VI სამართლის წიგნშიც კანონების ცოდნაზე მეტად სხვა პიროვნულ თვისებებზეა (მათ შორის

უქრთამობაზე და ღვთის მოშიშობაზე...) აქცენტი გადატანილი. იგივეს ითხოვდა მოსამართლისა-აგან დიდი ღლიაც.

ამდენად, ჯჭვი არ მეპარება, რომ რიგ სადაც მოსამართლის უკანასკნელი გამოცდის დაზუსტების, გამოცდის ჩატარების უნარ-ჩვევებში გარკვეული გამოცდილების დაგროვებისა და საიანადო კონსულტაციების გავლის შემდეგ (აგრეთვე, ინდივიდუალურად თუ რეპეტიტორების დახმარებით სათანადო ცოდნის შევსებით), გასულ წლებში ჩაჭრილი მრავალი კან-დიდატი წარმატებით ჩააბარებს გამოცდას საბ-ჭოს საპროგრამო მოთხოვნებს (ამასთან, უმრავ-ლესობა, შესაძლოა, ისევ ქალბატონები აღმოჩნდნენ). პირადად მე, საგამოცდო ბარიერის დაძლ-

ევა საკმარისად არ მიმაჩნია იმისათვის, რომ წარჩინებულმა კანდიდატმა აუცილებლად დაიკავოს მოსამართლის უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობა

სასამართლო რეფორმა და რეალურად დამოკიდებული სასამართლო ვინმეს წინაშე თავის მოსაწონებლად კი არა, ისევ მოსახლეობას გვჭირდება საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დასამკვიდრებლად. მოსამართლეების (ისევე, როგორც პროკურორების და ადვოკატების) სავარძლები კი არა მარტო კანონების ზეპირად მცოდნე, არამედ განათლებულმა და საღად მოაზროვნე, სანდო და პატიოსანმა, ყოველ მხრივ ღირსეულმა მამულიშვილებმა უნდა დაიკავონ.

ავთანდილ კახნიაშვილი,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი.



# საერთაშორისო სამართლოს კონსულტაციური დასკვნების იურიდიული შედეგების ბუნება და ძალი

გივი მთვარელიძე

## საერთაშორისო სასამართლოს კონსულტაციური დასკვნების იურიდიული შედეგების ბუნება და ძალი საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელოვანი (ნამიზის მაბალითზე)

საერთაშორისო სასამართლო გაეროს ერთ-ერთი ძირითადი და მისი მთავარი სასამართლო ორგანოა. გაეროს წესდების 96-ე მუხლის თანახმად, საერთაშორისო სასამართლოს კონსულტაციური დასკვნისათვის შეუძლიათ მიმართონ გენერალურმა ასამბლეამ და უშიშროების საბჭომ ნებისმიერ იურიდიულ საკითხთან დაკავშირებთ.

თავისი იურიდიული ბუნებით საერთაშორისო სასამართლოს კონსულტაციური დასკვნა, საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ იურიდიულ საკითხზე, საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეთა აზრს გამოხატავს, იგი არაა სავალდებულო იმ ორგანოსათვის, რომელმაც კონსულტაციური დასკვნისათვის მიმართა საერთაშორისო სასამართლოს და იგი არსებითად რეკომენდაციული ჩასიათისაა.

საერთაშორისო სასამართლოს მთელი მუშაობის განმავლობაში გენერალურმა ასამბლეამ და უშიშროების საბჭომ ოთხგზის მიმართეს მას, რათა გამოეტანა იურიდიული ჩასიათის კონსულტაციური დასკვნები ნამიბიის სტატუსის საკითხთან დაკავშირებით. საკითხის არსი ეხებოდა ნამიბიერი ხალხის დარღვეული თვითგამორკვევის უფლების აღდგენას.

მანამდე, სამხრეთ აფრიკის კავშირმა<sup>1</sup> თხოვნით მიმართა გაეროს, შეეყვანა სამხრეთ-დასავლე-

თის აფრიკა<sup>2</sup> მის შემადგენლობაში, თუმცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც სამეურვეო სისტემა ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთის აფრიკის მიმართაც და რეკომენდაცია გაუწია სამხრეთ აფრიკის კავშირს წარედგინა გაერონი შეთანხმება მეურვეობის შესაბება. ამრიგად, ზემოთ მითითებული თხოვნა გაეროს მიერ უარყოფილი იქნა<sup>3</sup>. იმდენად, რამდენადაც მითითებული რეზოლუციის მოთხოვნა არ შესრულებულა სამხრეთ აფრიკის კავშირის მიერ. 1949 წლის 6 დცემბრის გენერალურმა ასამბლეამ თხოვნით მიმართა საერთაშორისო სასამართლოს გამოეტანა კონსულტაციური დასკვნა შემდეგ საკითხებზე: I. განესაზღვრა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სტატუსი. 2. რაში გამოიხატება სამხრეთ აფრიკის კავშირის საერთაშორისო ვალდებულებანი. 3. ეკისრება თუ არა სამხრეთ აფრიკის კავშირის ვალდებულებანი, გამომდინარენი ერთლივის მანდატიდან სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის მიმართ. უკანასკნელი ორი კითხვის დადებითი პასუხის შემთხვევაში, სასამართლოს უნდა მიეთითებინა რაში გამოიხატებოდა ეს ვალდებულებანი: ვრცელდებოდა თუ არა სამხრეთ-დასავლე-

<sup>1</sup> 1961 წლიდან გაეროს გენერალური სამბლეის 2145 რეზოლუციის საფუძველზე ეწოდა ნამიბია.

<sup>2</sup> Официальные отчеты Генеральной Ассамблеи часть 2, I-сессии, четвертый комитет т.1, ст.124.

<sup>3</sup> 1961 წლიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

თის აფრიკის მიმართ გაეროს წესდების XII-თავის დებულებანი, დადებით შემთხვევაში როგორი რიგით. ქონდა თუ არა სამხრეთ აფრიკის კავშირს უფლებამოსილება შეეცვალა სამხრეთ-დასავლეთის აფრიკის სტატუსი, უარყოფით შემთხვევაში შეეცვალა სამხრეთ-დასავლეთის აურიკის სტატუსი, უარყოფით შემთხვევაში ვის ეკუთვნოდა ეს უფლება.

1950 წლის 11 ივნისს, საერთაშორისო სასამართლომ გამოტანა კონსტიტუციური დასკვნა შემდეგზე იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ერთა ლიგის გადაწყვეტილებით სამხრეთ-დასავლეთის აფრიკის ტერიტორია ამართავად გადაეცა სახელმწიფო მანდატარს სამხრეთ აფრიკის კავშირს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ერთა ლიგამ შეწყვიტა რა თავისი არსებობა, ერთდროულად შეწყდა ჰანდატის შესრულების კონტროლის სისტემის მოქმედებაც, ხოლო გაეროს წესდება არ ითვალისწინებდა რა ყოფილ სამანდატო ტერიტორიების ავტომატურ შეყვანას ახალ სამეურვეო სისტემაში განესაზღვრა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სამართლებრივი სტატუსი.

საერთაშორისო სასამართლომ თავისი კონსულტაციურ დასკვნაში მიუთითა, რომ ერთა ლიგის და კონტროლის ორგანოს არსებობის შეწყვეტა არ გულისხმობდა მანდატის მოქმედების შეწყვეტას და სახელმწიფო მანდატარი ვალდებული იყო წარედგინა გაეროსათვის ანგარიშებიტერიტორიის შესახელებასთან დაკავშირებულ ლონისძიებათა შესახებ. ანუ იმ ორგანიზაციაში, რომელსაც ოფიციალურად ეკისრებოდა ერთა ლიგის მიერ ადრე განხორციელებული კონტროლის ფუნქციების შესრულება. ამასთან ერთად, კონტროლის სისტემა არ უნდა გაცილებოდა სამანდატო სისტემით დადგენილ ფარგლებს და იმ პროცედურას, რომელიც მიღებული იყო ერთა ლიგის მიერ. თავის მხრივ სახელმწიფო მანდატარი არ იყო ვალდებული გადაეცა სამანდატო ტერიტორია სამეურვეო სისტემისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშირებით შესაძლო იყო აღმოცენებულიყო გარკვეული პოლიტიკური და მორალური ხასიათის ვალდებულებანი და ბოლოს საერთაშორისო სასამართლომ ცალსახად აღიარა, რომ სამხრეთ-აფრიკის კავშირს, როგორც სახელმწიფო მანდატარს არ ქონდა

უფლება ცალმხრივად შეეცვალა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის საერთაშორისო სტატუსი.

მითითებული კონსულტაციური დასკვნის შემდეგ 1945 წლის 11 ოქტომბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ხმის მიცემის სპეციალური წესი F, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა გენერალურ ასამბლეას იმ გადაწყვეტილებათა მიღებისას, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ტერიტორიასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ანგარიშებსა და პეტიციებს ეხებოდნენ. აღნიშნული წესის თანახმად მიღებული გადაწყვეტილებანი განიხილება რა როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხი გაეროს წესდების 18 მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად ჩაითვლებოდა მიღებულად გენერალური ასამბლეის დამსწრეთა და ხმის მიცემაში მონაწილეთა 2/3 უმრავლესობით.

ამასთან დაკავშირებით გენერალურმა ასამბლეამ კონსულტაციური დასკვნისათვის მიმართა საერთაშორისო სასამართლოს განესაზღვრა ხმის მიცემის პროცედურა, რომლებიც ეხებოდა სამხრეთ-აფრიკის ტერიტორიასთან დაკავშირებულ პეტიციებისა და ანგარიშების საკითხებს.

1955 წლის 7 ივნისის კონსულტაციურ დასკვნაში საერთაშორისო სასამართლომ მიუთითა, რომ ხმის მიცემის წესი F მიაჩნია წინა კონსულტაციური დასკვნის სწორ გაგებასთან. ხმის მიცემის წესი მიმართულია მხოლოდ პროცედურული საკითხებისადმი, ხოლო ეს უკანასკნელი არ ეხებიან გენერალური ასამბლეის მიერ კონტროლის ფუნქციის განხორციელებას. ამასთან ერთად, გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს მიიღოს თავისი საკუთარი ხმის მიცემის პროცედურა, ხოლო F წესი პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც გენერალური ასამბლეის მიერ განხორციელებული კონტროლი შეძლებისდაგვარად უნდა შეესაბამებოდეს იმ წესებს, რომლებიც ამასთან დაკავშირებით ქონდა ერთა ლიგას საბჭოს.

გენერალურმა ასამბლეამ ერთი წლის შემდეგ კვლავ მიმართა საერთაშორისო სასამართლოს კონსულტაციური დასკვნისათვის ამჯერად იგი ეხებოდა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის კომიტეტში პეტიციონირების ზეპირ განცხადებათა დაშვების საკითხს.

1956 წლის 1 იანვრის კონსულტაციურ დასკვნაში საერთაშორისო სასამართლომ მიუთითა, რომ გენერალური ასამბლეის მიერ შექმნილ სამხრეთ-

აფრიკის კომიტეტის მიერ პეტიციონერებისათვის მიცემული უფლება გაეცეთებინათ ზეპირი განცხადებანი, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ტერიტორიის საკითხებს ეხებოდნენ, შეესაბამებოდნენ საერთაშორისო სასამართლოს მიერ ამ ტერიტორიის საერთაშორისო სტატუსთან დაკავშირებით 1950 წელს გამოტანილ კონსულტაციური დასკვნის დებულებებს. თუკი მათი მოსმენა აუცილებელი იყო ამ სამანდატო ტერიტორიის მმართველობის ეფექტური საერთაშორისო კონტროლის განსახორციელებლად. გენერალური ასამბლეა სამართლებრივად უფლებამოსილ იქნა ცნობილი განეხორციელებინა სამანდატო ტერიტორიებში ადმინისტრაციის მოქმედებათა კონტროლი მითუმეტეს, რომ ერთა ლიგის ფუნქციონირების პერიოდში მისი საბჭო უფლებამოსილი იყო დაეშვა ასეთი მოსმენები. კონტროლი რომელიც უნდა განეხორციელებინა გენერალურ ასამბლეას, არ უნდა გასცილებოდა სამანდატო სისტემის მიერ დადგენილ ფარგლებს. ამასთან ერთად, ზეპირი განცხადების დაშვებას არ უნდა გამოეწვია კონტროლის ფუნქციის არასასურველი გაფართოება. აქვე მიეთითა, რომ იმ შემთხვევაში თუ კი პეტიციონერთა ზეპირი განცხადები ერთა ლიგაც მოღვაწეობის პერიოდში განხორციელდებოდა, იგი შესაძლებელია ხელს შეუწყობდა სამანდატო სისტემის სათანადო ფუნქციონირებას.

1970 წლის 29 ივნისს უშიშროების საბჭომ თავისის არსებობის მანძილზე ერთხელ ისარგებლა გაეროს წესდების 96-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და თავისი 284 რეზოლუციით დაადგინა მიემართა საერთაშორისო სასამართლოსათვის თხოვნით გამოეტანა კონსულტაციური დასკვნა შემდეგზე:

როგორია იურიდიული შედეგები სახელმწიფოთათვის, რომლებიც მიმდინარეობენ სამხრეთ-აფრიკის ყოფნასთან ნამიბიაში გაეროს უშიშროების საბჭოს 276 (1970)<sup>4</sup> რეზოლუციის

<sup>4</sup> 1970 წ. 30 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 276 (1976) რეზოლუცია, რომელმაც შექმნა სპეციალური და დაავალა მას გენერალურ მდივანთან ერთად შეესწავლა ის გზები და მეთოდები, რომლებიც სისრულეში მოჰყვანდა უშიშროების საბჭოს მიერ აღრე მიღებულ რეზოლუციებს. კერძოდ: 1970 წ. 20 მარტის რეზოლუცია, რომელშიც უშიშროების საბჭომ მოუწოდა სამხრეთ-აფრიკის მთავრობას დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინა

მოთხოვნათა მიუხედავად<sup>5</sup>.

1971 წლის 21 ივნისს საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა კონსულტაციური დასკვნა<sup>6</sup> შემდეგზე:

1. ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ სამხრეთ აფრიკა უკანონოდ იმყოფება ნამიბიაში, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიყვანოს თავისი ადმინისტრაცია ნამიბიიდან და ამ მოქმედებით საბოლოოდ დაასრულოს მსი ტერიტორიის ოკუპაცია.

2. გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან აღიარონ სამხრეთ აფრიკის ყოფნის უკანონობა ნამიბიაში აგრეთვე იმ აქტების უკანონობა, რომლებიც გამოცემული არიან ნამიბიის მიმართ ან მისი სახელით.

3. სახელმწიფოებმა, რომლებიც არ ითვლებიან გაეროს წევრებად ზემოთ მითითებული 2 პუნქტის შესაბამისად უნდა გაუწიონ მხარდაჭერა გაეროს ნამიბიის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

სასამართლო განხილვის პროცესში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ყველა საშუალებებით ცდილობდა არ მიეღო ობიექტური გადაწყვეტილება. წამოყენებულ იქნა წინადადება, რომ ნამიბიის ტერიტორიაზე ჩატარებულიყო პლებისციტი სასამართლოსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის მეთვალყურეობით, სასამართლომ ყოველივე ზემოთ უარყო და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთა ლიგის მანდატი კანონიერად იყო შეწყვეტილი და აქედან გამომდინარე სამხრეთ აფრიკის ყოფნა ნამიბიაში უკანონო აქტად ითვლებოდა.<sup>7</sup>

ამასთან ერთად, სასამართლომ კონკრეტულად გამოყო და მიუთითა სამხრეთ აფრიკის რესპუბ-

ნამიბიის ტერიტორია თავისი ადმინისტრაციისაგან, ხოლო თავის 269 (1970) 12 აგვისტოს რეზოლუციით კი უშიშროების საბჭომ მოითხოვა 1969 წლის 4 ოქტომბრამდე განთავისუფლებულიყო ნამიბია.

<sup>5</sup> Генеральная Ассамблея. Официальные отчеты. Двадцатшестая сессия. Дополнение №5 (A/8105).

<sup>6</sup> Legal consequences for states of the continued presence of South African Namibia (South West Africa) notwithstanding security council Resolution advisory Opinion J.C.J. Reports 1971 21 juns p.16.

<sup>7</sup> Л. Н. Аниси \_ Международно правовые средства разрешения междугосударственных споров (конфликтов), Изд. Ленинградского университета 1975 ст.94.

ლიკასთა სხვა სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები, რომელთა განხორციელება არ შეესაბამება გაეროს წესდებას და საერთაშორისო სამართალს, ასეთი ურთიერთობანი ცნობილ იქნა კანონგარეშედ, არ ქონდათ რა იურიდიული ძალა თანახმად გაეროს უშიშროების საბჭოს 276 (1979) რეზოლუციის 2 პუნქტისა სასამართლომ ჩათვალა რომ წევრი სახელმწიფოთ ვალდებული იყვნენ უარი ეთქვათ:

ა) სამხრეთ აფრიკასთან საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობაზე ყველა შემთხვევაში, როდესაც სამხრეთ აფრიკა ნამიბიის სახელით ცდებოდა გამოსვლას. რაც შეეხება არსებულ ორმხრივ ხელშეკრულებებს ერთი და იგივე ნორმის გამოყენება არ შეიძლებოდა ზოგიერთ სერთო კონვენციების მიმართ, მაგალითად: იმ კონვენციების მიმართ, რომლებიც ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებენ, რომელთა არ შესრულება ზიანს მიაყენებდა ნამიბიელ ხალხს.

ბ) წევრი სახელმწიფოთ ვალდებული იყვნენ თავი შეეკავებინათ დიპლომატიური ან სპეციალური მისის გაგზავნისაგან აფრიკაში, თუკი გავრცელდებოდა მისი უფლებამოსილება ნამიბიის ტერიტორიაზე. თავი შეეკავებინათ საკონსულო აგენტების გაგზავნაზე ნამიბიაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი ისინი უკვე იქ იმყოფებოდნენ გამოეწვიათ უკან. ამასთან ერთად ცალსახად განეცხადებინათ სამხრეთ აფრიკისათვის, რომ მათთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარება არ ნიშნავდა ნამიბიის მიმართ მათი უფლებამოსილების აღიარებას.

გ) წევრი სახელმწიფოთ ვალდებული იყვნენ თავი შეეკავებინათ სამხრეთ აფრიკასთან ეკონომიკურ ან სხვაფორმის ურთიერთობებისაგან, რომლებიც განამტკიცებდნენ მათ ხელისუფლებას ნამიბიაში.

დ) ყოველივე მითითებული განხორციელება არ უნდა მომხდარიყო ნამიბიის ხალხის საზიანოდ იმ უპირატესობათა გათვალისწინებით, რომლებსაც ისინი ღებულობდნენ საერთაშორისო თანამშრომლობისაგან. კერძოდ: ნამიბიის მიმართ მანდატის გაუქმების უკანონობა არ უნდა გავრცელებულიყო ისეთ სამართლებრივ აქტებზე როგორიცაა დაბადების, სიკვდილისა და ქორწინების რეგისტრაცია. რაც შეეხება გაეროს არა წევრ სახელმწიფოებს, ისინი მართალია არ

არიან დაკავშირებულნი გაეროს წესდების 24 და 25 მუხლების მოთხოვნებთან, მიუხედავად ამისა 276 (1970) რეზოლუციამ მოუწოდა მათ ხელი შეეწყოთ გაეროს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ნამიბიის შესახებ.<sup>8</sup>

ამდენად ნამიბიის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მოთხოვნათა საფუძველზე, საერთაშორისო სასამართლოს მიღებული აქვს ოთხი კონსულტაციური დასკვნა (1950, 1955, 1956 და 1971 წლებში), რომელთაგან ბოლო სამმა დასკვნამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საქმეში. ამასთან ერთად, საერთაშორისო სასამართლომ გაეროს წესდებისა და თავისი სტატუსის ძირითად მოთხოვნათა საპირისპიროდ 1950 წლის კონსულტაციური დასკვნით მხარი დაუჭირა სამხრეთ აფრიკის კავშირის პოზიციას, რითაც ცნო კოლონიზატორების „უფლება“ არ გადაეცათ გაეროს საერთაშორისო მეურვეობის სისტემაში, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა. საერთაშორისო სასამართლოს მითითებულ კონსულტაციურ დასკვნაში ასახულმა დებულებებმა მკვეთრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია საერთაშორისო ასპარეზზე.

ამრიგად საერთაშორისო სასამართლომ თავისი პოზიციით სამხრეთ აფრიკის კავშირს მისცა საშუალება უარი ეთქვა გადაეცა მეურვეობის საბჭოსთვის ტერიტორია, ანუ ფაქტიურად მის მიერ სანქციონირებულ იქნა სამხრეთ აფრიკის კავშირის მოქმედებანი მიმართულნი სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ანექსიისაკენ.

მოსამართლეებმა: ვიშერმა, კრილოვმა, ბადავიძე, გერერომ, ზორიჩიჩიძე და ალვარესმა მხარი დაუჭირეს აზრს იმის შესახებ რომ სამხრეთ აფრიკის კავშირი ვალდებული იყო გადაეცა სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა მეურვეობის სისტემისათვის,<sup>9</sup> მითითებული მოსამართლეების მო-

<sup>8</sup> დაწერილებით: გ. მთვარელიძე, კ. ბოკუჩავა საერთაშორისო სამართლის 1971 წლის 21 ივნისის კონსულტაციური დასკვნის იურიდიული შედეგები და მისი საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა – „უკიდურესი უნივერსიტეტი შრომები, 1998, ტომი II, გვ. 177-184.

<sup>9</sup> И. Блищенко, Прецеденты в международном праве, изд., «Международные отношения», М., 1977, ст.36.

საზრება ეფუძნებოდა გაეროს წესდების დებულებებს (კერძოდ: 77 მუხ. I პუნქტი და 80 მუხ. 2 პუნქტი)<sup>10</sup> და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, უპირველეს ყოვლისა ყველა სახელმწიფოთა ვალდებულებებს ხელი შეეწყო თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისათვის და მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის. ამრიგად საერთაშორისო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს ზემომითითებულ ნაწილში და იურიდიული თვალსაზრისით უსაფუძვლო და არა სამართლიან გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.

შემდგომში გამოტანილმა კონსულტაციურმა დასკვნებმა უაღრესად სწორი სამართლებრივი შეფასებით დადებითი როლი შეასრულეს ნამიბიის დამოუკიდებლობის მინიჭების საქმეში. ნამიბიის სტატუსის, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა. რომელსაც პოლიტიკურთან ერთად სამართლებრივი დატვირთვაც ეძლეოდა, გასცილდა ერთი ტერიტორიისა და ქვეყნის ფარგლებს, რაზეც ნათლად მიუთითებს საერთაშორისო სასამართლოს არსებობის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც გაეროს ძირითადმა და მთავარმა სასამართლო ორგანომ გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მოთხოვნით 4-ჯერ გამოიტანა კონსულტაციური დასკვნა ამ საკითხზე, დაყენებული პრობლემის განსაკუთრებულ საერთაშორისო ინტერესზე და მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამას ემატება ისიც, რომ გაერო დაარსების დღიდან დაინტერ-

ესებული იყო მისი ბედით, ეს საკითი მუდმივად იდგა განსახილველად გენერალური ასამბლეის სესიების დღის წესრიგში და ასვა მთავარი<sup>11</sup> და დამხმარე ორგანოების<sup>12</sup> ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა, მის მიმართ განსაკუთრებულ დამოუკიდებლობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ შექმნილი პრობლემის გადაჭრის საკითხებს მიეძღვნა გაეროს სპეციალური სქედის.

მიუხედავად პრობლემისადმი ასეთი დამოკიდებულებისა სამხრეთ აფრიკა ჯიუტად უგულებელყოფდა გაეროს გადაწყვეტილებებსა და არ იზიარებდა საერთაშორისო სასამართლოს კონსულტაციურ დასკვნებში ასახულ სამართლებრივ პოზიციებს. ამით იგი აბუჩად იგდებდა გაეროს წესდების მოთხოვნებს, მის მიზნებსა და ამოცანებს, მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს, მკეთრად ეწინააღმდეგებოდა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების და გამიჯნული იყო კაცობრობის ინტერესებისაგან. მიუხედავად ამისა, ნამიბიელი ხალხის შეუპოვარმა ეროვნულგანმათავისუფლებელმა ბრძოლამ და მსოფლიო საზოგადოებრივმა საღმა აზრმა გაიმარჯვა და 1990 წ. 21 მარტს ნამიბიის დამოუკიდებლობა რეალობად იქცა, რაშიც უდიდესი როლი მიუძღვის გაეროს, მის ძირითად და დამხმარე ორგანოებს, როსი დასტურია წინამდებარე ნაშრომში ასახული საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე განსაკუთრებული იურიდიული ხასიათის კონსულტაციური დასკვნების მიღებასთან დაკავშირებული მონაცემები.

გივი მთვარელიმე,  
თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსი.



<sup>10</sup> გაეროს 77 მუხლი: I. მეურვეობის სისტემა ვრცელდება ასეთ ქვემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიებზე, რომლებიც შეიძლება ჩართ და იქნან მასში მეურვეობის ხელშეკრულების მეშვეობით: ა) ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად მანდატის ქვეშ იმყოფებიან, ბ) ტერიტორიები, რომლებიც შეიძლება ჩამოერთვათ მტერ სახელმწიფოებს მეორე მსოფლიო ომის დროს, გ) მეურვეობის სისტემაში ტერიტორიების ნებაყოფილობით შეყვანა იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც პასუხს აგებდნენ მისი მართვისათვის.

<sup>11</sup> უშიშროების საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო.

<sup>12</sup> გაეროს მეოთხე კომიტეტი, დეკოლონიზაციის სპეც. კომიტეტი, სპეც პოლიტიკური კომიტეტი, აპარტეიდის სპეც კომიტეტი, ნამიბიის სპეც ქვეყნმიტეტი, გაეროს ნამიბიის საბჭო.

# სანებლობრივო და სამართლის ისტორია, თეორია

მარინა გარიშვილი,  
ვალერიან მეტრეველი

## დავით, იოანე და თეიმურაზ ბაბრატიონების სამართალშემოქმედება

XVIII საუკუნის ბოლოს გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო (აღმოსავლეთ საქართველო) მეტად რთული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის წინაშე იდგა. ამ დროინდელ ქართულ სამეფოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ გადაგდებული ირანის ვასალური უდელი. საქართველოში, ისევე, როგორც თავის დროზე ევროპაში, სამეურნეო ცხოვრებისა და კერძოდ, ქალაქების განვითარება, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა მონარქიის ფორმით უნდა განხორციელებულიყო, რაც მეფის ხელისუფლების განმტკიცებასა და გაძლიერებას მოითხოვდა. ფეოდალებთან ბრძოლაში მეფის ხელისუფლების ხელისშემწყობი იქნებოდა კულტურული მოძრაობის გაღვიძება - გაფართოებაც.

იმდროინდელ საქართველოში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს, როგორც ქვეყანას იხსნის განათლებული აბსოლუტიზმი, ე. ი. სოციალური წოდებებისაგან დამოუკიდებელი, შეუზღუდავი მონარქია, რომლის სათავეშიც იდგება განათლებული, გონიერი საჭეთმცურობელი. ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება კი მოითხოვდა სერიოზული რეფორმების განხორციელებას, რაც საკანონმდებლო პრაქტიკაშიც უნდა ასახულიყო. სწორედ ამ დროს დავით და იოანე ბატონიშვილებმა „ბრძანებითა მისის უმაღლესობის მეფის გიორგისათა“ შე-

ქმნეს საკუთარი საკანონმდებლო აქტები და ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ყველაზე ოპტიმალური პროექტები.

ქართულ უფლისწულთა კულტურული მემკვიდრეობა ზოგადად და სამართალშემოქმედებითი ღვაწლი, კერძოდ - ქართული მეცნიერების უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს და დღემდე შესაბამისი შესწავლის საგნადაც ითვლება.

დავით ბატონიშვილი დაიბადა 1767 წელს. იგი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის - გიორგი XII უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე. რუსეთის საიმპერატორო კარმა ცნო მისი პრეტენდენტობა სამეფო ტახტზე და ფორმალურად მხარი დაუჭირა გიორგი XII-ის თხოვნას დაემტკიცებინათ მისი მემკვიდრე უპირველეს პრეტენდენტად, რათა ბოლო მოღებოდა ერეკლე. II-ის მრავალრიცხოვან ოჯახის წევრთა შორის არსებულ მეტოქეობას, რომელსაც დასაბამი მიეცა დარეჯან დედოფლის ინტრიგების შედეგად ერეკლე II-ის მიერ 1792 წელს შედგენილი ანდერძით.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უფლისწულმა მიიღო იმდროისათვის საუკეთესო სწავლა-განათლება. მის აღზრდაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვდა თვით მის პაპას - ერეკლე მეფესა და თელავის აკადემიის რექტორს - დავით ალექსი-მესხიშვილს. ერეკლე II-ის ინიციატივით დავით ბატონიშვილმა ორჯერ იმოგ-

ზაურა რუსეთში, სადაც მან გაიღომავა თავისი ცოდნა მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. დავითი შესანიშნავად ფლობდა ექვს უცხო ენას, რაც მას ხელს უწყობდა როგორც მთარგმნელობით საქმიანობასა, ისე ორიგინალურ სამეცნიერო მოღვაწეობაში. მის კალაში ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი ისტორიაში, ფიზიკაში, ლინგვისტიკაში, ფილოსოფიაში, სამართალმცოდნეობასა და მეცნიერების სხვა დარგებში. გარდა ამისა, დავითის ღვაწლი განუზომელად დიდია ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

თანამედროვე ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერება დიდ პატივს მიაგებს ბატონიშვილის ღვაწლს ქართული სამართლის განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ 1798 წელს მეფე გიორგი XII-ის ბრძანებით დავით ბატონიშვილს დაევალა სამართლის წიგნის პროექტის შემუშავება, რომელიც შემდეგ მეფის მიერ იქნებოდა სანქციონირებული და შეიძენდა სავალდებულო ზასიათს. ახალი სამართლის წიგნის შედგენა განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. ქართლ-კახეთის სამეფოში, თუმცა არა ფართო მასშტაბით, არამედ კანტი-კუნტად, ჯერ კიდევ დიდი სიფრთხილით და მხოლოდ ზოგიერთი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა შეხედულებებში მაინც აღწევს განმანათლებლობის მოწინავე იდეოლოგია, რომელიც მოითხოვს არსებული ფეოდალური წესწყობილებისათვის დამახასიათებელი მოვლენების გადასინჯვას მოძველებული ურთიერთობების უარყოფას, ამ ურთიერთობების ახლებურად გაგებასა და შესაბამის სამართლებრივ რეგულირებას. გარდა ამისა, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული უკვე კედარ უზრუნველყოფდა ქვეყნის სამართალგანვითარებას და აუცილებელი გახდა მასში მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მითუმეტეს, რომ ვახტანგ VI საკოდიფიკაციო საქმიანობის შემდეგ თითქმის 90 წელი იყო გასული და ამ დროის მანძილზე ქართლისა და კახეთის სამეფოებმა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები განიცადეს. ამის შესაბამისად დავით ბატონიშვილის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ზუსტად ასახავდა ამ მნიშვნელოვან სიახლეებს და ერთდროულად

ემსახურებოდა ახალი პროგრესული იდეებისა და მათი შესაბამისი ურთიერთობების დამკვიდრება-მოწესრიგებას.

იმდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოში დამკვიდრდა წესი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის საჭეთმპყრობელნი არა მარტო უშუალოდ, არამედ მათი მემკვიდრების დახმარებითაც აზორციელებდნენ უზენაეს მართლმსაჯულებას. ამის გამო დავით ბატონიშვილის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა არ გახლავთ მხოლოდ თეორეტიკოსის ნამოღვაწარი. ქართველ უფლისწულს დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც გააჩნდა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. ამიტომ მისი სამართალშემოქმედება ორმაგად მნიშვნელოვანია: იგი ემყარება, როგორც ღრმა მეცნიერულ-თეორიულ საფუძველს, ისე დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას. 1800 წლის ნოემბრის ბოლოსათვის დავით ბატონიშვილმა დაასრულა მუშაობა თავის სამართლის წიგნზე, რომელსაც ეწოდა „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“ და გიორგი XII მძიმე ავადმყოფობა რომ არა, რაც ხელს უშლიდა მეფეს მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში, ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად მიიღებდა ახალ სამართლის წიგნს. „სამართალი“ დავით ბატონიშვილის პროგრესული აზრებისა და უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების ნაყოფია. ავტორი ამ ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ბუნებითი და პოზიტიური სამართლის თანაფარდობისა და ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა; ფრანგი განმანათლებლების გავლენით ჩამოყალიბებული მოსაზრებები სახელმწიფო მართვა გამგეობის ფორმის შესახებ და ამ უკანასკნელთა შეხედულებებისაგან განსხვავებით, იმდროინდელი რუსეთის იმპერიის გავლენით და მისი მაგალითით წამოყენებული აქვს განათლებული აბსოლუტიზმის დამკვიდრების აუცილებლობა.

დავით ბაგრატიონის აზრით, მხოლოდ განათლებული აბსოლუტიზმი თუ გამოიყვანდა იმდროინდელ საქართველოს სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან, შეუწყობდა ხელს ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმჭტკიცებას. რუსეთის მაგალითითვე, იგი აყალიბებს სრულიად ახალ ცნებებს

თვითმკურობელი განათლებული მონარქის აღ-  
სანიშნავად და უწოდებს მას თვითდესპოტს,  
თვითმართლმადიდებელსა და მართლწესრიგის  
აღმნიშვნელი ტერმინი – კარგიერება, რომელიც  
ქართველ ბატონიშვილს შ. მონტესკიეს მიხედ-  
ვით აქვს შექმნილი. თვითმკურობელობის დამკვი-  
დრების აუცილებლობის ქადაგებად, დავით ბა-  
ტონიშვილი სკილდება ჯ. ლოკისა და შ. მონ-  
ტესკიეს მიერ უკუგდებულ ასოლუტიზმის იდეას,  
ამასთან კანონიერებისა და მართლწესრიგის  
დამკვიდრების აუცილებლობის აღიარებითა და  
მოთხოვნით, იგი კვლავ ქართული განმანათლე-  
ბლობის პატრიარქად გვევლინება და განაგრ-  
ძობს ფრანგი მოაზროვნების შეხედულებების  
დამკვიდრებას.

ამავე ნაშრომში ვხვდებით სამართლის ცალ-  
კეულ დარგებში აღიარებულ პროგრესულ სიახ-  
ლებს. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრე-  
ბით მნიშვნელოვანია მისი მოსაზრებანი სამო-  
ქალაქო სამართალში: დავითი დიდ ყურადღებას  
უთმობს საკუთრების ფორმების პრობლემას და  
გამოყოფს საკუთრების სამ ძირითად ფორმას 1)  
საკუთრება რომელიც წარმოიშობა ნასყიდობის  
საფუძველზე, და რომელზეც ხელი არ მიუ-  
წვდება საგვარეულოს სხვა წევრებს; 2) საერ-  
თო-საგვარეულო საკუთრება, რომლის თავისუ-  
ფალი გასხვისება შეზუდულია ოჯახის სხვა  
წევრების მიერ და რომელზედაც ვრცელდება  
გვარის წევრებისათვის უპირატესი შესყიდვის  
უფლება; 3) სათავისო საკუთრება, რომელიც  
კეთილმონაგებია და რომელზეც ასევე არ ვრ-  
ცელდება ოჯახის წევრთა უფლებები. კერძოსა-  
მართლებრივი ურთიერთობების სფეროს განე-  
კუთვნება საოჯახო-საქორწინო სამართლებრივი  
ურთიერთობებიც. დავით ბატონიშვილის პრო-  
გრესული იდეები მკაფიოდ ჩანს ოჯახსა და  
ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებში. „სა-  
მართლის“ ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს  
ქორწინების აუცილებელ და დამაბრკოლებელ  
გარემოებებს, განქორწინების პირობებს, რომ-  
ლებშიც შეიმჩნევა დავითის შეხედულებების  
მკვეთრი განსხვავება იმდროინდელი ქართული  
საზოგადოებრივი აზრისაგან; მშობლებსა და  
შვილებს შორის არსებულ ურთიერთობებს,  
რომელშიც შეიმჩნევა სიახლის ელემენტები.

კერძოდ, დავით ბატონიშვილი მოითხოვს, რომ  
თუ მშობლებსა და შვილებს შორის წარმოიშო-  
ბა უთანხმოება და საჭირო იქნება სასამართ-  
ლოს ჩარევა, მოსამართლემ გულმოდვინედ უნდა  
გამოიკვლიოს უთანხმოების მიზეზები, რათა არც  
თუ იშვიათად დაპირისპირება თვით მშობლების  
შვილებისადმი დამოკიდებულებით არის პროვო-  
ცირებული, მაგრამ შვილებს მაინც მართებს  
მშობლებისადმი მორჩილება და პატივისცემა და  
არც სასამართლო ათავისუფლებს მათ მშობლების  
წინაშე პასუხისმგებლობისაგან. ჩვენი აზრით,  
დავით ბატონიშვილის ნააზრევში არანაკლებ  
საგულისხმოა მისი დამოკიდებულება მემკვიდრე-  
ობის პრობლემებისადმი. „სამართლის“ ავტორი  
თვლის, რომ ქართველებში გავრცელებული  
მემკვიდრეობის განაწილების წესი, რომლის  
მიხედვითაც სავალდებულო იყო საუფროსო და  
საუმცროსო წილის გამოყოფა, მოძველებულია  
და თანაც ეწინააღმდეგება ბუნებითი სამართლის  
მოთხოვნებს, ვინაიდან მშობლისათვის ყველა  
შვილი თანაბრად ძვირფასია და თანაც ყველა  
ადამიანი ღმერთის მიერაა გაჩენილი და შესა-  
ბამისად თანასწორუფლებიანია გამჩენის წინაშე.  
გარდა ამისა, შვილების ასეთი განსხვავება ხშირად  
იწვევს ურთიერთობის გამწვავებისა და ურთ-  
იერთდაპირისპირებას, რომლის მიზეზიც თვით  
მშობელი იქნება.

ზემოხსნებული ნაშრომის გარდა, დავით ბა-  
ტონიშვილის კალამს განეკუთვნება რუსულ ენაზე  
დაწერილი „საქართველოს სამართლისა და  
კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“, რომელიც მან  
შექმნა უკვე რუსეთის იმპერიაში გადასახლების  
შემდეგ, დაახლოებით 1812–1813წწ. „Обоз-  
рение“-ს არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს  
ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერები-  
სათვის. მასში ავტორი ცდილობს მოწინავე  
რუსულ საზოგადოებას გააცნოს ჭეშმარიტი  
ქართული კულტურა საზოგადოდ და სამართ-  
ლებრივი კულტურა და მართლშეგნების დონე  
კერძოდ, რათა არ მოხდეს ქართველი ხალხის  
სამართლებრივი კულტურის უგულვებელყოფა.  
განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დავით  
ბატონიშვილის მოსაზრებებს სისხლის სამართ-  
ლი; პრობლემებზე. სისხლის სამართლიდან ავ-  
ტორი გამოჰყოფს ბრალის პრობლემას. დავით

ბაგრატიონი ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით ქართული სინამდვილის დიდ ისტორიულ წარსულს ეყრდნობა, სახელდობრ, ექვთიმე მთაწმინდელის, სულხან-საბა ორბელიანის და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში დაცულ მნიშვნელოვან ცნობებს ამ პრობლემასთან დაკავშირებით. დავით ბატონიშვილი ბრალის ფორმების განხილვისას, იშველიებს ექვთიმე მთაწმინდელის მაგალითებს. მკვლელობის დანაშაულთან დაკავშირებით ბატონიშვილი განასხვავებს ბრალის ორ ფორმას: განზრახს და განუზრახველ ან გაუფრთხილებლობით მკვლელობას. განზრახი მკვლელობის ჩადენისას იგი მოითხოვს აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას – სიკვდილით დასჯას. ხოლო განუზრახველს უწოდებს უცაბედად, შემთხვევით მკვლელობას. ასეთი დანაშაულის ჩადენისას ავტორის აზრით გამოიყენება უფრო მსუბუქი სასჯელი, მაგრამ სინდისის განწმენდისათვის აუცილებელია საეკლესიო მონანიება. მაგრამ დავით ბატონიშვილმა მაინც ვერ შეძლო ერთმანეთისაგან გაემიჯნა შემთხვევა და გაუფრთხილებლობა.

ჩვენი აზრით, სამართლის წიგნების ავტორს რომ შეძლებოდა ამ ორი ცნების შინაარსის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მაშინ იგი გახდებოდა სუბიექტური ბრალის აბსოლუტურად დამთავრებული მოძღვრების ავტორი ქართულ სამართალში.

საყურადღებოა დავით ბატონიშვილის მოსაზრებანი სასჯელსა და მისი დანიშნის საფუძვლებზე. დავით ბაგრატიონის აზრით, ადამიანის მოქმედება არის მრავალი ფაქტორის შედეგი. სასჯელის მიყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებანი, რომელთა დადგომის დროს ჩადენილია დანაშაული. თითოეული გარემოების კონკრეტულ ვითარებაში შესწავლა და განზრახი და განუზრახველი მოქმედებების დიფერენცირება – სასჯელის დანიშნისას წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

დავით ბაგრატიონს გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრებანი სასამართლო მტკიცებულებათა სისტემის, მათი გამოყენების და საეკლესიო იურისდიქციის შესახებ.

ბაგრატიონთა შორის მეტად საინტერესოა საშუალო ძმის იოანე ბაგრატიონის იურიდიული

შეხედულებები. იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი იყო ერეკლე II-ის შვილიშვილი, გიორგი XII-ეს შვილი. იგი დაიბადა 1772 წელს, პირველი ქორწინებიდან. იოანე ბატონიშვილმა მიიღო თავისი დროისათვის შესანიშნავი განათლება. მშობლიური ენის გარდა თავისუფლად ფლობდა რუსულსა და სპარსულ ენებს. იოანე ბაგრატიონი ახალგაზრდობიდანვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ის გიორგი XII-ის პირველი მრჩეველი იყო. ამავე დროს იოანე, მეფის მიერ არტილერიის უფროსად იყო დანიშნული. იოანეს კალამს ეკუთვნის ენციკლობედიური ხასიათის ნაშრომი – „კალმასობა“, რომელშიც მრავლად არის მოცემული ქართული სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტების ახსნა-განმარტება. რუსეთში გადასახლების შემდეგ იოანე ბატონიშვილი მთლიანად ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა: ქმნის როგორც ორიგინალურ თხზულებებს, ისე უცხო ენებიდან ნათარებმნ შრომებს.

იოანე ბაგრატიონის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის ქართული სამართლის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის „სჯულდებას“, რომელიც წარმოადგენს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების პროექტს.

იოანე ბატონიშვილი ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ პროგრესულ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელიც საქართველოში განმანათლებელთა იდეებით გამოდიოდა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იცნობდა იოანე ბაგრატიონი XVII–XVIII საუკუნეების ევროპულ განმანათლებელთა შრომებს (მიუხედავად იმისა, რომ იოანეს უფროსი ძმა – დავით ბაგრატიონი გახდათ ქართველ განმანათლებელთა პატრიარქი, მაგრამ იმისი თქმა კი გარკვევით შეიძლება, რომ იოანე ბატონიშვილის პროექტში წამოყენებული მრავალი პროგრესული დებულებები, თავისი არსით ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ მიმართული, ნაყოფი იყო თვით ქართული პროგრესულ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებისა. მაგალითისათვის ავიღოთ გლეხთა საკითხი. პროექტის მიხედვით გლეხებისათვის სკოლა უნდა გაეხსნათ. რასაკვირველია, ეს პროგრესული აზრია, რომელსაც საქართველოშივე თავისი

განვითარების ისტორია აქვს. ამ საკითხის შესახებ თავდაპირველად აზრი გამოთქვა არჩილ მეფემ, რომელიც სავსებით ერთმნიშვნელოვნად აყალიბებს თავის შეხედულებას გლეხობაზე. არჩილის აზრით, გლეხობა არის ფეოდალური საქართველოს საფუძველი, თუ გლეხობა ამოწყდა, გადაშენდება, საქართველოსაც ასეთივე ბედი მოელისო. არჩილ მეფის გარდა, გლეხობის საკითხი მრავალ მოაზროვნეს, სახელმწიფო მოღვაწეს დაუსვამს და თავისი შეხედულება გამოუთქვამს ამ საკითხზე იოანე ბაგრატიონამდე. ამგვარად, იოანეს პროგრესული შეხედულება გლეხობის საკითხში ქართული ფეოდალური პროგრესული აზროვნების განვითარების შედეგია, იოანე საერთოდ სწავლა-განათლებას ქადაგებს.

იოანეს ასეთი მოთხოვნა გამოწვეულია იმითაც, რომ სამეფოს სათანადოდ მომზადებული კადრები ესაჭიროება. იოანეს პროექტის მიხედვით სკოლა სახელმწიფომ უნდა შეინახოს, ხოლო როცა ამის შესაძლებლობა ექნება სახელმწიფოს, უკანასკნელმა უნდა შეინახოს მოსწავლეებიც.

იოანე ბატონიშვილის პროექტი ითვალისწინებს ქარხნების გახსნას საქართველოში და ხელოსნობის განვითარებას. ამისათვის კი საჭიროა კადრები, სათანადოდ მომზადებული მუშები, ხელოსნები. ამასთანავე პროექტი გათვალისწინებულია ვაჭრობის განვითარება. ვაჭრობის განვითარებას, იოანე ბატონიშვილი უდიდეს ეროვნულ საქმედ თვლის, პროექტის ავტორი მოითხოვს ვაჭრობის დანერგვას ქართველებში.

იოანე ბაგრატიონის მიერ გათვალისწინებული ზემოხსენებული ღონისძიებანი მიმართული იყო საქართველოში უკვე დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობის აღმოფხვრისა და ახალი პროგრესული კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებისაკენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და პროგრესულია იოანე ბატონიშვილის შეხედულებანი სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების შესახებ. ქართველი მოაზროვნე მოითხოვს ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნას, რაც ხელს შეუწყობდა ფეოდალურად დაქუცმაცებულობის აღმოფხვრისა და ქვეყნის საუკუნოვანი კრიზისიდან გამოყვანას. პროექტის მიხედვით, საერთოსაოები, ე.ი. ყველაზე ძლიერი საფეოდა-

ლოები უნდა გაუქმდნენ. დარჩენილ მსხვილ საფეოდალოებში აუცილებლად უნდა დაინიშნოს „სამეფო მოხელე“, რომელიც იქნება ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი და რომლის ხელშიც გადავა უშუალოდ საფეოდალოების მმართველობა.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ემსახურებოდა იოანე ბატონიშვილის პროექტში წამოყენებული მოსაზრება მუდმივი ჯარის შექმნის შესახებ. ძველი ფეოდალური ლაშქარი უნდა დაექვემდებაროს ცენტრალურ ხელისუფლებას, რაც ხელს შეუწყობს ჯარში მტკიცე დისკიპლინის დაწესებას, ფეოდალური სეპარატიზმის ალაგმვასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

მმართველობის ცენტრალიზაციის პრინციპს ემსახურება აგრეთვე მმართველობის დარგებად დაყოფა და ამის მიხედვით სამინისტროების მსგავსი დაწესებულებების შექმნა.

ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში უდიდესი როლი მიუძღვდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელისადმი ყურადღების გამოჩენა არც იოანე ბატონიშვილს დავიწყებია. მისი აზრით, სასულიერო უწყებისათვის ყალიბდება დიკასტერია, რომლის წევრები იქნებიან – კათალიკოსი, მღვდელმთავარნი და მეფის მოხელე ე.წ. „სასულიერო“ ან „სულიერი მთავარი“, რომლსაც დაევალება აქტიური მონაწილეობის მიღება სასულიერო საქმეების გადაწყვეტაში. იოანე ბაგრატიონი თვლის, რომ სასულიერო საქმეები უნდა დაექვემდებაროს მეფის ხელისუფლებას, რისთვისაც იგი ითვალისწინებს „სულიერი მთავრის“ თანამდებობის შემოღებას.

საყურადღებოა, რომ პროექტის ავტორი მოითხოვს მეფესთან შექმნას ქვეყნის მართვის ისეთი ორგანო, როგორიც არის სამეფო საბჭო. საბჭო იქნება სათათბირო ზასიათის ორგანო.

იოანე ბატონიშვილის შეხედულებებში მეტად ორიგინალური მოსაზრებაა გამოთქმული მეფისა და დედოფლის და ასევე სამეფო ოჯახის სხვა წევრებისათვის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ, რაც თავისთავად გამორიცხავდა მირონცხებული ოჯახის განსაკუთრებულ ეკონომიკურ უპირატესობას ქართულ საზოგადოებაში და ხელს შეუ-

წყობდა ცხოვრებაში მოწინავე წესების დამკვიდრებას. იოანე ბაგრატიონის პროექტი ეხება სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობების საკითხსაც, კერძოდ, ავტორი მოსაზრებას გამოთქვაში ისეთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, როგორიცაა სამშობლოს ღალატი. ასეთი დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოს, მისი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პროექტი ძირითადად დგას ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპზე.

ზემოაღნიშნული მოწინავე იდეები თვალნათლივ ამტკიცებენ იოანე ბატონიშვილის შეხედულებების პროგრესულობასა და ცხოვრებაში მათი განხორციელების აუცილებლობას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ავტორი მაინც თავისი დროისა და სოციალური ფენის შვილია, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს მის მიერ შემოთავაზებული რეფორმების ცხოვრებაში განხორციელების რადიკალური ხერხებისა და საშუალებების გამოყენებას, ვინაიდან იგი იღაშქრებდა არა საერთოდ ფეოდალიზმის, არამედ ამ საზოგადოების განსაკუთრებით უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ. იოანე ბატონიშვილი თვლის, რომ ყმის ექსპლუატაციის საფუძველზე აშენებული საზოგადოება სრულიად ნორმალურია, მაგრამ ეს ექსპლუატაცია რაციონალურ საფუძველზე უნდა აიგოს იმ მხრივ, რომ ფეოდალების თვითნებობა ყმების მიმართ თვით სახელმწიფომ უნდა შეზღუდოს, შეაჩეროს, შეცვალოს, რათა ამით თვითონ საზოგადოება გადარჩეს დაღუპვას.

დავით და იოანე ბაგრატიონების სამართალშემოქმედებასთან ერთად მეტად საინტერესოა მათი უმცროსი ძმის თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონის სამართლებრივი ნაზრევი. თეიმურაზ ბატონიშვილი დაიბადა 1782 წლის 23 აპრილს თბილისში. იგი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის უმცროსი შვილი იყო პირველი ქორწინებიდან. თეიმურაზის დედა – ქეთევან დედოფალი – ქიზიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის ასული იყო. ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ ქეთევან ანდრონიკაშვილის მაღალ პიროვნულ ღირსებებს, ჭკუაგონებასა და სიმამაცეს. ქეთევანი ერეკლე II-ის ყველაზე სასიყვარულო რძალი ყოფილა. იგი ძლიერ აფასებდა მის ერთგულებას. ერეკლე II-

ის შვილიშვილის ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, „ქეთევანის სიტყვა მეფის ირაკლის სახლისათვის ბეჭედი იყო“. ერთ რუსულ წყაროში კი პირდაპირ ვკითხულობთ: „Первая жена царя Георгия XII Ираклиевича - Кетеван, из рода Моурава Андроникашвили - была обожаемая всею страною“ (Покоренный Кавказ, книга 5-ая, СПб. 1904, стр. 253-254). თეიმურაზის დაბადებიდან 42 წლის შემდეგ – 1782 წლის 2 ივნისს, ქეთევან ანდრონიკაშვილი 28 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. ერეკლე II მძიმედ განუცდია ქეთევან დედოფლის გარდაცვალება და პირდაპირ უთქვამს, რომ „ახლა კი დაიქცა ჩემი ოჯახი-ო“.

ახალშობილი თეიმურაზისათვის სახელოვან პაპას – ერეკლე II-ეს თავისი მამის – თეიმურაზ II-ის სახელი დაურქმევია. თვითონ თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით, ერეკლე II-ეს არც მერე დაუკლია ადრე დაობლებული პატარა შვილიშვილისათვის სიყვარული და მზრუნველობა. თეიმურაზ ბაგრატიონის სწავლა-აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდა თელავის სემინარიის რექტორი, ცნობილი მწერალი და კალიგრაფი დავით ალექსი-მესხიშვილი. თავის უმცროსი ძმის აღზრდაში ცდას არ აკლებდნენ დავით და იოანე ბატონიშვილები. კერძოდ, დავითის შესახებ თეიმურაზი წერს: „კურთხეული გარდაცვალებული ძმა ჩემი მოჭირნახულე იყო და აღმზრდელი“.

1799 წლის დასასრულს თეიმურაზ ბატონიშვილმა იქორწინა ქართლის მოურავის ოთარ ამილახვრის ასულ – ელენეზე. ელენე ამილახვართან თეიმურაზ ბაგრატიონს შვილები არ ჰყოლია. ტახტის მემკვიდრის დავით ბატონიშვილის 1800 წლის 20 დეკემბრის ბრძანებაში თეიმურაზის შესახებ ნათქვამია: „მე შენ დაგნიშნე ქართლში ნაიბადო“.

თუმცა, 1801 წლის 12 აპრილს გამოცხადდა თბილისში ალექსანდრე I-ის მანიფესტი. კნორინგის ცნობით, მანიფესტის ერთგულებაზე ანტონ II კათალიკოსთან, ვახტანგ და დავით ბატონიშვილებთან ერთად თეიმურაზისაც დაუფიცია. ამასთან დაკავშირებით, გაიცა განკარგულება აპრილის შუა რიცხვებამდე საქართველოს სამეფო ოჯახის უკლებლივ ყველა წევრის რუსეთ-

ში გაგზავნის თაობაზე, ხოლო ბევრი ქართველი წარჩინებული კიდევაც დააპატიმრეს. 1803 წლის 19 თებერვალს ციციანოვმა რუსეთში გადაასახლა დავით გიორგის ძე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), ვახტანგ ერეკლეს ძე, ერეკლე II-ის რძალი ქეთევანი, ხოლო გენერალ ლაზარევის გახმაურებული მკვლელობის შემდეგ, ვორონეჟში გადაასახლეს მარიამ დედოფალი და მისი შვილები თამარ და ჯიბრაილ ბატონიშვილები, თვითონ დავით ბატონიშვილს თუ დავუჯერებთ, მისი უმცროსი და უსაყვარლესი ძმა პ. ციციანოვის დანაშაულით გაქცეულა საქართველოდან ირანში: „....კვალად სიფიცხისა და ბოროტებითა ციციშვილისათა ვნებულ იქმნენ უმრავლესნი თავადნი და აზნაურნი კახეთისანი და წარვიდნენ სპარსეთად; ეგრეთვე მეფის გიორგის ძე თეიმურაზ, ვნებული ციციანოვისგან, წარვიდა სპარსეთად.“.

თუმცა, საბოლოოდ თეიმურაზ ბატონიშვილმაც გაიზიარა დანარჩენი ბაგრატიონების ბედი და ისიც რუსეთში იქნა გადასახლებული, სადაც მან ხელი მიჰყო სამეცნიერო-სამწერლო საქმიანობას და დიდად გაითქვა კიდეც სახელი, როგორც შესანიშნავმა ქართველოლოგმა და ისტორიკოსმა.

იგი გახდა რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. თეიმურაზ ბატონიშვილმა მჭიდრო სამეცნიერო და მეგობრული ურთიერთობები დაამყარა გამოჩენილ ფრანგ ორიენტალისტ მარი ბროსესთან. 1833 წელს მარი ბროსეს პარიზში ლითოგრაფიული წესით გამოუცია თეიმურაზ ბაგრატიონის სამი ნაშრომი, რომლებიც ფრანგ მეცნიერს შემდეგნაირად დაუსათაურებდა, როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ენებზე: „შემოკლებული მოთხრობა საქართველოისა“. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში შესულია „წამება წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა“ და „დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძის სიკუდილი“, ხოლო მეორეში „დავით ბატონიშვილის ცხოვრება“. წიგნს შესავალი სახით დართული აქვს მ.დ.თ. (მეფის ძის თეიმურაზის) წინასიტყვაობა, საიდანაც ირკვევა, რომ სამივე თხზულების ავტორი თეიმურაზ ბატონიშვილია“.

ამ ნასრომს (დავით ბატონიშვილის ცხოვრება) სამართლის ისტორიის მკვლევართათვის

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი თეიმურაზ ბატონიშვილს დაუმთავრებდა 1831 წლის აგვისტოში და როგორც ზემოთ ითქვა სხვა ორ შრომასთან ერთად საჩუქრად გაუგზავნია პარიზის სააზიო საზოგადოებას ბიბლიოთეკისათვის. წიგნთან ერთად მ. ბროსესთან გაგზავნილ წერილში თეიმურაზი ნაშრომის შექმნის მიზეზად შემდეგს ასახელებს: „...ამისათვის შევკრიბენ ღირს საქებელნი სიმხნენი სიჭაბუკისა მისისანი, რათა არა წარწყმედილ იყო უქმად შემდგომთა უამთათვის ესე ვითარისა გმირისა ხსნებად და რათა დაიდგამს, ესენი ადგილსა ესევითარსა სახსენებლად მისსა და გმირთათვის მის უამისათა“.

ამავე წერილში თეიმურაზ ბატონიშვილი თხოვს მარი ბროსეს, რომ ნაშრომის გამოცემისას მან არ მიუთითოს „ისტორიის“ ავტორის ვინაობა, რაც მ. ბროსეს კიდეც შეუსრულებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით თეიმურაზ ბაგრატიონი მ. ბროსეს წერდა: „ჩემი ძმის – მეფის ძის დავითის ისტორია ჩემგან წარმოვლენილი თქვენდამი, მეაზიელიეს საზოგადოების მიმართ ძლვანვილი გითარგმნიათ ფრანციულს ენაზე და რომლისთვისაც მკითხავთ, რომ გსურს, რომელ დააბეჭდინოთ და მე რჩევასა რომ მკითხავთ. მოგახსენებთ, რომ დია კარგი იქნება, რომ დაიბეჭდოს. მაგრამ მხოლოდ მაგ წიგნში ინებენ რომ ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა წიგნისა. მე სხვა არამიზეზი მაქვს, რომ ჩემს სახელს არ გაწერინებთ მაგ წიგნში, რადგან ეგ წიგნი მე აღვსწერე, იმნება წარმკითხველთ ასე იფიქრონ, რომელ თავის ძმათ სიყვარულით მეტები და მომეტებული ქებაები დაუწერიაო, მაგრამ მე წინაშე ღვთისა და წინაშე თქვენსა ჭეშმარიტებით ამას აღვიარებ, რომელ რაც ჩემს ძმას, მეფის ძეს დავითს, სიკეთეები სჭირდა და საქებელი საქმეები ჰქონდა, იმის ღირს სახსოვართა საქმეთაგანი მეათედიც ნაწილი არ აღმიწერია, მგონია, რომ საჭირო არ იყოს მაგ წიგნში მოხსენება ვისგანაც არის აღწერილი“. გამომცემელს ავტორისათვის თხოვნა შეუსრულებდა, მაგრამ ტექსტის ერთ-ერთი ადგილი მაინც ამხელს ავტორის ვინაობას. კერძოდ, იმ ადგილას, სადაც აღწერილია მეფე ერეკლე II-ის გარდაცვალება, ვკითხულობთ: „....ხოლო ძეთაგან მეფისათა არავინ იყოფებო-

და მაენ, თვნიერ ვახტანგისა და ასულნი მეფისანი, სახლეულებანი მეფისა გიორგისანი და ვიყოფოდი მეც, თვით აღმწერელი ამა მოთხრობათა, მეფის გიორგი ძე – თეიმურაზ, ჯერეთ სიყრმისა ასაკსა მყოფი მუენ, რამეთუ მზრდიდა მე პაჲა ჩემი მეფე ირაკლი განუშორებელ ვიყოფოდი მასთანა, ფრიად სიყვარული ამვდა ჩემი, ვინა დგან სიჩირისავე შობისა ჩემისასა სახელ მსდევა მე სახელი მამისა თასისა და ოდეს იყოფოდა მეფე, ვიდრემდე სნეულებისა მას შინა, ვმსახურებდი მას ძალისამებრ ჩემისა და ასაკისა”.

თეიმურაზ ბაგრატიონის დამოკიდებულება მისი უფროსი ძმისადმი ყველაზე უკეთ არის გადმოცემული იმ დახასიათებაში, რომელიც მან დაგვიტოვა საკუთარ ნაშრომში – „დავით ბაგრატიონის ისტორია”. ამ დახასიათებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ტახტისმემკვიდრის არა მარტო პიროვნული თვისებების, არამედ მისი სამეცნიერო და სამწერლო მოძღვაწეობის შესწავლისა და განსაზღვრისათვის. ამის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სრულად გადმოცემდა დავით ბატონიშვილის თეიმურაზ ბაგრატიონისეული დაზასიათება. „და იყო იგი შარადის შრომის მოყვარე, დაგვიტევა ქართველთა წიგნი რაოდენიმე ფრიად რჩეულნი, რომელიცა რომელიმე თვით შეთხზნა და რომელიმე გვთარგმნა სხვათა ენისაგან. იყო ესეოდენ მდაბალ და სახიერ ყოველთა მიმართ კაცთა და მოწილე, ვითარცა საყვარელი თვისი მამა, ძმა და მახლობელი მოყვასი მათი, ვისაც მოხვდის შეუწუხებელთა, გაჭირვებულთა და შეიწრებულთა, ნუგეშინის ცემითა მათ ყოველთავე სახითა, რაოდენცა ძალედვა მათ. არათუ მხოლოდ თვსთა ქვეყნისა კაცთა მყოფდა მას, არამედ ზოგად ყოველთა სხვათაცა უსახუთა გინა ვისაცა არა ოდეს უგულებელს ყოფელ ექმნებოდა მისგან ყოვლისა ჭეშმარიტებითა და მართლმსაჯულებრივისა სჯითა იყო აღსავსე პირი მისი. ხშირად საუბარი მისი იყო მხიარულისა და საამოვნოსა სიცილითა და პმითა ესე ვითარითა, რომელიცა მზრახველთა მისსადმი განამხიარულებდა და აღსძვრიდა უმეტეს ზრახვისა მიმართ გონებასა. ფრიად მკვეთრ და მარჯვე იყო სიტყვასა შინა. მაგრამ ოდესმე პირუთვნებელ და მამხილებელ მათდა მიმართ,

უკეთუ იზილავდა რომელთამე უწესოთა რაითამე სახითა მქუცეველად”.

თეიმურაზ ბატონიშვილის ზემოხსენებული ნაშრომი არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროა ისეთი საკითხის გასარკვევად, თუ როგორი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა პოლიტიკური ორიენტაცია XVIII საუკუნის ბოლო წლებში, თუ რა მიმართულებით ვითარდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო – პოლიტიკური კურსი, რომელ უცხო სახელმწიფოს ენიჭებოდა უპირატესობა ისეთი ფაქიზი საკითხის გადაწყვეტის დროს, როგორიცაა მფარველი და სასურველი მოკავშირე ქვეყნის მოძიება – შერჩევა. თეიმურაზ ბაგრატიონი ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ერეკლე მეფის მიერ რუსეთზე აღებული პოლიტიკური გეზი კვლავ მტკიცე და ურყევი იყო, მას შემდეგაც კი, რაც აღა-მახმად-ხანის მოსალოდნელი შემოსევა ცნობილი გახდა და საქართველოს დაემუქრა სერიოზული საფრთხე. ასევე აღა-მახმად-ხანის თბილისში ყოფნის დროსაც, როცა ერეკლე მეფე მასთან მოღაპარაკებას აწარმოებდა და ჩრდილოეთიდან დახმარების მოღოდინში დროს აჭიანურებდა. იგივე განწყობილება კარგად ჩანს ერეკლე მეფის მიერ აღა-მახმად-ხანთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილ ქაიხოსრო (კენკია) ავალიშვილისათვის დანაბარებში. ერეკლე მეფე აღა-მახმად-ხანს ტყვეების განთავისაუფლებას თხოვს: „თუ არ გაათავისუფლებ... ერნი ქვეყნისა ჩვენისანი ფრიად განრისხებულ არიან... იხილეს რა თქვენ მიერ ესევითარისა სახითა შეურაცხება... აოხრება და ტყვე-ყოფა ქალაქის ჩვენისა... და ვაცნობებთცა მპყრობელთა როსიისათა, რომელიცა ერთსარწმუნოებითა და მეზობლობითისა მშვიდობითა ჩვენთანა შეკრულ არიან და არა თავს იდებენ იგინი თქვენ მიერ ბოროტის ყოფას ჩვენზედა”. ან კიდევ: „მაშინ როსიით მოვიდეს შემწედ ორი ბატალიონი მხედრობისა რუსთა, ვინა დგან აქვნდა აღთქმულ კარსა როსიისა სახელმწიფოსასა, რათა თუ სადამე მოინებონ მძლავრობა სპარსთა, ანუ თურქთა და ანუ სხვათა მტერთა საქართველო-სათა, სახლზედა მეფისა ირაკლისა და შემდგომთა მემკვიდრეთა მისთა ზედა და საპყრობელობათა მისთა ზედა – იმპერიამან როსიისამან

მოახმაროს მათ მხედრობა და შეეწივნენ და არამოუშეან მტერნი მათნი ვნებად მათდა, ვინაიდგან „რან სარწმუნოებითა ერთნი და მეზობელნი ეს კრისტენი”... ორივე ციტატა მეტად სარწმუნო ცნობას წარმოადგენს, ვინაიდან მათი ავტორი კახლავთ მის მიერ აღწერილი ვითარების თანამდებობის და ერეკლე მეფის უახლესი ნათესავი. თანაც მუდმივად მის გვერდით მყოფი. თუმცა იაიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომებში ზოგჯერ ასახულია ავტორის სუბიექტური, ტენდენციური დამოკიდებულება მოვლენებისადმი, რაც იწვევს იმ მოვლენების შელამაზებასა და ზოგჯერ მათი შინაგანი არსის მიჩქმალვას. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივი ჩანს სამეფო ოჯახის წევრისაგან, რომელიც თავისი დინასტიური თვალთახედვით ასახავს ისტორიულ მოვლენებს. დასკვნის სახით უნდა შევნიშნოთ, რომ დავით და თეიმურაზ ბატონიშვილებმა და ყველა მათმა ახლო-

ბელმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული სამართლებრივი კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში და მდიდარი საგანძურიც დაგვიტოვეს. ამ მხრივ საინტერესოა დავით ბაგრატიონის წერილი უმცროსი ძმის – იოანე ბატონიშვილისადმი: „ჩემო საყვარელო და სატრფო ძმაო იოანე! ბელნიერად ჩემდა ვრაცხ ესეთსა თანამდებობასა, რომელისა თანამდებ მყავ შრომითა და უმეტეს ამით, ვინაითგან ვჰქედავ შენ შორის სურვილისა ესე ვითარსა, რომლისა დასარული მოიზიდვის ერთა ბეღნიერებასა. სანატრელ არს ესევითარი კაცი, რომელსა აქვს სურვილი ერთა ზრუნვისა მაგრამ რაი, უკეთუ მხოლოდ შენ გექნების საუნჯე დაფარული ხელქვეშთაგანცა შენთა, რომელთა არა რაიმე უწყიანს და უკეთუ აღძრავ მათცა ხელოვნებისადმი და თანამდებობისა მათისა შემეცნებად, მაშინ იქმნების საქმე, ესე პატიოსან და ღირსახელოვარ მამულისაგან და საზოგადოობისა”.

**მარინა გარიშვილი,**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და  
სამართლის ისტორიის კათედრის მასწავლებელი.


**ვალერიან მეტრეველი,**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და  
სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი.



# ხ ს თ ვ ნ ა

## რეჯინალდ დეკანოზოვი



სამწუხაროა წარსულში საუბრობდე ადამიანზე, რომელმაც ღირსეულად გაუძლო ცხოვრების მკაცრ გამოცდას და თავისი პიროვნულ-ზნეობრივი და პროფესიული თვისებებით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ასეთი პიროვნება საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის 1948 წლის პირველი კურსდამთავრებული, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი რეჯინალდ დეკანოზოვი გახლდათ. მისი საინტერესო და შინაარსიანი სიცოცხლე ქრონოლოგიურად 1927–2000 წლებით თარიღდება. იგი დაიბადა ცნობილი ქართველის - ვლადიმერ დეკანოზოვის - მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში გერმანიაში საბჭოთა კავშირის ელჩის ოჯახში. შემდეგ იყო რეპრესიები, გადასახლება, დევნა. მაგრამ ბატონი რეჯინალდი კეთილსინდისიერებით ემსახურებოდა უნივერსალური სტანდარტების - უფლებათა და თავისუფლებათა სრულფასოვან დაცვას.

რეჯინალდ დეკანოზოვს არ მოჰკულებია ამ-ქვეყნიური აღიარებები: 1966 წლიდან ის იყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 1969 წლიდან - დოკუმენტი; არაერთი საპატიო სიგელი მიუღია წარმატებული მეცნიერული საქმიანობისათვის; სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ოფიციალურად გამოეცხადა მად-

ლობა 1974 წელს კოსმოსური სამართლის და 1982 წელს საზღვაო სამართლის სფეროში ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ბატონი რეჯინალდი აქტიური პედაგოგიური და მეცნიერული ცხოვრების მიმღევარი ბრძანდებოდა. იგი 1960–1971 წლებში საერთაშორისო სამართალსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალს ასწავლიდა ბარნაულის, ნოვოსიბირსკის, სვერდლოვსკის ურიდიულ სასწავლებლებში. 1993 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, 1995 წლიდან - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის დოკუმენტი. კითხულობდა ლექციების კურსს საერთაშორისო საზღვაო სამართალში, საერთაშორისო საპარო სამართალში, საერთო სარგებლობის საერთაშორისო ტერიტორიების სამართალსა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალში. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „საერთო სარგებლობის საერთაშორისო ტერიტორიები“ თავად ბატონმა რეჯინალდმა დაამკვიდრა აეროაშორისო სამართალში და იგი ავითარებდა ამავე სახელწოდების სამართლის დამოუკიდებელ დარგს. მას

1964 წლიდან 2000 წლამდე გამოქვეყნებული ჰქონდა 79 მეცნიერული ნაშრომი.

ფრანგული და ინგლისური ენების ბრწყინვალე ფლობა რეჯინალდ დეკანოზოვს ეხმარებოდა საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში. იგი 1965 წლიდან იყო რუსეთის (ადრე სსრ კავშირის) საერთაშორისო სამართლის ასოციაციის, 1974 წლიდან - რუსეთის საერთაშორისო საზღვაო სამართლის ასოციაციის, 1976 წლიდან - პარიზის კოსმოსური სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის, ხოლო 1996 წლიდან - ვაშინგტონის საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოების წევრი. მონაწილეობდა და მოხსენებით გამოდიოდა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, კოლოკვიუმებში, სემინარებში, იღებდა სამეცნიერო გრანტებს და პრემიებს საერთაშორისო სამართლის აქტუალური საკითხების დამუშავებისათვის.

ბატონი რეჯინალდის პიროვნული დახვეწილობა და ინტელექტუალური იზიდავდა საერთაშორისო და ქართული საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენლებს, რომლებთანაც შეხვედრებში იგი შესამჩნევი ერუდირებულობით იხილავდა გლობალურ თუ ლოკალურ პრობლემებს და მათთან ერთად ეძებდა გადაწყვეტის გზებს.

რეჯინალდ დეკანოზოვის, როგორც დიდი პროფესიონალის და პიროვნების ღირებულების დადასტურებას წარმოადგენს იმ მადლიერ ასპირანტთა საკმაო რიცხვი, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით ეუფლებოდნენ და დღესაც იკვლევენ სამართლის აქტუალურ საკითხებს.

დიდბუნებოვან მოკვდავთა ხვედრია გარდაცვალების შემდეგ მათთვის საპატიო ხსოვნის მიგება. მარადიულობაში გადასვლა არასოდეს შლის მათ პიროვნულ დამსახურებებს და სილამაზეს. რეჯინალდ დეკანოზოვი მართლაც რომ დააკლდა ქართული სამართლის მეცნიერებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

## RESUME

1. **Givi mtvarelidze**, head of the Tbilisi Office of Public Prosecutor - "Aspects of Battle against the Corruption, as an Anti-Governmental and Anti-Social Event". The author discusses the causes and scales of the corruption in Georgia. Besides this, he works out corresponding offerings and recommendations aiming at enhancing affectivity of the anti-corruption activities.
2. **Paata Tslobadze**, the National President of the World Jurists' Association, head of the Georgian Jurists' Union, senior lecturer at the Tbilisi State University - "Role of the Law in the Legislation System of Georgia". In the work there is discussed such vexed theoretical question as difficulties in the realization of the theory concerning the dissection of the justice and law in practice.
3. **Paata Davitaia**, Ph.D. in Juridical Science - "Work of the Representative Departments of the Local Self-Governments in Germany". The author quite comprehensively presents the legislation status of the German lands' municipal councils, election system and competence, starting from the rule concerning discussing issues and finishing with ways for solving them.
4. **Amiran Giguashvili**, Jurist - "State in the Public Political System". In the work there is discussed not only the role of the Government, as a polygonal social institution in the political system, but there are also presented its dot marks, that are different from other social institutions. These factors form the political system.
5. **Eka Shengelia**, teacher at the Department of the Civil Law, Tbilisi State University - "The Administrative Rights and Duties of the Representatives of Joint Stock Companies' Directors". The author considers the issue about the competence of the joint-stock companies' directors and their representative rights. There is defined possibilities and rule concerning the combination of jobs by the director.
6. **Keti Qoqrashvili**, Ph.D. in Juridical Sciences - "The International Financial Leasing and the Real Aspects of their Establishment in Georgia". There is discussed the idea of the Leasing, the

history of its development and sorts of the Leasing. The attention is focused on the forecast and significance of the international leasing activities.

7. **Asmat Gugava**, teacher at the Civilian Department of the Tbilisi State University's Sokumi brunch - "Development of the Trusteeship and Care Institution". The author presents history of the development of the trusteeship and care institutions and their development in accordance with the legislation rule in future. According to the author, they need to be elaborated and perfected even today.

8. **Levan Nanobashvili**, the post graduate student at the Civilian Law Department, Tbilisi State University, - "The Computer Program, as a work protected by the Legislation Norms of the Copyright". The author discusses the very idea of the computer program, their sorts and specification of their protection by the copyright norms, also the terms of the copyright for the program. The author considers that the issue about protection of the computer programs is very important for the Georgian authors too, but for its perfection it is necessary to study well the very idea and nature of this law.

9. **Nino Kunzeva-Gabashvili**, head of the Georgian Association for the Intellectual Property - "Domain - the New Object of the Intellectual Property Law". In the work there is considered the definition of "domain" in details, appropriation of the domain named, conflicts between the trademark and the domain, etc.

10. **Pridon Basilaia**, Judge at the Kutaisi Regional Court - "Offence against the Jurisdiction and the Court". The author argues about the common links and different signs, that are characteristic for the offences against the jurisdiction and the Court. According to the author, the position of the legislation system concerning the object of the above-mentioned is to be discussed and it needs to be elaborated in future.

11. **Koba Kobakhidze**, assistant of the public prosecutor of the Nadzaladze District - "In the Way of the Trying to Perfect the Definition for the Extortion Delict". By the author, the extortion delict is confessed as a formal offence, stipulating the problems while incrimination the person in the above-mentioned offence. The author offers ways for solving the above mentioned problems.

12. **Besik Kutateladze**, the post graduate student at the Department of the Criminal Cases and Criminalistics, Tbilisi State University, - "On Some Problems Concerning the Recovering the Damage (the Criminal Aspects)". According to the author, despite the fact that right, concerning recovering

the damage, caused by the crime, is an element of the human law status, the Georgian legislation does not define any norm ensuring the full guarantees for the restoration of the rights broken by a crime. In the work there are presented offerings for improvement of the above-mentioned defect.

13. Avtandil Kakhniashvili, senior lecturer at the Tbilisi State University - "On the Perfection of the Conducting the Professional Skill Exams for Judges". The author subjects to criticism the existed system of the professional skill exams for judges and makes offerings concerning other forms of conducting the professional skill exams.

14. Givi Mtvarelidze, head of the Tbilisi Office of Public Prosecutor - "Nature of the Juridical Results of the International Court's Consultation Conclusions and their International Juridical Significance (by the example of one story)". In the work there is considered the functions of the International Court and the subjects, which can apply to it for the consultation conclusions about any juridical issue.

15. Marina Garishvili, teacher at the State and Law Department, Tbilisi State University, Prof. Valerian Metreveli, head of the State and Law History Department, Tbilisi State University, "Science of Jurisdiction by Davit, Ioane and Teimuraz Bagration". According to the author, the cultural inheritance of the Georgian Princes, as in general, so from the viewpoint of their scientific work in the sphere of jurisdiction, has very serious value for the Georgian Scientists. Although it is not well studied yet. This article aims at improvement of these defaults.



## ქათენკულთა საფურიადოებო:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით ნაბეჭდ 15 გვერდს, სასურველია წარმოადგინოთ კომპიუტერის დისკზე ჩაწერილი სახით.

ჟურნალი რეგისტრირებულია თბილისის  
კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში.  
რეგისტრაციის ნომერია – 06/4-190.

პასუხისმგებელი მდივანი – ირმა ბექაური  
კურექტორ-სტილისტი – ნინო ბერძენიშვილი  
მთარგმნელი – ნათია კინწურაშვილი

გადაეცა წარმოებას 12.04.2001წ.,  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.04.2001წ.,  
ფორმატი 60X84, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6,25.  
ტირაჟი 400.  
ფასი ხელშეკრულებით.